

K 127-862  
3



ე. სტაფანიანი

ქუჩის  
განვითარება  
საბჭოთა  
საქართველოში

თბილისი • 1967

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი  
ИНСТИТУТ ЭКОНОМИКИ И ПРАВА



1967

А. Д. СТЕПАНИШВИЛИ



РАЗВИТИЕ ВИНОДЕЛИЯ  
В СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ  
(1921—1965 гг.)

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

Тбилиси

1967

ა. სვანურიძე



გელვინეობის განვითარება  
საბჭოთა საქართველოში  
(1921—1965 წწ.)

127-862  
3  
K

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი  
1967



641-8.5(641)09)  
 663.2(47.922)(09)  
 ს. 834

მეღვინეობა

საქართველოში



ქართული  
 ენციკლოპედია

ნაშრომში მოცემულია მეღვინეობის მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური დახასიათება რევოლუციამდე საქართველოში. გაშუქებულია მეღვინეობის აღდგენისა და განვითარების ძირითადი პროცესები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდში.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ატარებდა საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მეღვინეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში ჩვენს რესპუბლიკაში. ნაშრომში გაანალიზებულია მეღვინეობის განვითარების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, ნაჩვენებია მისი ადგილი საქართველოს ეკონომიკაში, დასაბუთებულია ღონისძიებები მეღვინეობის განვითარებისათვის.

სკმ 2000  
 შემოწმებულია

თავი პირველი

მეღვინეობა საბჭოთაგანულ საქართველოში

1. საქართველო — მივიანებომა-მეღვინეობის უამრავი კერა

ვაზის კულტურა და ღვინის დაყენება საქართველოში უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. ჩვენი ქვეყნის ბუნება და ნიადაგი დიდად უწყობდა ხელს მევენახეობის განვითარებას. ანტიკურ ეპოქაში მეღვინეობა იმდენად განვითარებულა ჩვენში, რომ იგი ქართველი ხალხის ერთ-ერთ მთავარ სამოქმედო დარგად ყოფილა გაღმქმული<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ 1962 წ. შემოდგომაზე თბილისში ჩატარდა მევენახეობა-მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესი. ისმება კითხვა: რატომ აირჩიეს საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის მსოფლიო კონგრესის ადგილად? „უპირველეს ყოვლისა, უეჭველად იმიტომ—წერდა იტალიის მევენახეობა-მეღვინეობის აკადემიის პრეზიდენტი პროფ. ჯ. დალმასო ჟურნალ „იტალიის სოფლის მეურნეობაში“ (1962 წ. ნოემბერი)—რომ საბჭოთა კავშირში საქართველო მეღვინეობის უმნიშვნელოვანესი ქვეყანაა... საიდანაც მევენახეობა გავრცელდა დასავლეთ ევროპაში... რომ საქართველოში 5 000—6 000 წლის წინათ, ქრისტეს წინ, მზადდებოდა ჩვენი დღევანდელი სახის ღვინოები“<sup>2</sup>.

უკვე დიდი ხნით ადრე ღვინოს ჩვენში არა მარტო ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა მოიხმარდა ფართო მასშტაბით, არამედ დიდი რაოდენობითაც გაჰქონდათ საზღვარგარეთ. ეს ტენდენცია გრძელდებოდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში როგორც მისი ეკონომიკური აყვავების, ისე ქვეყნის დაქვეითების ხანაშიაც.

<sup>1</sup> ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1934, გვ. 289, 604.

<sup>2</sup> ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1964, № 8, გვ. 86—87.

უცხოეთის ქვეყნები ქართულ ღვინოებს ოდითგანვე ეტანებოდნენ. მისი მაღალი ხარისხიანობის, შესანიშნავი თვისებების გამო. შორს გადაზიდვის ამტანიანობის გამო.

საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

„მცხეთა-სამთავროს, თრიალეთის, ალაზნის ხეობისა და სხვ. არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, წერს პროფ. პ. გუგუშვილი, რომ საქართველოში უძველესი დროიდანვე ყოფილა გავრცელებული მევენახეობა-მეღვინეობა. ამ გათხრების დროს აღმოჩენილია მევენახეობა-მეღვინეობის კულტურის დამახასიათებელი იარაღები. (მაგ., ვახის სასხლავი დანები, ყურძნის საწნეხი ქვის გაწყობალებანი) ქურჭლები, (ჭურბები, ქვევრები, ღვინის ღოჭები, თასები, ჭინჭილები). ამ ინვენტარის წარმომავლობა თარიღდება ჩვენი ეპოქის პირველი საუკუნეებით, ხოლო მათი უძველესები ეკუთვნიან ჩვენ წელთაღრიცხვამდე პირველი, მეორე და თვით მესამე ათასეულ წლებსაც კი“<sup>3</sup>.

ვახსა და ღვინოს, ქართველ გლეხთან ერთად, უზიდნია ისტორიის მძიმე ჰაპანი საუკუნეების განმავლობაში. ჩვენებურ გლეხს არა ერთხელ გადაუხდია უცხოელ დამპყრობთა მძიმე ხარკი ღვინით. ასე რომ, ამ შემთხვევაში ღვინო გარკვეული აზრით, ქართველი კაცის „ხმალიც“ ყოფილა და „გუთანიც“.

ღვინის მოსავალს დიდი სიმძლავრე თუ არა მოაქვს ჩვენი ხალხსათვის—წერდა ი. ჭავჭავაძე—„ცოტას შველას მაინც იძლევა. შრომა და ჯათა მუქთად არ მისდით. შინ სახმარებლად თავისი საკუთარი ღვინო აქვს, ქირსა და ლხინში ღვინის ყიდვა არ უნდება და მეტ ხარჯში არ შედის. მარტო ესეც საკმაოა, რომ ჩვენი ხალხი გულმოდგინედ მიჰყოლოდა ღვინის წარმოებას და თავი არ დაენებებინა ამ ფრიალ სასარგებლო საქმისათვის“<sup>4</sup>.

მრავალ ცნობილ ისტორიულ პირს უმოგზაურია საქართველოში, დასწრებია ქართულ ლხინსა და ქირს. შეუსწავლია აქაური ხალხის ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება (ე. შარდენი, ა. დიუმა, ა. ს. პუშკინი, პ. ვ. ძიუბენკო, ლავრენტიევი და სხვა) და მისულან იმ დასკვნამდე, რომ ქართველები ღვინის სმაში არასოდეს უწყსრიგო მდგომარეობაში არ ყოფილან. მართალია მამაკაცებს ლხინი უღვინოდ არ სჩვევიათ, მაგრამ ისინი ლოთები არ არიან ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

3 პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. V, თბ., 1963, გვ. 460.

4 ი. ჭავჭავაძე, თბზ. სრ. კრებ. 10 ტომად, ტ. VII, თბ., 1956, გვ. 149.



არაეინ უარყოფს იმას, რომ ქართველებში იშვიათად არიან, გა-  
 ლოთებულნიც. მაგრამ „იგი გამონაკლისია და საზოგადოებრივად  
 ათვალწუნებული“<sup>5</sup>.

ქართველისათვის ღვინო ყოველთვის სტუმართმოყვარეობაში  
 ურთიერთპატივისცემის გამომხატველი კომპონენტი იყო. კარგ  
 სუფრად კი ის იწოდებოდა, სადაც მალახარისხოვანი ღვინო და-  
 ილეოდა. „თამადა ზომ ქართული სუფრის ატრიბუტი იყო. ესეც ჩვე-  
 ნი კულტურის მონაპოვარია, რომ სუფრაზე არ იყოს უწყსრიგობა  
 და ღვინის მსმელმა უსიამოვნო რამ არ ჩაიღინოს. თამადა ღვინის  
 ორგანიზატორია და რამდენადაც იგი ნიჭიერია, ჰკვიანი, ენამზიანი,  
 იმდენად სასიამოვნოა ნადიმი... ქართველი კაცი, როდესაც იგი ღვი-  
 ნით უმასპინძლდება მეგობარს, უსურვებს ძმობას, დღეგრძელობას,  
 ხოლო ქვეყნიერებას—კეთილდღეობას, მშვიდობას“<sup>6</sup>. მუსლიმანები  
 ღვინოს სატანის მოგონილად სთვლიან. ამიტომ ყურანი მოუწო-  
 დებს მუსლიმანებს „ერიდეთ მას (ღვინოს—ა. ს.) და ნეტარიქმენი-  
 ნითო“<sup>7</sup>.

„ღვინო ყურანის მიერ გამოცხადებულია უწმინდურ სასმელად,  
 რომელიც მართლმორწმუნე მუსლიმანმა არ უნდა დალიოს“<sup>7</sup>.

მთელ რიგ ქვეყნებში და ჩვენშიაც ზოგიერთები ღვინოს  
 სთვლიან მათრობელა, მანე სასმელად და ალკოჰოლიზმის გავრ-  
 ცელების მთავარ საშუალებად. მათი აზრით, საჭიროა კაცობრიობამ  
 დაგმოს ღვინო და ხელი აიღოს მის წარმოებაზე. ანტიალკოჰოლურ  
 ლიტერატურაში კი ზოგიერთები ღვინოს არაყთანაც აიგივებენ.

აღნიშნულ მოსაზრებათა დამცველნი მხედველობის გარეშე  
 ტოვებენ იმას, რომ ღვინის ზომიერად მიღება ადამიანის ორგანიზ-  
 მის ნორმალური განვითარების აუცილებელი პირობაა, რომ, გარკ-  
 ვეული აზრით, ღვინის სმა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის  
 ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ითვლება და ძველთაგანვე  
 ჩვენს ქვეყანაში ხალხი ღვინოს ერთ-ერთ პროფილაქტიკურ და თე-  
 რაპიულ საშუალებადაც იყენებდა. თქმულება იმის შესახებ, რომ  
 „რძე მოზარდთა ღვინოა, ხოლო ღვინო მოზუცთა რძეაო“, უსათუ-  
 ოდ საფუძვლიანი უნდა იყოს. ცნობილია, მაგალითად, პროფ. გაუ-  
 ხეს აზრი იმის შესახებ, რომ ნატურალური ღვინო ავადმყოფი ადა-

<sup>5</sup> ი. ცინცაძე, ერთი საჭიბროტო საკითხისათვის, გაზ. „თბილი-  
 სი“, 1959, 22 ივლისი.

<sup>6</sup> გ. ლეონიძე, ქართული ვაზი და ქართული ღვინო, გაზ. „სოფლის  
 ცხოვრება“, 1962, 13 სექტემბერი.

<sup>7</sup> ა. ჰელიძე, აქვესი წელი სპარსეთში, თბ., 1964, გვ. 67.



მიანისათვის წარმოადგენს საშუალებას მისი დროულად განკურნებისათვის, ხოლო ჭანმრთელი ადამიანისათვის—საუკეთესო საშუალებას ავადმყოფობისაგან დასაცავად.

პროფ. ს. ჩოლოყაშვილი აღნიშნავდა, რომ ღვინო ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა.

ლ. პასტერი მიუთითებდა, რომ ბუნებრივი ღვინო შეიძლება განვიხილოთ მთელი უფლებით, როგორც ჭანმრთელი ჰიგიენური სასმელი.

ჟამის დროს ღვინის ზომიერი სმა ადამიანის ორგანიზმზე მხოლოდ დადებითად შეიძლება მოქმედებდეს. იგი, გარდა იმისა, რომ აღუძრავს ადამიანს შადს, იმავე დროს აძლიერებს საჭმლის მონელებას, ზელს უწყობს გულის მუშაობას და, საერთოდ, ორგანიზმში ნივთიერების ნორმალურ ცვლას.

ი. ჰავჭავაძე პირდაპირ წერდა, რომ ზომიერად მიღებული ღვინო ძალიან პრეგებს ადამიანს, რომ იგი აღონიერებს ძარღვებს მოქმედებისათვის, „კუქსა ჰშველის კარგად მოხარშვას და მონელებას საჭმლისას და ყოველი ამით აძლიერებს ძალსა საცხოვრისას. ამ სახით—ამბობს ერთი მწერალი—ღვინო მარგებელი სანელებელია, ყველა სანელებელზედ გაცილებით უმჯობესი და უპატიოსნესი, იმიტომ, რომ ყველაზე უკეთ ადამიანს ხოლმე ადამიანის ჰქუასა და გულსა. ერთი ყლუპი კარგი ღვინისა გამოახალისებს მოხუცსა და გამოაცოცხლებს სნეულსა, იგი ღონეს მოუყრებს ხოლმე დაუძლურებულს და დასუსტებულს“<sup>8</sup>.

ისევე როგორც ნორმალური, სასარგებლო ჟამა მადისა და სიამოვნების მომგვრელია, ასევე ნორმალურად და ზომიერად ბუნებრივი ღვინის სმა ადამიანის სიამოვნების მომგვრელი, ხალისის მომცემია. გარდა ამისა, ღვინო ფანტავს დაღლილობას. მატებს ენერჯიას, ასე გვასწავლის დიდი რუსი მეცნიერი პავლოვი.

ამგვარად, გემოვნებით პროდუქტებს შორის ნატურალურ (ყურძნის) ღვინოს მეტად საპატიო ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში.

## 2. ღვინო, როგორც მოხალაბის, ვაჭრობისა და მკურნალობის სახანი

ღვინო, როგორც სასმელი პროდუქტი, ჩვენში იმთავითვე ადამიანის პირადი (შინაგან, ოჯახურ) მოხმარების საგანს შეადგენდა.

<sup>8</sup> ი. ჰავჭავაძე, თხზ., ტ. VII, გვ. 84—85.



შემდეგში ჯერ ქვეყნის შიგნით ვაჭრობის, ხოლო ბოლოს უცხოეთში გატანისა და ექსპორტის საშუალებად გადაიქცა.

რასაკვირველია, როდესაც ადამიანი სწავლობდა ლენინის ნებას მას აინტერესებდა ამ პროდუქტის მხოლოდ სახმარი თვისება, რომ იგი სასარგებლო იქნებოდა მისთვის და სრულიადაც არ ჰქონდა წარმოდგენა იმაზე თუ ლენინი ოდესმე ყიდვა-გაყიდვისა და ექსპორტის საგნადაც გადაიქცეოდა.

მაშასადამე, ლენინის თავდაპირველი ფუნქცია იყო, დაეკმაყოფილებინა ადამიანის მოთხოვნილება. ეს თვისება შემდეგ ისე გაიზარდა და ადამიანს ისე გაუჭდა სულსა და ხორცში, რომ ზოგიერთ ხალხში და მათ შორის ჩვენშიაც იგი პირველი საჭიროების საგნად იქცა.

განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ჩვენი ქვეყნის ზოგ მხარეში (კახეთი, ზემო იმერეთი), მეღვინეობამ იმ დონესაც მიაღწია, რომ იგი არა მარტო აკმაყოფილებდა ადგილობრივი მცხოვრებლის საჭიროებას, არამედ საკმაოდ დიდი რაოდენობაც რჩებოდა გასაყიდად. სწორედ ეს „ნამეტი“ ლენინი აძლევდა ქართველ გლეხს შველას ჭირსა და ღვინოში, ამით უმკლავდებოდა ათასგვარ გაჭირვებასა და გადასახადებს.

ამიტომ, როდესაც საკითხი ეხება იმას თუ იმთავითვე რას წარმოადგენდა ლენინი ჩვენს ქვეყანაში, იყო იგი შინაგანი მოხმარების, ვაჭრობის თუ ექსპორტის საგანი, ჩვენი აზრით, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ შემდეგი გარემოებები:

პირველი. უდავოა, რომ ლენინის თავდაპირველი დანიშნულება მისი შინაგანი (ოჯახური) მოხმარება იყო. მაგრამ საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალების განვითარების კვალდაკვალ ადამიანებს, სხვა პროდუქტებთან ერთად, უჩნდებოდა ლენინის ნამეტი პროდუქციაც, რომელიც შემდეგ გაცვლა-გამოცვლის, ვაჭრობისა და, ბოლოს, მეტ-ნაკლები ოდენობით ექსპორტის საშუალებადაც იქცა.

მეორე. ლენინით ვაჭრობა საქართველოში ყოველთვის არ ხდებოდა რეგულარულად. მაგალითად, „XIX საუკუნემდე ლენინით ვაჭრობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ფეოდალური მეურნეობის პირობებში მას უმთავრესად საშინაო მოხმარებისათვის ამზადებდნენ“<sup>9</sup>.

<sup>9</sup> ვ. ზარკეიანი, მეღვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში, თბ., 1960, გვ. 9.



ამიტომ, როდესაც ვეხებით ამ საკითხს, პირველ ყოვლისა, და გავარკვეოთ თუ დროის რომელ მონაკვეთზეა (ეპოქაზე) პარაკი და რა დანიშნულებისათვის ამზადებენ ძირითად ნოს ამ პერიოდში.

აკად. ივ. ჭავჭავაძის აზრით, „ქართული ღვინო უძველეს დროითგანვე საქსპორტო საგანს შეადგენდა“<sup>10</sup>. თვით ნატურალური მეურნეობის დროსაც ღვინო გაიტანებოდა საზღვარგარეთ გარკვეული რაოდენობით, მაგრამ მისი უმთავრესი დანიშნულება იმხანად ექსპორტი არ ყოფილა.

ცნობილია, რომ ადრე ღვინის შორეულ მხარეებში გატანას ჩვენში ეწეოდნენ როგორც ამ დარგის ვაჭრობაში დახელოვებული მოხელეები, აგრეთვე ნაწილობრივად მსხვილი მემამულეებიც. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ღვინო გადიოდა საზღვარგარეთ არა უშუალოდ ბაზარზე, სადაც ყველას, ე. ი. მოსახლეობის ყველა ფენას, შეეძლო მისი ყიდვა, არამედ—პრივილეგიური ფენების (მეფეების, შაჰების, კარისკაცებისა და, საერთოდ, შეძლებული პირების) დაკვეთით, ან მხოლოდ იმისათვის, რომ იგი მიეტანათ უშუალოდ მათთვის ყოველგვარი დაკვეთის გარეშე, უკანასკნელნი კი სიამოვნებით იძენდნენ განთქმულ ქართულ ღვინოებს. მაგრამ, როგორც ითქვა, ღვინის ამ სახით გატანას ჰქონდა არა რეგულარული, არამედ შემთხვევითი ხასიათი.

შესამე, როდესაც ვეხებით საკითხს იმის შესახებ, რომ საქართველო მეღვინეობის უძველესი ქვეყანაა მთელ მსოფლიოში, ჩვენ აქ, რასაკვირველია, მხედველობაში უნდა ვიჭონიოთ მისი არა ყველა კუთხე და არა მასში მცხოვრები ყველა ხალხი, არამედ მხოლოდ ის კუთხე (კახეთი, იმერეთი და სხვ.), ის ხალხი, რომლებიც იმთავითვე მისდევნენ მეღვინეობას, ისე არიან მიჩვეული და გაწაფული ღვინის კეთებასა და მოხმარებაში, რომ ამის გარეშე არსებობაც კი არ შეუძლიათ.

მამასადამე, საკითხის გარკვევისათვის, თუ რას წარმოადგენდა ჩვენთვის ღვინო, იყო იგი შინაგანი მოხმარების, ვაჭრობის თუ ექსპორტის საგანი, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ: ა) მისი თავდაპირველი დანიშნულების არსი, რომ იგი ჩვენში იმთავითვე ოჯახური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საგანს წარმოადგენდა; ბ) იმ ეპოქის კონკრეტული ვითარება, რომელშიც ამზადებდნენ ღვინოს

<sup>10</sup> ივ. ჭავჭავაძისი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1934, გვ. 289.



და რა იყო ამ დამზადების უმთავრესი დანიშნულება, ე. ი. წარმოებდნენ მას უპირატესად ოჯახური (შინაგანი) მოხმარებებისა და ქვეყნის შიგნით ვაჭრობისა და გარეთ გატანის ახუ ექსპორტისთვის და, ბოლოს, გ) თვით მოცემული ქვეყნის გარკვეული კუთხე და ამ კუთხეში მცხოვრები ხალხი, რომლებიც მისდევენ მეღვინეობას და რომელთათვის შემოსავლის მთავარ წყაროს სწორედ მეურნეობის ეს დარგი წარმოადგენს.

### 3. მღვინეობა რუმინეთში

მართალია, XIX საუკუნის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა ქალაქური ცხოვრება საქართველოში და ვაჭრობა-მრეწველობა თანდათან კაპიტალისტური თაოსნობის ფერხულში ებმებოდა, მაგრამ ეს პროცესი მთელი სიღრმით მხოლოდ რეფორმის შემდეგ დროინდელ პერიოდში გაიშალა.

ე. ი. ლენინი წერდა, რომ „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს, ძველებური პატრიარქალური კარჩაქეტილობის ნაშთს, ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის. ქვეყანა, რეფორმის შემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც მხოლოდ მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყნად იქცეოდა, და ბატონი კუპონი დაუნდობლად ხდიდა ამაყ მთიელს პოეტურ ეროვნულ კოსტუმს და ევროპული ლაქიის კოსტუმით მოსავდა მას“<sup>11</sup>.

კაპიტალისტური აღებ-მიცემობა თანდათან იჭრებოდა სოფლის მეურნეობაშიც და მას იგი თავისი გზით მიჰყავდა.

მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ჩვენში დამყარდა მშვიდობიანობა და ახლა გლუხს აღარ ეშინოდა იმისი, რომ მინდვრად მუშაობისას თავს დაესხმოდა ვინმე, რისთვისაც წარსულში ისინი სამუშაოზე თოფით შეიარაღებულნი მიდიოდნენ და ნაკლებ ინტენსიურად უძღვებოდნენ თავიანთ მეურნეობას. ახლა უკვე დაიწყო დიდი ხნით მიტოვებული მიწების გამოყენება და ფართოდ გაიშალა ბაღის, ვენახის გაშენება.

<sup>11</sup> ე. ი. ლენინი, თბ. ტ. 3, თბ., 1950, გვ. 704.

„რუსეთიდან და უცხოეთიდან საქონლის შემოტანის გზების გაგანიერებამ, თბილსა და სხვა ქალაქებში, თვით სოფლებში საოჯახო მრეწველობის, ხელოსნობის და შინამრეწველობის განვითარების შესაძლებლობამ გამოიწვია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მალაღმეურნეობრივი თაოსნობის გამოცოცხლება. დაიწყო სოფლის მეურნეობის და მრეწველობის სხვადასხვა დარგში წარმოების გაფართოება—წარმოება არა მარტო საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და საბატონო, საეკლესიო, სახელმწიფო ბეგარა-გამოსაღებთა გადახდისათვის აუცილებელი პროდუქტებისა, არამედ წარმოება გაყიდვის მიზნით. ქალაქად და სოფლად კაპიტალისტური თაოსნობა ყოველდღიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა“<sup>12</sup>.

წარმოებისა და ვაჭრობის ურთიერთობის განვითარება რეფორმის შემდეგ დროინდელ საქართველოში უშუალოდ დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მათ შორის ღვინის თანდათან საქონლად გადაქცევასთან. ვიდრე საქართველო რკინიგზით დაუკავშირდებოდა რუსეთს, მანამდე ღვინის ერთ-ერთი მთავარი ბაზარი თბილისი, ხოლო შემდეგ ქუთაისი იყო. მაგრამ თვით XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ ღვინოებს არ ჰქონდათ მთლიანად საქონლური ხასიათი.

ამ საქმეში გადაწყვეტი რილი უნდა ეთამაშა რკინიგზის გაყვანას ამიერკავკასიაში, რომელიც ერთი მხრივ, დააჩქარებდა ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მრეწველობის განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობდა რუსეთის კაპიტალს ახალი ბაზრების მოპოვების საქმეში. ეს მოვლენა თავისთავად დიდ დააჩქარებდა საქართველოდან რუსეთში ღვინის გატანას. ასე, რომ, რკინიგზის გაყვანის აუცილებლობა მოითხოვდა როგორც ამიერკავკასიის, ისე თვით რუსეთის ეკონომიკური ინტერესების უშუალო გადაწყვეტას. მთავარი ის იყო, რომ ამ პერიოდში უკვე მწიფდებოდა უცხოეთიდან რუსეთში დიდი რაოდენობით და კაბალური ფასებით ღვინის შემოტანიდან განთავისუფლების საკითხი. ამიტომ ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანის საკითხს მეფის მთავრობა ინდეფერენტულად კი არ უყურებდა, არამედ სისხლხორცულად იყო დაინტერესებული და ყოველნაირად ხელს უწყობდა მის დროულად მოგვარებას.

<sup>12</sup> საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961 წწ., პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1961, გვ. 43—44.



უკვე 1872 წ. გაიყვანეს პირველი რკინიგზა საქართველოს ტერიტორიაზე—ფოთსა და თბილისს შორის. ხუთი წლით შემდეგ (1877 წ.) გაიხსნა რკინიგზის ხაზი რიონსა და ქუთაისს შორის (1877 წ.). გავიდა რკინიგზის ხაზი თბილისსა და ბაქოს, აგრეთვე სამტრედიასა და ბათუმს შორის, 1887 წ. — ქუთაისსა და ტყიბულს. 1894 წ. — თბილის-ყარსს შორის.

რკინიგზის ყველა ამ ხაზმა მჭიდროდ დააკავშირა აქაური მხარე რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებთან, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა ამიერკავკასიის საგუბერნიო ცხოვრებაზე. რკინიგზამ ერთმანეთთან დააკავშირა ეკონომიკურად იზოლირებული რაიონები, კერძოდ, აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო, დააჩქარა ახალი სამეურნეო ფორმების ზრდა, წინ წასწია ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო განვითარება. რკინიგზის გაყვანამ საქართველოს გაუხსნა რუსეთისა და ევროპის ბაზარი, ასევე რუსეთის საქონელს საქართველოს ბაზარი, ფაქტიურად შექმნა ამიერკავკასიის ბაზარი<sup>13</sup>.

ცნობილია, რომ კახური ღვინო რკინიგზის უქონლობის გამო მოკლებული იყო შორეულ ბაზარს და კახეთის მოსახლეობა, რომელიც ძირითადად მეღვინეობას მისდევდა, თავიანთ პროდუქციას (ღვინოს) საჭაპანო გზით ეზიდებოდა სხვადასხვა ქალაქებში, პირველ რიგში კი თბილისში.

კახურ ღვინოებს 70—80-იან წლებში კონკურენციას უწევდა იმერეთიდან და ელიზავეტპოლიდან შემოტანილი, შედარებით იაფფასიანი ღვინოები, რომლებსაც მოსახლეობის ძირითადი ფენები ადვილად ეტანებოდნენ სიიაფის გამო, ვიდრე კახურ ღვინოს, რომლის ფასი გაცილებით მაღალი იყო პირველზე. სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ დროს იმერეთში დიდად დაწინაურდა სავაჭრო-საქონლური ხასიათის მეღვინეობა.

იმერეთის ადგილობრივ მცხოვრებლებს (შორაპნისა და ქუთაისის მხარა) დიდი დაბრკოლების გადალახვა სჭირდებოდათ მაშინ იმისათვის, რომ შეებრძოლებოდნენ ვაზის ყველა დაავადებას, გასაკუთრებით ოიდიუმს, მილდიუმსა და ფილოქსერას, რათა როგორც შეენარჩუნებინათ ეს ინტენსიური კულტურა. ასე რომ, 90-იანი წლებისათვის იმერეთში ადგილობრივი ვაზი თითქმის მთლი-

<sup>13</sup> ი. შირცხუღავა, აგრაულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917 წწ., თბ., 1964, გვ. 17.



ანად შეიცვალა ამერიკული ჯიშის ნამყენებით და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი მოვლა-პატრონობის საქმე.

მელვინეობით გატაცებული იმერელი გლეხი უკვე მთავრდება რომბა იმაზე, რომ დაეყენებინა რამდენიმე წლის ღვინოები, შეენახა ქურში და დაეძველებინა იგი, როგორც ეს ხდებოდა მაშინ კახეთში, არამედ იმავე წელს დამზადებულ ღვინოს მაშინვე ჰყიდდა ქუთაისში, ფოთში, ბათუმსა და თბილისის ბაზრებში.

განსაკუთრებით ეს ითქმოდა მდ. ყვირილას შიდამოებში მცხოვრებ მოსახლეობაზე, რომლის ეკონომიკაში გადაწყვეტ როლს მელვინეობა ასრულებდა. ამ რაიონში ღვინო წარმოადგენდა გასაღების ძირითად პროდუქტს და გლეხების ფულადი შემოსავლის ერთადერთ წყაროს.

მართალია, 70-იან წლებში გურია-სამეგრელოში ვენახის ფართობი (მაღლარი) 16 ათას ჰექტარს აღემატებოდა (იმერეთში კი ამ დროს უკვე 20 ათას ჰექტარს შეადგენდა), მაგრამ სავაჭრო ღვინო იმერეთში 10-ჯერ უფრო მეტი მზადდებოდა, ვიდრე გურია-სამეგრელოში. 80-იან წლებში მელვინეობა თითქმის მთლიანად მოისპო გურია-სამეგრელოში, რადგან ვაზის სოკოვანმა დაავადებამ ერთიანად გაანადგურა აქ გაშენებული მაღლარი ვენახის ვაზი, ხოლო დაბლარი (ნამყენი) ვენახი ამ დროს თითქმის არ არსებობდა აქ და ადგილობრივი მოსახლეობა მის გაშენებაზე ნაკლებად ფიქრობდა. იმერეთის გლეხობაზე კი ეს არ ითქმოდა, რადგან ისინი შეუწუხებელი ენერჯით ებრძოდნენ ვაზის ყველა დაავადებას. გარდა ამისა მათ ახალი ჯიშის (ნამყენის) ვაზის გაშენებას მიჰყვეს ხელი. ამ დროს იმერეთიდან ღვინო გადიოდა არა მარტო დასახლებულ ქალაქებში, არამედ სურამს, ახალციხეს, გორსა და თვით გურია-სამეგრელოშიც. ეს მხარე იმხანად თითქმის მთლიანად იმერეთის ღვინოს შეექცეოდა.

იმერეთის შემდეგ დასავლეთ საქართველოში ღვინის წარმოებისა და სავაჭრო მელვინეობის საქმეში მეტად დაწინაურდა რაჭალეჩხუმი.

საერთოდ, 1870 წ. ვენახის მთლიანი ფართობი (დაბლარი და მაღლარი) დასავლეთ საქართველოში შეადგენდა სულ 38 364 დესეტინას, ხოლო 1894 წ. იგი გაიზარდა 45 773 დესეტინამდე, ე. ი. ზრდა მოხდა თითქმის 20%-ით. მათ შორის, იმერეთში (ქუთაისისა და შორაპნის მაზრა) იყო სულ 19 570 დესეტინა. აქედან 7 250 დესეტინა მაღლარი და 12 320 დესეტინა დაბლარი. 1894 წ. კი იგი

გაიზარდა 21 598 დესეტინამდე (აქედან მაღლარი შეადგენდა 5398 დეს. დაბლარი კი 16 204 დეს.).<sup>14</sup> ამასთან მაღლარის ფართობი შეადგენდა 1 856 დესეტინით, ხოლო დაბლარი გაიზარდა 3 884 დესეტინით.

ამ პერიოდში ვენახის ფართობის ზრდას თან არ სდევდა ყურძნის მოსავლიანობის ზრდა და, მაშასადამე, მის შესაბამისად ღვინის წარმოების გადიდება (მაგ., 1876 წ. ღვინის მოსავალი იმერეთში შეადგენდა 2 852 702 დკლ-ს, ხოლო 1895 წ.—1 254 600 დკლ-ს), მთლიანად საქართველოში კი შესაბამისად ღვინის წარმოება დაეცა 20%-ზე მეტად<sup>15</sup>, მაგრამ ეს გარემოება შეიძლებოდა ახსნილიყო მხოლოდ იმით, რომ სოკოვანმა დაავადებამ იმდენად დააყენა და დააუძლურა ვენახი, რომ მისი პროდუქტიულობა მკვეთრად დასცა ძირს. ამ მხრივ სულ სხვა მდგომარეობაში აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველო და, კერძოდ, კახეთი. თუ 90-იანი წლების ბოლოსათვის აღნიშნული დაავადების გამო თითქმის ერთიანად მოიხრისა გურია-სამეგრელოს ვენახი და ძირეულად გააჩანავა იმერეთის (პირველ რიგში შორაპნის მაზრა) ძველი ნარგავები, კახეთში ოიდიუმისა და მილდიუს გავლენა შედარებით უმნიშვნელო იყო, რადგან აქაურ მშრალ კლიმატურ პირობებში აღნიშნული სოკოვანი დაავადებანი იმდენად ვერ ანადგურებდა არსებულ ზერებს. დასავლეთ საქართველოში კი, სადაც ნოტიო ჰავა და ხშირი წვიმები იყო, ნაცარი და ობი უფრო ადვილად ვრცელდებოდა. სამაგიეროდ, შემდგომ პერიოდში, ფილოქსერას გავლენა უფრო გამანადგურებელი აღმოჩნდა თავისი შედეგებით კახეთში, ვიდრე იმერეთსა და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოში. ცნობილია, რომ ფილოქსერა პირველად ამერიკაში აღმოაჩინეს, 1880 წ. კი იგი ყირიმში შეამჩნიეს, საიდანაც ერთი წლის შემდეგ უკვე საქართველოშიაც გაჩნდა.

1881 წ. ამიერკავკასიაში შეიქმნა ფილოქსერის საწინააღმდეგო კომიტეტი, რომელიც მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში აწარმოებდა ბრძოლას ფილოქსერის წინააღმდეგ. ყოველწლიურად იბეჭდებოდა მისი მუშაობის ანგარიშგება. მან თავისი არსებობა შესწუვიტა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის იყო კახეთში ჩნდებოდა (1910) ეს საშინელი დაავადება.

<sup>14</sup> პ. გუგუშვილი, მევენახეობის გეოგრაფიული გაადგილება, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, თბ., 1952, გვ. 106.

<sup>15</sup> М. Баллас, Виноделие в России, т. III, СПб, 1897, стр. 37, 38, 42.





ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რეფორმის შემდეგ მოდროინდელ ხანაში, განსაკუთრებით 80-იან წლებში, საეპარო მელვინოვსკის მემორიალმა, მეტად წინ წავიდა იმერეთი, ხოლო კახეთი ჯერ კიდევ მსოფლიო ომამდე და მას. მაგრამ რკინიგზის გაყვანის შემდეგ კახეთი ამ მხრივ იმდენად დაწინაურდა, რომ იმერეთს მნიშვნელოვნად გაუსწრო წინ.

კახეთის მევენახეობა-მელვინეობის კრიზისიდან გამოსაყვან ღონისძიებათა შორის პირველ რიგში ყოველთვის სწორედ კახეთის თბილისთან რკინიგზით დაკავშირების აუცილებლობა იყო წამოყენებული. მაგრამ „კახეთის რკინიგზის პრობლემა, რაც ჯერ კიდევ 70-იან წლებში წამოიჭრა, პრობლემადევ დარჩა თვით პირველ მსოფლიო ომამდე. ხოლო კახეთის რკინიგზის გაყვანამდე ამიერკავკასიის მევენახეობის ახალ რაიონებში იმდენად მოღონიერდა ეს საქმიანობა, რომ რკინიგზის გაყვანის შემდეგ (1915 წ.) კახეთის მელვინეობას უკვე არ შეეძლო, ანდა მხოლოდ უმნიშვნელო ზომით-ლა შეეძლო მათთვის (ე. ი. ახალი რაიონების—ერევნისა და აზერბაიჯანის ღვინოებისათვის—ა. ს.) ზიანის მიყენება“<sup>16</sup>.

4. მსხვილი სავაჭრო კაპიტალისტური მიწვენიობა

რეფორმამდე და მის შემდეგაც ღვინის ძირითად მწარმოებლებს საქართველოში წვრილმწარმოებელი გლეხები შეადგენდნენ. მართალია, ბატონყმური ურთიერთობის პირობებში, გლეხები თავიანთი ღვინის ერთ ნაწილს მებატონეებს უხდიდნენ, მაგრამ გამოირჩეოდნენ ისეთებიც, რომლებიც გამოჰყოფდნენ ღვინოს გასაყიდად და აქედან მნიშვნელოვანი შემოსავალიც ჰქონდათ. რეფორმის შემდეგ კი მევენახე გლეხი ღვინის აშკარად დამოუკიდებელ მწარმოებლად იქცეოდა. მაგრამ ამ „დამოუკიდებლობამაც“ მალე სახე შეიცვალა, რადგან მათ, როგორც ღვინის მწარმოებელსა და ღვინის უშუალო მომხმარებელს, შორის გაჩნდა (სირაჯი) შემსყიდველი ვაჭარი, რომელიც ღვინოს ადგილზევე უშუალოდ გლეხებისაგან ყიდულობდა ბითუმად და შემდეგ ჰყიდდა მას ქალაქებში, ანდა ვაჭონდა ქვეყნის გარეთ სარეალიზაციოდ. ამ შემთხვევაში სირაჯი გვევლინება ღვინის ისეთ მოვაჭრედ, რომელიც გლეხებსაც ატყუებს და მის უშუალო მომხმარებელსაც.

<sup>16</sup> ვ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. V, გვ. 529.



სირაჯი არა მარტო ღვინის შემსყიდველი და შემდეგ მისი ბრუნვა თუმცა თუ წვრილ-წვრილად გამსაღებელი იყო, არამედ იგერაქნენ თველოში გვევლინებოდა ისეთ კატეგორიად, შენიშნავენ მისი მნიშვნელობა პ. გუგუშვილი, რომელიც მექანშეობის ფუნქციისა და ასრულებდა, მელვინისა, მიკიტინისა, მეტიკისა, შუამავალ-კომისიონერისა და ა. შ. იგი ხშირად ვაზის შემწამლავი პრეპარატების მიმწოდებლის როლშიაც გამოდიოდა. სირაჯი სიამოვნებით აძლევდა გლეხებს ნისიად გოგირდსა და შაბიამანს და, ამ მხრივ, „მას ორნაირი გამოჩენა აქვს—შაბიამან გოგირდშიაც იგებს, რადგან ერთიორად უფრო ძვირად ჰყიდის და ევენახის შემოსავალსაც ჩალის ფასად ინარჩუნებს. მევენახეც იძულებულია დაყაბულდეს ვაჭრის პირობას, რადგან სხვაგან ვერსად გაიმართავს ხელს“<sup>17</sup>. სირაჯი მრავალგვარ ფუნქციას ასრულებდა თვით „მაქანკლობისა და ღვინის მწარმოებელთა ოჯახური ურთიერთობის სხვა საქმეებში ჩარევის ჩათვლით. მელვინეობაში შემსყიდველის მნიშვნელობა მით უფრო დიდი იყო, რომ აქ მევენახეობა ძირითადად იმთავითვე წარმოადგენდა უამრავ წვრილ მწარმოებელთა საქმიანობას“<sup>18</sup>.

298721X

გარდა შემსყიდველ-სირაჯებისა, ღვინით ვაჭრობას და, საერთოდ, მსხვილ მელვინეობას ხელი მოჰკიდეს თავადებმა და მემამულეებმაც, რომელთაგან ბევრმა ზურგი შეაქცია „წოდებრივ სიამაყეს და თავის ძველ ტიტულებს ვაჭრისა და მეწარმის სახელიც მიუმატა“<sup>19</sup>.

მართალია, ამ თავადების კატეგორიას არ მიეკუთვნება ალ. ჭავჭავაძე, მაგრამ მან გასული საუკუნის 30-იან წლებში წინანდალში შესანიშნავი მარანი მოაწყო და 1825 წ. შედარებით მსხვილი პარტია (1 000 ვედრო) ქართული (კახური) ღვინო გაგზავნა რუსეთში ბაქო-ასტრახანის გზით.

„1835 წელს ალექსანდრეს ერთი მილიონამდე მანეთი დაუბანდებია სარდაფის და საარყე მეურნეობის გაუმჯობესებაზე“<sup>20</sup>. მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ამ მარანს გაუმჯობესება აღარ დასტყობია, „ნელ-ნელა განიავდა დიდებული მამული, ყელი გაუშრა

17 ე. კარბელი შვილი, მევენახეთა ამხანაგობის მოქმედება, ტფ., 1925, გვ. 13.

18 პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. V, გვ. 547.

19 ე. ჩარკვიანი, მელვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში, გვ. 22.

20 ვაზ. „ალაზნის განთიადი“, 1962, 16 სექტემბერი.

2. ა. სტეფანიშვილი





ქვეყანაშიანთ ქვეყრებს და, ბოლოს, „მეორედ მოსვლა“ შაბილოს ურდოები წინანდალში (1854 წ. — ა. ს.), დავითის ტყვედ მიერეკებიან შორეულ დაღესტანში. მოისრა დიდებული ქვეყრ-მარანი, ცეხლმა და ნაცარმა დაფარა კარ-მიდამო. დავითი ვალზე ვალს იმატებს და ცოლ-შვილს იბრუნებს. ვალებს მიაქვს მამული — საქართველოს თვალ-ჯავარი წინანდალი, ქვეყანაშიანთ საამაყო მარანი. დამკვიდრდნენ რომანოვები წინანდალში. საუფლისწულო უწყება ეპატრონება მამულსა და ქვეყრ-მარანს. 1883 წელს საფოსტო ეტლით, განთქმული კვიპაროსების ხეივანში, საუფლისწულო მამულის პირველი მმართველი ბაგოუტი და ცნობილი შვედი მეღვინე დიკენსონი შემოგარიალდნენ<sup>21</sup>.

მეორე წელსვე, წინანდლის მამულისა და მარნის რეკონსტრუქციაზე უკვე მუშაობს განთქმული რუსი ინჟინერი ოზეროვი, რომელიც აშენებს 150 000 ვედროს ტევადობის ახალ, ევროპული ყიდის ღვინის მარანსა და სარდაფს, რომელიც იმავე დროს ღვინის ქარხანასაც წარმოადგენდა და, რომელიც შემდეგ რუსეთის იმპერიისა და, საერთოდ, აღმოსავლეთის მეღვინეობის ძირითად კერად იქცა.

წინანდლის მამული მსხვილ „კაპიტალისტურ ფაბრიკად“ რქცა და უკვე 1895 წ. აქ იყო ძირითადად ევროპული წესით დაყენებული ღვინო 20 372 ვედროს ოდენობით, 1896 წ. — 42 117-ს, ხოლო 1907 წ. კი 47 298 ვედროს მიაღწია.

ღვინის ევროპულად დაყენების პირველ მერცხლად წინანდალში ითვლებოდა ბორდოელი ფრანგი მერლანტუან მასონა. ამ მეტიმეტად პროგრესულ პიროვნებას 1891 წელს შეუცვლია თავისი წინამორბედი მეღვინეები—ფუნკი და ვახვახიშვილი. მასონასავე დაყენებული თხოვნით უცდიათ უცხოური ვაზის ჯიშების გამრავლებაც. მაგრამ უცხოურ რისლინგს, ალიგოტეს, კაბერნეს, მურვედს, სემილიონს, მალბეკს და სხვათ ვერ გაუწყვიათ პაექრობა ადგილობრივი რქაწითელის, საფერავის და მწვანესათვის. შედარებით უკეთესი შედეგები ჰქონდა კაბერნეს—1893, 1896, 1898, 1900, 1906 წლებში. ეს წლები ემთხვევა მასონას მუშაობის პერიოდს წინანდლის მამულში. მიუხედავად ამისა, დიდად განსწავლულ მეღვინეს მაინც უღიარებია ადგილობრივი ჯიშების მაღალბროდუქტიულობა და კეთილხარისხიანობა. მას ქართველ მევენახე აგრონომ ჯაფარიძესთან ერთად დიდი ღვაწლი გაუწყვია ქართული ღვინის სახელას

<sup>21</sup> ვაზ. „ალანის განთიადი“, 1962, 16 სექტემბერი.



საქვეყნოდ გაჯირობებისათვის<sup>22</sup>. აქ დამზადებულმა ღვინოებმა ჯერ 1889-90 წლებში კავკასიის სოფლის მეურნეობის გამოყენების შემდეგ 1892 წ. ჩიკაგოს საერთაშორისო გამოფენაზე, ხოლო 1894 წ. პეტერბურგში მოწყობილ სოფლის მეურნეობის საერთაშორისო გამოფენაზე მეტად მაღალი ჯილდოები დაიმსახურეს, ასე რომ, წინანდლის ღვინოებმა საქვეყნოდ გაითქვეს სახელი და სამართლიანადაც ამოუდგნენ გვერდში ბორდოსა და შამპანის განთქმულ ღვინოებს.

მაგრამ, წინანდლის საფულისწულო მამულამდე, ქართული ღვინის ევროპულად დაყენების საქმეს მოჰქიდა ხელი ჯერ გერმანელმა ი. ლენცმა, რომელმაც 30—40-იან წლებში მეფის მთავრობის უშუალო მითითების საფუძველზე დააარსა „საქართველოს ღვინის კომპანია“ და თელავის მაზრაში (ს. რუსისპირი) ღვინის ევროპულ ყაიდზე გაწყობილი ქარხანა ააგო, მაგრამ მას რაიმე ეფექტური შედეგები არ მოჰყოლია და იგი მალე წყობილებიდან გამოვიდა.

რეფორმამდელ პერიოდში, მსხვილ მეღვინეობას მისდევდნენ საქართველოში ისეთი ცნობილი თავადები და მემამულეები, როგორც იყვნენ: ს. გურგენიძე, დ. აფხაზი, ს. ანდრონიკაშვილი, ხოლო შემდეგ მუხრან-ბატონი და სხვ.

ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც ფართოდ მოჰქიდა ხელი მეურნეობის გაუმჯობესებას, კახელი მემამულე ს. გურგენიძე იყო, რომელმაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ს. შილდაში (თელავის მაზრა) გააშენა ვენახი, გაიყვანა შიგ კარგი გზები და ევროპულად მოაწყო მეურნეობა. უკვე 1842 წ. მის ზეარში ითვლებოდა 500 000 ძირი ვაზი და ღებულობდა საუცხოო ღვინოს<sup>23</sup>.

ს. გურგენიძეს ამ პერიოდში მოუწყევია მეკასრე ოსტატები და 200-მდე დიდი და პატარა კასრი გაუკეთებია. მას ფართო მასშტაბით დაუწყია ღვინის გაყიდვა თბილისში და ამ მიზნით სამსართულიანი სარდაფიც კი მოუწყევია.

„1838 წელს სტავროპოლელმა ვაჭარმა პოვალევმა გურგენიძის ღვინო გაიტანა რუსეთის სამხრეთ გუბერნიაში. ღვინო სარდინად გასაღდა, ამიტომ პოვალევმა გადაწყვიტა შემდეგი წლისათვის გურგენიძისაგან ეყიდა 2 000 ვედრო პირველი ხარისხის ღვინო რუსეთის სამხრეთ გუბერნიაში გასტანად“<sup>24</sup>. მაგრამ იმის გამო, რომ

<sup>22</sup> ვაზ. „ალანის ვანთაიდი“, 1962 წ. 16 სექტ.  
<sup>23</sup> ბ. გოგოლაძე, კაბიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში, თბ., 1959, გვ. 53.



მეტად შორს წასულა მისი აღებ-მიცემობის სურვილი, მეღვინეობის საქმეში, რომელსაც მან თავი ვერ გაართვა, მისი საქმეები სწრაფად ლოოდ მარცხით დამთავრებულა.

რეფორმამდე მეღვინეობის საქმისათვის ხელი მოუქცია აგრეთვე თავ. დ. აფხაზს, რომელსაც 1839 წ. ს. კარდანახში გაუშენებია საუცხოო ზვარი და აუშენებია შესანიშნავი ქვიტიკრის მარანი. მის მიერ დაყენებულ ღვინოებს სოფლის მეურნეობის გამოფენაზე არაერთხელ მიუღია ჯილდოები.

1855-56 წწ. თავ. ს. ანდრონიკაშვილს ს. ბაკურციხეში გაუშენებია დიდებული ვენახი და მიჰყოლია ვაქრობის მიზნით ღვინის დაყენებას, მის ღვინოებს კი მოსკოვის გამოფენაზე ევროპის მედალი დაუმსახურებია<sup>24</sup>.

მაგრამ რეფორმამდე მეღვინეობას მაინც შეზღუდული ხასიათი ჰქონდა, სადაც ნაკლებად იყენებდნენ თავისუფალ მუშახელს და თავისი სამოქმედო ასპარეზითაც შეზოკილი იყო ეს დარგი. ვარდა ამისა, ზემოხსენებული შემამულეები არ ცდილობდნენ ევროპული წესით მარნებისა და სარდაფების მოწყობას და ღვინის ტექნოლოგიის გაუმჯობესებას, ამასთან მათ მეურნეობაში ისევე პრიმიტიული წესით მზადდებოდა ღვინო, როგორც წვრილგლეხურ მეურნეობაში. როგორც სამართლიანად შენიშნავს მ. ბაღლასი, ღვინის ევროპულად დაყენების პირველი ნამდვილი პიონერი საქართველოში ზ. ა. ჯორჯაძე ყოფილა, რომელმაც იმავე თელავის მაზრაში (ს. საბუეში) პირველხარისხოვანი ღვინის ქარხანა მოაწყო. როდესაც მ. ბაღლასს თავის თანმხლებლებთან ერთად დაუთვალა ირეზია ზ. ჯორჯაძის ღვინის ქარხანა, ყველანი ალტაცებაში მოსულან, რადგან ჩვენს თვალს ახარებდა სანიმუშოდ და ფართოდ დაყენებული მეღვინეობის საქმეო. ჩვენ ვნახეთ, წერდა იგი, „ღვინის უზარმაზარი ქარხანა ღვინის დასაყენებელი ფარაო ინვენტარით ევროპული მეღვინეობის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით... ბევრი ენერჯია მოხმარდა კახეთში ამ მსხვილი და დროის მიხედვით პირველი წამოწყების შექმნას... თავადმა ჯორჯაძემ პირველმა დაიწყო კახური ღვინოების დამზადება ევროპული წესით, გააცნო რუსეთს ამ ღვინოების მაღალი თვისებები, მიიღო მთელი რიგი პირველხარისხოვანი ჯილდოები რუსულ გამოფენაზე მოსკოვსა და ოდესა“.

<sup>24</sup> ბ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდე საქართველოში, თბ., 1959, გვ. 53.

<sup>25</sup> ბ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდე საქართველოში, თბ., 1959, გვ. 53.



ში და, ბოლოს, პარიზის უკანასკნელ გამოფენაზე აიძულა საფრანგეთი სერიოზული ყურადღება მიექცია კახური ღვინისადმი შეედარებინა ისინი თავის ბურგუნდულ ღვინოებთან<sup>26</sup>. **ს ი ზ ლ ი რ ი თ ე ჯ ა**

გარდა ზ. ჯორჯაძისა, მსხვილი კაპიტალისტური წესით მოწყობილ ღვინის წარმოებას, ევროპული წესით ღვინის დაყენებას მისდევდა თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, რომელმაც 1876 წ. თავის მამულ მუხრანში დაიწყო ღვინის დიდი სარდაფის მშენებლობა. მან 804 კვ. საყენის ფართობი ღვინის სარდაფი მოაწყო ტექნიკის „უკანასკნელი სიტყვით“ და მიჰყო ხელი ღვინოების გამოშვებას და დიდი მასშტაბით მის გატანას რუსეთში და საზღვარგარეთ. მას 1882 წ. სამხატვრო-სამრეწველო გამოფენის უმაღლესი ჯილდო-სახელმწიფო ღერბიც კი მიუღია.

გარდა შემოხსენებული მსხვილი კაპიტალისტური მამულები-სა, რომლებშიაც ფართოდ იყო გამოყენებული დაქირავებული შრომა, აღმოსავლეთ საქართველოში წარმოიშენენ აგრეთვე მსხვილი მეღვინეების ახალი წარმომადგენლები გრაფი შერემეტეივის (რომელმაც 1884 წ. იყიდა ყოფ. თავ. ა. აფხაზის მამულები კარტანახსა და ვეჯინში), ფრიდონოვის (მანავი), მირზოევისა (ლოჭინოსა და თელეთში), მანთაშევის (ყულარში) და სხვათა სახით.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ამ მხრივ აღსანიშნავია ონანოვის მოღვაწეობა, რომელსაც წმინდა კაპიტალისტური ტიპის ღვინის წარმოება ჰქონდა ვარციხეში და სხვაგან.

ონანოვის ვარციხეში დამკვიდრების მოკლე ისტორია ასეთია: გასული საუკუნის 60-იან წლებში ვარციხის სათავადაზნაურო მამული სვირიდან დაწყებული ს. ვარციხემდე (განსაკუთრებული დამსახურებისათვის) ქუთაისის გუბერნატორს საჩუქრად მიუცია გენერალ ა. ი. სვიატოპოლსკ-მირსკისათვის, რომელსაც ეს მამული რამდენიმე ხნის შემდეგ ჯერ ბანკში დაუგირავებია, ხოლო მერმე საჯარო ვაჭრობა გამოუცხადებია 3 ათასი დესეტინა საყანე ფართობის გაყიდვაზე. ეს მამული საჯარო ვაჭრობაში შეუძენია მსხვილ კაპიტალისტს სტეფანე ონანოვს, რომლის გარდაცვალების შემდეგ (90-იან წლებში) მემკვიდრეობით მიუღია ალექსანდრე ონანოვს. ამ უკანასკნელს ჰყოლია ორი შვილი—მიხრანი და აბგარი, რომელთაც აგრონომიული განათლება მიუღიათ საფრანგეთში. აბგარი (უფროსი ძმა) ხე-ტყის მეურნეობაში გაწაფულა, ხოლო მიხრანი მეღვინეობის საქმეში.

<sup>26</sup> М. Баллас, Виноделже в России, ч. III, СПб, 1897, стр. 55.

90-იან წლებში შეუმუშავებიათ ზესტაფონიდა პირდაპირ ქუთაისის გავლით რკინიგზის გაყვანის პროექტი, მაგრამ ალექსანდრე ონანოვს არახელსაყრელად მიუჩნევია ეს პროექტი ლეონიძის უკეთ ექსპლუატაციის მიზნით. რადგან ამ გზით მას ძალაზე გაუმწელებოდა ხე-ტყის მასალის გადაზიდვა და იგი, ვაადიდებდა მის ხარჯებს, მოგება კი ნაკლები დარჩებოდა. ამიტომ ალექსანდრე ონანოვს გარკვეული გავლენა მოუხდენია ქუთაისის გუბერნატორ ლუშკაშოვზე, რკინიგზის არსებული პროექტი შეუცვლევინებია და ზესტაფონიდან პირდაპირ აჭამეთის მიმართულებით გაუყვანინებია. სადგურები აშენებულა რიონსა და აჭამეთში, ხოლო ქუთაისი მოქცეულა ჩიხში. ძველად არსებული პროექტით კი იგი მაგისტრალზე (ბათუმი, სამტრედია, ქუთაისი, სიმონეთი, თბილისი, ბაქო) უნდა ყოფილიყო.

რკინიგზის ერთი შტო, ონანოვს პირდაპირ აჭამეთის ტყეში შეუყვანია.

ალექსანდრე ონანოვის სიკვდილის შემდეგ ხე-ტყის მძაღლების გამგებლობა მის უფროს შვილს აბგარს დაუწყო, ხოლო მიხრანს მღვინეობის განვითარებისათვის მიუყვია ხელი. მას საფრანგეთიდან ახალი საშემანურე ჯიშების ვაზი შემოუტანია („კაბერნე“, „პინო“, „სემილიონი“, „ფონ-ბლანში“, „ალიგოტე“) და გაუშენებია თავისი მამულებში. გარდა ამისა, ვაზის ეს ახალი ჯიშები მიხრანს უფასოდ დაურიგებია ვარციხის ახლო-მანლო მღებარე სოფლის გლეხებისათვის, რათა მათ გაეშენებინათ ისინი ადგილობრივი უნამუყენო ვაზების სანაცვლოდ, ხოლო მიღებული პროდუქცია თავის დროზე მისთვის ჩაებარებინათ განსაზღვრულ (ჩვეულებრივზე მეტი) საფასურში.

მიხრანს ჯერ 1901 წ. ს. აფხანურში გაუშენებია 50 ჰექტარი ვენახი, სადაც ოთხი წლის შემდეგ (1905 წ.) აუშენებია კონიაკის ქარხანა, ხოლო 1908 წელს ვარციხეში აუგია პირველი კლასის, უფრო რთული ტიპის ღვინის ქარხანა. მიღებული ყურძნიდან იგი ამზადებდა შამპანურს და ხდიდა კონიაკის სპირტს.

მ. ონანოვმა ააშენა აგრეთვე 1915 წ. ღვინის ქარხანა ზესტაფონში (ვარციხის ფილიალი). ვარციხეში მას ჰქონდა 5 დეს. ვენახის სანერგე, რომელიც წელიწადში 400 ათას ცალ სამყნობ ვაზის ლერწმს იძლეოდა. 1909 წ. მას გამოუშვია სულ 45 ათასი ბოთლი შამპანური, 1911 წელს კი 70 ათასი ბოთლი. ონანოვის მიერ გამოშვებული კონიაკი თავისი ღირსებით არ ჩამოუვარდებოდა სომხე-



თის ცნობილ „არარატს“ და ამ მხრივ მან გარკვეული კონკრეტული გაუწია მას.

მაგრამ, მ. ონაწოვის ფირმით გამოშვებულ შამპანურ ღვინოებს ნიაკს რომ საკმაო ავტორიტეტი მოეპოვებინა ბაზარზე (ადგილობრივ თუ უცხო ქალაქებში) და სახელი გაეთქვა, იგი შამპანურისა და კონიაკის ყუთებში ხშირად ძვირფას საჩუქრებს (საათი, პორტსიგარი) სდებდა, თავისი ავტოგრაფით.

საქართველოს ღვინის ერთ-ერთ უძველეს ქარხანად ითვლება ქუთაისის ქარხანა.

არსებული წყაროებით, 1876 წ. ფრანგ მეღვინე შოტეს, მდ. რიონის მარცხენა მხარეზე, „ბალახვანში აუგია ღვინის პატარა სარდაფი, სადაც ადგილობრივი ჯიშებიდან („ციცქა“, „ველშავი“ და სხვა) შამპანური ღვინის დამზადება დაუწყია“. წლიური ღვინის რაოდენობა პირველ ხანებში 2 000 ბოთლს არ აღემატებოდა.

1884 წ. ეს სარდაფი შეუსყიდია პრინც კონსტანტინე ოლდენბურგსკის, რომელსაც სარდაფის რეკონსტრუქცია მოუხდენია, გაუფართოებია და ღვინის წარმოება გაუღიღებია. მას მიწის ქვეშ ახალი სარდაფი აუშენებია 70 ათასი დეკალიტრი ღვინის ტევადობით. აღნიშნული სარდაფის დაბალი გალერეები განკუთვნილი ყოფილა შამპანურის წარმოებისათვის.

ამ დროისათვის ქუთაისის ღვინის ქარხანა სულ იძლეოდა 100 ათას ბოთლ ღვინოს. კონსულტანტებად ამ ქარხანაში მოწვეული ყოფილან ღვინის საქმის ცნობილი ფრანგი სპეციალისტები: ტიებო (რომელიც ს. დიმში ყოფილა დასახლებული და საკუთარი ვენახი ჰქონია. მას იმერული ღვინო დაუმზადებია და 1887 წ. გაუგზავნია პარიზში ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე) და კლიმო. ქუთაისის ღვინის ქარხანას მაშინ ღვინის მასალით ამარაგებდა ბაღდადის (მაიაკოვსკის) ზედა ზონის სოფლები: ზედა დიმი, ხანი, საკრეულა, ზეგანი, კიკნაველეთი. აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის ღვინის ქარხანას იმ დროს თურმე ამარაგებდა ცხინვალში მცხოვრები ვინმე მაჩაბელი, რომელიც წელიწადში 2 000 ვედრო ღვინის მასალას აწვდიდა.

ასე, რომ, დასავლეთ საქართველოში გასული საუკუნის 80-იან წლებში, ქუთაისის ღვინის ქარხანა (სარდაფ-მარანი) ერთ-ერთი დიდი, ევროპულად მოწყობილი ქარხანა იყო, რომელიც კლასიკური (ბოთლური) მეთოდით შამპანურ ღვინოებს ამზადებდა.

ეს ღვინის სარდაფი 1917 წ. შეუსყიდია ქუთაისელ ტყის



მსხვილ მრეწველ, ვინმე დათეშიძეს, რომელსაც მიზნად ქონა დაეწყო ღვინის წარმოება, მაგრამ ვინაიდან იმ დროს ფერ. (რეზერვუა) ვაციაში იმყოფებოდა და სამხედრო საწყობად ყოფილმა დასაწყობებულმა ლი, ამიტომ ხელი აუღია ამ საქმეზე. მხოლოდ 1924 წ. კოოპერაციული ორგანიზაცია „საქართველოს ღვინო“ დაეპატრონა ქუთაისის ღვინის ქარხანას და დაიწყო ღვინის დამზადება საბჭოური წესით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ე. წ. კაპიტალისტური ტიპის „ღვინის ფაბრიკას“ საუფლისწულო მამულები შეადგენდნენ, რომელთაგან უმთავრესი იყო წინანდლის (მარანი-ქარხანა 1886 წ.), მუკუზნისა (მარანი-ქარხანა 1886 წ.) და ნაფარეულის მამული (მარანი-ქარხანა 1885 წ.)<sup>27</sup>.

სამივე მამულის ფულადი შემოსავალი მეღვინეობიდან 1895 წ. შეადგენდა 172 144 მან., 7 წლის შემდეგ, ე. ი. 1902 წ. კი ყველა ეს მამული განცალკევდა ცალ-ცალკე, რომელთაც თავისი საკუთარი ბიუჯეტი ჰქონდათ და დამოუკიდებელი მმართველი ჰყავდათ. ამის შემდეგ უფრო გაიზარდა აღნიშნული მამულების შემოსავალი. ასე მაგ., 1906 წ. 1 იანვრისათვის წინანდლის საუფლისწულო მამულის ბიუჯეტი შეადგენდა 1 915 116 მან. (აქტივისა და პასივის), ნაფარეულისა — 1 023 022 მან., ხოლო მუკუზნის მამულისა — 910 705 მან.<sup>28</sup>.

1906 წ. წინანდლის მამულში მიღებული იყო სულ 29 077 ვედრო ღვინო, 62 331 მან., ღირებულებისა. ნაფარეულში კი 24 772 ვედრო, 64 410 მან., ხოლო მუკუზანში—56 830 ვედრო, 76 293 მან. ღირებულებით. მომდევნო 1910—1913 წწ. კი წარმოებული ღვინის რაოდენობა იზრდება შემდეგნაირად (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

ღვინის წარმოების ზრდის მაჩვენებლები

წლები	წინანდლი	ნაფარეული	მუკუზანი
1903	51 432	45 964	—
1909	37 007	42 265	—
1910	53 122	27 712	6 6775
1911	44 086	25 651	4 8525
2912	50 211	18 049	4 5850
1913	40 089	10 250	5 1606

<sup>27</sup> ცსა (თბ) ფ. 354, ანაწ. 6, საქ. 9, ფურ. 107.

<sup>28</sup> თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქ. 53, ფურც. 5.



მაშასადამე, მოცემულ წლებში კახეთის საუფლისწულო მამულების მარან-ქარხნები დიდი რაოდენობით აწარმოებდა ტყვასა და მარცხენარ მარცხელს, როგორც შემდეგ ვნახავთ, აღნიშნულ მამულებში უმეტეს შემთხვევაში, ყველგან მნიშვნელოვნად შემცირდა ღვინის წარმოება პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საქართველოში.

5. მეღვინეობა პირველი იმპერიალისტური ომის დროს

პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში სახალხო მეურნეობის მოშლილობამ და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ თავისი დალი დააჩნია საქართველოს მეღვინეობის საქმესაც. ამ ომმა მეურნეობის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი აშკარა დაღუპვის კარამდე მიიყვანა.

მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს მსოფლიო ომის პერიოდში მეღვინეობის დაქვეითება საქართველოში, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

პირველი. მსოფლიო ომში გაიწვიეს მამაკაცთა უმრავლესობა, მევენახეობა-მეღვინეობა დარჩა კვალიფიციური მუშახელის გარეშე, რადგან მთლიანი საქმიანობა დაეკისრა მოხუცებსა და ქალებს, მათ არ შესწევდათ საკმარისი უნარი ინტენსიურად და მწარმოებლურად წარემართათ ეს უმნიშვნელოვანესი დარგი.

ისეთი შრომატევადი სამუშაოს შესრულება, როგორცაა ვენახის გამობარვა, ვაზის სხვა, კიგობის აკვრა, სარების დამზადება და შეყენება, შაბიამნის შესხურება, გოგირდით წამლობა და სხვა, ძირითადად ქალების საშუალებით ხდებოდა, რაც, ცხადია, თავის მხრივ, ცუდ გავლენას ახდენდა ყურძნის მოსავლიანობაზე. ეს პროცესი გრძელდებოდა 1921 წლამდე.

„კახელი ქალი, ვკითხულობთ ჟურნ. „ვაზი და ღვინოში“, რომელიც აქამდე იშვიათ შემთხვევაში თუ გავიდოდა ვენახში სამუშაოდ, იძულებულია ხშირად შაბიამნის სასხურებელი აპარატმოკიდებული სწამლავდეს ვენახს.

მეორე. საქართველო და პირველ რიგში მისი მეღვინეობის უმთავრესი მხარე — კახეთი, მოსწყდა რა იმპერიალისტური ომის პერიოდში რუსეთიდან პურის შემოტანის შესაძლებლობას, მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა. ადგილობრივი პურის მოსავალი ხალხს არ ჰყოფნიდა, რუსეთიდან მისი შემოტანა კი შეუძლებელი შეიქნა. ამის შედეგად გაძლიერდა პურით სპეკულაცია. ჩარჩავაქრებმა ისარგებლეს არსებული მდგომარეობით და პურის ფასი

გააღიღეს 3-4 ჯერ. ეს იმ დროს, როდესაც შესაბამისად ღვინის ფასმა არა თუ აიწია, არამედ საგრძნობლადაც კი დაიწია.

მესამე. ვაზის საშინელი მტერი — ფილოქსერა, სული საუკუნის მიწურულში მოეკლინა დასავლეთ საქართველოს, ხოლო შემდეგ ქართლს, მოედო კახეთსაც. 1910—1911 წ. მან თავი იჩინა თელავის მაზრაში, შემდეგ კი სიღნაღის მაზრის ვენახებზედაც გავრცელდა.

მეფის მთავრობამ 1912 წ. გააუქმა მანამდე არსებული კავკასიის ფილოქსერის კომიტეტი და ჩამოაყალიბა ე. წ. საგუბერნიო კომიტეტი, რომელსაც დაევალა ფილოქსერის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის წარმოება კახეთში.

აღნიშნულმა კომიტეტმა დიდი თანხები გაიღო ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე, მაგრამ იგი იმპერიალისტური ომის პერიოდში ამოუ გამოდგა. ეს კომიტეტი 1919 წ. ლიკვირებულ იქნა მენშევიკური მთავრობის მიერ.

მეოთხე. მელენიუმის დაქვეითებას ხელი შეუწყო თვით მეფის რუსეთის მთავრობის მიერ ომის დაწყების პირველ 1914 წ. გამოცემულმა კანონმა ღვინის აქციზის გადიდებისა და, სერთოდ, მაგარი სასმელებით ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ.

ცნობილია რომ პირველ მსოფლიო ომამდე ადგილი ჰქონდა ღვინით თავისუფალ ვაჭრობას, რომელზედაც მეტად უმნიშვნელო დაბეგვრა იყო განხორციელებული. ახლა ეკონომიკურად ისედაც დაქვეითებულ მევენახე-მელენე გლეხს უზომო აქციზი უნდა გადაეხადა ღვინის გაყიდვისას. ასე მაგ., ერთ ვედროზე დაწესებული იყო აქციზი: მშრალ და ტკბილ-მაგარ ღვინოზე—1,6 მან., შუშხუნა ღვინოზე—4,8 მან.,<sup>29</sup> და ა. შ. ეს იმ დროს, როდესაც ღვინის გასაყიდი ფასი მეტად დაბალი იყო. ცხადია, რომ მელენე-მევენახე გლეხი აღარ იყო დაინტერესებული ღვინის წარმოების გადიდებით.

მეხუთე. მელენიუმში შექმნილი კრიზისი გაპირობებული იყო როგორც შინაგანი, ისე საგარეო ბაზრის დაქვეითებითაც, განსაკუთრებით საქართველოს რუსეთიდან მოწყვეტით. საქართველოს ღვინის უმთავრესი ბაზარი სწორედ რუსეთი იყო. ცხადია, რომ რუსეთში ღვინის გატანის შეუძლებლობამ დიდი დადი დაავა ქართული ღვინის წარმოებისა და განვითარების საქმეს.

<sup>29</sup> ვ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. V, გვ. 571.



მეექვსე. მევენახეობა-მელენეობის დაქვეითება საქართველოში გამოწვეული იყო იმით, რომ მევენახე-გლეხთა ერთმა ნაწილმა მასობრივად აჩეხა ვენახი და მის ნაცვლად ნაკლებფასოვანი ტურების (სიმიონდის, ზორბალის და სხვა) მოყვანას მიჰყო ხელი.

ასე რომ, ომის შედეგად გამოწვეულ საერთო მეურნეობრივ შეფერხებას თან სდევდა ყველა ზემოხსენებული მიზეზი და მათ განაპირობებს მევენახეობა-მელენეობის დაცემა-დაქვეითება 1914—1917 და შემდგომ 1917—1921 წლებში. თუ 1913 წ. ვენახის მთლიანი ფართობი საქართველოში შეადგენდა 51 862 ჰექტარს, 1917 წ. იგი დაეცა 37 470 ჰექტარამდე, ანუ შემცირდა 14 392 ჰექტარით ე. ი. თითქმის 1/3-ით. აქედან კახეთსა და ქართლში აღებული ერთად 30 569 ჰექტარიდან—1913 წ. დაეცა 17 837 ჰექტარამდე, 1917 წ., — 12 732 ჰექტარით, ე. ი. 41%-ით და უფრო მეტად. რაჭა-ლეჩხუმში ამავე წლებში ვენახის მთლიანი ფართობი (3 625 ჰექტარი) შემცირდა (2 022 ჰექტარამდე), 1 603 ჰექტარით, ე. ი. 44%-ით. სამაგიეროდ, იმერეთში ამავე პერიოდში აღგილი ჰქონდა ვენახის მთლიანი ფართობის არა თუ შემცირებას, არამედ, პირიქით, გადიდებას. ასე მაგ., 12 517 ჰექტარიდან, 1913 წ. გადიდდა 14 060 ჰექტარამდე (1 442 ჰექტარით), ე. ი. 11%-ით და მეტად. ეს, როგორც ითქვა, გამოწვეული იყო იმით, რომ იმერეთში საკმაოდ კარგად აითვისეს ფილოქსერაგამძლე ვაზი და მისი მოვლა-პატრონობის საქმე; 1890-იანი წლებიდან მოყოლებული 1917 წლამდე თითქმის მთელ იმერეთში ვაზის ძველი ნარგავები შეცვალეს ახალი, ფილოქსერაგამძლე ვაზით. ამ საქმეში მეტად დიდი როლი ითამაშა საქარის (შორაპნის მარა) ამერიკული ვაზის სანერგემ, რომელმაც ქართველი აგრონომების თავგამოდებული მოქმედებით ენერგიული მუშაობა გააჩაღა, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, იმერეთში ამერიკული ვაზის მასიურად გავრცელებაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად საქართველოში იმ დროს საქარის სანერგე ერთადერთი დაწესებულება იყო, რომელიც არა მარტო მეცნიერულ-კვლევით მუშაობას აწარმოებდა, არამედ პრაქტიკულ დახმარებასაც უწევდა დასავლეთ საქართველოს მევენახე-მელენე გლეხებს ახალი, ფილოქსერაგამძლე ამერიკული ვაზის დანერგვაში.

თუ ავიღებთ ღვინის წარმოებას, ამ მხრივ მნიშვნელოვან შემცირებასთან გვაქვს საქმე არა მარტო კახეთში, არამედ იმერეთშიაც. ეს გამოწვეული იყო ყურძნის მოსავლიანობის შემცირებით, რაც,



ერთი მხრივ, გაპირობებული იყო შემწამლავი ნივთიერებისა და მასალების უქონლობით, ხოლო, მეორე მხრივ, ვენახის მოვლა-პატრონობითა და აგროკულტურული ღონისძიებების ტარებლობით.

მაგალითად, იმერეთში ლეინის (მაჭრის) პროდუქციამ მოსავლიანობის ყველაზე დიდ წელს—1913 წელს შეადგინა 4 041,9 ათასი ვედრო, ხოლო 1917 წელს—2 461,9 ათასი, ე. ი. შემცირდა 40%-ით. კერძოდ, შორაპნის მაზრაში 2,5 მლნ ვედროდან შემცირდა 1 359,3 მლნ ვედრომდე, ე. ი. თითქმის განახევრდა მისი წარმოება. ქუთაისის მაზრაში კი 1 541,9 ათასი ვედროდან დაეცა 1 102,6 ათას ვედრომდე, ე. ი. შემცირდა თითქმის 30%-ით. მთლიანად საქართველოში კი მოცემულ პერიოდში წარმოებული ლეინის ოდენობა 10,1 მლნ ვედროდან შემცირდა 4,7 მლნ ვედრომდე, ე. ი. — 55%-ით<sup>30</sup>.

რაიონების მიხედვით ლეინის წარმოებას 1917 წ. საქართველოში შემდეგი ხასიათი ჰქონდა (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2

1917 წელს საქართველოში დამზადებული ლეინის რაოდენობა<sup>31</sup>

დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა
1. საქართველოში სულ . . . . . მთ შორის	ვედრო	4 734 932
2. აღმოსავლეთი საქართველო . . . . . აქედან: ახალქალაქის მაზრა	"	1 586 642
ახალციხის . . . . .	"	304
ბორჯალოს . . . . .	"	2
გორის . . . . .	"	306 223
ღუშეთის . . . . .	"	79 004
თბილისის . . . . .	"	26 108
თელავის . . . . .	"	110 721
თიანეთის . . . . .	"	418 237
სიღნაღის . . . . .	"	34 572
3. დასავლეთ საქართველოში	"	611 433
მ. შ. ზუგდიდის მაზრა . . . . .	"	2 905 806
ლანჩხუთის . . . . .	"	19 502
ოზურგეთის . . . . .	"	60 878
რაჭის . . . . .	"	41 096
სენაკის . . . . .	"	303 644
ქუთაისის . . . . .	"	18 656
შორაპნის . . . . .	"	1 102 620
აჭარა . . . . .	"	1 359 320
აფხაზეთი . . . . .	"	—
		242 484

<sup>30</sup> პ. ვ. გ. ვ. შვილი, მკვლევარის გეოგრაფიული გადგომა, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, გვ. 109.

<sup>31</sup> „სტატისტიკური კრებული 1909—1921 წწ.“, ტფ., 1923, გვ. 37.



როგორც ვხედავთ, - 1917 წლისათვის წარმოებული ლენინის 61%-ზე მეტი მოდის დასავლეთ საქართველოზე (აფხაზეთის გათავისუფლების შემთხვევაში - 66%), აღმოსავლეთ საქართველოზე კი — წარმოებული ლენინის დანარჩენი, ე. ი. 34%.

მარტო კახეთზე (თელავისა და სიღნაღის მაზრა) მოდიოდა 22%. ეს გარემოებაც ახსნილი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ფილოქსერამ ყველაზე მეტი გამანადგურებელი გავლენა სწორედ კახეთის ვენახებზე იქონია, რამაც ცხადია დასცა ყურძნის როგორც ჰექტარობრივი მოსავლიანობა, ისე მისი მთლიანი მოსავალი და მის შესაბამისად ლენინის წარმოებაც.

6. პოლიტიკური მდგომარეობის განხილვის კარიკულა

როგორც ცნობილია, ქართველმა მენშევიკებმა საქართველო რუსეთის მოწყვეტეს. მათმა უბადრუკმა პოლიტიკამ, რომელიც ფაქტურად დასავლეთის იმპერიალისტების ხიშტებს ეყრდნობოდა, საქართველო ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადააქცია. ისინი დაადგნენ საბჭოთა რუსეთთან აშკარად მტრული დამოკიდებულების გზას, ქვეყანა საშინლად გააპარტახეს და ისედაც მსოფლიო ომისაგან განადგურებული სახალხო მეურნეობა, ოთხი წლის ბატონობის პერიოდში, სრულ დეგრადაციამდე მიიყვანეს.

მენშევიკური მთავრობის მეთაური ნ. ყორდანი იძულებული იყო 1920 წ. 19 ოქტომბერს, თბილისის ქალაქის საბჭოს მრეწველობის ეკონომიკურ თათბირზე, პირდაპირ ეთქვა—საქართველოს ეკონომიკური განვითარება იმდენად დაეცა, რომ იგი აშკარა კატასტროფამდე მივიდა.

მენშევიკური მთავრობა თავისი აგრარული კანონმდებლობით ასრულებდა თავადაზნაურთა მოთხოვნებს და ყოველ მათგანს უტოვებდა „დასამუშავებლად“ 8 ჰექტარ საუკეთესო სახნავ მიწას. ეს მაშინ, როცა უმიწაწყლო გლეხების რაოდენობა საქართველოში 40%-მდე აღწევდა<sup>32</sup>.

ნ. ყორდანი მოურიდებლად აცხადებდა, რომ „ჩვენმა ხალხმა ჯერ კიდევ ვერ მიიღო ის მთავარი ძირითადი დეკლარაციები, რასაც მოითხოვდა იმთავითვე და რისთვისაც ის ჩადგა რევოლუციის რი-

<sup>32</sup> საბჭოთა საქართველოს 10 წელი, ტფ., 1931, გვ. 64.

გებში; ჩვენი ხალხი კიდევ ვერ ეღიროსა აგრარული საკითხის გადაჭრაში. ჩვენ მოგვეპოება „დეკრეტები“, მაგრამ ისინი ქალაქში ვერ იქნებიან.<sup>34</sup>



პირველი აქტი, რომელიც საადგილმამულო საკითხის მოსაწესრიგებლად გამოიცა, იყო 1917 წ. 16 დეკემბრის დეკრეტი, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა მესაკუთრეს მიწები, განსაზღვრულ ნორმაზე ზევით, უსასყიდლოდ უნდა ჩამორთმეოდა და გადასცემოდა უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხებს.

მართალია, ეს დეკრეტი ერთი შეხედვით ძალიან გაბედული ჩანს და იგი თითქოს რადიკალური ნაბიჯის გადადგმას მოასწავებდა საადგილმამულო საკითხის მოსაწესრიგებლად და სამარცხვინო ბატონყმური ნაშთების საბოლოო აღმოსაფხვრელად, მაგრამ ამ დეკრეტს ფაქტიურად პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დეკრეტში აღნიშნული არ იყო განსაზღვრული მიწების დატოვების ზუსტი ნორმა, ე. ი. ის რაოდენობა მიწისა, რომელიც მესაკუთრეს უნდა დარჩენოდა მფლობელობაში; მეორე მხრივ, იმიტომ, რომ არ იყო განსაზღვრული თუ რა წესით უნდა გადასცემოდა უმიწაწყლო გლეხებს მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწები. ამიტომ, დეკრეტმა მხოლოდ დეკლარაციული სახე მიიღო და აგრარული საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. მაგრამ არა მარტო აგრარული საკითხი, არამედ არც ერთი დანარჩენი ღონისძიება, რომელიც გატარებული იყო მეშვეიკების მიერ არ ისახავდა მიზანად რაიმე ძირეული გარდატეხის მოხდენას ქვეყნის შიგნით, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაში ბატონობდნენ ექსპლუატატორული კლასები, მშრომელი ხალხი კი სულს ლაფავდა კაპიტალისტებისა და მემამულეების უღელქვეშ.

დამახასიათებელია, რომ მენშევიკების ბატონობის პერიოდში მშრომელ გლეხობას არც ერთი პექტარი ვენახი და ხეხილი არ მიუღლიათ ყოფილი მემამულეებისაგან. იმ რაიონებში კი, სადაც მისდევდნენ მევენახეობა-მელვინეობას, მისი ფართობი კერძო მესაკუთრეთათვის განსაზღვრული იყო 7 დესეტინამდე.

„მენშევიკური მთავრობის მიწის რეფორმის განხორციელებამ, რომელიც შეეხო აგრეთვე კულტურულ ნაკვეთებს და მათ შორის ვენახებსაც, ხელი შეუწყო ვენახების სივრცის შემცირებას, რადგან

<sup>34</sup> ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბ., 1949, გვ. 18.



ფონდში გადარიცხული მთელი ვენახი მოუვლელით განადგურდა<sup>35</sup>.

იმის გამო, რომ საქართველო მოწყდა რუსეთს, მნიშვნელოვნად შემცირდა მოთხოვნილება ღვინოზე, ხოლო რუსეთიდან პურის შემოუტანლობამ მეტად გააღიდა მისი ფასი, ამან, ბუნებრივია აიძულა ქართველი მევენახე, მეორეხარისხოვანი ყურადღება მიექცია მეღვინეობისათვის და გაეფართოებინა ხორბლისა და სიმინდის მოყვანა.

საქართველოს მეღვინე-მევენახეობის ყრილობის საბჭოს ორგანო ჟურნალი „ვაზი და ღვინო“ 1920 წ. თებერვალში წერდა, რომ ომის დროს „არამც თუ შეჩერდა ვენახის ფართობის ზრდა და ახალი ვენახების გაშენება, არამედ ბევრი საუკეთესო დამუშავებული ვენახი სრულიად ამოვარდა ხმარებიდან და მის ადგილას სიმინდ-ხორბალი ითესებაო“<sup>36</sup>.

მენშევიკური გაზეთები და ჟურნალები აშკარად აცხადებდნენ, რომ დაირღვა პურისა და ღვინის ღირებულების წონასწორობა, რომ ამის გამო მეღვინეობა ნაკლებშემოსავლიან დარგად იქცა. მაგ, ერთი ფუთი ღვინო ომამდე იცვლებოდა სამ ფუთ ხორბალზე, 1918 წ. კი „ფუთ ხორბალში აძლევდნენ ერთნახევარ ფუთ ღვინოს (საპალნენ—8 კოდი პური). ამის მეოხებით თითქმის ყველა მევენახე შეეცადა პურის მოყვანასაც და ამ მხრივ გასაოცარი ცვლილება მოხდა კახეთის მეურნეობაში, რასაც ნათლად გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი: 1916 წელს რკინიგზით შესულა კახეთში 1 061 390 ფუთი ხორბალი; 1918 წელს რკინიგზით კახეთიდან გაუტანიათ ნახევარმილიონამდე ფუთი ხორბალი. რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ შესამჩნევად შეამცირა ვენახის რაოდენობა“<sup>37</sup>.

საქართველო მოწყდა იაფფასიანი პურის მიღების საშუალებას, რამაც საგონებელში ჩააგდო სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი. მანამდე არსებული სოფლის მეურნეობის ძვირფასი და შემოსავლიანი დარგები ახლა ყველაზე შემოუსავლიან დარგებად გადაიქცნენ. ყველაზე მეტად ამ მხრივ მევენახეობა დაზარალდა. საერთო სიძნელეებს ემატებოდა შემწვამლავი ნივთიერებისა და მასალების სიძვირე. ასე რომ, ხშირად ღვინის მომყვანი მევენახე გაწეულ ხარჯსაც ვერ აუღიოდა.

35 ცსა (თბ.) ფ. რ. — 288, ანაწ. 1, საქ. 541, ფურც. 72—73.

36 ჟურნ. „ვაზი და ღვინო“, 1920, №2, გვ. 13.

37 იქვე.



როგორც ითქვა, ვენახის შემწამლავი მასალები და აპარატები წინათ საზღვარგარეთიდან შემოდიოდა. ახლა მეტად გაქვეითდა ეს შემოტანა და თუ ახერხებდნენ მის შემოტანას, ძასზედ უკვე იწყებენ ადებდნენ, რომ გლეხები უარს ამბობდნენ მის შექენაზე, რის გამო მოსავალი ნაწილობრივ ილუპებოდა. თუ რამდენად დაქვეითდა ამ დროს მევენახეობა-მელვინეობა ნათლად აგვიჩერს ჟურნ. „ვაზი და ღვინო“. „ფილოქსერა და სხვა მრავალგვარი ვაზის სნეულებანი—კვითხულობთ აქ—წლითიწლობით იმსხვერპლებენ ვაზს და მოსავალს; ვენახის დასამუშავებელი და საწამლავი იმდენად გაძვირდა და საშოვნელად გაძნელდა, რომ მევენახე ვერ გასძღოლია ხარჯს, ამასთანავე ჩვენი ღვინის ბაზარი შევიწროვდა. ეს 2—3 წელიწადია რაც რუსეთი თითქმის სრულიად მოწყვეტილია საქართველოს და მხოლოდ ბაქო-ბათუმზეა დამყარებული საზღვარგარეთ ღვინის გატანა. შინაგან ბაზარზედაც აზერბაიჯანის და ერევნის შედარებით იაფი ღვინო ადვილად უწევს მეტოქეობას ქართულ ღვინოს. ამასთანავე, ხანგრძლივმა ომმა და რევოლუციამ თითქმის სრულიად დაამხო წინანდელი სახელმწიფოებრივი მევენახეობა და დამხმარე დაწესებულებანი და ეს პირობები განსაკუთრებულ საყურადღებო მომავალს უმზადებენ ისედაც დაქვეითებულ საქართველოს მევენახეობას და მელვინეობას“<sup>38</sup>.

ამავე ორგანოში ს. ჩოლოყაშვილი წერდა, რომ „დღევანდელი კახეთის ჩინებული ვენახები, რომელნიც ზურამუხტისფრად აბიბინებულნი, ალაზნის ველის ბექობებზე გადაჭიმულან და ზღაპრულ წალკოტს მოგვაგონებენ, ათიოდე წლის შემდეგ უვაზო ქვეყნად გადაიქცევაო“<sup>39</sup>. გარდა ამ საერთო კრიტიკული პირობებისა, რომელიც შეიქმნა იმპერიალისტური ომისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში მევენახეობა-მელვინეობის საქმეში — მას ზედ დაერთო მეორე კომარული მოვლენა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს მევენახეობა-მელვინეობას. ეს ის იყო, რომ გლეხების შეუგნებელი და რეაქციულად განწყობილი ნაწილი, ისარგებლა რა მენშევიკების დროს არსებული ქაოტური მდგომარეობით, შეესია საუფლისწულო მამულებს და მასიურად დაიწყო ვენახების ჩეხვა, თუ როგორი ხასიათი ჰქონდა საქართველოში ამ საშინელ მდგომარეობას, ამის შესახებ პირდაპირაა ნათქვამი მენშევიკური მთავრობის მი-

<sup>38</sup> ჟურნ. „ვაზი და ღვინო“, 1920, № 4, გვ. 1.

<sup>39</sup> იქვე, № 9, გვ. 3.

წათმოქმედების სამინისტროს 1920 წ. 1 იანვრის ანგარიშგებაში:  
„რევოლუციის პირველ ხანებში (1917—1918 წწ. ა. ს.) ვლადიკავში  
(რასაკვირველია, მისი ერთი ნაწილი ა. ს.) მტრულად მოქმედებდა  
(საუფლისწულო—ა. ს.) მამულებს და ათასგვარ ზიანს აყენებდა მათ  
სარწყავი წყლის მითვისებით, ღობეების დარღვევით და, ბოლოს,  
ბაღებში საქონლის შერყევით, მიწების მიტაცებით, ტყის გაჩეხვითა  
და სხვა მსგავსი მოქმედებით... სამწუხაროდ, მათი შეგნების დონე  
მანცა და მანც მალალი არ არის. თავისუფლების გამოცხადების  
შემდეგ მათ მიითვისეს ადმინისტრაციის ფუნქციები და ფაქტიურად  
გააუქმეს გამგეებისა და მათი თანამშრომლების თანამდებობანი. ერთი  
თავის მავიერ გაჩნდა მრავალი თავი. გაჩაღდა ქიშობა ერთმანეთს  
შორის და არასასურველ ელემენტებს საშუალება მიეცათ ამღვრულ  
წყალში თევზი ეჭირათ. შრომის ნაყოფიერება საშინლად დაეცა, მუ-  
შები უფრო მეტს გარეთ მუშაობდნენ ვინემ მამულში“<sup>40</sup>.

ეს სტიქია განსაკუთრებით ძლიერი იყო მენშევიკების ბატონო-  
ბის უკანასკნელ დღეებში. ამასთან, გლეხები ჩებდნენ არა მარტო  
ყოფილ საუფლისწულო მამულებს, არამედ ყოფილი მებატონეები-  
სა და მემამულეების მამულებსაც.

მაგ., სოფ. გორდში (ზუგდიდის მაზრა) პრინცესა მიურატის ყო-  
ფილი მამულის შესახებ ე. ნაკაშიძე 1921 წ. წერდა, რომ „მას აქეთ  
ოთხი წელიწადია, რაც აქ ვაზები აჩეხეს (ე. ი. 1917 წ. ა. ს.) და ამ  
მამულების ვენახები მოისპო“<sup>41</sup>. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შე-  
ამცირა საუფლისწულო მამულებში როგორც ვენახის ფართობი, ისე  
ყურძნის მოსავალი და ღვინის წარმოება.

მენშევიკების დროს საუფლისწულო მამულების ფონდში, გარ-  
და წინანდლის, ნაფარეულისა და მუკუზანისა, გადავიდა აგრეთვე  
ვარციხის (ყოფ. ანანოვის) მამულები და ღვინის მარანი თავისი ფი-  
ლიალებით (ზესტაფონში, დიშში). ვაჭევის, კარდანახის, ქართლის  
მამულები და სხვა. თუ 1908 წ. აღნიშნულ მამულებში წარმოებუ-  
ლი იყო სულ 173 459 ფუთი ყურძენი, 1917 წ. იგი შემცირდა 63 377  
ფუთამდე, 1918 წ.—70 849, 1919 წ.—44 871, ხოლო 1920 წ.—  
56 663 ფუთამდე.

ღვინის წარმოება აღნიშნულ მამულებში ერთად აღებული—  
1910 წ. უდრიდა 160 174 ვედროს, 1917 წ. იგი დავიდა 63 ათას

<sup>40</sup> ცსა (თბ) ფ. რ. — 2344, ანაწ. 2, საქ. 370, ფურც. 37.

<sup>41</sup> ცსა (თბ) ფ. რ. — 288, ანაწ. 1, საქ. 290, ფურც. 56.

ვედრომდე. 1918 წ. მან 70 ათას ვედროს მიადწია, 1919 წ. იყო 44,6 ათასი, 1920 წ.—56,5 ათასი ვედრო<sup>42</sup>.

ამგვარად, როგორც ყურძნის მოსავალი, ისე ღვინის მოსავალიც დაეცა სამჯერ.

ცალკეული საუფლისწულო მამულების მიხედვით, ღვინის წარმოება, მენშევიკების პერიოდში მნიშვნელოვნად დაეცა (იხ. ცხრ. 3).

ცხრილი 3  
ღვინის წარმოება საუფლისწულო მამულებში 1913—1921 წწ. (ვედროებით)<sup>43</sup>

	მამულების დასახელება	1913	1917	1918	1919	1920	1921
1	წინანდლი . . . . .	46 089	18 775	19 000	13 414	19 935	24 636
2	ნაფარეული . . . . .	10 256	6 765	12 004	9 434	4 043	1 737
3	მუკუზახი . . . . .	91 606	29 000	21 332	10 011	20 400	20 020
4	კარდანახი . . . . .	6 489	2 292	3 506	3 412	3 230	3 292
5	მანავი . . . . .	—	—	1 559	4 664	7 366	1 580
6	ქართლი მთლიანად	1 276	4 945	4 797	4 096	2 665	7 670
7	ვარციხე . . . . .	—	—	—	832	8 150	5 217
8	ვაკევი . . . . .	3 115	1 660	1 440	512	1 505	1 484

მოტანილი მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ ღვინის წარმოება 1913 წ. შედარებით მენშევიკების ბატონობის პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვნად შემცირებულა. კერძოდ, წინანდლის ღვინის მარაგში იგი 1913 წელს 1921 წელთან შედარებით შემცირებულა თითქმის ორჯერ, ნაფარეულში — თითქმის 6-ჯერ, მუკუზახში — 4,5-ჯერ, კარდანახში — 2-ჯერ, ვაკევეში — 2-ჯერ და მეტად და ა. შ. მენშევიკების ბატონობის პერიოდში კახეთისა და იმერეთის რაიონებში ეს დარგი ყველაზე მძიმე სწორედ წვრილმწარმოებელი გლეხებისათვის შეიქმნა, ვინაიდან აღნიშნული მეღვინეობის რაიონებში მათი შემოსავლის ერთადერთ მთავარ წყაროს მეღვინეობა შეადგენდა. განსაკუთრებით კი უღარიბესი გლეხებისათვის, რომელთაც ვენახის მეტად მცირე ნაკვეთები ჰქონდათ (0,25—0,5 დესეტიანამდე), ხოლო მთლიანად წვრილმწარმოებელ გლეხებს, რომელთაც ერთი დესეტინამდე ვენახი ჰქონდათ, საქართველოში მათი ხვედრი წონა 80%-მდე აღწევდა.

აქედან გასაგებია თუ რა მძიმე იქნებოდა ამ პერიოდში მათი მდგომარეობა, რომელთაც არ შეეძლოთ დამოუკიდებლად და ფარ-

<sup>42</sup> ცსა (თბ) ფ. რ. — 288, ანაწ. 1, საქ. 2026, ფურც. 8.

<sup>43</sup> იქვე, ანაწ. 1, საქ. 2026, ფურც. 7, საქ. 541, ანაწ. 1, ფურც. 156.

თო მასშტაბით შეეძინათ ვაზის შემწამლავი მასალები, უცხოეთიდან შემოეტანათ ფილოქსერაგამძლე სანამყენო ვაზის ლერწები, სტუკვის საწინააღმდეგო საშუალებები, გამოეყენებინათ ვენახში მტაცებელი ზაციბა და სხვ. ყოველივე ამას თუ დაემატებოდა, ერთი მხრივ, ღვინის გასაღების სიძნელები, რომელიც სუფევდა ამ პერიოდში, ხოლო, მეორე მხრივ, პურის დარგში არსებული ვითარება, გასაგები იქნება რა სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ წვრილი გლეხური მეურნეობები, რომლებიც მეღვინეობას მისდევდნენ. საერთოდ, იმის ზუსტი დადგენა, თუ რამდენი იყო მენშევიეების ბატონობის პერიოდში ვენახის ფართობი, ყურძნის მოსავალი და წარმოებული ღვინო, მეტად ძნელია, რადგან საამისო პირდაპირი მონაცემები არ არსებობს და არც შეიძლებოდა, რომ ასეთი ზუსტი ცნობები არსებულყო, რადგან სახალხო მეურნეობის მოშლილობასთან ერთად მეტად ქაოტურ მდგომარეობაში იყო აღრიცხვიანობის საქმეც. 1919 წ. 25 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს მევენახე-მეღვინეთა კონგრესი, სადაც განხილული იყო მევენახეობა-მეღვინეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, კერძოდ, „კახეთის მევენახეობისა და მეღვინეობის მდგომარეობის შესახებ“ მოხსენება წაიკითხა გ. წინამძღვრიშვილმა. იგი თავის მოხსენებაში ხაზს უსვამდა, რომ „ჩვენდა სამწუხაროდ, უტყუარი ცნობები ვენახების და მევენახეთა რაოდენობის შესახებ არ მოგვეპოვება და მთელი ჩვენი დასკვნები უნდა დაგამყაროთ იმ ცნობებზე, რომელთაც აქვეყნებდნენ სხვადასხვა სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებანი... ამ ცნობების მიხედვით, საქართველოში ამჟამად (1919 წ. ა. ს.) ანგარიშობენ 65 000 დესეტინა ვენახს“<sup>44</sup>. მაგრამ თვითონვე დასძენდა იქვე, რომ „ეს ცნობები სინამდვილესთან ახლო არ უნდა იყოს“. და მართლაც, 1919 წლისათვის ვენახის ფართობი საქართველოში 32 ათას დესეტინას ძლივს აღწევდა. იმავე კონგრესზე გ. წინამძღვრიშვილის ძიერ გაკეთებულ მეორე მოხსენებაში თემაზე „ჩვენი ღვინო და მისი ბაზარი“, აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ღვინის ყოველწლიური საშუალო მოსავალი მეტად ცვალებადია. „უფრო ცვალებადი, ვიდრე რომელიმე ქვეყანაში. ყოველ შემთხვევაში იგი იშვიათად აღემატება 6-7 მლნ ვედროს. აქედან კახეთის წილად მოდის 4—4 მილიონი ვედრო“<sup>45</sup>.

<sup>44</sup> ქურნ. „ვაზი და ღვინო“, 1920, № 7, გვ. 11.

<sup>45</sup> ქურნ. „ვაზი და ღვინო“, № 6, გვ. 10.

მაგრამ არც ეს ცნობა შეეფერებოდა სინამდვილეს, რადგან ლენინის მოსაგალი 1919 წ. 3,3 მლნ ვედროზე ცოტა მეტს უდრიდა.

ოფიციალური მონაცემებით, მენშევიკების პერიოდში ვენახის ფართობისა და ლენინის წარმოების დონე უდრიდა მენშევიკების (იხ. ცხრ. 4).

ცხრილი 4

ვენახის ფართობისა და ლენინის წარმოების დინამიკა 1916—1921 წწ.<sup>46</sup>

წლები	ვენახის ფართობი (დეკტინა)	ლენინის მთლიანი წარმოება (ვედრო)
1916	42 300	7 550 000
1917	37 522	4 734 932
1918	35 100	3 635 650
1919	32 000	3 356 500
1920	30 000	2 985 400
1921	30 500	2 750 500

აქედან ჩანს, რომ ვენახის მთლიანი ფართობი მენშევიკების ბატონობის პერიოდში შემცირებულა 11 800 დეკტინით ანუ 28%-ით, ლენინის მთლიანი წარმოება კი 7,5 მლნ ვედროდან დაეცა 2,7 მლნ ვედრომდე ანუ სამჯერ. ვენახის ფართობთან შედარებით ლენინის წარმოების ასეთი კატასტროფული დაცემა უნდა აიხსნას მხოლოდ იმით, რომ მენშევიკების ბატონობის პერიოდში სრულიად მიატოვეს ვენახის მოვლა-პატრონობა, რამაც ძირს დასცა მისი მოსავლიანობა.

ჟურნალი „ვაზი და ლენინი“ 1920 წლის მეხუთე ნომერში აღნიშნავდა, რომ „კრიზისი“, რომელსაც ამჟამად განიცდის საზოგადოდ სასოფლო მეურნეობა და განსაკუთრებით კი მეღვინეობა-მევენახეობა, უფრო რთულდება იმ გარემოებით, რომ ჭერ დასავლეთ საქართველო და დღეს კახეთი შეიქმნა ფილოქსერის მსხვერპლი და ჩვენ კი მას სრულიად მოუშაადებელი შევხვდით... (ხაზგასმა ჩვენი—ა. ს.). მთელ კახეთში შეხვდებით დღეს აქა-იქ ვენახებს შორის მოტიტკლებულ ადგილებს, ფილოქსერისაგან დაავადებულ ვაზებს და ამგვარ ვენახებში ბევრგან უკვე გუთანნიც არის შეტანილი საპურ-სასიმინდედ მოსახნავად და თუ დასავლეთ საქართველოში ფილოქსერამ მცხოვრებთ დიდი ზიანი მიაყენა, იგი კახეთის მევენახეებს

<sup>46</sup> პროფ. ნ. იაშვილი, მევენახეობის განვითარების დინამიკა საქართველოს სსრ-ში, ეკონომიკის ინსტიტუტის ფ. 185. გვ. 45.



მთლად გაანადგურებს, რადგან კახეთისათვის ერთადერთი წყაროა არსებობისა არის და შეიძლება იყოს მხოლოდ მევენახეობა.<sup>47</sup>

იქვე აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მეღვინეობას მოელის სრული განადგურება თუ შესაფერისი ღონისძიებები არ იქნებოდა მიღებული. მაგრამ მენშევიკების მთავრობას მევენახეობა-მეღვინეობისათვის არ ეცალა და მას არც შეეძლო რაიმე კარდინალური ზომების მიღება, მის აღსადგენად. ამ პერიოდში არა მარტო მეღვინეობა, არამედ მთლიანად სახალხო მეურნეობა განიცდიდა აშკარა დაცემას, ხოლო მენშევიკების მთავრობა—პოლიტიკურ კრიზისს, გამოსავალი კი მხოლოდ რევოლუციაში უნდა ყოფილიყო.

---

<sup>47</sup> ქურნ. „ვაზი და ღვინო“, № 5, გვ. 3.

## თავი მორაი

### მეღვინეობა საბჭოთა საქართველოში (1921—1927. წწ)

#### 1. ნოღლეულის ბაზა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დასაბამი მისცა ქართველი ხალხის ეკონომიკური და კულტურული განვითარების ახალ ერას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, რსფსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა ძმური დახმარებით დაიწყო ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის თანდათანობითი აღდგენა-განვითარება.

მაგრამ მსოფლიო ომისა და შემდეგ მენშევიკების ბატონობის წლებში შექმნილმა მდგომარეობამ თავისი მძიმე დაღი დააჩნია ქვეყანას.

საბჭოთა საქართველოს პირველ დღეებში დახვდა ქვეყანაში შექმნილი სრული ანარქია: მრეწველობა დაცემული იყო, ტრანსპორტი მოშლილი, სოფლის მეურნეობა გაპარტახებული, ხალხი შიმშილობდა.

მიწასთან გასწორებული სოფლის მეურნეობიდან ყველაზე სავალალო მდგომარეობაში ამ დროს მევენახეობა იყოფებოდა. თუ 1913 წელს ვენახის მთლიანი ფართობი საქართველოში 51 862 ჰა უდრიდა, 1917 წელს მან 37 470 ჰა შეადგინა, 1921 წელს კი იგი 30 500 ჰექტარამდე დაეცა.

პირველი დიდი ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფდა საბჭოთა საქართველოში გაპარტახებული სოფლის მეურნეობის აღდგენას, იყო რევრლუციური კომიტეტის 1921 წლის 6 აპრილს გამოცემული დეკრეტი მიწის შესახებ. მასში ნათქვამი იყო, რომ მთელი მიწა მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებას შეადგენს, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა, მისი იჯარით ან სხვა სახით ვინმეზე გაცემა მოსპობილია. ის მიწები და მსხვილი მამულები, რომლებიც ყოფილი მთავ-



რობის დროს ჩამოერთმეველი შერჩათ კერძო მემამულეებს, ეკლესიებს, მონასტრებს და სხვა მსხვილ მფლობელებს, შენობებში და სხვა ნივთებით და შეურნეობრივი იარაღებით, ერთმერტობა მფლობელებს სრულიად უსასყიდლოდ, წინათ ჩამორთმეულ მიწებთან ერთად ჩაირიცხებოდა მიწის სახელმწიფოებრივ ფონდში და გადადიოდა მშრომელთა სარგებლობაში.

შემდეგში სპეციალური კოდექსი მიიღეს მიწის შესახებ. მასში ნათქვამი იყო, რომ „ყველა მიწა, რაც გამოსადეგია სასოფლო მეურნეობისათვის, შეადგენს ერთიან სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდს, რომელსაც განაგებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი“<sup>1</sup>.

აღნიშნული დეკრეტისა და შემდეგ კოდექსის საფუძველზე სახელმწიფოს განკარგულებაში გადავიდა არა მარტო ყოფილი საუფლისწულო მამულები, არამედ მენშევიკების დროს შემორჩენილი მსხვილი მამულები თავიანთი სამრეწველო სარეწაოებით და ყველა ისინი სახალხო მამულებად გამოცხადდა. ამ მიზნით, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსდება სახალხო მამულების განყოფილება, რომელიც უშუალოდ განაგებს აღნიშნულ მამულებში მევენახეობა-მეღვინეობის საქმეს. ამჯერად, სახალხო მამულების განკარგულებაში გადადის არამარტო წინანდლის, ნაფარეულისა და მუკუზნის ყოფილი საუფლისწულო მამულები, არამედ ყველა ის მსხვილი მამული, სადაც განვითარებული იყო კულტურული მცენარეები, კერძოდ, ვენახი და ხეხილი.

საქართველოში საბჭოთა მთავრობა, დღიდან ძალაუფლების ხელში აღებისა, სცემდა მრავალ დეკრეტსა და დადგენილებას, რომლებიც მოწოდებული იყო სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის; ერთ-ერთი ასეთი დადგენილება გამოიცა 1921 წლის 18 მარტს (დეკრეტი № 1): „ყველა თავისუფალი მიწების საკალდებულო დათვისვის შესახებ“.

მართალია, ეს დადგენილება უშუალოდ მევენახეობას არ ეხებოდა, მაგრამ იგი უთუოდ ითვისისწინებდა მისდამი ყურადღების მიქცევას და ამ დარგის წინ წამოწევას.

კახელ მევენახეთა გაერთიანება „კავშირთკავშირი“ 1922 წლის დასაწყისში სწერდა საქართველოს მიწსახკომს, რომ „მევენახეობა—სასოფლო მეურნეობის ეს მაღალკულტურული და კეთილშობილუ-

<sup>1</sup> ცხა (თბ) ფ. რ.—631, ანაწ. 1, საქ. 77, ფურც. 16.





რი დარგი რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში თანდათანობით ვითარდებოდა და უკანასკნელ წლებში ჩვენი მევენახეობის წარმომადგენელმა გენდა სრულიად ჩამოყალიბებულ დარგს... ჩვენში ვენახების დამუშავება არაფრით არ ჩამოუვარდებოდა საფრანგეთის უკეთეს ვენახებს და ვენახების სივრცე იმდენად მატულობდა, რომ ჩვენი დარგი მშრომელი ხალხის ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებაში ამ დარგს უნდა დაეკავებინა უდიდესი ადგილი. მაგრამ უკანასკნელი 7—8 წლის განმავლობაში კალაპოტში ჩამდგარა ჩვენი მეღვინეობა-მევენახეობის განვითარება ძალიან შეიწყა და დღეს იგი განიცდის კატასტროფულ მდგომარეობას, ხოლო თუ ამ დარგის სრულიად განადგურებისაგან გადასარჩენად არ მიიღეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი და მით უმეტეს სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი... ეს უძვირფასესი და უძველესი დარგი ჩვენი ხალხის ეკონომიური კეთილდღეობისა გააჭკრება სამუდამოდ”<sup>2</sup>.

თუ რა ზარალი მოუვიდოდა ჩვენს ქვეყანას მევენახეობის დაცემით, მოხსენებით ბარათში დასაბუთებულია შემდეგნაირად:

1. საქართველოს ვენახებში ჩაბმულია 95 000 გლეხი, რომელიც, გარდა უცხო და დაქირავებული მუშისა, ჰკვებავს ნახევარ მილიონამდე მცხოვრებს. ვენახის მოსპობით მათ გაუწყდებათ ლუკმაპური.
2. ნორმალურ პირობებში დესეტინა ვენახის შემოსავალი უდრის არანაკლებ 5—8 დეს. სახნავი მიწის შემოსავალს; თუ საქართველოში ნავარაუდევია იქნება 50 ათასი დეს. ვენახი, მისი გაუქმებით დაკმაყოფილებული უნდა იქნეს 250—400 ათასი დეს. სახნავი, რაც შეუძლებელი იყო იმ დროს სახნავი მიწის სიმცირის გამო, მით უმეტეს, რომ სახნავი მიწის დიდი ნაწილი უვარგისი იყო.
3. მევენახეობა მოითხოვდა წლის განმავლობაში მრავალი მუშის ჩაბმას წარმოებაში, ხოლო მისი გაუქმების შედეგად განდებოდა რამდენიმე ათეული ათასი უმუშევარი, რაც ისედაც გაღარიბებულ სახალხო მეურნეობას გააჩანაგებდა.
4. მევენახეობის მოსპობით დაიკარგებოდა ერთადერთი საექსპორტო საქონელი—ღვინო, რადგან ჩვენი პურეულით საზღვარგარეთის და თუნდაც რუსეთის ბაზარზე გასვლა სრულიად უაზრო იქნებოდა. გატანილი ღვინიდან (საშუალოდ 1901—1914 წწ. 1,2 მლნ ვედროდან) შემოსავალი კი 3 მლნ მანეთს (ოქროთი) უდრის.

<sup>2</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. I, საქ. 541, ფურც. 72.



5. სახელმწიფოს მოაკლდებოდა მნიშვნელოვანი ყოველწლიური შემოსავალი, რომელსაც იგი ღებულობდა მევენახეობის ნეობიდან და ა. შ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ჩატარებულ ღონისძიებათაგან, რომელიც მიმართული იყო მევენახეობის აღდგენისაკენ, უმთავრესი იყო ბრძოლა ფილოქსერასთან, ძველი (დაბერებული და ფილოქსერით დაავადებული) ვენახების შეცვლა ახალი ამერიკული ვახით, ვენახის უზრუნველყოფა შემწამლავი ნივთიერებითა (გოგირდი, შაბიამანი) და სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებით, სადედე-სანერგე მეურნეობის მოწყობა, გლეხების კოოპერაციულ ამხანაგობებში ჩაბმა და მათი კრედიტებით უზრუნველყოფა და ა. შ. მაგრამ ყველა ამ ღონისძიებას შორის მაინც უმთავრესი იყო ფილოქსერასთან ბრძოლის საკითხები.

მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიიქცია ამ საქმეს.

1922 წ. ჩამოყალიბდა კახეთის მევენახეობა-მელვინეობის საცდელი სადგური, რომელმაც თავისი არსებობის 1 1/2 წ. განმავლობაში გარკვეული მუშაობა ჩაატარა კახეთის ნიადაგების გამოკვლევის საქმეში და სპეციალური რუკაც შეადგინა ამ მიმართებით. ამასთან ერთად, შეძლებისდაგვარად, გაფართოვდა არსებული სახელმწიფოებრივი სანერგე მეურნეობა (ჩუმლაყი, კონდოლი, იყალთო და სხვ.). მაგრამ წამოყენებული ღონისძიებები საკმარის არ იყო ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მიწსახკომის 1922 წ. ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „ისეთი დიდი, თითქმის ვეებერთელა, კახეთის მასშტაბით სამევენახეო მეურნეობა, როგორც ყოფილ საუფლისწულო უწყებების ვენახი იყო კახეთში, ამ გაკვირვების დროს, ფილოქსერის გაჩენის გამო, თითქმის უპატრონოდ დარჩნენ და არაფერი გაკეთებულა ამ მხრივ, თუმცა რამდენიმე წლით ადრე ომამდე იყო აღმოჩენილი ფილოქსერა მის საუკეთესო ვენახებში სოფ. წინანდალში. იმ დროს კახეთში არ აღმოჩნდა არც ერთი გულშემატკივარი გავლენიანი პირი, რომ ხმა აღემალღებინა კახეთის მევენახეობის მომავლის და ბედ-იღბლის სასარგებლოდ, რის გამოც კახეთი ათეული წლით მაინც ჩამორჩა მევენახეობაში“<sup>3</sup>.

საქართველოს მიწსახკომის მევენახეობა-მელვინეობის ქვეყნყოფილების მოქმედების შესახებ (1922 წ. 4 იანვრიდან 1 აგვისტომ-

<sup>3</sup> ცსა (ობ), ფ. რ.—288, ანაწ. 1, საქ. 1336, ფურც. 14.

დე) ჩატარებული მუშაობის ანგარიშში ნათქვამია, რომ რაც უფრო გადის, იმდენად უფრო ძლიერდება ფილოქსერის მოქმედება კახეთის ვენახებზე, რომ იგი მოედო კახეთის თითქმის ყველა ვენახსა და ვაზის მოსპობა ჩქარი ტემპით ხდება. კახეთის ვენახები, რომელთა სივრცე 20 000 ჰექტარამდე აღის, ამ ხუთ—ათს წელიწადში მოსპობა თუ დიდ ძალას არ ეიხმართ ვაზის მტერის—ფილოქსერის წინააღმდეგ. უმთავრესი და ერთადერთი ბრძოლა იმაში გამოიხატება რომ საჭიროა მრავალი ასეთი ვაზი ე. ი. დამყნობილი დავამზადოთ, რომ მევენახეებმა დარგოთ ახლანდელი დამყნობილი ვაზის მაგიერ. ყოველ წელს მილიონ ცალობით დასარგავი მასალაა საჭირო, რომ ვენახების აღდგენა შესაძლებელი იყოს თანდათან<sup>4</sup>.

საერთოდ, ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს, ამ დროს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან თუ უშუალოდ სახელმწიფო არ ჩაერეოდა ამ საქმეში და არ მიიღებდა გადაწყვეტ ზომებს მის მოსაგვარებლად, ისე ეს საკითხი არ დაიძვრებოდა მკვდარი წერტილიდან.

როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიისა და სსრკ მასშტაბითაც, 1921—1927 წწ. ჩატარდა რიგი თათბირები და ყრილობები მეღვინეობა-მევენახეობის საკითხებზე, მიიღეს მნიშვნელოვანი დადგენილებები მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ასე მაგალითად, 1921 წ. ივნისში საქართველოს მიწსახკომის მეღვინეობა-მევენახეობის ქვეგანყოფილებამ თბილისში მოიწვია სპეციალისტების თათბირი ამ დარგში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, სადაც მონაწილეობა მიიღეს ფინანსთა და სასურსათო კომისარიატის, სააქციზო საზოგადოების, ამიერკავკასიის რკინიგზის, ცეკავშირის, ქალაქის აღმასკომის და სხვათა წარმომადგენლებმა. აქ განხილული იყო მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებით მრავალი საკითხი და მიიღეს გარკვეული გადაწყვეტილებები.

1922 წლის 2 ოქტომბერს მიწსახკომმა მოაწყო კახეთის მევენახეთა თათბირი წინანდალში, სადაც განხილული იყო შემდეგი საკითხები:

ა) მევენახეობის მდგომარეობა კახეთში, ბ) ღონისძიებები ვენახების აღდგენის შესახებ, გ) მოსახლეობის თვითმოქმედების გაშლის შესახებ მევენახეობის დარგში და სხვა.

თათბირმა აღნიშნა, რომ მართალია დაწერილებითი სტატისტი-

<sup>4</sup> ცსა (თბ), ფ. რ. — 288, ანაწ. 1, საქ. 388, ფურც. 32.



კური მონაცემები არ არსებობს კახეთის ყველა რაიონში ფილოქსერის მიერ ვენახის განადგურების შესახებ, მაგრამ ერთდროულად იყო, რომ სოფლებში—კონდოლი, წინანდალი, ხოლო მინდორში (მინდორია) ურიათუბანი (ვაზისუბანი) ველისციხე, ახაშენი, ვეჯინი და ვარდისუბანი, ფილოქსერისაგან დაავადებული იყო ვენახების 50%, ხოლო უფრო ძლიერად დაზიანებული იყო მისგან სოფლები: იყალთო, რუისპირი, კურდღელაური, ვაჩნაძიანი, სანიორე და ნაფარეული. „თათბირი ფიქრობს, ნათქვამია აღნიშნული თათბირის ოქმებში, რომ ფილოქსერას მიერ ვენახის განადგურება მომავალში მოხდება გეომეტრიული პროგრესიის გზით (ხაზგასმა ჩვენია ა. ს.), რაც გამოიწვევს მთლიან ვენახის განადგურებას 6—7 წლის განმავლობაში<sup>5</sup>. თუკი რასაკვირველია არ იქნებოდა მიღებული ეფექტური ზომები მის წინააღმდეგ, თათბირმა აღნიშნა, რომ არაუგვიანეს 10 წლის განმავლობაში მთლიანად უნდა შეიცვალოს ვენახები ფილოქსერაგამძლე ამერიკული ვაზით. ამ მიზნით საჭირო იყო წელიწადში არანაკლებ 1,5 ათასი ჰექტარი ვენახის განახლება. ამის უზრუნველსაყოფად კი გაშენებული უნდა ყოფილიყო სადედეები (დესეტინობით) იყალთოში—30, ჩუმლაყში—50, დამარჩინოში—100, კურდღელაურში—40, ვაჩნაძიანში—30, გურჯაანში—20, ბაკურციხე-კარდანახში—40, ხოლო ალაზნის გაღმა პირას (ყვარელ-ნაფარეული)—40. რისთვისაც საჭირო იყო შუამდგომლობის აღძვრა საქართველოს მიწსახკომის წინაშე, ზემოაღნიშნულის ცხოვრებაში გასატარებლად.

თათბირმა ხაზი გაუსვა, რომ ასეთ მოკლე დროში მარტო მთავრობას და კოოპერაციულ ორგანიზაციებს არ შეეძლოთ ჩაეტარებინათ სათანადო მუშაობა მოსახლეობის ფართო მასების შემოქმედების ინიციატივის გაძლიერების გარეშე. თათბირმა მიზანშეწონილად ჩასთვალა, უახლოეს ხანში:

- ა) მოწყობილიყო მევენახე-პრაქტიკოს მუშებისა და გლეხების სკოლები და გადასამზადებელი კურსები.
- ბ) დარგულიყო საჩვენებლად ამერიკული ვაზი იმ ნაკვეთებში, რომლებიც მნიშვნელოვნად იყვნენ დაზარალებულნი ფილოქსერასაგან.
- გ) დახმარებოდნენ კერძო გლეხებს კრედიტების მიცემით.
- დ) მისცემოდათ კერძო გლეხებს ვენახის ფართობები დასამუშავებლად განსაზღვრულ ნორმაზე ზევით.

<sup>5</sup> ცსა (იბ), ფ. რ. — 288, ანაწ. I, სპ. 287, ფურც. 165.

ნოემბრის  
გაზეთის  
202

ე) მოწვეულიყო კახელ მევენახე-მეღვინეთა ყრილობა თვეში—გურჯაანში და ა. შ.

საქართველოს მიწსახკომმა თათბირის ეს გადაწყვეტილებით, გაითვალისწინა და გამოჰყო ყრილობის მომწვევი ბიურო, რომელმაც ამასთან დაკავშირებით შეადგინა სპეციალური მიმართვა და გაუგზავნა იგი კახელ მევენახეებს. მასში ნათქვამი იყო:

—„მოქალაქენო, კახელო მევენახენო!

ჩვენი ძალა, ჩვენი მეურნეობის მთავარი ძარღვი, ჩვენი დოვლათი არის ღვინო. მისმა მოსავალმა ამ ბოლო დროს შესამჩნევად იკლო, და არ გავა რამდენიმე წელიწადი, რომ უმთავრესი დარგი ჩვენი მეურნეობისა—მეღვინეობა სრულიად მოისპობა. ამის მიზეზი ის არის, რომ რამდენიმე წელიწადია რაც ჩვენს ვენახებს შემოესია საშინელი ვაზის მტერი—ფილოქსერა, რომელიც მუსსრს ავლებს ჩვენს ვენახებს. სახელდობრ, გრძელ მინდორში, ახაშენში, კურდღელაურში, წინანდალში, რუისპირში, ნაფარეულში, ვეჯინში და სხვ. ბევრი ადგილი მოსპობის გზაზე დააყენა. ეჭვი არ უნდა დაგვებადოს, რომ ასეთივე ბედი მოელის მთელს ჩვენს ვენახებს თუ საჩქარო ზომებს არ მივმართეთ უბედურების თავიდან ასაცილებლად.

ვენახებისთვის შექმნილ ამ საშინელ გარემოებას ანგარიში გაუწია ჩვენმა მთავრობამ და მევენახეთა კავშირებთან ერთად განიზრახა კახელ მევენახეთა ყრილობის მოწვევა კახეთში სოფ. გურჯაანში 19 ნოემბერს (1922 წ. ა. ს.) სათათბიროდ, და რა ზომები უნდა იყოს ამთავითვე მიღებული და არ გვემა უნდა იყოს განზორციელებული... ჩვენი ვენახების ბედი და არსებობა დამოკიდებული იქნება იმაზედ თუ რამდენად სწორად აულებთ ალლოს დღეს შექმნილ მდგომარეობას... ამ საქმის მოგვარება მარტო მთავრობას არ შეუძლია თუ თვითონ მევენახენი არ შეიგნებენ საფრთხეს და საკუთარი ძალღონით არ ჩაეშვებიან მთავრობის საერთო მტერთან ბრძოლაში.

მევენახენო! დაესწარით ყრილობას, გადაარჩინეთ თქვენი ვენახები განადგურებას. ყრილობის მომწვევი ბიურო“6.

და მართლაც ჩატარდა აღნიშნული ყრილობა 1922 წ. 19 ნოემბერს გურჯაანში. ხოლო დასაყვებით საქართველოში, იმერეთის მევენახე-მეღვინეთა ყრილობა მოწვეულ იქნა 1923 წ. აპრილში, ქ. ზესტაფონში. ორივე ყრილობაზე განიხილეს პრაქტიკული საკითხები.

44 ცსა (თბ), ფ. რ. — 288, ანაწ. 1, საქ. ფურც. 66.

რაც დაკავშირებული იყო ფილოქსერასთან ბრძოლის შესახებ (ამ მიიღეს შესაფერი ღონისძიებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ამ მხრივ ზესტაფონში იმერეთის მევენახე-მელენეთა ყმარობის და გადაწყვეტილებები ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რომელმაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ფილოქსერა დიდ საშიშროებას უშააღებს იმერეთის ვენახებს. ამიტომ ყრილობამ დიდი გამოხმაურება კპოვა აღნიშნული საკითხის ირგვლივ და დასახა სათანადო ღონისძიებები ამ მიმართებით.

გარდა ამისა, ჩატარდა მსგავსი თათბირები და ყრილობები მომდევნო პერიოდშიაც. 1924 წ. იანვარს თბილისში მოიწვიეს აგრეთვე სრულიად საქართველოს მევენახე-მელენეთა თათბირი, ხოლო ამავე წლის მარტში ამიერკავკასიის მიწსახკომის ინიციატივით მოწვეული იყო მოკავშირე რესპუბლიკების (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) მევენახე-მელენეობის სპეციალისტების ყრილობა. ყრილობამ განიხილა მევენახეობა-მელენეობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „სახელმწიფოს მხრივ სათანადო დახმარების გარეშე არავითარი გარანტია არ არსებობს მევენახეობის აღდგენისათვის“<sup>7</sup>.

ამიერკავკასიის სახკომსაბჭომ გაითვალისწინა ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს მევენახეობაში არსებული მდგომარეობა, და 1926 წ. 20—24 იანვარს ჩაატარა სპეციალური თათბირი თბილისში, სადაც ესწრებოდნენ ამიერკავკასიის რსფსრ-ში შემავალი ყველა მოძმე რესპუბლიკის მევენახე-მელენე სპეციალისტები და მოისმინეს მევენახეობა-მელენეობასთან დაკავშირებით თითქმის ყველა ძირითადი საკითხი.

გარდა აღნიშნული თათბირებისა და ყრილობებისა, საქართველოს მიწსახკომი, სახალხო მამულების ტრესტი და არსებული მევენახეობა-მელენეობის კოოპერაციული ამხანაგობები, დიდ პრაქტიკულ მუშაობას ატარებდნენ მევენახე გლეხებს შორის ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

ამ საქვეყნო საქმის მოგვარებაში დიდი შრომა მიუძღვით ქართველ მევენახე-მელენე სპეციალისტებს, მეცნიერებს და მკვლევარ პრაქტიკოსებს, რომლებიც არაფერს არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ ფართოდ გაეცეკვლებინათ მოსახლეობაში ვაზის დაავადებასთან ბრძოლის ხერხები და მეთოდები.

<sup>7</sup> ცსა(თბ) ფ. რ—288, ანაწ. 1, საქ. 1083, ფურც. 54—55.



მართალია, ფილოქსერის წინააღმდეგ რეალური ბრძოლა 1921—1922 წწ. არ დაწყებულა და ამ პერიოდში მხოლოდ სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და მისი განვითარების ხელშეწყობას უზრუნველყოფენ.

მთავარი ცენტრი, რომელიც უშუალოდ განაგებდა მევენახეობა-მელვინეობის საქმეს საქართველოში და სისტემატურ ღონისძიებებს ატარებდა ფილოქსერის წინააღმდეგ, ეს საქართველოს მიწსახკომი და მასთან არსებული სახალხო მამულების ტრესტი იყო, რომელმაც დაისახა მიზნად:

1. ყველა არსებული ამერიკული ვაზის სათბურებისა და კახეთში ამერიკული ვაზით განახლებული ვენახების შემოწმება.
2. ახალი სათბურების ჩამოყალიბება და ამერიკული ვაზის სადღე ფართობის გადიდება.
3. ვაზის რქის დამზადება და მისი დარგვა როგორც სახელმწიფო მამულების, ისე კერძო გლეხების ვენახებში.
4. საზღვარგარეთიდან ამერიკული ვაზის ნერგის სათანადო რაოდენობით გამოწერა.
5. მევენახე-მელვინე სპეციალისტთა თათბირების მოწვევა.
6. კახეთში (სოფ. ურიათუბანში—ამჟამად ვაზისუბანში) მელვინეობის სადგურის შექმნა.
7. საქართველოს (პირველ რიგში კახეთის) ნიადაგობრივი შემადგენლობის შესასწავლად გეგმის შემუშავება.
8. პოპულარული ბროშურების გამოცემა ფილოქსერისა და სხვა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.
9. მევენახე-მელვინეთა ყრილობების მოწვევა იმერეთსა და კახეთში, ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის პროპაგანდისტის გლეხობაში.

## 2. მიღწეობის განვითარება

### ა. ღვინის წარმოების ხასიათი

მას შემდეგ, რაც უკვე გავარკვევით მელვინეობის სანედლეულო ბაზის მდგომარეობა 1921—1922 წწ. უკვე ძნელი არ არის იმის გაგება თუ როგორი ხასიათი ჰქონდა მელვინეობას რესპუბლიკაში.

ღვინის უმთავრესი მწარმოებლები საქართველოში, დღიდან

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, ეს თვით წვრილმწარმოებელი მევენახე გლეხები იყვნენ. მართალია დიდი იყო ამ საქმეში ხელმწიფოს და კოოპერაციული ორგანიზაციების როლიც, მაგრამ გადაწყვეტ ძალას მაინც მევენახე-მეღვინე გლეხები შეადგენდნენ, რადგან ვენახის ფართობის მაქსიმუმი მათ ხელში იმყოფებოდა და როგორც სახელმწიფოებრივი ისე კოოპერაციული გაერთიანებები ღვინოს აყენებდნენ უმთავრესად იმ ყურძნიდან, რომელსაც აბარებდნენ, მათ უშუალოდ მევენახე გლეხები.

როგორც ითქვა, მთავარი ცენტრი, რომელიც სათავეში ედგა ამ დროს მეღვინეობის საქმიანობას და ხელმძღვანელობდა ამ დარგში მომუშავე ყველა ძირეულ ორგანიზაციას, ეს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი იყო, რომელთანაც უკვე 1921 წ. ჩამოყალიბდა სახალხო მამულების ქვეგანყოფილება. 1923 წ. იგი გადაკეთდა სახალხო მამულების სამმართველოდ, ხოლო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1924 წ. 18 ივლისის დადგენილების საფუძველზე იგი გარდაიქმნა სახალხო მამულების ტრესტად.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა 1922 წ. 9 მაისს მიიღო სპეციალური დებულება „საქართველოში ღვინის წარმოების შესახებ“, სადაც ნათქვამი იყო, რომ ყურძნის ღვინის წარმოებას რესპუბლიკაში მისდევენ უშუალოდ მევენახე გლეხები და მოცემული დარგის წარმოებრივი კოოპერატივები, რომ ღვინის წარმოების გაუმჯობესების მიზნით მიწსახკომი ხელს უწყობს ადგილებზე მევენახე-მეღვინეთა გაერთიანებას წარმოებრივ კოოპერაციაში მათი ჩაბმის მიზნით, აფინანსებს მათ წამოწყებებს, ხელს უწყობს ღვინის სარდაფების საქმეს, ღვინის დაყენების გაუმჯობესებას სპეციალისტების ხელმძღვანელობით. ამავე დებულებაში ხაზგასმული იყო, რომ ქალაქებში ღვინის დაყენება უნდა მომხდარიყო მხოლოდ ღვინის სარდაფებში წარმოებრივ კოოპერატივებსა და მევენახეთა ამხანაგობების მიერ, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელთ ეძლეოდათ უფლება სოფლად გლეხებისაგან დაემზადებინათ ღვინო<sup>8</sup>.

სახალხო მეურნეობის განვითარების აღდგენით პერიოდში (1921—1925 წწ.) საქართველოში არსებობდა მეღვინეობის კოოპერაციული გაერთიანებები. ასეთი იყო: „კახეთი“, „იმერეთი“, „საერო“, „ხვანჭყარა“, „წარმოკავშირი“, „კავშირთკავშირი“ და სხვა.

<sup>8</sup> ესა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. I, საქ. 223, ფურც. 25.



1925 წ. 12 სექტემბრიდან კი საქართველოს საბჭოთა მთავრობის დადგენილებით—ყველა ეს მეღვინეობის კოოპერაციულე ორგანიზაცია გაერთიანდა ისეთი მსხვილ კოოპერაციულ კავშირში, რომელიც იყო „საქართველოს ღვინო“.

„საქართველოს ღვინო“ თავის მიზნად ისახავდა იმას, რომ ხელი შეეწყო რესპუბლიკაში მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ მიზნით იგი აწყობდა: ა) ღვინით, სპირტით და არაყ-კონიაკით ვაჭრობას, როგორც ბითუმად, ისე ცალობრივად (ბოთლობრივად). ამასთან, ამ ვაჭრობის სფერო არ იზღუდებოდა მარტო რესპუბლიკაში, არამედ ფართოვდებოდა მის გარეთაც და პირველ რიგში რუსეთის ქალაქებში; ბ) იძენდა გლეხებისაგან ყურძენს და აწყობდა მის გადამუშავებას ღვინოდ, გ) აშენებდა ღვინის ტარის დასამზადებელ სახელოსნოებს, დ) აწყობდა ღვინის სარდაფებს ღვინის შესანახად და მის გადასამუშავებლად, ე) ხელს უწყობდა გლეხებს მათი პროდუქციის (ღვინის) გასაღების საქმეში. აგრეთვე მათი ვენახებისათვის საჭირო მასალების და ინვენტარის შეტენისათვის; ი) ხსნიდა ღვინის მაღაზიებს, საწყობებს, კანტორებს, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის გარეთ და ა. შ.

„საქართველოს ღვინო“ იმდენად განვითარა და წინ წასწია თავისი მეურნეობრივი მოღვაწეობა ამ მიმართულებით, რომ შემდგომ პერიოდში ვიდრე შეუერთდებოდა „სამტრესტს“ (1932 წ.), იგი ერთ-ერთი მთავარი მეღვინეობის ორგანიზაციად იყო ქცეული რესპუბლიკაში.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოს ხაზით მეღვინეობას მისდევდა სახალხო მამულების ტრესტი, რომელიც დღიდან მისი ჩამოყალიბებისა ღვინოს აწარმოებდა ორი მიმართულებით: სხვადასხვა მარკების ღვინოების გამოშვებით და სპირტ-კონიაკის წარმოებით.

პირველ ხანებში ტრესტი უშვებდა ისეთ სამარკო ღვინოებს როგორც იყო „თელიანი“, „წინანდალი“, „ნაფარეული“, „მუკუზანი“, „კარდანახი“ და სხვ. ამ მხრივ მას უკვე პირველი ადგილი ეკავა სსრკ-ში და დიდი პოპულარობით სარგებლობდა საზღვარგარეთაც.

1921—1927 წლებში სახალხო მამულების ტრესტი ღვინოებს ამზადებდა წინანდალის, ნაფარეულის, მუკუზანის, კარდანახის, ვაჭევისა და ვარციხის მამულებში. აღნიშნულ მამულებში ღვინის წარმოების დინამიკა 1921—1926 წწ. შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. ცხრ. 5).



ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ სახალხო მამულებში ღვინის წარმოება, ომამდელ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებული. კერძოდ, 1926 წ. წინანდლის მამულში შემცირებულია (1910 წ. შედარებით) 3,5-ჯერ. მუკუხნის მამულში 6,5-ჯერ, ნაფარეულში — 2,5-ჯერ, ვაკევეში — 4,7-ჯერ და ა. შ.

აქვე ხაზი უნდა გავსვას იმას, რომ სახალხო მამულები ღვინოს აყენებდა არა მარტო საკუთარ მამულში მიღებული ყურძნიდან, არამედ უშუალოდ გლეხებისაგან შეძენილი ყურძნიდანაც.

ცხრილი 5

ღვინის წარმოების დინამიკა საქართველოს სახალხო მამულებში 1921—1926 წწ. (ვედრობით)<sup>9</sup>

სახალხო მამულების დასახელება	1910 წ.	1921 წ.	1922 წ.	1923 წ.	1924 წ.	1925 წ.	1926 წ.
წინანდლი . . . . .	53 122	22 960	9 057	12 842	1 728	18 112	15 615,5
ნაფარეული . . . . .	27 712	1 736	12 900	10 800	16 511	24 730	11 227
მუკუხანი . . . . .	66 775	20 020	24 820	18 300	22 252	19 502	10 548
კოდანახი . . . . .	8 228	3 292	4 000	1 870	3 176	3 176	5 719,6
ვაკევი . . . . .	8 000	1 484	918	2 228	1 320	1 720	1 750
ვარციხე . . . . .	—	5 217	4 520	220	215	3 152	3 731,2

ამასთან, სახალხო მამულების ტრესტი გაცილებით მეტს ღვინოს აყენებდა უშუალოდ გლეხებისაგან შეძენილი ყურძნიდან, ვიდრე საკუთარ მამულში მიღებული ყურძნის მოსავლისაგან. ასე მაგ., 1924—25 წწ.-ში აღნიშნულმა ტრესტმა საკუთარ მამულში მიღებული ყურძნიდან მიიღო სულ 76 000 ვედრო ღვინო, ხოლო უშუალოდ გლეხებიდან შეძენილი ყურძნიდან კი გადაამუშავა 136 000 ვედრო (მთლიანი ღვინის მოსავლის 67%) ღვინო. ასე გრძელდებოდა შემდეგ პერიოდშიაც.

მოცემულ პერიოდში სახალხო მამულების უპირველესი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველმხრივ შეეწყო ხელი წვრილმწარმოებლური გლეხური მეურნეობისათვის, რათა მათ განეციოთარებიანთ მევენახეობა და რაც შეიძლება მეტი ყურძენი ჩაებარებინათ მისთვის. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მარტო 1925 წ. განმავლობაში ტრესტმა საფრანგეთიდან გამოწერილ 1,2 მლნ მეტრი ამერიკული ვაზის ლერწიდან, უმეტესი ნაწილი დაურიგა გლეხებს. ამავე დროს გლეხებს დაურიგა 50 000 ცალი ერთწლიანი და 236 ათასი ცალი გამოყვანილი ნამყენი.

<sup>9</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. I, საქ. 2 020 ფურც. 7.



მთლიანად ტრესტის მიერ 1924—1928 წწ. დამზადებული და რეალიზებული ღვინო შემდეგნაირად ხასიათდებოდა (იხ. ცხრილები 7 და 8)

სახალხო მამულების ტრესტის ხაზით 1924—1928 წწ. წარმოებული ღვინის დინამიკა (ვედრობით)<sup>11</sup>

მაჩვენებლები	წლები			
	1924— —1925	1925— —1926	1926— —1927	1927— —1928
1. საერთო ვენახიდან დამზადებული ღვინო . . . . .	66 391	73 690	50 219	49 582
2. გლეხებისაგან შექმნილი ღვინო . . . . .	117 991	193 383	118 206	140 000
3. ს უ ლ . . . . .	184 382	267 073	168 425	186 582
4. რეალიზებული ღვინო . . . . .	214 428	240 954	165 796	150 000
5. დარჩა დასავარგებლად . . . . .	10 046	26 119	2 622	39 582

როგორც ვხედავთ, სახალხო მამულების ტრესტი მოცემული წლების განმავლობაში ყურძნისა და ღვინის შესყიდვას მეტწილად ახდენდა უშუალოდ გლეხებისაგან.

ყველა სექტორის მიხედვით მთლიანად საქართველოში 1925—1927 წწ. წარმოებული ღვინო შემდეგნაირად წარმოგვიდგებოდა. (იხ. ცხრ. 7).

აქედან ჩანს, რომ ღვინის წარმოების საქმე საქართველოში თანდათან უმჯობესდებოდა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ წარმოებული ღვინის უდიდესი რაოდენობა უშუალოდ გლეხებმა\* დამზადეს რაც შეეხება სახელმწიფო და კოოპერაციულ გაერთიანებებს, მათი ხვედრი წონა ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო. 1925 წ. იგი უდრიდა მხოლოდ 446,5 ათას ვედროს, 1925 წ. — 907,6 ათას, ხოლო 1927 წ. — 881,0 ათას ვედროს<sup>10</sup>.

ცხრილი 7  
ღვინის წარმოების დინამიკა საქართველოში 1925—1927 წწ.<sup>12</sup>

წლები	შემოვიდა გადასამუშავებლად ყურძენი (ათას ფუტობით)	მიღებული ღვინო	
		ათას ფუტებში	ათას ვედრობით
1925	7 734,0	52 200	69 606
1926	9 014,8	60 850	81 133
1927	6 819,6	46 032	61 376

<sup>10</sup> ცსა (თბ) ფ. რ. — 288, ანაწ. I, საქ. 1954, ფურც. 24.  
<sup>11</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ., I, საქ. 1690, ფურც. 33.  
<sup>12</sup> ცსა (თბ) ფ. რ. — 288, ანაწ. I, საქ. 1964, ფურც. 52.



ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ლაპარაკობს იმაზე, რომ ლეინის წარმოების საქმეში წვრილი მევენახე გლეხები გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ და, რომ საჭირო იყო ამ მხრივ სახელმწიფო-საოპერაციის როლის უფრო მეტად გადიდება და ლეინის წარმოებისა და გასაღების საქმეში უფრო მეტი ორგანიზებულობა და გეგმურობა.

**ბ. სასარდაფო მეურნეობა**

როგორც ყველგან და ყოველთვის, ისე ამ პერიოდშიაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოში ლეინის სასარდაფო მეურნეობის მოწყობისა და ლეინის გადასატანი ჭურჭლების (საკრები, ბოთლები და სხვ.) უზრუნველყოფის საკითხებს, რადგან ლეინის ნორმალური წარმოება შეუძლებელი იყო მისი მოგვარების გარეშე.

ცნობილია, რომ მეღვინეობა ჩვენს ქვეყანაში იმთავითვე ვითარდებოდა როგორც მიწათმოქმედებისაგან (მევენახეობა) დამოუკიდებელი დარგი, რომელიც ოჯახური წარმოების ფორმას ატარებდა, რომლის დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ მან არ იცოდა წარმოებისათვის გამოყოფილი ცალკე სახელოსნო. „ამდვილადაც — წერს პროფ. პ. გუგუშვილი — მეღვინეობის განვითარების თავდაპირველ სტადიაზე, როგორც საწნახელი, ასევე ლეინის დასაყენებელი (შესანახი) ჭურჭლები (როგორც დოჭები, კოკები, ასევე ქვევრები, ჭურბები...) გადასატან-გადმოსატანი უნდა ყოფილიყო.

მეღვინეობის განვითარების პროცესში, როგორც ჩანს, უკვე დაიწყეს ლეინის შენახვა მიწაში ჩაფლულ ქვევრებში, რითაც საფუძველი დაედო ჭურის თავს, მარანს, როგორც ლეინის საწარმოებელ, ცალკე გამოყოფილ ადგილს, სახელოსნოს. თავდაპირველად ქვევრები, როგორც არქეოლოგიური მონაცემები მეტყველებენ თვით საცხოვრებელ ბინაში, მის კუთხეში, ან სარდაფში იყო ჩაფლული, მაგრამ შემდგომში, ეტყობა ახალ წელთაღრიცხვაზე უფრო ადრინდელ ხანებში იგი, როგორც წესი, გამოეყოფა საცხოვრებელ ბინას და ცალკეა ეზოში ან ვენახში“<sup>13</sup>.

თუ გადამუშავებით წვრილ მრეწველობაში წარმოებისათვის გამოყოფილი ცალკე ადგილი (სახელოსნო) დამახასიათებელი მოვლენა იყო ხელოსნური წარმოებისათვის, ამ შემთხვევაში მეღვინეობა

<sup>13</sup> პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, XIX—XX სს. ტ. V, გვ. 461.



გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენდა და ღვინის მასალის, ყურძნის, როგორც მალფუქად და ნაკლებად ტრანსპორტაბელური ნივთიერების მეოხებით მელვინეობა—განაგრძობს იქვე პ. ვუგუშვილის შემოქმედებით შემოღებული მრეწველობიდან ვითარდება არა ხელოსნური, არამედ შინამრეწველური წარმოების გზით და, ამ სახით, თვით ქარხნული მელვინეობის წარმოებამდე, რჩება როგორც მიწათმოქმედებისაგან გამოუყოფელი დარგი მრეწველობისა.

რაც შეეხება ღვინის წარმოების ტექნიკას და საერთოდ, ღვინის დაყენების ტექნოლოგიას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წინანდლის ღვინის დიდ მარანს, აგრეთვე სხვა მსხვილ მარნებს, რომლებიც გამონაკლისის სახით გვხვდებოდა როგორც კახეთში, ისე დასავლეთ საქართველოში—იგი იმავე არქაულ-ტრადიციული წესით ხდებოდა როგორც წინა საუკუნეებში. მით უმეტეს, რომ ღვინის ძირითადი მწარმოებლები წვრილი გლეხური მეურნეები იყვნენ, რომელთაც არ შესწევდათ იმის სახსარი და უნარი რომ ღვინო ეწარმოებინათ ფართო მასშტაბით და ისიც მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების საფუძველზე.

ქართველი გლეხი აგრძელებდა და არ ღალატობდა ღვინის დაყენების იმ ძველ ტრადიციას და ჩვეულებას, რომელიც მან შეიძინა მამა-პაპათაგან და რომელიც მომდინარეობდა საუკუნეების განმავლობაში.

ამით, რასაკვირველია, იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ქართული მელვინეობის ტექნიკა და მისი ტექნოლოგია სრულიად უვარგისი იყო და მას არავითარი ღირსება არ ჰქონდა სხვა ქვეყნების მელვინეობასთან შედარებით, „პირიქით, ხანგრძლივი ისტორიული პრაქტიკის შედეგად ქართველმა ხალხმა შეიმუშავა ოჯახური წარმოების პირობებისათვის სავსებით შესაფერისი და წვრილმწარმოებლებისათვის ხელმისაწვდომი სამეღვინეო ინვენტარი და ღვინის დაყენების წესები. მელვინეობის ქართული წესები იმითაც გამოირჩევიან, რომ უზრუნველყოფენ ნამდვილი ბუნებრივი ღვინის დამზადებას“<sup>14</sup>.

როგორც ცნობილია, ღვინის დაყენების ტექნოლოგიური პროცესი სპეციალური შენობების არსებობას მოითხოვს. მაგალითად, ღვინის ქარხნული წესით დაყენება ხდება ორი მიმართულებით: ჯერ ერთი, ხდება ყურძნის პირველადი გადამუშავება სპეციალურად მოწ-

<sup>14</sup> კ. წარკვიანი, მელვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში, გვ. 75.



ყობილ მარნებში, სადაც წარმოებს ტყბილის დადუღება და ორდინა-  
 ლური (ერთწლიანი) ღვინის მიღება. „ღუღილის დადუღების  
 ბის შემდეგ მარანში ღვინოს დიდხანს არ აჩერებენ. ჩვეულებრივ  
 ახალი ღვინო პირველი ან მეორე გადაღების შემდეგ გადააქვთ ისეთ  
 შენობაში, სადაც მისი შენახვა, მოვლა და დაყენება შეიძლება. ასეთ  
 შენობებს მეღვინეობაში სარდაფი ეწოდება“<sup>15</sup>.

ჩვეულებრივ სარდაფში ღვინოებზე 2—3 და მეტი წლის სა-  
 მარკო ღვინოებს.

ღვინის ტექნოლოგია გვასწავლის, რომ დაძველების პროცესში  
 ღვინოს უვითარდება მეტად საუკეთესო თვისებები. „სარდაფი, იტ-  
 ყვის ხალხი, აკეთებს ღვინოს“, მასში ღვინის დაძველების დრო  
 კი, თავის მხრივ დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, რომელ-  
 თავან მთავარია: ვაზის ჯიში, ნიადაგი, კლიმატი, ღვინის ქიმიუ-  
 რი თვისებები, დაბოლოს შენახვის პირობები. საქცილისტების აზ-  
 რით სარდაფში თეთრი ღვინის საუკეთესო თვისებების გამოსამყდევ-  
 ნებლად საჭიროა 10—15 წელი, ხოლო წითელი ღვინოებისათვის  
 15—20 წელი.

პროფ. კ. მოდებაძის გადმოცემით, წინანდლის სარდაფის კოლე-  
 კციაში, სადაც 2 500-მდე დასახელების 200 ათასამდე ბოთლი ძვე-  
 ლი ღვინოებია, მას უნახავს 35—50 წლის ასაკის რქაწითელისა და  
 საფერავისაგან დამზადებული თეთრი და წითელი მალახარისხოვან  
 ღვინოები. მისივე გადმოცემით ციკქადან დაყენებული ღვინო  
 35—40 წლის ასაკში ამჟღავნებს საუკეთესო თვისებებს.

ამჟამად წინანდლის ღვინის სარდაფში ინახება 1869 წლის „წი-  
 ნანდლის“, 1892 წ. „მუკუზნის“ და 1893 წელს დამზადებული „ნა-  
 ფარეულის“ ღვინოები<sup>16</sup>.

ამგვარად, ღვინის დაძველებას ძველდაც ჰქონია ადგილი სა-  
 ქართველოში, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს ხდებოდა მხოლოდ  
 წინანდლისა და სხვა მსხვილ მამულებში, ხოლო მასიური მასშტაბით  
 მას საქართველოში არ აძველებდნენ. ღვინის ძირითად მწარმოებელ  
 გლეხებს კი, არ სჭირდებოდათ დიდი რაოდენობის ღვინის დაძველე-  
 ბა და შენახვა, რადგან ჯერ ერთი, მათ იმდენი ღვინო მოჰყავდათ,  
 რომ ერთი წლის განმავლობაში მთლიანად მოიხმარებოდა (ნაწილი  
 ოჯახში და ნაწილი კი გაიყიდებოდა). მეორეც, მათ არ გააჩნდათ სა-  
 ამისოდ მოწყობილი სარდაფი, რომ დაძველებინათ და შეენახათ

<sup>15</sup> ნ. გელაშვილი, მეღვინეობა, გვ. 327.

<sup>16</sup> გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1964, 7 იანვარი, № 936.



სპეციალურ ჭურჭელში (ქვევრი, კასრი) მთელი წლების განმავლობაში. რასაკვირველია, აქ გამონაკლის შემთხვევებსაც აღგილი, განსაკუთრებით შეძლებული გლეხების ფენაში, რაფერს ვიტყვით მსხვილ მემამულეებზე და სპეციალურად ღვინით მოვაჭრეებზე, რომელთა საქმიანობა მხოლოდ მეღვინეობით განისაზღვრებოდა და, რომლებიც ცდილობდნენ საუკეთესო ხარისხის ძველი ღვინოები გაეტანათ ქვეყნის შიგნით თუ უცხოეთის ბაზარზე და აქედან მეტი მოგება მიეღოთ.

ამიტომ გლეხურ მეურნეობაში ღვინის მარანი იგივე საწყობიც იყო, სახელოსნოც და სარდაფიც. ეს ტრადიცია შემორჩა მას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროსაც და იგი აგრძელებს მას დიდი ხნის განმავლობაში. ამეამადაც კოლმეურნე გლეხი, რომელიც მისდევს მეღვინეობას და თავის საკარმიდამო მიწიდან მიღებულ ყურძენს გადაამუშავებს ღვინოდ, ღვინის წარმოებისა და მისი ტექნოლოგიის თვალსაზრისით არ ღალატობს ქართული ღვინის დაყენების ძველ—საუკეთესო ტრადიციას და კვლავ შესანიშნავ ღვინოებს ამზადებს. მისთვის დღესაც ერთ მთლიანობაშია წარმოდგენილი მარანი და სარდაფი, თავისი მოწყობილობითა და ატრიბუტებით.

მაგრამ ძნელად თუ ქართველ გლეხს მარანში (სარდაფი) იმდენი ტევადობის ჭურჭელი (ქვევრები, ჭურები, კასრები და ა. შ.) ჰქონდა, რომ შეენახა თავისი ვენახიდან მიღებული ღვინო რამდენიმე წლით და დაეძველებინა ის. მისი ე. წ. „შემოსავალ-გასავალი“ ამ თვალსაზრისით ძირითადად ერთი წლის ვადით განისაზღვრებოდა. რასაკვირველია, წლის ბოლოს მრავალ გლეხს ჰქონია მარანში ღვინო ხელუხლებლად, მაგრამ მოცემული პერიოდისათვის ეს უნდა აიხსნას არა იმით, რომ იგი აძველებდა მას, არამედ სულ სხვა მიზეზებით, კერძოდ: **ა.** ღვინის გაუსაღებლობით ქვეყნის შიგნით, **ბ.** რუსეთში გატანის შეუძლებლობით (გადიდებული აქციზი და მაღალი ფრახტი), **გ.** ღვინის დაბალი ფასებით და სხვა.

ყოველივე ამის გამო ხშირად როგორც კახეთში, იმერეთში, ისე რაჭა-ლეჩხუმში და ა. შ. გლეხებს შემოდგომისათვის ქვევრები თუ ჭურები წინა წლის ღვინით ჰქონიათ სავსე და არ იცოდნენ ღვინის ახალი მოსავალი სად წაეღოთ, ან მოეთავსებინათ. ამ ვითარებას ჰქონდა ადგილი განსაკუთრებით 1921—1924 წლებში.

კახელ მეღვინეთა გაერთიანება „კავშირთკავშირი“ 1922 წლის 11 მაისს ატყობინებდა მიწსახკომს, რომ „ღვინო რუსეთში სულ არ



მიდის და კარზედ მომღვარი მოსავალი არ იცის გლეხმა სად ჩაას-  
ხას. რადგან ძველი მოსავლით აქვს სავსე, ღვინის გატანის კუთხით  
ბედავსო<sup>17</sup>. ხოლო საქართველოს მიწსახეობი თავის ანგარიშით  
1922 წლის 1 აგვისტოსათვის წერდა, რომ დამზადებული და ქვე-  
რებში შენახული ღვინო გაუყიდავია და „შემოდგომაზე ეს ჭურჭე-  
ლი მევენახეებისათვის საჭირო იქნება“<sup>18</sup>.

რაც შეეხება სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს, ამ მხრივ,  
მართალია, შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო წინანდლის, მუ-  
კუნის, ნაფარეულის, ვარციხის, თბილისის ცენტრალურ სარდაფში  
და სხვა, მაგრამ მთლიანად არც აქ იყო დალაგებული საქმე. განსა-  
კუთრებით არასახარბიელო პირობებში იმყოფებოდა მეღვინეობის  
კოოპერაციულ ამხანაგობებში სასარდაფო მეურნეობა.

სახალხო მამულების ტრესტის დებულებაში (1924 წლის 18 იე-  
ნისი) პირდაპირაა ნათქვამი, რომ „მეღვინეობის დარგში სახალხო  
მამულების მიზანს შეადგენს სასარდაფო მეურნეობის აღდგენა ბაზ-  
რის მოთხოვნილების დონემდე“ და სხვა.

თავის ინფორმაციაში „სახალხო მამულთა მდგომარეობა განვი-  
თარების პერსპექტივები“, ყურნალ „საქართველოს ეკონომისტი“  
1926 წელს წერდა, რომ „მევენახეობასთან ერთად იღუპება მრავა-  
ლი წლების განმავლობაში ცნობილი ღვინის მრეწველობა. საჭირო  
იყო ენერჯის და მატერიალურ რესურსების დიდი დაკვიშვა, რომ  
შესაძლებელი ყოფილიყო დაღუპვის გზაზე დამდგარი საქმის გა-  
დარჩენა. ვენახების აღდგენის გარდა საჭირო  
იყო ნორმალური სასარდაფო მეურნეობის აღ-  
დგენა სარდაფის ღვინოების მარაგის ყოველ-  
წლიურად შევსების გზით“<sup>19</sup>.

სახალხო მამულების ტრესტმა დიდი მუშაობა ჩაატარა 1921—  
1927 წლებში სასარდაფო მეურნეობის განვითარების საქმეში, მაგ-  
რამ ერთობ დამაბრკოლებელ ძალად რჩებოდა ღვინის კასრებისა და  
სხვა ჭურჭლის დამზადების საქმე.

ჯერ კიდევ 1922 წლის 6 იანვარს, მიწათმოქმედების სახალხო  
კომისარიატი წერდა საქართველოს რევკომს, რომ ყურძნისა და, მა-  
შასადამე, ღვინის მოსავალიც უკანასკნელ 4—5 წლის განმავლობა-  
ში დაეცა 3—4-ჯერ, ხოლო „წინანდლის მამულში ღვინის კასრების

17 ცსა (თბ) ფ. რ. — 288, ანაწ. I, საქ. 541, ფურც. 13.

18 ცსა (თბ) ფ. რ.—756, ანაწ. I, საქ. 308, ფურც. 61.

19 ფურც. „საქართველოს ეკონომისტი“, № 3, 1926, გვ. 105.



შემცირების გამო ლენინის დაყენება სათანადოდ ვეღარ სწავლობდა, ხოლო მის გარეშე მეღვინეობის წარმოება შეუძლებელია. თან ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ მამულებიდან წაღობის რებს აღარ აბრუნებდნენ ორგანიზაციები და მდგომარეობა ამ მხრივ სავალალოდ რჩებოდა.

სახალხო მამულების ტრესტი, თავისი მუშაობის ანგარიშგებაში 1925 წლის 10 ნოემბრისათვის აღნიშნავდა, რომ „დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გლეხებისაგან შესყიდული ყურძნიდან ღვინოების დასამზადებლად ტრესტი პირველყოვლისა შეუდგა სასარდაფო ინვენტარის გადახალისებას და საჭირო მასალების მომარაგებას. მთავარი ყურადღება ამ შემთხვევაში მიექცა საღვინე ჭურჭლის დამზადებას. უკანასკნელ წლებში სახალხო მამულების სარდაფებიდან ღვინოსთან ერთად დიდძალი ჭურჭელი გაიტანეს უმთავრესად რუსეთში. მეტი წილი ამ ჭურჭლისა დღესაც არ დაუბრუნებიათ ზოგიერთ ორგანიზაციებს, როგორც მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო საპაიო ამხანაგობას („გრუზგოსტორგი“), რომელზედაც 1000 კასრამდე დღესაც ირიცხება ამ გარემოებამ იმდენად დააცარიელა სარდაფები, რომ საანგარიშო წლის რთელისათვის საკუთარი მოსავლის მისაღებათაც აღარ გვქონდა საკმაო რაოდენობა კასრებისა“<sup>20</sup>.

ანგარიშგებითი წლის გვემით ტრესტს განზრახული ჰქონდა 150 000 ვედრო ლენინის მოსათავსებლად სარდაფის მოწყობა. ტრესტს დაუწყია დიდი ხნის უხმარი და დაზიანებული ბუტების შეკეთება. დაუმზადებია 1 800 ახალი კასრი.

„ამ მიზნით—ნათქვამია იმავე ანგარიშგებაში—განეახლეთ მუშაობა წინანდლის და თბილისის საკასრე სახელოსნოში. ავიყვანეთ აღნიშნულ სახელოსნოში 25-მდე მეკასრე, შევიძინეთ სამი ვაგონი სასალტე რკინა და სხვადასხვა მასალების საჭირო რაოდენობა. საანგარიშო წლის ოქტომბრის პირველი რიცხვებისათვის თბილისისა და წინანდლის სახელოსნოში მზადდებოდა ყოველდღიურად არანაკლებ 20 კასრისა და რთელისათვის ამგვარად მზად იყო უკვე 2 500 ცალი ახალი და ძველი შეკეთებული კასრი. მაგრამ კასრების ეს რაოდენობა არ კმაროდა და ეს იყო ერთი მთავარი დამაბრკოლებე-

<sup>20</sup> ცსა (თბ) ფ. რ. 288, ანაწ. 1, საქ. 299, ფურც. 39.

<sup>21</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. 1, საქ. 1225, ფურც. 11.

ლი მიზეზთაგანი, რომ ტრესტის მიერ დასახული საწარმოო გეგმა გელვინეობის დარგში მხოლოდ 80%-ით<sup>22</sup> შესრულდა. სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა აღნიშნულ პეტროლუმის ავრეთვე ღვინის ბოთლებისა და სხვა ჭურჭლეულის დამზადების საქმე.

საქართველოს მიწსახკომი 1922 წელს იტყობინებოდა, რომ მეტად კრიტიკული მდგომარეობაა შექმნილი ღვინის ბოთლების მზრებ. „თბილისის ღვინის სარდაფი მთავრობისა და სხვა დაწესებულებების მოთხოვნილებით იძულებულია ყოველ დღე გასცეს ასობით და ათასობით ბოთლი ღვინო, კონიაკი და შამპანური და უმეტესი ნაწილი ამ ჭურჭლისა აღარ უბრუნდება სარდაფს—სწორედ იმ დროს, როდესაც მას მოუხსპო საშუალება ბორჯომის შუშის ქარხნიდან საჭირო ოდენობა ბოთლების მიღებისა. უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭო, რომლის განკარგულებაში გადავიდა ეს ქარხანა, კატეგორიულად მოითხოვს ბოთლების სარდაფისათვის მოწოდებისას ნაღდ ფულსა და ისიც იმ პირობით, რომ სამი დღის განმავლობაში მოთხოვნილი ბოთლის რიცხვის ღირებულება წინდაწინვე იქნეს მათზედ გადაცემული და ამავე დროს მიწსახკომს არ ეძლევა ზაზინიდან საჭირო თანხა და არაა საშუალება და უფლება, რომ, მაგალითად, სასურსათო კომისარიატს, ან მთავრობის, ან სამხედრო უწყების ან სხვა მრავალ მოთხოვნილებას უარი უთხრას უფულოდ ან ღვინის ჭურჭლის მიცემაზედ... კომისარიატს არა აქვს თანხა, არც საობრუწო რკინა (რკინის სალტე—ა. ს.), რომ წინანდლის მამულში იოაწყოს კასრების მანქანა“<sup>23</sup>. ამ მიზნით მიწსახკომი მოითხოვდა, რომ ა) უფლება მისცემოდა მიწსახკომს გაეცა სახალხო მამულების ნაწარმოები ყველა დაწესებულებისათვის მხოლოდ ფულზე, ბ) რომ სმუს-ს დაუყოვნებლივ გაეცა განკარგულება ბორჯომის შუშის ქარხნისათვის, რათა ღვინის ბოთლებით პირველ რიგში დაეკმაყოფილებინა მიწსახკომი და გაეცა ავრეთვე სათანადო რაოდენობის კასრებისათვის საჭირო რკინის სალტეები, რომ ამით შესაძლებლობა ჰქონოდა დაეწყოთ წინანდლის მამულში ღვინის კასრების წარმოება.

როგორც მასალებიდან გამოიკვეა, პირველ ხანებში გაძნელებული ყოფილა ყველა ზემოაღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გამოსწორებულა და იმის გა-

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. I, საქ. 296, ფურც. 40.



მო, რომ წინანდლის მამულს მიუღია ზემდგომი ორგანოების შიშითგების საფუძველზე აღნიშნული მასალები, უკვე 1924-ე წელს დაიწყებულა ღვინის კასრების დამზადება. შემდგომ პერიოდში მისი წარმოება უფრო გაცხოველებულა.

თუ როგორი ხასიათი ჰქონდა საქართველოში ღვინის სასარდაფო მეურნეობას, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე კოოპერაციულ საზოგადოებებში 1926 წელს, ამას ადასტურებს შემდეგი ოფიციალური მონაცემები.

ღვინის კოოპერაციული და სახელმწიფოებრივი სარდაფების სია საქართველოში, ღვინის ტევადობის აღნიშვნითა.

სახელწოდება	ტევადობა ვედროებში	საკუთარი არის თუ დაქირა- ვებული	სარ- დაფი	მარანი	ადგილ- მდებარეობა	
<b>კოოპერაციული სარდაფები აღმოსავლეთ საქართველოში</b>						
1	„საქართველოს ღვინო“	80 000	საკუთარი	სარდ.	—	თბილისი
2	„წარმოკავშირი“	150 000	„	„	—	„
3	„საქ. საზ. ვაჭრობა“	30 000	„	„	მარანი	„
4	კოოპ. საზ. „კახეთი“	5 000	„	„	„	სოფ. კარდან.
5	„	3 000	„	—	„	თელავში
6	„კოოპ. საზ. კავშირ.“	5 000	„	—	„	ახაშენი
7	„	4 000	„	—	„	ჩოქლაკში
8	კოოპ. საზ. „წინანდ.“	4 000	„	—	„	წინანდალში
9	კოოპ. საზ. „სარო“	4 000	„	—	„	„
10	კოოპ. საზ. „კონცხი“	5 000	„	—	„	შილდაში
11	კოოპ. საზ. „ვახის მე- ვობარი“	5 000	„	—	„	სოფ. ზემო ზოდა- შენში
12	კოოპ. საზ. „ღვინო“	100 000	„	სარდ.	„	კოლ. ლეჭავჭავიძე.
<b>კოოპერაციული სარდაფები დასავლეთ საქართველოში</b>						
13	კოოპ. საზ. „იმერეთი“	60 000	საკუთარი	სარდ.	—	ზესტაფონი
14	საქ. საზ. ვაჭრობა	50 000	„	„	—	ქუთაისი
		110 000				
<b>სახალხო მამულთა ტრესტის სარდაფები აღმოსავლეთ საქართველოში</b>						
15	„წინანდალი“	450 000	საკუთარი	სარდ.	—	წინანდალში
16	„ნაფარეული“	150 000	„	„	—	ნაფარეულში
17	„მუკუზახი“	200 000	„	„	—	მუკუზახში
18	„ქარდანი“	10 000	„	„	—	ქარდანიში
19	„მანავი“	2 000	„	„	—	მანავში
		812 000				
20	„თბილისის ცენტ. სარდ.“	100 000	„	„	—	თბილისში
21	„მუტრანი“	30 000	„	„	—	მუტრანში
		130 000				

24 ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. 1, საქ. 1338, ფურც. 221.



22	„ვაკევი“ . . . . .	3 000	საკუთარი	სარდ.	—
23	„ვარციხე“ . . . . .	50 000	„	„	—
24	დროებითი ღვინის შე- სანაბი ვარციხეში . . . . .	30 000	„	„	—
25	„საქარა“ . . . . .	5 000	„	„	—
		<u>88 000</u>			

ვარციხეში  
ვარციხეში  
საქარაში

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, 1926 წლის მარტი-სათვის საქართველოში ღვინის სარდაფების რაოდენობა მთლიანად შეადგენდა 25-ს. აქედან სახალხო მამულების ტრესტში შემაჯავალი სარდაფების რიცხვი იყო — 11, ხოლო კოოპერაციული საზოგადოებების სარდაფების რიცხვი—14.

ამასთან სახალხო მამულების სარდაფები იტევდა სულ 1030 ათას ვედრო ღვინოს, ხოლო კოოპერაციული გაერთიანებების სარდაფები 505 ათას ვედროს.

საქართველოს კუთხეების მიხედვით, სახალხო მამულების სარდაფების ღვინის ტევადობა აღმოსავლეთში უდრიდა—942 ათას ვედროს, დასავლეთ საქართველოში—88 ათას ვედროს. კოოპერაციულ გაერთიანებებში აღმოსავლეთ საქართველოს სარდაფები იტევდა 395 ათას ვედროს, ხოლო დასავლეთ საქართველოს სარდაფები 110 ათას ვედრო ღვინოს.

სახალხო მამულების ხაზით ყველაზე დიდი ღვინის სარდაფი იყო აშენებული წინანდალში, სადაც ღვინის ტევადობა 450 ათას ვედრომდე აღწევდა, მუკუზანში—200 ათასს და ნიფარულში—150 ათასს. თბილისის ცენტრალური ღვინის სარდაფი იტევდა 100 ათას ვედრო ღვინოს, ვარციხის სარდაფი — 50 ათას ვედროს და ა. შ. რაც შეეხება კოოპერაციულ სარდაფებს, ამ მხრივ თავისი სიდიდის მიხედვით გამოირჩეოდა „წარმოკავშირი“, რომელსაც 150 ათასი ვედრო ღვინის ტევადობის სარდაფი ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. კოოპერაციულ საზოგადოება „უნიონს“ ჰქონია 100 ათასი ვედრო, ხოლო „იმერეთს“—60 ათასი ვედრო ღვინის ტევადობის სარდაფი და ა. შ.

### გ. სიძნელები ღვინის გასაღებაში

ცნობილია, რომ ღვინის ნორმალური წარმოება და მისი შემდგომი ზრდა-განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული მის შეუფერ-შებელ რეალიზაციასთან. თუ წარმოებულ ღვინოს ბაზარი არა აქვს

და იგი მთლიანად რჩება ქვეყნის შიგნით, ხოლო ქვეყნის მთლიან-  
ნილება უფრო ნაკლებია ვიდრე წარმოება, ცხადია, აღგეგმვა  
მის „ქარბ“ წარმოებას და იგი ბუნებრივი აუცილებლობის  
ხოვს გატანას ქვეყნის გარეთ.

მოცემულ პერიოდში ეს განსაკუთრებით ითქმოდა ქართულ  
ღვინოებზე, რადგან მისი ერთადერთი ბაზარი რუსეთი იყო და, ცხა-  
დია, რომ საქართველოს რუსეთიდან მოწყვეტამ, რაც მოხდა მეწმე-  
ვიკების ბატონობის ხანაში, ხელოვნურად შეაფერხა ქართული ღვი-  
ნოების გატანა რუსეთში, დიდად დაამუხრუჭა მეღვინეობის წარმო-  
ების საქმე ჩვენში და მევენახეობაში არსებული ისედაც კატასტ-  
როფული მდგომარეობა, უფრო მძიმე შეიქმნა.

ჯერ ერთი, ქვეყნის შიგნით შექმნილი მდგომარეობა დიდად აბ-  
რკოლებდა მეღვინეობის განვითარებას; ეს კი, როგორც უკვე ითქ-  
ქვა გამოიხატებოდა იმაში, რომ აღდგენით პერიოდში ძნიშვნელოვ-  
ნად გაიზარდა სასურსათო პროდუქტებზე (პურზე) ფასების დონე,  
ხოლო ღვინის ფასი განუზომლად დაეცა.

ყოველივე ამან ხალისი დაუკარგა მევენახე-მეღვინე გლეხებს,  
რათა მათ ინტენსიურად მოეკიდათ ხელი ამ დარგისათვის და უფრო  
გაბედულად ეწარმოებინათ ბრძოლა მევენახეობაში არსებულ  
დაბრკოლებათა გადალახვისათვის.

მეორე მხრივ, დიდად ძნელდებოდა ამ პერიოდში ღვინის გატა-  
ნა რუსეთში, რადგან მასზე დაწესებული იყო უზომო აქციზი და  
გადიდებული სარკინიგზო ბაჟი.

ერთ-ერთი სპეციალისტი ა. ანდრონიკაშვილი უკვე 1922 წ. 21  
იანვარს თავისი მოხსენებით ბაჩათით მიმართავდა ამის შესახებ სა-  
ქართველოს მიწსახკომს, რომ საქართველოში ღვინოზე დადებული  
აქციზი 5—6-ჯერ აღემატებოდა მის ღირებულებას. „ამას შედე-  
გად ის მოჰყვა, რომ შეწყდა მოსკოვისა და რუსეთის სხვა ბაზარზე  
ღვინოების გაგზავნა, რითაც თვით აქციზის შემოსავალსაც დააკლ-  
და. მაშასადამე, დაასკვნის ავტორი ეს ფორმა ერთი მხრივ, ხელს  
უშლის ჩვენი ღვინის გასაღებას და მეორე მხრივ, ვერ აღწევს რუ-  
სეთის სურვილს ხაზინის შემოსავლის გადიდების შესახებ“.

შემდეგ, განავრძობს ავტორი, ყურადღება მისაქცევია ის ფაქ-  
ტი, რომ რუსეთის ბაზარზე თავისუფლად გაიტანება სამხრეთ რუ-  
სეთის, უკრაინისა და ჩრდილო კავკასიის იაფფასიანი ღვინოები და  
მასზედ მეტად უმნიშვნელო აქციზია დადებული: საჭიროა კი, რომ  
აქციზის ეს ოდენობა განხორციელებული ყოფილიყო საქართველო-



შიც მაგრამ თუ ეს ღონისძიება არ გატარდება და კვლავ გაიღლება, აქციონი იქნება დადებული ქართულ ღვინოებზე, „იგი სურს, შევინაწილო ფერხებს ღვინის გასაყალს შინა ბაზარზედაც და, მაშასადამე, მისი დაპყრობის გამოდგინებას და მელენეობას“<sup>25</sup>.

რაც შეეხება რკინიგზის ტარიფს ღვინოზე, იგი თუ გაანგარიშებული იქნებოდა ომის წინათ არსებული საფასურის მიზეზდით, გამოდიოდა, რომ ეს ტარიფი მაშინ 3—7 ჯერ უფრო ძვირი იყო და ოთხჯერ მეტი თავად ღვინის ადგილობრივ ღირებულებაზე. „მაშასადამე, ნათქვამია იქვე, რომ ჩავიტანოთ ერთი ვედრო ღვინო მოსკოვამდე, საჭიროა აქვე ამისათვის ოთხი ვედრო ღვინო“ გადაეხადათ აქციონი.

გარდა ამისა, ღვინის გასაღების საქმეში ადგილი ჰქონდა სხვა ხასიათის დაბრკოლებასაც. თუ რომელიმე სახელმწიფოებრივი კოოპერაციული ორგანიზაცია ან კერძო პირი დააპირებდა ღვინის გატანას რუსეთში, მას წინასწარ ნებართვა უნდა აეღო რსფსრ-საგან. მეორე მხრივ, სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციები ვალდებული იყვნენ დამზადებული ღვინოები ჩაებარებინათ სარეალიზაციოდ ისეთი საკავშირო ორგანიზაციისათვის, როგორც იყო „გოსვინტორგი (ღვინის სახელმწიფოებრივი კანტორა)“<sup>26</sup>.

სწორედ ამიტომ იყო, რომ კახელი მელენეები, რომლებიც გაურბოდნენ ღვინოზე დადებულ აქციზსა და რკინიგზის მაღალ ფრახტს, ღვინო ფარულად, სახალხო მატარებლით ან ურმებით გაქონდით თბილისში სარეალიზაციოდ. ეს პირობები თავის მხრივ მეტად უწყობდა ხელს ღვინის ფალსიფიკაციასაც.

კახელ მელენეთა გაერთიანება „კავშირთკავშირი“ 1922 წ. 11 მაისს წერდა საქართველოს მიწსახკომს, რომ „მელენეობა შეიქმნა ფისკის მსხვერპლი და თუ ფისკალური საშუალებები არ იქნა შეფარდებული ამ დარგის დღევანდელ ვითარებასთან და შესაძლებლობასთან, მევენახეობა მოისპობა. სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა შორის ერთადერთი ღვინოა რომ იბეგრება და იმავე დროს მას როგორც არაპირველ მოთხოვნის საგანს ნაკლები ღირებულება და გასაყალი აქვს ყველა სხვა ნაწარმოებთან შედარებით“<sup>27</sup>.

25 ცსა (თბ.) ფ. რ.—288, ანაწ. I, საქმე 299, ფურც. 34.  
 26 იქვე.  
 27 ცსა (თბ.) ფ. რ.—288, ანაწ. I, საქ. 341, გვ. 72.

ამავე წერილში აღნიშნულია, რომ: ა) ვენახზე დაწეხებული სადესტინო გადასახადი 16%-ის ოდენობით, იმისდა მიუხედავად, მოსავლიანია მოცემულ წელში ვენახი თუ არა, ბ) რომელიც დადებულია მეტად მაღალი აქციზი; გ) გაზრდილია თანხა ლენის-პატენტზე, დ) აუტანელია სარდაფების საიჯარო ქირა, ე) იმის გამო, რომ გასტრონომებში, მაღაზიებში და რესტორნებში უზომოდ დიდია ღვინოზე დადებული გადასახადები, უკანასკნელნი იძულებულნი არიან აღნიშნული ხარჯების დასაფარავად ღვინოს დაადონ 200—300% ღირებულება, ვ) ადგილი აქვს სხვადასხვა მოულოდნელ გადასახადებს (ნატურალურად და ფულადადაც) და „რაც ყველაზე მძიმე ტვირთია — რკინიგზის ფრაქტა, მეტად გაძნელებული ტრანსპორტის ორგანიზაცია. ყველა ზემოაღნიშნული ხარჯები ზოგი სულ ახალი და ზოგი კი... ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერ მეტია ვიდრე ომის წინა დროისა. მაშინ როცა ღვინის ფასი და მასზე მოთხოვნილება ერთი ორად, ან ერთი სამად ნაკლებია ვიდრე მშვიდობიან დროს“<sup>28</sup> (ხაზგასმა ჩვე-  
ნია — ა. ს.).

რაც შეეხება გარეშე ბაზარს ნათქვამია იქვე, აქ უფრო გაურკვეველ და რთულ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი, რადგან „ღვინო რუსეთში სულ არ მიდის... რუსეთში ასეთი უზომო აქციზის ვედროზე 16 მილიონი მანეთი (ბონის კურსით — ა. ს.) და მეტი დაწესება მოასწავებს იქ ღვინის შეტანის სრულიად აკრძალვას“<sup>29</sup>.

გამომდინარე აქედან, მეღვინეობის ეს კოოპერაციული გაერთიანება მტკიცედ სვამდა საკითხს მიწსახკომის წინაშე რათა: 1. აღძრულიყო შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ღვინოზე დაწესებული აქციზის სრულიად მოსპობის შესახებ; 2. რომ საქართველოს სახკომსაბჭოს დაესვა საკითხი ამიერკავკასიის რკინიგზის წინაშე, რათა გადასინჯული ყოფილიყო ტარიფები; 3. რომ სსრ კავშირის „ნარკომპროდს“ (სასურსათო პროდუქტების სახალხო კომისარიატს) მისცემოდა გარკვეული მითითება, რათა შეეწყვიტა რუსეთში გასატან ღვინოზე 15—25%-ის ნატურით გადახდევინება, რაზედაც აღნიშნულ კომისარიატს ფორმალური უფლება არ ჰქონდა; 4. აღძრულიყო თბილისის აღმასკომის წინაშე საკითხი ღვინოზე არსე-

<sup>28</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანწ. I სპ. 341, გვ. 72.

<sup>29</sup> იქვე, ფურც. 73.



ბული გადასახადების მოსასპობად. კერძოდ, ა) შემცირებულიყო იჯარის ოდენობა ღვინის სარდაფებზე, ბ) თავისუფალი ვაჭრობის წესები მიეცათ რესტორნებისათვის, გასტრონომებისათვის და მკვლევარებისათვის, გ) აკრძალულიყო მოსამსახურე პირების და კერძო მოვაჭრეების მიერ ფარულად—ტიკებით ღვინისა და არყის ზიდვა უფრახტოდ და უაქციზოდ, როგორც რკინიგზით ისე ურემებით და მიეცათ ღვინით თავისუფალი ვაჭრობის უფლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის რუსეთის მასშტაბით.

მიიღო რა მხედველობაში აღნიშნული წინადადება, საქართველოს მიწსახეობმა 1923 წ. 8 მაისის გადაწყვეტილებით შექმნა მევენახეობა-მელვინეობის კომიტეტი, რომელსაც უნდა უზრუნველევო: ა) მელვინეთა და მევენახეთათვის იარაღ-მანქანების, შემწამლავი ნივთიერებების და სხვა საჭირო მასალების შექმნა. ბ) დამუშავება ახალ კანონ-პროექტებისა, გეგმებისა და ინსტრუქციებისა მელვინეობა-მევენახეობის შესახებ, და ღვინის სიყალბის წინააღმდეგ გამოცემული კანონების აღსრულება. გ) კითხვების მოგვარება, რომლებიც შეეხებოდნენ ღვინის შემადგენლობას, ზედამხედველობას, დამზადებას, გატან-გადმოტანას, მოვლასა და დაბეგვრას და იმ კითხვების გადაწყვეტას, რომლებიც დაკავშირებული იყო ფრახტის სააქციზო გადასახადის, სამოქალაქო გადასახადის გადაწყვეტასთან და ა. შ.

საქართველოს მთავრობა, 1921—1926 წლებში არა ერთხელ სვამდა საკითხს რსფსრ-ს სახკომსაბჭოს წინაშე, რათა განეხილათ ეს საკითხი დროზე და მოეგვარებინათ იგი.

1926 წლის თებერვალში ქ. მოსკოვში მოწვეულ იქნა მელვინეთა საკავშირო თათბირი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს ღვინოზე დადებული აქციზის მოხსნის საკითხი. თათბირმა მოისმინა ა. მ. ნ. ს. ბოგდანოვის მოხსენება აღნიშნულ საკითხზე და ერთმანედ გაუსვა ხაზი, რომ გადიდებული აქციზი და მაღალი რკინიგზის ტარიფი, ძალიან უარყოფით გავლენას ახდენენ მელვინეობის შემდგომ განვითარებაზე. ამიტომ თათბირმა მიიღო დადგენილება და შემდეგ იგი გაატარა მთავრობამ, როგორც დირექტივა აქციზისა და რკინიგზებზე არსებული ფრახტის მოხსნის შესახებ, რათა იგი დაყვანილი ყოფილიყო იმ დონემდე, რომელიც არსებობდა ომამდე<sup>30</sup>.

<sup>30</sup> Архив Госплана ГССР, отд. сельск. хоз.-д. № 1, л. 3-



და მართლაც, ამის შემდეგ გავიდა სულ რაღაც ერთი წვე და სსრ კავშირის მთლიან ტერიტორიაზე მოიხსნა როგორც მთლიანად, ისე აქციზი ღვინოზე, ისე მასზე დადებული რეგისტრაციის სისტემა<sup>31</sup>

ამ გარემოებამ უდიდესი როლი ითამაშა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საქმეში როგორც საქართველოში, ისე სსრ კავშირის მასშტაბით.

#### დ) ღვინით კერძო ვაჭრობის ხასიათი

თქმა არ უნდა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ღვინით ვაჭრობის საქმიანობა მთლიანად კერძო პირების ხელში იმყოფებოდა. მაგრამ ეს საქმიანობა ერთბაშად არ შეიძლებოდა გადასულიყო სახელმწიფოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციის ხელში. ამიტომ ღვინით კერძო მოვაჭრეების ხვედრი-წონა სახალხო მეურნეობის მთელ აღდგენით პერიოდში და შემდეგაც მეტად მნიშვნელოვანი იყო.

ოფიციალური მონაცემებით, 1920 წლის ბოლოსათვის მარტო თბილისში 261 ღვინის კერძო სავაჭრო სარდაფი (წერტი) იყო გახსნილი, სადაც გაიყიდა აღნიშნულ წელს სულ 702 510 ვედრო ღვინო<sup>31</sup>.

პირველი დეკრეტი საქართველოში ღვინით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ „რევკომმა“ გამოაქვეყნა 1921 წლის 22 აპრილს (დეკრეტი № 9), სადაც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ღვინით თავისუფალი ვაჭრობა ნებადართულია შემდეგ საფუძველზე:

1. ღვინის ხელზე გაყიდვა შეიძლება კოოპერატივებიდან, სასურსათო დუქნებიდან, ღვინის სარდაფებიდან, მევენახეთა საწყობი-ბიდან, სამიკიტნოებიდან და სხვა.

2. რესტორნებში, ბუფეტებში, სამიკიტნოებში და სხვა ისეთ ადგილებში, სადაც ნებადართულია ღვინის მხოლოდ ხელზე გაყიდვა, ღვინის სმა აკრძალულია.

3. ვაჭრობა მაგარი სასმელებით, მაგალითად, არყით, კონიაკით, ლიჭიორით და სხვა—აკრძალულია<sup>32</sup>.

<sup>31</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. I, საქ. 233, ფურც. 209.

<sup>32</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. I, საქ. 4, ფურც. 7.



ამავე წლის 9 მაისს, საქართველოს მიწსახკომმა მიიღო დებულება ღვინის გაყიდვის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო, რომ წინასწარ ნოს მომხმარებლებზე ყიდის მევენახეთა საწარმოო ამხანაგობები და გამანაწილებელი კოოპერატივები თავისუფლად, დახურულ კურო-ქელში. ყიდვა ნებადართულია აგრეთვე მცირე რაოდენობით საზოგადოებრივ სასადილოებში. ხოლო ღვინის საზღვარგარეთ გატანამ უნდა დაიკავოს საპატიო ადგილი, რისთვისაც მიწსახკომმა უნდა მოახდინოს კერძო მეღვინეების ევროპიზაცია და სახელმწიფოებრივი ღვინის დამზადების გადიდება. უნდა გაიზარდოს მარნები და სარდაფები და კერძო პირებისაგან ყურძნისა და ტკბილის შესყიდვა. ღვინო საზღვარგარეთ უნდა გადიოდეს მხოლოდ საგარეო ვაჭრობის საშუალებით<sup>33</sup>.

მართალია ღვინით ვაჭრობას ფართო მასშტაბით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე განსაკუთრებით საგარეო ბაზარზე (რუსეთსა და უცხოეთში) კერძო მოვაჭრეები არ აწარმოებდნენ, მაგრამ ღვინით კერძო ვაჭრობას მაინც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მთელი 10 წლის განმავლობაში. მაგალითად, 1926 წელს თბილისში არსებულ 659 ღვინით სავაჭრო დაწესებულებიდან 584 იყო კერძო პირების ხელში, ხოლო 74 სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული დაწესებულებების ხელში. ასევე ქ. სიღნაღში 92 ღვინით სავაჭრო დაწესებულებიდან 84 კერძო პირთა ხელში იყო; შესაბამისად: გორში 76-დან — 68, სურამში 89-დან — 82, ახალციხეში 33-დან — 20, ახალქალაქში 11-დან — 9 და ა. შ.<sup>34</sup>.

განსაკუთრებით ძლიერ იყო განვითარებული ღვინით კერძო ვაჭრობა ქ. თბილისში.

საქართველოს ღვინო და მუშკოპის გამგეობა 1928 წლის 18 აპრილს თბილისის აღმასკომის ვაჭრობის გამწესრიგებელ სექციას წერდა, რომ თბილისში 250-მდე ღვინის კერძო სარდაფი არსებობს და მთელი ღვინის ბაზარი თითქმის კერძო მოვაჭრეთა ხელშიაო. მათი მოქნილი აპარატი, მყიდველებისადმი სხვა მხრივ მიდგომა და დინტერესება ჰქმნის ისეთ პირობებს, რომ სამწუხაროდ, მომხმარებელი ჭერჭერობით კიდევ მათი გაველენის

<sup>33</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. I, საქ. 232, ფურც. 25.

<sup>34</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. I, საქ. 1964, ფურც. 68.

ქვეშ არის და ღვინის შექმნისას უპირატესობას კერძო საწარმის ღვინოებს აკუთვნებენ<sup>35</sup>.

შემდეგ აღნიშნულია ამ დოკუმენტში, რომ კერძო ვაჭრობის გადსარგებლობენ ამ გარემოებით და ბევრი მათგანი იღებს გვიან ვაჭრობის ნებართვას და ვაჭრობს ღამით და კვირა-უქმე დღეებშიაც კი. „ეს გარემოება, საგრძნობლად უშლის ხელს თბილისის კოოპერატივების მუშაობას, ამცირებს ვაჭრობას და მის საეჭრო წერტილებში (წერტებში ა. შ.). კოოპერატიული ღვინის გასაღებასო“.

კერძო მოვაჭრეთა ალაგმვა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მათთან კონკურენცია და მომხმარებელთათვის ნამდვილი კოოპერაციული ნაწარმის მიწოდება გაადვილებულიყო, მუშკოობისა და „საქართველოს ღვინოს“ გამგეობა სთხოვდა თბილისის აღმასკომის ვაჭრობის გამწესრიგებელ სექციას, რომ დაუყოვნებლივ აკრძალულიყო კერძო სარდაფებიდან გვიან ღამით და კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობა, რათა ამით საშუალება მოსპობოდათ კერძოებს, დაეწყოთ ბრძოლა კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის<sup>36</sup>.

### ე. „ღვინის კანონის“ შემოღება

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანი მეღვინეობაში, რომელიც ხელს უშლიდა აღდგენით პერიოდში მისი გახვითარების ნორმალურ მსვლელობას და რომელიც აუცილებლად მოითხოვდა მის დროულ გადაწყვეტას—ეს ღვინის ფალსიფიკაციასთან ბრძოლის საკითხი იყო, რომელთანაც უშუალოდ კავშირში იმყოფებოდა ე. წ. „ღვინის კანონის“ შემოღება.

ცნობილია, რომ ღვინის ფალსიფიკაცია—ბუნებრივი ღვინის გაფუჭებას, ყალბი ღვინის დაყენებას, ღვინოში წყლის ან სხვა რაიმე სითხის შერევას ნიშნავს, ნამდვილი ანუ ბუნებრივი ღვინო კი იმას ეწოდება, რაც მხოლოდ ყურძნის წვენიდან კეთდება.

თუმცა მეცნიერებამ, ამბობდა ი. ჭავჭავაძე, უკანასკნელ ხანს ბევრი რამ ახალი აღმოაჩინა, მაგრამ ძნელად თუ ბუნებრივი ღვინის მსგავსი რამ გააკეთოს ადამიანის ხელმა და მისმა ოსტატობამ, ეს იმიტომ, რომ ბუნებრივი ღვინის გემო, სუნის (ბუკეტი) და ჭანის შესახებ კეთილმოქმედება, დამოკიდებულია იმისთანა ნივთიერებაზედ, რომელიც ჭერ ჩვენგან ცნობილი და მიგნებული არ არის. მარ-

<sup>35</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—1147, ანაწ. I, საქ. 29, ფურც. 33—34.

<sup>36</sup> იქვე.



თალია სხვადასხვაგვარი ოსტატობა ღვინის კეთებისა, მაგალითებო შაბტალიზაცია, გალიზაცია, პეტონიზაცია და სხვა აკრძალულია არის, მაგრამ ამ ოსტატობით ნაკეთები სასმელი არ შეიძლება დასაყრდენად მიიღოს, თუ ჭურჭელზედ ზედ წარწერილი არ იქნება, რა გზით არის ნაკეთები. საფრანგეთის კანონები ღვინოში წყლის ჩამატებას ფალსიფიკაციას ეძახიან, ე. ი. ყალბი ღვინის კეთებასა<sup>37</sup>.

საქართველოში წინათ არასოდეს რაიმე მსგავსი რჯულდება (კანონი) არ ყოფილა გამოცხადებული, რადგან იგი საჭირო არ იყო ამისათვის. ღვინის კეთება სხვა საშუალებით ქართველმა მევენახემ არ იცოდა და ძალიან სათაკილოდაც ჩასთვლიდა იგი თუ ყურძნის წვენში რაიმეს ჩაურევდა და გააფუჭებდა მას. მართალია აქა-იქ ადგილი ჰქონდა მსგავს მოვლენას, მაგრამ თუ ვისმე გადაუდგია ასეთი ნაბიჯი, მას „ყოველი ღონისძიება უხმარია, არავეინ შეიტყოსო, ესოდენ სირცხვილად და ცოდვად მიაჩნდა ჩვენში ყველას წმინდა წვენი ბუნებისაგან მოცემულის ყურძნისა წაეწყმინდა და შეებღალა რითიმე თავისგნით ჩამატებით და ჩარევითა... ამ სიფრთხილეს ზნეობითის თვისებებისას, სხვა სიფრთხილედ და შიშიც მოსდევდა, იმიტომ, რომ არც ერთი ვაჭარი, არც ერთი სირაჯი იმისთანა კაცის მარანს არც მიეკარებოდა, ახლოც არ გაუვლიდა, და როცა ამქრობას თავისი ძალა ჰქონდა, შეჰკრავდა კიდევ მარანს, რომ არავის არ გაეჭკანა“<sup>38</sup>.

რა გზითაც და რა საშუალებითაც არ უნდა იყოს ნაკეთები ღვინო, იგი—ამბობს ილია—არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება ნამდვილ ღვინოდ და მას არც რაიმე სარგებლობა მოაქვს ადამიანის ორგანიზმისათვის. რაც შეეხება ნამდვილ ანუ ბუნებრივ ღვინოს, იგი ისეთი სასმელია, რომელსაც მარტო ადამიანი ხმარობს. იმიტომ, როდესაც ამზადებენ მას გასაყიდად, საჭიროა გაისინჯოს მისი თვისება იმის მიხედვით, თუ რა ჯიშის ყურძნიდანაა იგი მიღებული, რა რიგად მოუხდება იგი ადამიანს.

მხოლოდ ბუნებრივი ღვინო უნდა იქნეს გატანილი გასაყიდად, რათა დაეიცვათ ადამიანის ჯანმრთელობა, სწორედ ასეთი ღვინის ერთი ულაპიც კი გამოახალისებს მოხუცსა და გამოაცოცხლებს სწულსა, იგი ღონეს მოუკრებს ზოლმე დაუძლეურებულს და დასუსტებულსა. და ბოლოს სვამდა ილია კითხვას თუ რა ჰხდის ღვინოს

37 ი. კავკავაძე, თხ. ტ. VII, გვ. 85—86.

38 იქვე.

ესოდენ მარგებლად, ესოდენ სასარგებლოდ და იქვე უბასუხებდა:  
„მარტო ყოვლად შემძლებელი, შეუცდომელი, გამობრძმედი...  
ტატი, რომელსაც ბუნება ჰქვია. მარტო ბუნებურის ღვინოსა...  
ესოდენ სიკეთე, ესოდენ მადლი“<sup>39</sup>.

ილია პირველთაგანი იყო საქართველოში, რომელიც ქადაგებდა რომ ქართულ ღვინოს შეეძლო დაეპყრო რუსეთი და იქიდან გაეძე-  
ვებინა ევროპული ღვინოები, თუ ჩვენებური მევენახე-მეღვინე გლე-  
ხი დაამზადებდა ნამდვილ, მაღალი ხარისხის ღვინოს და ამით გაუ-  
წევდა კონკურენციას მათ.

„თუ ჰსურთ, რომ რუსეთის ბაზარში ჩვენმა ღვინომ აღვილი დაიჭიროს და ევროპულს ყალბ ღვინოს აჯობოს და გზა დააცლევინოს, ეს მარტო იმით შესაძლოა მოხდეს, რომ გასამკლავებლად ევროპულს ყალბ ღვინოს ჩვენი მართალი ღვინო პირში წაუფუყნოთ. აქ ჩვენი გამარჯვება უეჭველია იმიტომ, რომ არ არის ქვეყანაზედ კაცი, რომელმაც მართალი ყალბს არ აჯობოს... ყალბი ღვინის კეთებაში ჩვენ ევროპას ვერ დავეწვეით. გასწრობას ვინლა იტყვის. მაშასადამე ერთილა დაგვრჩენია: მართალის ღვინის კეთებას ნუ ვუღალატებთ. ეს რალაც შაბტალიზაცია, გალლიზაციები და სხვა „ციები“ შორს ჩვენგან“<sup>40</sup>.

ამდენად, პირველი კაცი, რომელმაც წამოაყენა საკითხი გასული საუკუნის 80-იან წლებში არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთის მასშტაბითაც, ყალბი ღვინის კეთების წინააღმდეგ და სათანადო ღვინის კანონის შემოღების აუცილებლობის შესახებ—ეს ილია ჭავჭავაძე იყო. იგი 1887 წელს აცხადებდა, რომ საჭიროა დაიდვას კანონი, რომ თუ ღვინოში გარდა ყურძნის წვენიცა რაიმეა გარეული, ან გასაბევერებლად ან საფერავად, ან გასამძლეოდ, ღვინის გამყიდველი ვალდებულია ღვინის ჭურჭელზედ (ბოთლზე თუ კასრზე) დააწეროს ღვინის დაყენების თარიღი და ის თუ რისაგანაა შეზავებული იგი. ასეთი კანონი მოქმედებს გერმანიაში „და რუსეთშიაც მიღებული რომ იყოს, დიდს შემწეობას მისცემს ჩვენებურს ღვინოს“<sup>41</sup>.

მართალია, ი. ჭავჭავაძეს არაერთხელ წამოუყენებია ეს საკითხი გადასაწყვეტად, მაგრამ მისი სიცოცხლის მანძილზე

39 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VII, გვ. 85—86.

40 იქვე, გვ. 144.

41 იქვე, გვ. 145.

რუსეთში მსგავსი რამ კანონი არ გამოსულა. ევროპაში კი თითქმის უველგან მოქმედებდა ამა თუ იმ ფორმით „ღვინის კანონი“.

მაგალითად, როდესაც საფრანგეთში მასიურად იწყებოდა ღვინის კეთება და ნამდვილი ვაზის ღვინოს დაუკარგვეს გასაქალი, — გამწარებული მევენახეები აჯანყდნენ და სულ მილუწ-მოლუწეს ვაჭრების მარნები და სარდაფები. შეშინებული მთავრობა მაშინვე დაფაცურდა და კანონი გამოსცა, რომ სასტიკად დაისჯებოდა ის ვაჭარი, რომელსაც დაუმტკიცებდნენ, რომ მან ღვინო „მონათლა“<sup>42</sup>.

პირველად მეფის რუსეთში ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ოფიციალური კანონი გამოქვეყნდა 1914 წლის 24 აპრილს, სადაც ნათქვამი იყო, რომ ყურძნის წვენიდან დამზადებულ ღვინოში რაიმეს ჩამატება აკრძალულია და ღვინის ბოთლზე თუ სხვა ქურჭლის ეტიკეტზე სავალდებულოა გარკვეული წარწერის გაკეთება იმის შესახებ, თუ რა ფირმისაა ეს ღვინო და რა ადგილასაა დამზადებული, ხოლო ამ კანონის დარღვევისათვის დამნაშავე ისჯება სათანადო კანონით.

ღვინის ამ კანონის მიღებამ თავისთავად უსათუოდ დადებითი როლი შეასრულა რუსეთში და, კერძოდ, საქართველოში ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების საქმეში. მაგრამ პირველმა იმპერიალისტურმა ომმა და შემდეგ გენშევიკების ბატონობამ საქართველოში, ფაქტიურად დაუკარგა ამ კანონს თავისი ძალა და მნიშვნელობა. საერთო ქაოსმა და სახალხო მეურნეობის მოშლილობამ თავისთავად გააუქმა იგი. ღვინის ფალსიფიკაციამ კი თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. სპეკულატორულმა ელემენტებმა მასობრივად მოჰკიდეს ხელი ხელოვნურად ღვინოების დამზადებას და ამგვარად ჩირქი მოსცხეს განთქმული ქართული ღვინის ღირსებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს აღნიშნული გარემოება კვლავ აგრძელებდა თავის მახინჯ ხასიათს და საქართველოს მიწსახკომმა მრავალი ღონისძიება ჩაატარა ამ მიმართულებით, მისი მოსაპობის თვალსაზრისით. იგი უკვე 1921 წლის ბოლოს სპეციალურად სვამს საკითხს ღვინის წარმოების ახალი კანონის შემოღების შესახებ.

1922 წლის 22 აპრილს, მიწსახკომის სპეციალისტი კ. ბერეკამვილი წერდა მიწსახკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას, რომ დღესდღეობით ღვინის შენახვას, მოვლასა და გაყიდვას ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული, რომ ღვინის გაკეთებას, მოვლას და

<sup>42</sup> ვ. კარბელაშვილი, მევენახეთა ამხანაგობის მოქმედება, გვ. 6—7.



შენახვას თავისი წესრიგი აქვს, ღვინის შემადგენლობა დიდი ხანია შესწავლილი აქვს მეღვინეობის მეცნიერულ ქიმიას. ყველაფერ ვფიქრობ ნონებულა ევროპის სახელმწიფოში და დაკანონებულაა და დაკანონებულაა ქველ რუსეთში, საქართველოში და მის ცენტრებში: ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ზესტაფონში და სხვ. ღვინის სარდაფებსა და სავაჭროებში ადგილი აქვს ღვინის ფალსიფიკაციის ფაქტებს, ამიტომ „მიწსახკომი ასეთ მოვლენას ვერ დასტოვებს უკუ-რადღებოდ და უნდა მიიღოს საჭირო ზომები ღვინის ღირსების ბუნებრიობის დასაცავად. ამისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა სანამ ახალი კანონი არ დაწესდებოდა ღვინოზე, მოქმედებდეს ძველი კანონი, რომელიც ვერ არ გაუქმებულა“<sup>43</sup>.

იგივე სპეციალისტი 1922 წლის 6 ივნისს, საქართველოს მაწსახკომის კოლეგიის სხდომაზე აღნიშნავდა, რომ ის კანონი, რომელიც რევოლუციამდე მიღებული იყო რუსეთში და რომელიც მისი ცალკეული ნაკლოვანების გარდა, გარკვეულ დადებით როლს თამაშობდა მეღვინეობის საქმეში, ღვინისათვის ფაქტიურად გაუქმებული არ არის. ღვინოზე გადასახადები კი მეტად დიდია დაწესებული. ასე მაგალითად, სააქციზო უწყება ვედროზე (ბონის კურსით) იღებს 32 ათას მანეთს, გრადუს ღვინის ალკოჰოლზე—10000 მანეთს, სასურსათო კომისარიატი რუსეთში გასაგზავნ ღვინოზე იღებს 25%-ს ნატურით; მევენახეებს ვენახების სივრცის მიხედვით ახდევინებენ ღვინის გარკვეულ რაოდენობას ნატურით და გარდა ამისა, კიდევ სხვა გადასახადები აწევს ღვინოს.

„ყველა ეს, მევენახეობას და მეღვინეობას არათუ განავითარებს, არამედ უკან დასწევს და დასცემს“, თუკი რასაკვირველია არ იქნება საჭირო ზომები მიღებული მის წინააღმდეგ, და არ დავიცავთ ღვინის ბუნებრიობას, რადგან „ფალსიფიკაცია უალრესი მტერია მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისა და მართლაც უკვე შემჩნეულია, რომ საქართველოში ვენახის სივრცე არა თუ ფართოვდება ისეთ კუთხეშიც კი როგორც არის კახეთი... ვენახები ნადგურდება ფილოქსერისაგან და სამაგიერო არ ირგვება. ამასთან, გავრცელებულია ღვინის ფალსიფიკაცია და ეს გარემოება ძირს უთხრის ჩვენს მევენახეობას და ამავე დროს მომხმარებლის ორგანიზმს ავნებს ღვინო ინახება ქალაქებში უსუფთაოდ. ადამიანის ორგანიზმისათვის მხოლოდ მაშინ არის მარგებელი ღვინო, როცა ის გაკეთებულია

<sup>43</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. I, საქ. 541, ფურც. 39.

ყურძნის ტყბილისაგან, სათანადოდ მოვლილია და ჯანმრთელობისათვის გარეშე მანე ელემენტები არ ურევია. ღვინის სუროვარეობა იმ ელემენტების შემადგენლობით, რაც ახლა ბაზარზეა გაყიდვად მდებარეებული შხამავს და სწამლავს ადამიანს, რასაც უნდა მიექცეს უიქველად ყურადღება“<sup>44</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ მიწსახკომის კოლეგიამ დასაბა ღონისძიება ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, შეიმუშავა პროექტი „ღვინის კანონის“ შესახებ, ამავე დროს შექმნა მიწსახკომთან სპეციალური საკონტროლო კომისია, რომელიც გადამჭრელ წინააღმდეგობას გაუწევდა ღვინის ფალსიფიკაციას, მაინც ეს მანე სენი განაგრძობდა თავის საქმიანობას აშკარად თუ ფარულად მთელი წლების განმავლობაში და მის წინააღმდეგ ოფიციალური კანონი ჯერ არ გამოდიოდა.

ღვინის ფალსიფიკაცია ძლიერდებოდა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ და უმთავრესად გარეთ—რუსეთში გატანის შემთხვევაში. ამასთან, ყალბი ღვინის კეთება და გაყიდვა იწყეს არა მარტო ცალკეულმა პირებმა, სპეკულანტებმა, არამედ თვით ზოგიერთმა სახელმწიფოებრივმა ორგანიზაციებმა და კოოპერაციულმა გაერთიანებებმაც.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ვ. კანდელაკი, 1924 წლის 14 იანვარს წერდა საქართველოს სახკომსაბჭოს, რომ რუსეთში, განსაკუთრებით მოსკოვსა და ლენინგრადში „ვინსინდიკატისა“ და „ვინტორგპრავენის“ მიერ დიდძალი ღვინო იყიდება ქართული ღვინის მარკებისა და ფირმის სახელით. „მაგალითად, ხშირად შეხვედებით ბოთლებში ჩასხმულ ღვინოს ეტიკეტით „ნაფარეულისა“ ან „თელიანისა“, რომლის ღირსება სრულიად არ შეეფერება მის სახელწოდებას. ღვინით ვაჭრობის საქმეში საერთაშორისო მიღებული წესით ისეთი ფორმა ფალსიფიკაციისა ყოვლად დაუშვებელია. ეს გარემოება მეტად სცემს და უტეხს სახელს ჩვენი მევენახეების ნაწარმოებს და შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი საზოგადოება.

მაგალითად, ადვილი წარმოსადგენია რა შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს მომხმარებელზე ისეთმა „თელიანმა“, „ნაფარეულმა“ ან „კარდანახულმა“, რომელიც კეთდება ერევნის, ყიზლარის, დონის ან სხვა დაბალი ღირსების ღვინისაგან და სალდება ჩვენი მაღალი მარკის ღვინის სახელით.

<sup>44</sup> ცსა (თბ) ფ. რ. — 288, ანაწ. I, საქ. 541, ფურც. 66.



აქედან ცხადია რა შედეგი მოსდევს ასეთ გარემოებას. ქვემოთ  
ახლა, როდესაც ჩვენი ვენახების მდგომარეობა აუტანელ კრიზისს  
განიცდის, შემოსხენებული ფაქტორები საფუძველს უტარებენ წყლის  
მეურნეობის ნაწარმის გასაღების საქმეს.

მოგახსენებთ რა ამას, ვთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები და  
მიმართოთ წინადადებით, სადაც ჯერ არს, რათა ალაგმული იქნეს  
ის ფირმები, რომელთაც ნება არა აქვთ ჰყიდონ ჩვენი სახელით ღვი-  
ნო და ისარგებლონ ჩვენი ღვინოების დამსახურებული მარკით<sup>45</sup>.

1926 წელს საქარის საცდელმა სადგურმა სპეციალურად ჩაატა-  
რა საექვო ღვინოების მასობრივი ლაბორატორიული შემოწმება.  
შემოწმდა 104 ქაშნიკი, რის შედეგადაც აღმოჩნდა შემდეგი: წყალ-  
გარეული ღვინო აღმოჩნდა 14,4%, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივ-  
თიერებაშერეული აღმოჩნდა 3,8%, დაავადებული სხვადასხვა ავად-  
მყოფობითა და დამძარბული ღვინო შეადგენდა 43,3%-ს, ხოლო  
წმინდა ნატურალური და საღი ღვინო, შეადგენდა 38,5%-ს.

მოჰყავს რა ეს ცნობები, საქართველოს მიწსახკომის სპეციალის-  
ტი ვ. ბიბილაშვილი სწერს მიწსახკომს, რომ „ღვინის კანონის  
უქონლობა შესამჩნევად ხელს უშლის საქართველოს მევენახეობა-  
მეღვინეობის განვითარებას და ღვინის კანონის გამოცემა ფრიად  
საჭიროდ არის მიჩნეული“<sup>46</sup>.

მართლაც, მიწსახკომის მიერ შემუშავებული „ღვინის კანონის  
პროექტი“ განიხილა და დაამტკიცა საქართველოს ცენტრალური აღ-  
მასკომის პრეზიდიუმმა 1926 წლის 6 ნოემბერს. ღვინის ამ კანონში  
ნათქვამი იყო, რომ „ღვინო ეწოდება მხოლოდ ისეთ სასმელს, რო-  
მელიც წარმოშობილია ყურძნის ტკბილის ალკოჰოლში მდებარე  
ქაჭახედ ან უჭაჭოდ“, რომელშიაც რაიმეს ჩამატება ან შერევა აკრ-  
ძალეულია. მთავრობის ნებართვით განსაკუთრებულ შემთხვევაში  
და ექსპორტისათვის სუფრის ღვინოში ალკოჰოლის ჩამატება დაიშ-  
ვებოდა მოცულობით 12<sup>0</sup>-მდე იმ პირობით, რომ ჩამატებული ალკო-  
ჰოლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3<sup>0</sup>-ს.

იკრძალებოდა ღვინოში ან ტკბილში წყლის ჩამატება, ჩამიჩი-  
დან, ქაჭიდან ან თხლეზე დაყენებული ღვინით ვაჭრობა.

ღვინოს უნდა ეტარებინა მხოლოდ მისი წარმოშობის ადგილის  
სახელი. უცხოეთიდან შემოტანილ ღვინოსაც თავისი ქვეყნის სახე-  
ლი უნდა ჰქონოდა.

45 ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. I, საქ. 1082, ფურც. 22.

46\* ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. I, საქ. 1626, ფურც. 220.

უცხოეთის ქვეყნების მსგავსად (მაგ., „მალგა“, „პორტუგალიის“, „შამპანური“) და ა. შ. ქართულ ღვინოებს წინ უნდა დართოდეს სიტყვა „ქართული“, მაგალითად, „ქართული შამპანური“ და სხვა.

კანონი კრძალავდა ღვინოში ჭანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების მიმატებას, როგორცაა საზარინი ან ხელოვნურად დამზადებული ტბილეულობა, ქვანახშირიდან მიღებული საღებავები, ბენზოინი სალიცილი, ბორის სიმჟავე, აზოტი, მჟავანას სიმჟავე და სხვა. იკრძალებოდა ღვინის დაყენების დროს მასში წყლის მიმატება და მისი ამ სახით გასაღება, ასევე ხილიდან დამზადებული წვეინის შერევა ღვინოში. იკრძალებოდა დაავადებული, დამწკლარტებული, გალორწობებული, დამწარებული ღვინოების გასაღება.

ასევე არ შეიძლებოდა ქართული ღვინის უცხო მარკით გასაღება ან ქართული ღვინის შერევა უცხოურ ღვინოში და უცხოეთის ღვინის სახელწოდებით გაყიდვა. ხოლო „თუ საქართველოში დაყენებულ ღვინოს საზღვარგარეთის სახელი ეწოდა, გარკვეულად უნდა აღინიშნოს ეტიკეტზე ღვინის დამზადების ადგილი“. ბოთლებსა და კასრებში ჩამოსხმულ და გასაყიდად გამოტანილ ღვინოს უნდა ჰქონოდა ჭურჭელზე აღნიშნული ღვინის ღირსება—ხარისხთან შეთანხმებული, შესაფერი წარწერა, აგრეთვე მისი დაყენების ადგილი (სვირული, კახური...) და ბოლოს, დადგენილებაში ხაზგასმული იყო, რომ „დამნაშავე პირნი, რომელნიც დაამზადებენ გასაყიდად, შეინახავენ სავაჭრო და სამრეწველო შენობაში, ან გაყიდიან ღვინოს, რომელშიაც შერეულია გარეშე ნივთიერებანი, აგრეთვე დაავადებულ ღვინოებს—მიეცემიან პასუხისგებაში“<sup>46</sup>.

ღვინის ამ კანონის მიღებამ, რომელიც დარჩა შემდეგ უკვე ძალაში, დიდად შეუწყო ხელი ღვინის ფალსიფიკაციასთან ბრძოლისა და საერთოდ, მეღვინეობის განვითარების საქმეს საქართველოში.

აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარების მიზნით საქართველოს მიწსახკომმა შექმნა სპეციალური საკონტროლო ჯგუფი, რომელიც თანახმად მეღვინეობის ინსპექციის მიერ დამუშავებული და მიწსახკომის კოლეგიის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციისა მოქმედებდა რესპუბლიკის მასშტაბით და ამოწმებდა ღვინის ყველა იმ საწარმოს, სარდაფსა და წერტს, რომლებიც ეწეოდნენ ღვინის დაყენებისა და მის რეალიზაციის საქმეს.

მარტო 1927 წ. მეორე ნახევარში, აღნიშნულმა სპეცკონტროლიორის ორმა ჯგუფმა, რესპუბლიკაში შეამოწმა 391 სარდაფი და

<sup>46</sup> ცსა (თბ), ფ. რ. — 288, ან.წ. I, საქ. 1626, ფურც. 224—227.

წერტი. აქედან 16-ს შეუდგინეს ოქმი ღვინის ფალსიფიკაციისა და მათი საქმე გადაეცა პროკურატურას განსახილველად, 150 წერტი მზეცა გაფრთხილება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ წინა წლებში თბილისში არსებობდა 170-მდე ღვინის კერძო წარმოების წერტი, 1927 წლისათვის დარჩა მხოლოდ 100. კერძო სასადილოების რიცხვი კი 75-დან 50-მდე შემცირდა, ხოლო კოოპერაციული სასადილოების რიცხვი 17-დან გაიზარდა 27-მდე. ღვინის კოოპერაციული სარდაფი კი 5-დან გადიდდა 12-მდე<sup>47</sup>. ეს, თავის მხრივ, იმას მოწმობს, რომ კოოპერაციული სექტორი თანდათან გაბატონებულ ადგილს იკავებდა და სდევნიდა კერძო სექტორს, მომავლისათვის კი დასახული იყო ამოცანა, რათა მეღვინეობის საქმე მთლიანად გადასულიყო სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების ხელში და საბოლოოდ განედევნათ ამ დარგიდან კერძო მოვაჭრეები.

<sup>47</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. 1, საქ. 2735, ფურც. 302.

თავი მესამე

მელვინეობა პირველ და მეორე ხუთწლეულში

1. მელვინეობა პირველ ხუთწლეულში

მელვინეობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება საქართველოში იმთავითვე მოითხოვდა მევენახეობის სწორ, სოციალისტურ გზაზე დაყენებას. მაგრამ ამ საქმის ორგანიზაციას დიდად აბრკოლებდა ჩვენი რესპუბლიკის გლეხური მეურნეობის დაქსაქსულ-დაჭეცმა-ცებული მდგომარეობა. ოფიციალური მონაცემებით, 1917 წელს საქართველოში არსებობდა 414 246 გლეხური მეურნეობა, საიდანაც მევენახეობაზე მოდიოდა 134 807 მეურნეობა ანუ მთლიანი მეურნეობის 32,5%. აქედან უმრავლესობას მხოლოდ ღარიბი გლეხობა შეადგენდა, რომელთაც საშუალოდ ვენახის მხოლოდ 0,27—0,36 ფართობი ჰქონდა<sup>1</sup>. ვენახის ასეთი დაჭეცმა-ცემა არ იძლეოდა მექანიზაციის გამოყენებისა და სერიოზული აგროტექნიკური ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას, ეს კი დაბლა სცემდა შრომის მწარმოებლურობის დონეს, ამცირებდა მოსავლიანობას და აუარესებდა ყურძნის ხარისხს, ზრდიდა მის თვითღირებულებას. თავის მხრივ იგი უშუალო გავლენას ახდენდა ღვინის წარმოების დონეზე. ამიტომ აღნიშნული მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებას წვრილ-მევენახე გლეხთა კოოპერირება, მათი კოლმეურნეობებში გაერთიანება წარმოადგენდა.

მაგრამ კოლექტივიზაციის განვითარების ტემპი საქართველოს სსრ მევენახეობის ძირითად რაიონებში მეტად დაბალი იყო. ასე, მაგალითად, 1930 წელს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო რესპუბლიკის ვენახის მთლიანი ფართობის მხოლოდ 9,6% (3924 ჰა), ხოლო 1931 წელს—15,8% (6500 ჰა)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „სტატისტიკური მოამბე“, 1928, № 8, 9 გვ. 66.

<sup>2</sup> ესა (თბ) ფ. რ.—600, ანაწ. 1 საქ. 3400, ფურც. 6.

როგორც სამართლიანად შენიშნავს ბ. ხასია, მრავალწლიან ნარგავთა იხეთ ქვეყნებში, როგორცაა საქართველო და სომხეთი, ერთობ დაბალი იყო კოლექტივიზაციის ტემპი. «აქ გარკვეულწილად თამაშობდა ის, რომ რესპუბლიკაში დაგვიანებით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ მთავარი მიზეზი ის იყო, რომ საქართველოში და ნაწილობრივ სომხეთში, როგორც მრავალწლიან ნარგავთა ქვეყნებში, ძლიერი იყო კერძო მესაკუთრული ტენდენციები. კერძოდ, საქართველო მრავალწლიან კლასიკურ ნარგავთა ქვეყანაა.

საქართველოში ყველაზე მეტი იყო წარმოების საშუალებათა ის მასა, რომლის განზოგადოება უნდა მომხდარიყო. წარმოების საშუალებათა ამ მასაში დიდი ხვედრიწონა ჰქონდა მრავალწლიან ნარგავებს (ვაშს, ხეხილს, და სხვა). ჩვენი აზრით, არსებითად აქ ინასკვებოდა კოლექტივიზაციის დაბალი ტემპების მიზეზები საქართველოში»<sup>3</sup>.

№ 8 ცხრილში მოცემულია კოლმეურნეობრივი მშენებლობის განვითარება საქართველოში სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით (პროცენტობით) 1928—1930 წწ. (იხ. ცხრ. 8).

ცხრილი 8

კოლმეურნეობის მშენებლობის განვითარება საქართველოში ცალკეული დარგების მიხედვით.

წლები	სულ	მარც. კულტ.	ბამბ. კულტ.	თანბაქო	ბოსტანი	მესაქონლეობა	მებაღეობა	მევენახეობა	საი	დანარჩენი კულტურა
1928	100	21,6	—	2,9	0,4	1,5	—	9,6	24,2	39,3
1929	100	57,2	—	5,3	0,9	2,6	2,4	6,4	24,1	1,1
1930	100	60,3	1,4	8,4	0,9	1,9	3,9	6,2	16,2	0,9

როგორც აქედან ჩანს, კოლმეურნეობების განვითარების ტემპი მოცემულ წლებში ყველაზე ძლიერია მარცვლეული კულტურების დარგში. მეორე ადგილი უკავია მეჩაიეობას, ხოლო მომდევნო ადგილი მევენახეობას.

<sup>3</sup> ბ. ხასია, სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში, 1. თბ., 1962, გვ. 166—167.

<sup>4</sup> მასალები საქართველოს სსრ მთავრობისადმი ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის, 1928-29 წწ. და 1929-30 წლებში ტფ. 1931, გვ. 98.



სახალხო შეურთების განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმაში, რომელიც წარმოადგინა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივ მოკომისარიატთან ერთად, ითვალისწინებდა ვენახის გადიდებას 10 758 ჰექტარით, მაგრამ იმის გამო, რომ ერთი მხრივ, ვენახის ახალი ფართობი უნდა გაეშენებინათ, ხოლო, მეორე მხრივ, ძველი (ძობერებული, დაავადებული) ვენახები წყობილებიდან გამოსულიყო, ამიტომ ვენახის მთლიანი ფართობის ზრდა ხუთწლეულში ნავარაუდვე იყო მხოლოდ 322 ჰექტარით, ე. ი. 34 983 ჰა-დან უნდა ასულიყო 35 305 ჰექტარამდე<sup>5</sup>.

ხუთწლიან გეგმაში მეღვინეობის განვითარება წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად (იხ. ცხრ. 9).

ცხრილი 9

მეღვინეობის განვითარების გეგმა საქართველოს სსრ-ში პირველი ხუთწლის მანძილზე<sup>6</sup>

დასახელება	1927-28 წ.	1932-33 წ.	ზრდა %-ით
1. ყურძნის მთლიანი პროდუქცია /ტ/ . . .	160 843	181 230	+ 15,7
2. იგივე ღვინოზე დაღვანით /ტ/ . . .	120 633	139 593	+ 15,7
3. პროდუქციის ღირებულება 1926-1927 წლების ფასებით, (ათას მან.) . . .	34 507,1	40 392,0	+ 15,7
4. ღვინოს საქონლის პროდუქცია /ტ/ . . .	60 316	88 657	+ 38,8
5. ღვინოს გატანა /ტ/ . . . . .	12 654	24 954	+ 97,2

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ:

ა. ღვინოს მთლიანი პროდუქცია რესპუბლიკაში უნდა გაზრდილიყო პირველი ხუთწლეულის განმავლობაში 120 633 ტონიდან 139 593 ტონამდე, ე. ი. ზრდა ხდებოდა 15,7%-ით, 18 960 ტონით.

ბ. წარმოებული ღვინოს ღირებულების ზრდა ნავარაუდვე იყო 34 906,1 ათასი მანეთიდან 40 392,0 ათას მანეთამდე, ანუ 5 485,9 ათასი მანეთით მეტი, ე. ი. ზრდა აქაც გათვალისწინებული იყო იმავე 15,7%-ის ოდენობით.

<sup>5</sup> საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის არქივის ფონდი, № 29, ფურც. 34, 37.

<sup>6</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—288, ანაწ. 1, საქ. 3259, ფურც. 95.



რაც შეეხება ღვინის საქონლური პროდუქციის ზრდას, იგი პირველ ხუთწლეულში ნავარაუდევია იყო 38,8%-ით. კერძოდ, წინა ხუთწლეულში თუ ღვინის საქონლური პროდუქციის ოდენობა რუსეთში იკავია უდრიდა 60 316 ათას მანეთს, ხუთწლეულის ბოლოს, ე. ი. 1932-33 წლებში იგი იზრდებოდა 88 756 ათას მანეთამდე, ე. ი. ზრდა უნდა მომხდარიყო 28 840 მანეთით.

რაც შეეხება ღვინის ექსპორტს—(გატანას), პირველ ხუთწლეულში ნავარაუდევია იყო მისი ზრდა თითქმის ორჯერ: ასე მაგალითად თუ ხუთწლეულის დასაწყისში საქართველოდან გაიტანეს სულ 12 654 ტონა ღვინო, ხუთწლეულის ბოლოს იგი უნდა გაეტანათ 24 954 ტონამდე.

ეს გასაგებია, რადგან, როგორც წინა თავში განხილული საკითხების ანალიზიდან დავინახეთ, რესპუბლიკიდან ღვინის გატანას რუსეთში და სხვა ქალაქებში უკვე აღარ აბრკოლებდა გადიდებული აქციზი და რკინიგზაზე დადებული მაღალი ბაჟი.

პირველ ხუთწლიან გეგმაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი ღვინის სასარდაფო მეურნეობის მოწყობასა და მის გაფართოებას, რადგან მეღვინეობის მეურნეობის რაციონალური მართვა წარმოდგენს სარდაფების კარგად მოწყობის უშუალო შედეგს.

ხუთწლეულის დასაწყისისათვის საქართველოში არსებობდა სულ 14 სარდაფი, რომელთა ტევადობა უდრიდა 1 030 000 ვედროს, აქედან უმეტესი ნაწილი მარნების სახით იყო წარმოდგენილი.

არსებული 14 სარდაფიდან 10 სარდაფი—670 ათასი ვედროს ტევადობით მიეკუთვნებოდა სახალხო მამულების ტრესტს, 3 სარდაფი—230 ათასი ვედროს ტევადობით სოფლის მეურნეობის კოოპერაციას, ხოლო 1 სარდაფი,—30 ათასი ვედროს ტევადობით მიეკუთვნებოდა სახელმწიფოებრივ ორგანოებს.

გარდა აღნიშნული სარდაფებისა, თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც არსებობდა აუარებელი სარდაფები, სადაც დროებით ინახებოდა გასასაღებელი ღვინოები.

მთლიანად არსებული სარდაფები უზრუნველყოფდნენ წარმოებული ღვინის მხოლოდ ერთ მეხუთედ, მეექვსედ ნაწილს. პროდუქციის დიდი ნაწილი კი დატოვებული იყო შესაფერი შენობების გარეშე, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა ღვინის ზშირ გაფუჭებას ამიტომ პირველი ხუთწლიანი გეგმა განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა ორგანიზაციულად სარდაფების მოწყობის საკითხს თავისი მარნებითურთ, სადაც ადგილი ექნებოდა ყურძნის გადამუშავებას.



და ღვინის დაყენებას, როგორც სახელმწიფოებრივ ისე კოოპერატიული ორგანოების მხრივ. ასევე, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ინდივიდუალურ მევენახე-მეღვინე გლეხთა სასარდაფო მეურნეობა კარგად მოწყობის საქმეს.

პირველ ხუთწლიან გეგმაში აღნიშნული იყო, რომ უახლოეს წლებში საჭიროა თუნდაც რესპუბლიკის მეღვინეობის მთავარ რაიონებში მოწესრიგდეს სასარდაფო მეურნეობა.

ხუთწლიანი გეგმით უკვე პირველ წელსვე უნდა აშენებულიყო 5 ახალი ღვინის სარდაფი, აქედან 2—კახეთში 155 ათასი ვედროს ტევადობით, 2—იმერეთში 85 ათასი ვედროს ტევადობით და ერთიც —რაჭაში 25 ათასი ვედროს ტევადობით. სულ 265 ათასი ვედროს ტევადობისა.

მთლიანად საქართველოში, ხუთწლედის განმავლობაში უნდა აშენებულიყო 10 მარანი 420 ათასი და 20 სარდაფი 390 ათასი ვედროს ტევადობისა.

აღნიშნული სარდაფების აშენება გაანგარიშებული იყო იმგვარად, რომ წარმოებული ღვინის ნაწილი მოცემულ წელსვე გასაღებოდა ბაზარზე, ხოლო მისი მეორე, მნიშვნელოვანი ნაწილი დარჩებოდა დასაძველებლად და დასაეარგებლად სარდაფებში.

ხუთწლიანი გეგმის თანახმად ღვინის სარდაფების აშენება და მასზე გაწეული საბსრების გაანგარიშება მოცემულია № 10 ცხრილში:

როგორც ვხედავთ, ხუთწლედის განმავლობაში 10 მარნისა და 20 სარდაფის მშენებლობაზე გათვალისწინებული იყო სულ 1 793 500 მანეთი, აქედან ეს დანახარჯები წლების მიხედვით ასე ნაწილდებოდა:

1928—29 წ.	1929—30 წ.	1930—31წ.	1931—32 წ.	1932—33 წ.	სულ
657 500	209 500	258 250	457 500	211 750	1 799 500

გარდა მარნებისა და ღვინის სარდაფების მოწყობისა, სასარდაფო მეურნეობა ითვალისწინებდა აგრეთვე კასრების შეკეთებასა და ძველ სარდაფში არსებული კასრების ფართო გამოყენებას.



სასაბუჯო შეტყობინებების განყოფილების ყველა საბუჯო სერვისი

წელი	სერვისის სახელი	თანა მარბისა და საბუჯოს ვაჭრის უმარბობის (კვად.)		ბაზილიონი		მარბებისა და საბუჯოს დარბის-ღარი (მარ.)		მარბისა და საბუჯოს მარბის (მარ.)	მარბის დარბის-ღარი (მარ.)	მარბისა და საბუჯოს მარბის (მარ.)
		მარბის	საბუჯო	მარბის	საბუჯო	მარბის	საბუჯო			
1928—29	კარბინის მარბი	100 000	100 000	1	—	100 000	100 000	20 000	113 000	423 000
	სოფ. ვარბი . . .	50 000	50 000	1	2	50 000	100 000	15 000	57 500	222 500
1929—30	არბის მარბი .	60 000	—	1	2	60 000	—	15 000	—	75 000
	სოფ. მარბი . . .	30 000	30 000	1	2	30 000	60 000	10 500	34 500	124 500
1930—31	სოფ. ვარბი . . .	25 000	25 000	1	2	25 000	50 000	15 000	28 750	118 750
	სოფ. მარბი . . .	30 000	30 000	1	2	30 000	60 000	15 000	34 000	129 000
1931—32	ვარბის მარბი .	30 000	60 000	1	2	30 000	120 000	15 000	69 000	234 000
	სოფ. ვარბის-ღარი . .	50 000	50 000	1	2	50 000	100 000	15 000	57 500	222 500
1932—33	სოფ. ვარბი . . .	20 000	20 000	1	2	20 000	60 000	15 000	34 500	129 500
	სოფ. მარბის-ღარი . .	15 000	15 000	1	2	15 000	30 000	10 000	172 500	72 250
	სულ	420 000	250 000	10	20	420 000	780 000	145 000	448 500	1 792 500



პირველ ხუთწლეულში მეღვინეობა-მევენახეობის ხაზით გათვალისწინებული იყო კაპიტალდაბანდებანი შემდეგი ოდენობით (ტენჯილი ცხრ. 11).

კაპიტალდაბანდებათა თანხა მეღვინეობა-მევენახეობაში პირველ ხუთწლეულში<sup>8</sup>

წლები	კაპიტალდაბანდებათა თანხა სულ /მან./	ა ქ ე დ ა ნ	
		სარდაფებისა და მარნების მოწყობა	სათბურების მოწყობა
1928—29	1 594 930	657 500	225 000
1929—30	1 212 540	209 500	175 000
1930—31	1 240 050	258 250	125 000
1931—32	1 561 830	456 500	100 000
1932—33	1 371 090	211 750	100 000
სულ ხუთწლეულში	6 980 140	1 793 500	725 000

ამგვარად, პირველი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა კაპიტალურ დაბანდებს მეღვინეობა-მევენახეობის დარგში 7 მლნ მანეთამდე, ხოლო საკუთრივ სასარდაფო მეურნეობაზე კი გათვალისწინებული იყო 1,8 მლნ მანეთამდე.

პირველი ხუთწლიანი გეგმა მეღვინეობის დარგში ითვალისწინებდა აგრეთვე მეღვინე სპეციალისტების კადრების მომზადება-გადამზადებას როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

გარდა იმისა, რომ იზრდებოდა მეღვინე-სპეციალისტი ინსტრუქტორების საშტატო რაოდენობა ცენტრში (როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში), ნავარაუდები იყო აგრეთვე ხუთწლეულის მანძილზე ყოველწლიურად მევენახეობა-მეღვინეობის რაიონებში სპეციალური კურსების მოწყობა, სადაც გლეხები შეისწავლიდნენ როგორც ვენახის მოვლა-პატრონობის სრულყოფის საკმეს, ისე ღვინის დაყენების (ტექნოლოგია) გაუმჯობესების საკითხებს.

მართალია, პირველი ხუთწლეულის პირველი წელი ძირითადად აღინიშნა ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობით, მაგრამ ეს არ ითქმოდა მევენახეობა-მეღვინეობაზე. თუმცა აღნიშნული პერიოდისათვის უკვე შეჩერებულ იქნა ვენახების შემცირების ტემპი, მისი ახალი ფართობის გაშენების წყალო-

<sup>8</sup> ცსა (თბ) ფ. რ. — 288, ანაწ. I, საქ. 3259, ფურც. 50.



ბით, მაგრამ 1929 წელს ადგილი ჰქონდა საქართველოში კულტურული მატურ პირობებს რის გამოც ყურძნის მეტად დაბადვას მიიღეს, ამდენად არც ყურძნის მიღების და არც ღვინის წარმოების გეგმა არ შესრულებულა.

ასე მაგალითად, აღნიშნულ წელს, ყურძნის ჰექტარობრივმა მოსავალმა მხოლოდ 25 ც შეადგინა, მთლიანი მოსავალი კი რესპუბლიკაში უდრიდა 1 294,3 ათას ცენტნერს. ეს იმ დროს, როდესაც წინა წელს (1928 წ.) ყურძნის ჰექტარობრივი მოსავალი 39,8 ცენტნერს და მთლიანი მოსავალი კი 1 608,4 ათას ცენტნერს უდრიდა, ე. ი. მნიშვნელოვნად მეტს.

მართალია, გაიზარდა ყურძნის მთლიანი მოსავალი ხუთწლედის მეორე წელს, 23,2%-ით, მან 1 539,6 ათას ცენტნერს მიიღწია, მაგრამ იგი მაინც ვერ ავიდა 1928 წ. დონემდე. თუ აღარაფერს ვიტყვით ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებზე.

ღვინის წარმოებამ ამავე წელს 3 072 ათას ვედროს მიიღწია, (აქედან 2 323 ათასი ვედრო მრეწველურ რაიონებში, 450 ათასი ვედრო — ნახევრად მრეწველურ, ხოლო 300 ათასი ვედრო — დანარჩენ რაიონებში).

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, თავის მოხსენებით ბარათში 1930 წელს წერდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ შედარებით ნაკლებად დაკმაყოფილებულია ვენახების აღდგენის საქმე. „ვენახების აღდგენის ტემპი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რის გამოც ჩვენ ვამჩნევთ რამდენიმედ ამ კულტურის ფართობის შემცირების ტენდენციას“<sup>9</sup>.

მაგალითად, თუ 1927—28 წლებში ვენახის მთლიანი ფართობი უდრიდა 35 400 ჰექტარს, 1929—30 წლებში მან 35 100 ჰექტარი შეადგინა, ხოლო ვარაუდით 1930—31 წლებში ვენახის ეს ფართობი იგივე უნდა დარჩენილიყო.

„მევენახეობაში მთელი მუშაობა — ვკითხულობთ აღნიშნულ დოკუმენტში, — უმთავრესად მიმართული იყო ვენახის აღდგენისა და აგრეთვე არსებული ვენახების მავნებლებისაგან დაცვაზე. აღდგენილი ვენახების ფართობი 1927—28 წელს შეადგენს 1 093 ჰექტარს, 1928 წელს — 100 ჰექტარს და 1929 — 30 წელს — 900 ჰექტარს“.

ამერიკული ვაზის სადედეების ფართობის გაშენებაც მოცემულ

<sup>9</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობა საქართველოს კომპარტიის VII ყრილობისას, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ტფ., 1930, გვ. 12.



წლებში მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ასე, მაგალითად 1927-28 წლებში გაშენებული იყო სულ 344 ჰექტარი. 1928-29 წლებში იგი სულ არ გაშენებულა რესპუბლიკაში. 1929—30 წლებში კი გაშენდა მხოლოდ 250 ჰექტარი.

აქვე აღსანიშნავია, რომ 1928-29 წლებში ამერიკული ვაზის საძირეები უცხოეთიდან არ შემოუტანიათ არც ერთი მეტრი, ეს იმ დროს, როდესაც ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა მის შემოტანას 1928—29 წელს 6 მლნ მეტრის რაოდენობით.

მომდევნო 1929-30 წლებში საქართველოში დამზადდა სულ 8 მლნ ცალი ნაძვენი და 5,04 მლნ მეტრი ამერიკული ვაზის საძირე მასალა.

„დამზადებული 8 მილიონ ნაძვენიდან იხარა 3 მილიონ ცალმა, საიდანაც 630 ათასი ცალი გამოიყენა საქართველოს მიწსახეობის საბჭოთა მეურნეობის ტრესტმა, ხოლო 2 370 ათასი განაწილდა კოლმეურნეობებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის საბჭოთა მეურნეობებს შორის. 5 040 ათასი მეტრი ამერიკული საძირე მასალიდან შემდეგ წელს გამოყენებული იყო დამყნობი ნერგების დასამზადებლად 240 ათასი მეტრი, ხოლო დანარჩენი 2 700 ათასი მეტრი გატარდა სათბურში და დაირგა მუდმივ ადგილზე... ამრიგად, პირველი ხუთწლედის მთელ მანძილზე ვენახების აღდგენისა და განვითარების ძირითად შემადგურებელ მიზეზს წარმოადგენდა კვლავ დასარგავი მასალის სიმცირე და ნაძვენის დამზადების სიძნელე“<sup>10</sup>.

ღებულობდა რა მხედველობაში ყოველივე ზემოთქმულ გარემოებას, საქართველოს მეღვინეობის კოოპერაციული კავშირი („საქლვინო“) დარწმუნდა იმაში, რომ მათ მიერ შედგენილი გეგმა 1930 წ. ღვინის დამზადების საქმეში აშკარად კატასტროფის წინაშე იმყოფებოდა და იგი (5 750 ათასი ვედრო) არავითარ შემთხვევაში არ შესრულდებოდა. ამიტომ აღნიშნული ორგანიზაციის გამგეობა მიმართავდა საქართველოს მთავრობას, რომ მიეღო მხედველობაში არსებული ვითარება და ღვინოს დამზადება 5 750 ათასი ვედროდან შეემცირებინა 2 მლნ ვედრომდე.

„საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ—ვკითხულობთ აღნიშნულ მიმართვაში—მიმდინარე (1930 წ. ა. ს.) წელს ღვინის დამზადების საკონტროლო ციფრად მიღებულ იქნა 5 750 000 ვედრო ღვინო:

<sup>10</sup> პროფ. ნ. იაშვილი, მევენახეობის განვითარების დინამიკა საქართველოს სსრ-ში, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ფ. 185, გვ. 87.



აღნიშნული რაოდენობა მიიღეს მაშინვე როდესაც მოსკოვში მეტად კარგი პირობები და მიწსახეობის ვარაუდი ერთ ჰექტარზე 50 ცენტნერს აღემატებოდა.

საკონტროლო ციფრების შედგენისას არ იყო მიღებული მხედველობაში მთელი რიგი პირობებისა, რომლის გამო შემდეგში მოსავლიანობა შემცირდა და ამასთან დაკავშირებით სასაქონლო გამოსავლის მიხედვით შემცირდა დამზადების შესაძლებლობაც<sup>11</sup>.

ამის შემდეგ „საქლენო“ იძლეოდა დეტალურ ახსნა-განმარტებას წამოყენებული მოსახრების დასადასტურებლად.

„ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით—დაასკენიდა „საქლენო“, უნდა ვიგულისხმოთ დამზადებისათვის შესაძლებელ ციფრად არ აღემატოს 2 000 000 ვედრო ლენოსა და ამ რაოდენობამდე დავიდეს რეალური გეგმაც“<sup>12</sup>.

მთავრობამ გაითვალისწინა ყოველივე ეს და დააკმაყოფილა „საქლენოს“ მოთხოვნილება.

მართალია ზუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული საკონტროლო ციფრები არც ვენახის ფართობისა და არც ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისა, პირველი ორი წლის განმავლობაში გეგმა არ სრულდებოდა, მის შესაბამისად არც ლენის წარმოებისა და დამზადების გეგმა შესრულდა, საგრამ მომდევნო 1931—1932 წლებში მდგომარეობა ოდნავ იცვლება:

ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. 31 ოქტომბრის და ა. კ. სამხარეო კომიტეტის 10 დეკემბრის დადგენილებამ საქართველოში მევენახეობა-მელენეობის დარგში შეუწყნარებელი მდგომარეობის შესახებ, რომელმაც დასაბა რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მთლიანად ქართველი ხალხის წინაშე საბრძოლო ამოცანა, აღნიშნული დარგის წინა პლანზე წამოწევისა და არსებული ნაკლოვანებების ძირეულად აღმოფხვრისათვის.

მიიღეს რა მხედველობაში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ისტორიული მნიშვნელობა, რესპუბლიკის მევენახეობისა და მელენეობის დარგში მომუშავე ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა, სამეცნიერო-კვლევითმა წამოწყებებმა და მშრომელმა მევენახე-მელენეებმა, ყოველმხრივ გაშალეს მუშაობა აღნიშნული დარგის წინაწაწევისა და პარტიის დავალებათა დროულად შესრულების

<sup>11</sup> ცსა (თბ) ფ. რ—1147, ანაწ. I, საქ. 388, ფურც. 3.

<sup>12</sup> იქვე. ფურც. 5.

Ընդունված ֆինանսական ներքին կապիտալի և արտերկրյա ներքին

Տեսակ	Բնութագրիչ տիպ	1928 - 1929 թ.		1929 - 1930 թ.			1931 - 1932 թ. ընդունված			
		ընդամենը (լրբ.)	ընդունված	կապիտալի ընդամենը (լրբ.)	ընդամենը (լրբ.)	ընդունված (լրբ.)	կապիտալի ընդամենը (լրբ.)	ընդամենը (լրբ.)	ընդունված (լրբ.)	
Ընդունված	Ներքին	100 000	600 000	700 000	200 000	815 000	1 045 000	800 000	1 280 000	2 150 000
	Արտերկրյա	200 000	200 000	800 000	200 000	620 000	970 000	450 000	1 150 000	1 600 000
	Ներքին	50 000	700 000	790 000	—	—	1 400 000	—	—	—
Ընդունված	Արտերկրյա	185 000	720 000	105 000	200 000	625 000	976 100	—	—	—
				1 897 000	—	—	2 276 100	2 250 000	2 900 000	3 750 000

18 թիվ (193) Գ. Բ. — 1147, հեթ. 1, հիշ. 2812, ԳԵՄԻՆ. 41, 44.

სათვის. ასე, მაგალითად, კოლმეურნეობებში პირველი ხუთწლიანი ბოლოსათვის ვენახის ფართობი უკვე შეადგენს 4 327 ჰექტარს, ანუ მთლიანი ვენახის ფართობის 11%-ს, ხოლო წარმოებულ პროდუქცია (ყურძენი)—15 147 ტ, ანუ მთლიანი პროდუქციის დაახლოებით 10%-ს, საბჭოთა მეურნეობებში ვენახის ფართობმა მიაღწია 1 6454 ჰექტარს, რაც მთლიანი ვენახის ფართობის 4%-ს შეადგენს, ხოლო წარმოებულ პროდუქცია 2,5%-ს, ხოლო ინდივიდუალური მევენახეების ხვედრიწონა, როგორც ვენახის ფართობის მხრივ (86%), ისე წარმოებულ პროდუქციის მხრივ (87%) ჯერ კიდევ დიდი იყო რესპუბლიკაში. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მარტო ერთი წლის განმავლობაში (ე. ი. 1932 წელს, წინა წელთან შედარებით) ვენახის მთლიანი ფართობი ინდივიდუალურ მეურნეობაში შემცირდა 629 ჰექტარი ფართობით, კოლმეურნეობაში იგი გაიზარდა 141 ჰექტარით, ხოლო საბჭოთა მეურნეობაში—172 ჰექტარით.

მართალია, განსაზოგადოებული სექტორის ასეთი ზრდა მეტად ნელი და არაღამაქმყოფილებელი იყო, მაგრამ თავისთავად ეს ფაქტი იმას მოასწავებდა, რომ კოლმეურნეობრივი მევენახეობა და საბჭოთა მეურნეობრივი მევენახეობა, თანდათან იწყებდა ზრდას.

თუ როგორ შესრულდა პირველი ხუთწლიანი გეგმა მეღვინეობის დარგში, რესპუბლიკის მეღვინეობის ისეთი დიდი მეურნეობრივი ორგანიზაციების ხაზით, როგორიც იყო „საქართველოს ღვინო“ და „სამტრესტი“, ამას ადასტურებს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრ. 12).

აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, რომ:

ა. ხუთწლედის პირველ წელს ყურძნის დამზადების გეგმა არაა შესრულებული არც „საქღვინოს“ და არც „სამტრესტის“ ხაზით რაც შეეხება ღვინის დამზადებას, ორივე დასახელებული ორგანიზაციის მიერ გადაჭარბებითაა შესრულებული. ასე მაგალითად, „საქღვინოს“ პირველი ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის გეგმა ითვალისწინებდა 600 ათას ვედრო ღვინის დამზადებას, ფაქტიურად კი დამზადდა 700 ათასი ვედრო, ე. ი. 100 ათასი ვედროთი მეტი. რაც შეეხება „სამტრესტს“, მან 200 ათასი ვედროს ნაცვლად, დაამზადა 720 ათასი ვედრო ე. ი. 3,5-ჯერ უფრო მეტი.

ბ. ხუთწლედის მეორე წლის გეგმა „საქღვინოს“ (შემცირებული ვარიანტით) 1 045 ათასი ვედროს ნაცვლად შესრულებულია 1,4 მლნ ვედრო. „სამტრესტმა“ კი მხოლოდ 100%-ით შეასრულა გეგმა. მთლიანად ორივე ორგანიზაციის მიერ რესპუბლიკაში 1929-30 წლებში დამზადებული იყო 2 376 190 ვედრო ღვინო.

გ. რაც შეეხება 1931—32 წლების ვეგმას, იგი ითვალისწინებდა „საქლეინოს“ ხაზით 2 150 ათას ვედროს, ხოლო „სამტრესტის“ ხაზით—1,6 მლნ ვედრო ღვინის დამზადებას. სულ კი ორივე ვეგმის ნიშნის ორგანიზაციის ხაზით 3 750 ათას ვედრო ღვინის დამზადებას.

მიიღო რა მხედველობაში, საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ ის გარემოება, რომ ეს ორი დიდი ორგანიზაცია ემსახურებოდა ერთსა და იმავე საქმეს, ე. ი. რესპუბლიკაში მეღვინეობის სოციალისტურ საწყისებზე მოწყობის საქმეს, ჩათვალა მიზანშეწონილად მათი გაერთიანება და 1932 წლის აპრილში გამოიტანა სპეციალური დადგენილება პირველის („საქლეინოს“) მეორე ორგანიზაციაში („სამტრესტი“) გაერთიანების შესახებ<sup>14</sup>.

თუ რამდენად დიდი იყო „საქართველოს ღვინოს“ მატერიალურ-ფინანსური მეურნეობა მისი ლიკვიდაციის პერიოდში, ეს ჩანს სალიკვიდაციო კომისიის მიერ შედგენილი ბალანსის მიხედვით (1932 წ. 12 მაისი), რომლის ჯამში მოცემულია შემდეგი<sup>15</sup>.

1. მოძრავი სახსრები სულ—11 895 939 მან. 82 კაპ.
  2. უძრავი „ „ —4 493 817 „ 93 კაპ.
  3. სულ მთლიანად აქტივი —16 389 751 „ 75 „
- აქედან საკუთარ საშუალებათა თანხა შეადგენდა—6 810 580 მ.

46 კ.

1. ნასესხები საშუალებანი — 8 577 290 „96“
2. წმინდა მოგება—1 001 957 „43“
3. სულ პასივი—16 389 751 „75“

ეს ციფრები ნათლად მეტყველებენ, რომ „საქართველოს ღვინოს“ სახით, მეტად მძლავრი მეურნეობრივი ორგანიზაცია შეუერთდა „სამტრესტს“. რომელმაც მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი მეურნეობრივი მოღვაწეობა მეორე ხუთწლეულში.

1932 წლის ბოლოსათვის „სამტრესტმა“ უკვე დაამზადა 103 971,5 ც ყურძენი. მ. შ., 15 351,2 ც საკუთარ მეურნეობებში (14,8%), ხოლო 88 620 ც (85,2%) უშუალოდ გლეხებისაგან შესყიდვის ხაზით.

<sup>14</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საქლეინო“, როგორც დამოუკიდებელი მეღვინეობის კოოპერაციული ორგანიზაცია, კიდევ არსებობდა 1931 წლის სექტემბრამდე, მაგრამ ამის შემდეგ იგი ექვემდებარებოდა უკვე საქართველოს სსრ მთარაგების სახალხო კომისარიატს, რომლის მოღვაწეობა ამ სისტემაში ხანმოკლე (7 თვე) აღმოჩნდა და მალე მოხდა მისი ლიკვიდაცია ე. ი. უკვე შეუერთდა „სამტრესტს“.

<sup>15</sup> ცსა (თბ) ფ. რ.—1147. ანაწ. I. საქ. 388, ფურც. 2.



ამავე წელს „სამტრესტმა“ გადაამუშავა სულ 719 372 დკლ ჯვინო, ხოლო პირველადმა და მეორადმა ქარხნებმა ჩამოსახურებელი დკლ სუფრის ღვინო, 30 845,8 დკლ მარკიანი, 43 455,8 დკლ მარკიანი რეზერვული და 10 313,7 დკლ შამპანური ღვინო, სულ კი 162 778,2 დკლ ღვინო<sup>16</sup>.

## 2. მიღწეობა მიორე ხუთწლიანი

მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას თავისი სპეციალიზაციის მიხედვით, უმთავრესად ტექნიკური და სპეციალური კულტურების ხაზით: არეწველური მეხილეობის, მებოსტნეობის, მევენახეობა-მელვინეობის ხაზით და ა. შ.

მელვინეობა-მევენახეობის დარგში მეორე ხუთწლიანი გეგმა ვარაუდობდა იმ პირობების მაქსიმალურ გამოყენებას, რომელიც ხელს შეუწყობდა მაღალხარისხოვანი ღვინოების, საქმელი ყურძნის და ყურძნის წვენი და მშაღებებს. უნდა დაჩქარებულიყო ვენახის გაშენება ფართო მასშტაბით და აყვანილი ყოფილიყო მისი ფართობი 100 ათას ჰექტარამდე.

დასახული იყო ამოცანა დაეწყო ყურძნის გადამამუშავებელ ახალ საწარმოთა მშენებლობა იმ ანგარიშით, რომ გამოამუშავებულყო მთლიანი ყურძნის მასალის 65—70%.

ყურძნის გადამამუშავების დროს, ხარისხოვანი მელვინეობის რაიონში, მთავარი ყურადღება უნდა მიქცეოდა შემავრებული გასატანი ღვინოების წარმოებას.

რაც შეეხება უალკოჰოლო ყურძნის წვენის დამზადებას, იგი უნდა ჩატეხილიყო ღვინის მრეწველური პროდუქციის 15%-ის ფარგლებში.

ხუთწლიან გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა აგრეთვე მელვინეობის ნარჩენების მაქსიმალურ გამოყენებას.

როდესაც ცალპარაკობთ მელვინეობის დარგში მეორე ხუთწლიან გეგმაზე, საჭიროა ამთავითვე გაკეთდეს შემდეგი შენიშვნა.

მეორე ხუთწლეულში მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარების შესახებ ჩვენ მოგვეპოება ძირითადად ორი პერსპექტიული გეგმა. პირველი—ესაა ამიერკავკასიის მასშტაბით (ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი საგეგმო კომისიის მიერ, ამიერკავკასიის მიწათ-

<sup>16</sup> „სამტრესტის“ 1931 წ. ანგარიშგება, ფ. 4, საქ. 11, ფურც. 6.

მოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად) შედგენილი ხუთწლიანი გეგმა მევენახეობის განვითარების შესახებ, რომელიც ასე თუ ისე უფრო რეალურად ასახავდა საქართველოს მევენახეობის განვითარების პერსპექტივას და მეორე ხუთწლედში ვენახების მთლიანი ფართობის გადიდებას განსაზღვრავდა დაახლოებით 60 ათასი ჰექტარით (ზუსტად 59 540 ჰა).

ამავე დროს შედგენილი იყო მეორე ხუთწლიანი გეგმის მეორე პროექტი მევენახეობის დარგში, რომელიც წარმოადგინა საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივმა საგეგმო კომისიამ, საქართველოს მიწსახკომთან ერთად, რომელიც ითვალისწინებდა მეორე ხუთწლედში ვენახის მთლიანი ფართობის გადიდებას 39 ათასი ჰექტარიდან 100 ათას ჰექტარამდე.

მევენახეობის განვითარების ეს მეორე ხუთწლიანი გეგმა მიიღეს ოფიციალურად. მეორე ხუთწლედის ბოლოს (1937 წ. ბოლოს) კი ვენახების მთლიანმა ფართობმა ჩვენს რესპუბლიკაში მხოლოდ 41 405 ჰექტარს მიაღწია. მაშასადამე, არც ერთი ჩვენ მიერ მოხსენებული ხუთწლიანი გეგმა არ შესრულდა. მით უმეტეს, საქართველოს სახელმწიფოებრივი საგეგმო კომისიისა და მიწსახკომის მიერ შედგენილი გეგმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მევენახეობა-მელვინეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმა, საქართველოს რესპუბლიკაში რამდენჯერმე იყო გადასინჯული და შეცვლილ-შესწორებული ხუთწლედის განმავლობაში. ასე, რომ გარკვეული კორექტირების შეტანა უხდებოდა როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივ საგეგმო კომისიას, ისე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ცალკეულ შემთხვევაში კი მევენახეობა-მელვინეობის ორგანიზაციებსაც.

იმდენად, რამდენადაც მეორე ხუთწლედის პერიოდში და შემდეგაც ჩვენს რესპუბლიკაში ერთადერთი მეურნეობრივი ორგანიზაცია—ეს „სამტრესტი“ იყო, რომლის ხელშიც იყო ძირითადად ღვინის როგორც წარმოების, ისე დამზადებისა და გასაღების საქმიანობა, ამდენად, ჩვენ შეეხებოდა პირველ ყოვლისა „სამტრესტის“ მიერ შედგენილ მეორე ხუთწლიან გეგმას და შემდეგ განვიხილავთ ამ გეგმის შესრულების საკითხებს.

მართალია, უკვე მეორე ხუთწლედში ღვინოს აწარმოებდნენ კოლმეურნეობებიც, მაგრამ მათი (კოლმეურნეობების უმრავლესობასთან ერთად, რომლებსაც თავიანთ საკარმიდამო ვენახის ნაკვეთებზე ყურძნის მნიშვნელოვანი რაოდენობა მოჰყავდათ და აქედან ღვინის

«Հանրային» կույտի կողմից 1923-24 թվականներին հանրային կրթությանը օգնելու նպատակով (1923-24 թ. ԸՄԻՄԸ ԳՐԱԿԱՆ) օգնությունները:

Օգնության անվանումը	Երկրամաս	1923 թ.		1924 թ.		1925 թ.		1926 թ.		1927 թ.		ԸՄԻՄԸ ԳՐԱԿԱՆ
		Երկրամաս	Սոսիալ.	Երկրամաս	Սոսիալ.	Երկրամաս	Սոսիալ.	Երկրամաս	Սոսիալ.	Երկրամաս	Սոսիալ.	
1. Կենտրոն	Սոսիալ. ԸՄԸ	950,0	1 170,0	140,0	1 438,0	300,0	2 349,0	390,0	2 925,0	215,0	3 665,0	245,0
2. Կենտրոնի կենտրոն	«	540,0	11 880,0	600,0	23 300	6 800	14 940,0	750,0	16 500,0	800,0	18 900,0	159,0
3. Կենտրոնական	«	778,3	9 339,6	806,2	20 099	883,0	10 116,0	949,0	11 338,0	1 209,2	15 231,6	163,1
4. Կենտրոն	«	3,4	82,5	3,0	90,1	4,0	133,5	5,0	171,9	5,8	199,4	241,2
5. Կենտրոնի կենտրոն	«	24,0	209,0	40,0	500,0	65,0	812,5	85,0	1 002,5	100,0	1 250,0	416,7
6. Կենտրոնական կենտրոն	«	30,0	480,0	40,0	640,0	50,0	800,0	60,0	960,0	70,0	1 120,0	233,3
3. Կենտրոնական	«	10,0	400,0	15,0	630,0	20,0	840,0	30,0	1 200,0	40,0	1 680,0	400,0
ԸՄԻՄԸ ԳՐԱԿԱՆԻ ԿՈՒՆԻՍՏԱՆԻ ԿՈՒՆԻՍՏԱՆԻ ԿՈՒՆԻՍՏԱՆԻ	—	1484,7	23 672,1	1676,2	26 770,1	1842,0	30 006,0	2129,0	3 4187,4	2 600	42 086,0	178,0

დიდ რაოდენობასაც აყენებდნენ) პროდუქციის (როგორც ყურძნის ისე ლენის) ძირითადი შემსყიდველი მაინც „სამტრესტი“ იყო. ასე, რომ დამზადებული ლენის მაქსიმუმი მის ხელში გადადიოდა. იგი ამას უშუალოდ მრეწველურ და საქონლურ ხასიათს აძლევდა.

„სამტრესტის“ ხაზით შედგენილი მეორე ხუთწლიანი გეგმა, საქართველოში მეღვინეობის განვითარების შესახებ ასე წარმოგვიდგებოდა (იხ. ცხრ. 13.).

მოტანილი მონაცემები ცხადყოფენ, რომ მეორე ხუთწლედში „სამტრესტი“ ითვალისწინებდა მრეწველური მეღვინეობის განვითარებას 178%-ით, კერძოდ, მთლიანი პროდუქცია უნდა გაზრდილიყო 1 484,7 ათასი დკლ-დან (1933 წ.) 2 600,0 ათას დკლ-მდე (1937 წ.), ხოლო ფულადი გამოხატულებით იგი ისახავდა 23 672 112 მანეთიდან, (1933 წ.) 42 086 504 მან-მდე, (1937 წ.) ზრდას.

რაც შეეხება ლენის ცალკეული ტიპების წარმოებას, იგი იზრდებოდა (პროცენტებით) მოცემულ პერიოდში შემდეგნაირად:

სამარჯო ლენოები—315, ტკბილი შემავრებული ლენოები—159,3, ორდინალური ლენოები—163,1, შამპანური ლენო—416,7, შემავრებული ტკბილი ლენოები—233,3, ხოლო ლენის კონცენტრატი—400.

წარმოებული ლენის საქონლური ნაწილი „სამტრესტის“ ხაზით, მეორე ხუთწლედში ნავარაუდევია იყო შემდეგნაირად (იხ. ცხრ. 14).

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, მთლიანი პროდუქციის საქონლური ნაწილის წარმოება მეორე ხუთწლედში „სამტრესტის“ ხაზით უნდა გაზრდილიყო 172,2%-ით, ე. ი. დაახლოებით იმავე ოდენობით, როგორც იზრდება მთლიანად წარმოებული ლენოები მოცემულ პერიოდში.

აქედან სამარჯო ლენოების საქონლური ნაწილის წარმოების ზრდა მეორე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო 34,7 ათას დკლ-დან (1932 წ.) 100 ათას დკლ-მდე (1937 წ.), ე. ი. 285,7%-ით.

ორდინალური ლენოების ზრდა ნავარაუდევია იყო, 163,2%-ით, შამპანურისა—241,7%-ით, შემავრებული ლენოებისა—233,3%-ით, ხოლო ყურძნის წვენის საქონლური ნაწილის დამზადება იზრდებოდა 416,7% და ა. შ.

„სამტრესტის“ ხაზით, მეღვინეობაში შრომის მწარმოებლობის დონის ამაღლება მეორე ხუთწლედში ნავარაუდევია იყო მთლიანად 18,3%-ით. ლენის ცალკეული ტიპების მიხედვით კი იგი ასე გამოიყურებოდა (იხ. ცხრ. 15).

უფლის სკოლების მთლიანების წილის ანგარიშები წინა წლის შედარებით<sup>18</sup>



უფლის სკოლების კატეგორიები		1933 წ.		1933 წ.		1934 წ.		1935 წ.		1936 წ.		1937 წ.		წილი მთლიანობაში წინა წლის შედარებით
		საგურამთო	მთლიანი	საგურამთო	მთლიანი	საგურამთო	მთლიანი	საგურამთო	მთლიანი	საგურამთო	მთლიანი	საგურამთო	მთლიანი	
1. სკოლები	მთლიანად	34,7	408,0	35,0	409,5	60,0	702,0	70,0	819,0	80,0	936,0	100,0	1 170,0	285,7
2. გარეული უფლის სკოლები	"	403,9	8 929,8	540,6	11 690,0	600,0	13 200,0	680,0	14 960,0	750,0	16 500,0	865,0	18 920,0	168,3
3. სახელმწიფო სკოლები	"	418,9	5 036,3	778,3	9 239,6	8 380	10 059,6	842,0	10 116,0	948,0	11 388,0	1 369,3	15 231,6	163,2
4. მშენებელი	"	6,3	10,3	2,4	82,3	2,0	83,1	4,0	137,3	3,0	171,9	3,8	199,4	243,7
5. კერძო უფლის სკოლები	"	4,3	83,3	24,0	300,0	40,0	400,0	65,0	812,5	85,0	1 042,5	100,0	1 250,0	416,7
6. მშენებელი უფლის სკოლები	"	24,4	530,4	30,0	480,0	40,0	640,0	30,0	800,0	40,0	960,0	70,0	1 120,0	233,1
7. კერძო მშენებელი	"	3,7	155,4	30,0	420,0	150,0	630,0	20,0	840,0	30,0	1 200,0	40,0	1 680,0	400,0
სულ		102,2	18 131,8	1 419,7	22 811,6	1 731,0	25 934,7	1 732,0	26 495,0	1 959,0	32 278,4	2 445,1	39 571,0	173,2

<sup>18</sup> ს. ს. ბაბიჯანიძე — გიგ. ანგ. 1, ს. 1620, ფურც. 71.

შრომის მწარმოებლურობის ზრდის გეგმა მეღვინეობაში „სამტრესტის“  
 ზით (1933—1937 წ.)<sup>19</sup>

დასახელება	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	ზრდა %-ით
1 ღვინის გამოშვება (ტ)	17 931,1	23 630,5	30 247,5	38 742,3	47 435,0	—
2. დახარჯება ამასზე სულ (კაცლე)	8 429	10 799	13 106	16 039	18,809	—
3. ერთ კაცლის გამოშვება ზე ხარჯებით (ტ)	21,3	21,9	23,1	24,2	25,2	18,3
4. მუშათა საშუალო რიცხვი (წელიწადში)	281	350	437	535	627	—
5. ერთ მუშაზე მოდიოდა გადასამუშავებლად- საშუალოდ ყურძენი (ტ)	63,8	65,6	69,2	72,3	75,7	18,3

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, შრომისმწარმოებლურობის დონის ზრდა მეღვინეობაში „სამტრესტის“ ხაზით, 1937 წ. წინა 1933 წელთან შედარებით ნავარაუდევია იყო 18,3%-ით.

თუ მაგალითად, ერთ კაცლეზე 1933 წელს უნდა მოსულიყო 21,3 ტ ღვინის დამზადება, 1937 წელს იგი იზრდებოდა 25,2 ტონამდე. ხუთწლეულის პირველ წელს ნავარაუდევია იყო ერთი მუშის მიერ 63,8 ტონა ყურძნის გადამუშავება, ხოლო ხუთწლეულის ბოლოს — 75,7 ტონის, ე. ი. 11,9 ტონით მეტი.

მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე სასარდაფო მეურნეობის მნიშვნელოვან გადიდებას.

ხუთწლეულის დასაწყისში, „სამტრესტის“ ხაზით სულ თუ არსებობდა 21 მარანი, 740 ათასი ვედროს ტევადობით და 9 სარდაფი—675 ათასი ვედროს ტევადობით დასახული იყო ამოცანა, რათა ხუთწლეულის ბოლოსათვის ტრესტის ხაზით აშენებულყო კიდეც 11 ახალი მარანი 2 160 ათასი ვედრო ღვინის სიმძლავრით და 2 დიდი სარდაფი 2 400 ათასი ვედრო ღვინის ტევადობით. ასე რომ, „სამტრესტის“ ხუთწლეულის ბოლოს უნდა ჰქონოდა 32 ღვინის მარანი—2 900 ათასი ვედრ. სიმძლავრით და 11 სარდაფი—3 075 ათასი ვედროს ტევადობით<sup>20</sup>.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ,

<sup>19</sup> იქვე, ფურც. 130—131.

<sup>20</sup> ცსა (თბ) ფ. რ. 631, ანაწ. 1, საქ. 1620, ფურც. 121—122.



გაუკეთა რა ღრმა ანალიზი მევენახეობა-მელენეობაში ჩამორჩენილ მდგომარეობას, რომელსაც ადგილი ხუთწლედის დასაწყისში, დასახა კმედიითი ღონისძიებანი მინი შედგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 4 ნოემბრის და 29 დეკემბრის გადაწყვეტილებანი, საქართველოს კომუნისტური პარტიის IX ყრილობის დადგენილებანი და, ბოლოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ სახკომსაბჭოს 1936 წლის 28 ივლისის ისტორიული დადგენილება—„საქართველოს რესპუბლიკაში მევენახეობისა და ხარისხოვანი მელენეობის განვითარების შესახებ“.

მაგრამ განვიხილოთ პირველ ყოვლისა ის ღონისძიებები, რომლებიც დასახული იყო პარტიისა და მთავრობის მიერ მეორე ხუთწლედის პირველ წლებში მევენახეობა-მელენეობის განვითარების შესახებ ჩვენს რესპუბლიკაში.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 4 ნოემბრის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ „მოუხედავად მევენახეობის განვითარების საქმეში ზოგიერთი მიღწევისა სრულიად საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის 1931 წლის ოქტომბრის 31-ის დადგენილების საფუძველზე მაინც სასოფლო მეურნეობის ამ დარგის განვითარების საქმეში თავი იჩინა ჩამორჩენილობამ და დიდმა ნაკლოვანებამ“<sup>21</sup>.

ასე მაგალითად, 1933 წლის ბოლოსათვის ყვარლის რაიონში გაშენებული იყო კანაფი 1 000 ჰა, ფართობზე. სიღნაღის რაიონში კანაფსა და ბამბას ეკავა 8 200 ჰა ფართობი. ზესტაფონის რაიონში სოიო დათესილი იყო 1 500 ჰა, ფართობზე და ა. შ.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ სერიოზული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მეტად დაბალი იყო ღვინის დამზადების (შესყიდვის) ფასი, 7 მან., ვედროზე. ხოლო ისეთი პროდუქცია, როგორც იყო ჩაი, შაქრის ჭარხალი და სხვა, საქონლიანდებოდა პურიით, ღვინო და ყურძენი კი მოკლებული იყო ამ უპირატესობას.

ყოველივე ეს უდავოდ იწვევდა მელენეობის განვითარების შეფერხებას რესპუბლიკაში და უკარგავდა გარკვეულ სტიმულს მელენე-მევენახე გლეხებს, რათა ინტენსიურად მოეკიდათ ხელი ამ დარგის ფართოდ განვითარებისათვის.

ამიტომ, საქართველოს სახკომსაბჭომ დასახა ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა ძირეულად აღმოფხვრისათვის.

<sup>21</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1933, 16 ნოემბერი, № 263.



1. მოიხსნა მევენახეობის ძირითად რაიონებში კანათ-  
ოს თესვა.

2. შემცირდა და ბოლოს მთლიანად შეწყდა კახეთის რაიონებში  
ბამბის თესვა.

3. გაიზარდა ღვინის დამზადების ფასი ვედროზე 7 მანეთიდან  
12 მანეთამდე, ღვინის ხარისხის შესაბამისად დიფერენცირებულად.

4. შემოღებულ იქნა ღვინისა და ყურძნის დამზადების დასაქონ-  
ლება პურითა და მანუფაქტურით.

5. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რათა ამერიკული ვაზის სა-  
დედე ფართობი 340 ჰექტარიდან (1933 წ.), გადიდებულიყო 800  
ჰექტარამდე (1934 წ.)

6. ჩატარებულიყო ვაზის მყნობა 1934 წელს 1500 ჰექტარ ფარ-  
თობზე და ა. შ.

ამ ღონისძიებების პრაქტიკულად გატარების მიზნით, ჩვენი  
რესპუბლიკაში გაიშალა დიდი მუშაობა მთელი ხუთწლეულის მან-  
ძილზე.

მართალია, ვენახის მთლიანი ფართობი დიდად არ გაზარდილა,  
მაგრამ სამაგიეროდ გაუმჯობესდა ვაზის ნარგავების შედგენილობა  
არა მარტო ჯიშობრივი თვალსაზრისით, არამედ ძველი, მობერებუ-  
ლი, დაავადებული ვაზის განახლებისა და ახალი ფილოქსერაგამ-  
ძლე ამერიკული ვაზით შენაცვლების თვალსაზრისით. ეს კი იმას  
ნიშნავდა, რომ მომავალში ჩვენი ვენახები იქნებოდნენ მთლიანად  
ჯანსაღ საფუძველზე დაყრდნობილნი და მაღალმოსავლიანობის გა-  
რანტიის მომცემნი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოცემულ პერი-  
ოდში სადედე-სანერგე მეურნეობის მდგომარეობა რესპუბლიკაში.  
1937 წ. ნაყენი ლერწმის დამზადებამ (120 ს. მ.) 6 213 ათას ცალს  
ბიალწია. საძირე მასალა კი დამზადდა 4 466 ათასი ცალი (წინააღმ-  
დეგ 3 916 ათასი ცალისა—1937 წ. გეგმით<sup>22</sup>).

ხუთწლეულის პერიოდში თანდათან იზრდებოდა ყურძნის სახელ-  
მწიფოებრივი დამზადების ოდენობა. ასე მაგალითად, თუ 1932 წ.  
დამზადდა 103 971,5 ც ყურძენი, მომდევნო წლებში ცენტნერობით  
იგი ასე გამოიყურებოდა: 1933 წ.—195 954,5, 1935 წ.—128 587,2,  
1936 წ.—174 675, და 1937 წ.—158 398 ცენტნერი, ამის პარალე-  
ლურად გაიზარდა რესპუბლიკაში ღვინის წარმოებაც. თუ 1932 წ.  
წარმოებული იყო სულ 719 372 დკლ ღვინო, მომდევნო წლებში  
მისი ზრდა (დკლ) ასე გამოიხატებოდა: 1933 წ.—1 256 580,9; 1934 წ.

22 „საბჭოთახის“ 1937, განგარიშება, ფ. 1, საქ. 2166, ფურც. 3.



—1 250 602; 1935 წ.—914 999,7, 1936 წ.—1 321 125, 1937 წ.—996 500 დკლ შეადგინა.



ხუთწლედის მანძილზე. ცალკეული წლების მიხედვით მუდმივობაში ჩატარებული მუშაობა ასეთ სურათს გვაძლევს:

ხუთწლედის პირველ (1933) წელს დამზადებული 195 954,5 ც ურძნიდან „სამტრესტის“ საბჭოთა მეურნეობაზე მოდიოდა 15 650,5 ც (8%), ხოლო დანარჩენი 180 304 ც (92%) შესყიდული იყო უშუალოდ მევენახე გლეხებისაგან.

ამვე წელს წარმოებული 1 256,5 ათასი დკლ ღვინიდან (გეგმა ითვალისწინებდა 1 080,2 ათას დკლ-ს) „სამტრესტის“ საბჭოთა მეურნეობაზე მოდიოდა მხოლოდ 104 122,2 დკლ. დანარჩენი 1 152, 378,8 დკლ კი უშუალოდ გლეხებისაგან შესყიდული ურძნიდან დამზადდა (გეგმა ითვალისწინებდა 927 533 დკლ ღვინის მიღებას)<sup>23</sup>.

1933 წ. „სამტრესტმა“ ჩამოასხა სულ 244 050,7 დკლ სუფრის ორდინალური, 19 788,4 დკლ მარკიანი და 54 756,7 დკლ შემაგრებული ღვინო.

როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის გარეთ ამ წელს რეალიზებული იყო სულ 936 970,8 დკლ ღვინო. მათ შორის 451 094,8 დკლ შშრალი, ხოლო 421 663,4 დკლ შემაგრებული ღვინო). 1934 წ. „სამტრესტის“ საბჭოთა მეურნეობის მოსავლიდან მიღებული იყო სულ 168 549 დკლ ღვინო. ხოლო კოლმეურნე და კერძო გლეხებისაგან შესყიდული ურძნიდან კი 1 082 053 დკლ. (გეგმა ითვალისწინებდა 1 141 765 დკლ-ს).

ამ წელს „სამტრესტის“ მიერ ღვინომასალის გამოშვება, ღვინის ცალკეული ტიპების მიხედვით ასეთ სურათს გვაძლევს (იხ. ცხრ. 16).

„სამტრესტის“ ნაწარმოები ღვინომასალა 1934 წ. (დკლ)<sup>24</sup>

ღვინის სახეების დასახელება	გ ე გ მ ა	ფაქტობრივად	შესრულება %-ით
1. სუფრის ღვინო და საკონიაკე მასალა . . . . .	963 400	1 062 200	110
2. შემაგრებული ტიპილი ღვინო . . . . .	146 300	77 350	52
3. მარკიანი ღვინო . . . . .	120 000	120 000	—
4. ტიპილი მასალა პორტვინისათვის . . . . .	66 900	188 170	285
5. საამო . . . . .	30 000	30 000	—
6. სალხინო . . . . .	15 000	14 000	93
7. შამპანურის მასალა . . . . .	10 000	6 000	60
8. სხვა ღვინის მასალა . . . . .	20 000	25 609	125
სულ	1 371 600	1 523 329	111

<sup>23</sup> „სამტრესტის“ 1933 წ. ანგარიშგება, ფ. 1, საქ. 812, ფურც. 6.

<sup>24</sup> „სამტრესტის“ 1934 წ. ანგარიშგება, ფ. 1, საქ. 1055 ფურც. 37.

მაშასადამე, ლეინომასალის გამოშვების გეგმა „სამტრესტის“ 111%-მდე შეასრულა.

1934 წელს „სამტრესტმა“ რეალიზაცია უყო 953 084,3 ათას მან. ლეინოს, რომლის მთლიანი თვითღირებულება 26 420,2 ათას მან. შეადგენდა. საბითუმო გასაცემა თანხის ჯამი 47 280,5 ათას მან., ე. ი. წმინდა შემოსავალი შეადგენდა 20 860,3 ათას მან.

მომდევნო 1935 წ. „სამტრესტის“ გეგმით ნაეარაუდვეი იყო 124 000 ც ყურძნის დამზადება. ფაქტიურად დამზადდა 128 587,2 ც (7 518 ც ლეინის ჩათვლით, რომელიც ყურძენზე გადაიყვანეს) ე. ი. გეგმა შესრულდა 103,6%-ით. ამ წელს ტრესტს უნდა ეწარმოებინა სულ 1 228 483,6 დკლ ლეინო, ფაქტიურად კი გამოშვებული იყო 914 999,7 დკლ, ე. ი. გეგმის მხოლოდ 74,5%. ლეინის ცალკეული სახეების მიხედვით გამოშვება ასეთ სურათს გვაძლევდა: მარკიანი—56 107, ორდინალური—547 549,3, ხოლო ტყბილი შემავრებული—311 343,4 დკლ.

„სამტრესტის“ მეურნეობაში მიღებული ყურძნიდან დამზადებული ლეინის რაოდენობა ამ წელს 66 827,7 დკლ-ს შეადგენდა, ხოლო კოლმეურნე გლეხობისა და ინდივიდუალური მეურნეობის ყურძნიდან დამზადებული 742 891 დეკალიტრს.

„სამტრესტის“ მიერ 1935 წ. მშრალი, მარკიანი და შემავრებული ლეინის რეალიზაციისა და ამონაგები თანხის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მეჩვიდმეტე ცხრილში მოტანილი მონაცემები.

ცხრილი 17

პროდუქციის რეალიზაცია „სამტრესტის“ ხაზით (სისტემის გარეთ) 1935 წ. (ათას მან.)<sup>25</sup>

ლეინის	პროდუქცია ნატურით			ფულადი გამოხატულება			წმინდა შემოსავალი + მოგება - ხარალი		საბითუმო გასაცემის მან. მან.	წმ
	გეგმა	ფაქტიურად	%	გეგმა	ფაქტიურად	%	გეგმა	ფაქტიურად		
1. მშრალი და მარკიანი (დკლ)	764,1	573,1	75	39 975,8	29 225,0	73,3	6 003,8	+ 3 329,0	+55,4	
2. მ. მშრალი	711,7	497,3	69	36 337,3	25 698,3	70,3	4 843,8	+ 3 125,2	+64,5	
2. ტყბ. შემავრ. სულ	464,3	297,8	94	43 163,2	37 800,9	87,5	14 070,0	+10 226,5	+71,9	
	1 228,4	871,0	70	83 138,9	67 025,9	80,0	20 073,8	+13 555,5	+67,5	

<sup>25</sup> „სამტრესტის“ 1935 წ. ანგარიშგება, ფ. 1, საქ. 1399, ფურც. 24, 33, 64.

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ „სამტრესტს“ ღვინის რეალიზაციის არც ნატურალურად და არც ფულადად 1935 წლის გეგმის მიხედვით რეალიზაცია რეალიზაციის შედეგად დასრულდა. მაგრამ პროდუქციის რეალიზაციის შედეგად დასრულდა წმინდა შემოსავალი მეტად დიდ თანხას შეადგენს, იგი 13 555,5 ათას მან. უდრის. ესეც ამ დარგის დიდ რენტაბელობაზე მიგვიჩვენებს.

ხუთწლედის მეოთხე—1936 წ. „სამტრესტის“ მეურნეობრივ მოღვაწეობაში მოხდა ერთგვარი ცვლილებები.

თანამხად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1936 წ. 11 აგვისტოს დადგენილებისა, თბილისში ახლად ჩამოყალიბებულ შამპანკომბინატს გადაეცა „სამტრესტში“ შემავალი საბჭოთა მეურნეობა „ვაჭვევი“, ხოლო მეურნეობა „სალხინო“ გაუქმდა.

ასევე ამ წელს (1 ოქტომბერს) შამპანკომბინატს გადაეცა მუხრანის კომბინირებული საბჭოთა მეურნეობა და ქუთაისის შამპანური ქარხანა. დადგენილებით ლიკვიდაცია უყვეს აგრეთვე თბილისის რექტიფიცირებულ ქარხანას, ხოლო არყის ქარხანა (№3) შეუერთდა კონიაკის ქარხანას.

მთავრობის დადგენილებით (1936 წ. 9 აგვისტო) გააუქმეს აგრეთვე ღვინის დამზადებისა და გასაღების ისეთი მსხვილი ორგანიზაცია, როგორც იყო „უნიონი“ და იგი შეუერთდა „სამტრესტს“.

„სამტრესტის“ მიერ 1936 წ. შედგენილი გეგმა ითვალისწინებდა 174 960 ც ყურძნის დამზადებას (მათ შორის საკუთარი საბჭოთა მეურნეობის ხაზით 21400 ც, ხოლო დანარჩენი 153 560 ც უშუალოდ გლეხებისაგან), ფაქტიურად კი დამზადდა 181 963 ც (მ. შ., საბჭოთა მეურნეობებში 30 852 ც და გლეხებისაგან დამზადდა 151—111 ცენტნერი.

ამ წელს „სამტრესტმა“ 1936 წ. ყურძნის მოსავლიდან დაამზადა 1 321 125 დკლ ღვინო (გეგმა ითვალისწინებდა 1 088 450 დკლ). რეალიზაცია უყო 154 746 დკლ ღვინოს (გეგმა ითვალისწინებდა 125 797,8 დკლ. ე. ი. გადააქარბეს გეგმა 123%-მდე)<sup>26</sup>.

რაც შეეხება ხუთწლედის უკანასკნელ 1937 წელს, იმის გამო, რომ ადგილი ჰქონდა არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს, ყურძნის მოსავლიანობა (განსაკუთრებით კახეთის რაიონებში) მნიშვნელოვნად დაეცა. ამიტომ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 173 490 ც ყურძნისა, დამზადდა მხოლოდ 158 398 ც, ანუ გეგმა შეს-

<sup>26</sup> „სამტრესტის“ 1936 წლის ანგარიშგება ფ. 1, საქ. 1803 ფურც. 100.





დუქციის მთლიანი დანახარჯები (მთლიანი თვითღირებულება) უდრის 21 186 ათას მან., ხოლო მიღებული წმინდა შემოსავლის მთლიანი თანხა +3 636 ათას მან. შეადგენს.

2. მშრალი ღვინის (211 250 დკლ) მთლიანი თვითღირებულება შეადგენს 7 518 ათას მან., ხოლო საბითუმო ფასებით გასაცემი თანხის ჯამი 6 645 ათას მან. ე. ი. 873 ათას მანეთით ნაკლებს. მაშასადამე, მშრალი ღვინის რეალიზაციის შედეგად ტრესტს 1937 წ. უნახავს ზარალი 873 ათასი მან. ოდენობით.

3. ყველაზე მომგებიანია შემავრებული ღვინის წარმოება. მისი რეალიზაციის შედეგად მიღებული წმინდა შემოსავლის თანხამ 2 319 ათასი მან. შეადგინა, ხოლო რენტაბელობის დონემ +26,4%.

ასევე მომგებიანი აღმოჩნდა ამ წელს გაზირებული ღვინო, რომლის რეალიზაციის (42 830 დკლ) შედეგად წმინდა შემოსავლის თანხამ 1 419 ათასი მან. შეადგინა, რენტაბელობის დონემ 50% მიაღწია.

საშუალო რენტაბელობის დონე რესპუბლიკაში „სამტრესტის“ ხაზით 1937 წ. 17,1% შეადგინა, რაც საესებით ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, დაეინახეთ, რომ „სამტრესტი“ მეორე ხუთწლეულში მეტად მრავალმხრივ და ინტენსიურ მუშაობას აწარმოებდა მეღვინეობის დარგში რესპუბლიკის მასშტაბით.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით რესპუბლიკაში 1937 წ. სახელმწიფოს მიერ გამოშვებული თუ იყო სულ 1 020 ათასი დკლ ღვინო, რომლის მთლიანი ღირებულება 53 503 ათას მან. უდრიდა, აქედან „სამტრესტზე“ მოდიოდა 996,5 ათასი დკლ, ანუ მთლიანად რესპუბლიკაში წარმოებულ ღვინის 98%. მაშასადამე, უკვე 1937 წ. ბოლოსათვის ერთადერთი მძლავრი მეურნეობრივი ორგანიზაცია რესპუბლიკაში, რომელიც აწარმოებდა ყურძნის დამზადებას, მის გადამუშავებას ღვინოდ და პროდუქციის რეალიზაციას, როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეშე ეს „სამტრესტი“ იყო.

მაგრამ ხაზგასასმელია, რომ „მეორე ხუთწლეულის დამლევს ღვინის მრეწველობა ჯერ კიდევ არასაკმაოდ იყო განვითარებული და ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის ამ დარგის დიდი ნაწილი კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა წარმოებაზე მოდიოდა“<sup>29</sup>.

<sup>29</sup> საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961, პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, გვ. 233.

თუ რა ადგილი ეკავა მეორე ხუთწლედში კოლმეურნეობები მეორე წარმოებულ ღვინოს საქართველოში, ამას ადასტურებს შემდეგი ცხრილიში მოტანილი შემდეგი მონაცემები.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობების წლიური ანგარიშგების რეზიუმე

ცხრილი 19

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მეორე ხუთწლედში<sup>30</sup>

წლები	ვენახის ფართობი	ღვინოს მოსავლი (ტ) ალკოჰოლური ძირითადი	ღვინოს მოსავლი (ტ) მთლიანი	ღვინის რეალიზაცია /ც/				დაამზადა აზაყი (ც)
				ჩაბარდა სა-ბუნების	გაყიდა კო-ლმეურნეობებში	გაყიდა სა-ბუნების	დაწინააღმდეგა-ბენ	
1933	—	—	—	—	—	—	—	—
1934	—	—	2 368	2 482	—	—	—	626
1935	2 709	74 292	21 713	1 635	—	—	—	1 305
1936	2 460	114 700	57 176	346	5 832	48 731	1 485	4 444
1937	4 558	76 095	38 119	1 073	1 938	33 573	9 140	2 201

აქედან ჩანს, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობები, რომლებიც მისდევდნენ მევენახეობას, იმავე დროს ახდენდნენ კოლმეურნეობებში ღვინის დაყენებას ძველი პრიმიტიული წესით. განსაკუთრებით ეს ითქმის უკანასკნელ (1935—37) წლებზე. მაგალითად 1935 წ. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მიღებული იყო სულ 74 992 ც ყურძენი. აქედან დაყენებული ღვინის რაოდენობა უდრიდა 21 713 ც., 1936 წ. 114 700 ც ყურძენის მთლიანი მოსავლიდან, დააყენეს 57 176 ც., ხოლო 1937 წ. კოლმეურნეობებში მიღებულ 76 095 ც ყურძენიდან—38 119 ც ღვინო.

მართალია, რესპუბლიკაში წარმოებულ ღვინოსთან შედარებით, კოლმეურნეობებში მიღებული ღვინის ოდენობა მეტად უმნიშვნელოა, მაგრამ მოტანილი მონაცემები, ერთი მხრივ, ცხადყოფენ, რომ მეორე ხუთწლედში კოლმეურნეობები, მევენახეობის პარალელურად მისდევდნენ მეღვინეობასაც, რომ მიღებული ყურძენის ჯერ კიდევ დიდ რაოდენობას გადაამუშავებდნენ ღვინოდ, ხოლო, მეორე მხრივ, ღვინის დიდ ნაწილს ანაწილებდნენ უშუალოდ კოლმეურნე-

<sup>30</sup> შედგენილია საქართველოს სსრ კოლმეურნეობების წლიური ანგარიშგების რესპუბლიკური კომისიის მიხედვით.

ეგზე შრომის ანაზღაურების ანგარიშში. ასე მაგალითად 1936 წელს მიღებული ღვინის 85%, ხოლო 1937 წელს 88% განაწილდა კვლევის მეურნეებზე. დანარჩენი უმნიშვნელო ოდენობის ღვინო და მარცხენა ნაწილი სახელმწიფოს, ნაწილი გაიყიდა კოლმეურნეობრივ ბაზარზე და ნაწილიც დარჩა კოლმეურნეობაში გასაყიდად.

კოლმეურნეები კი, როგორც კოლმეურნეობიდან შრომის ანაზღაურების ანგარიშში მიღებულ, ისე საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთებზე მიღებულ ღვინის მნიშვნელოვან ნაწილს „სამტრესტს“ აბარებდნენ.

ერთი კი ცხადია, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მევენახეობისა და მეღვინეობის საქმე მეორე ხუთწლედში ჯერ კიდევ არ იყო დაყენებული ჯეროვან სიმაღლეზე და იგი მეტად ნელი ტემპით ვითარდებოდა.

ძირეული გარდატეხა მეღვინეობა-მევენახეობის განვითარების საქმეში (როგორც კოლმეურნეობების ხაზით, ისე დანარჩენ სექტორებში) მოხდა ს. ა. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ საბკომსაბჟოს 1936 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილების შემდეგ, რომელიც ეხებოდა ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომ განვითარებას.

ეს ისტორიული გადაწყვეტილება ითვალისწინებდა რესპუბლიკის მეღვინეობის ძირითად რაიონებში მაღალ საღვინე ჯიშის ვაზების გაშენებას, 1936 წელს — 670 ჰა ფართობზე, 1937 წელს — 2 830 ჰა ფართობზე და ა. შ.

კერძოდ, ნავარაუდები იყო მაღალხარისხოვან სამრეწველო ღვინოების მისაღებად, ისეთი საღვინე ვაზის გაშენება, როგორიცაა: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ცოლიკაური, კრაზუნა, ალექსანდროული, ოჯალეში და სხვ.

დადგენილება ითვალისწინებდა მარტო ერთი წლის განმავლობაში ამერიკული ვაზის სადგენების აყვანას 753 ჰექტარიდან, (1936 წ.) 1 057 ჰექტარამდე, (1937 წელს), ამასთან ჰექტარ მოსავლიან ფართობზე მიღებული უნდა ყოფილიყო არანაკლები 42 ათასი ცალი ფილოქსერაგამძლე ამერიკული ვაზის 120 სანტიმეტრიანი ნამყენი.

დადგენილება ვარაუდობდა ყურძნის ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდებას 30-40 ც-დან 60 ცენტნერამდე.

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესებულიყო ყურძნის (ევროპული ჯიშის სუფრის, სადესერტო ნატურალური კახური, იმერუ-

ლი სუფრის) ღვინოების ხარისხი და გაფართოებულიყო ნორმალურად დაყენებული ღვინოების გამოშვება (1—3 წელი), დაეცა კერძო კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს—საქართველოში მშენებლობის პრობასთან ერთად, დაემუშავებინა გეგმა ჩვენს რესპუბლიკაში მეღვინეობის სასარდაფო მეურნეობის გაფართოებისა და გაუმჯობესების შესახებ 1937—1940 წლებში.

### შამპანური ღვინის წარმოება

შამპანური მეტად ორიგინალური ღვინის ნაწარმს წარმოადგენს. მას აყენებენ სპეციალური ჯიშის ყურძნისაგან. იგი მიიღება პერმეტულად დაცულ ჭურჭელში მეორადი დუღილის შედეგად. შამპანური ღვინის საშობლოდ საფრანგეთი ითვლება. პირველად იგი შამპანიის რაიონში (შამპანში) დამზადდა 1670 წელს, სახელწოდებაც „შამპანური“, სწორედ იქიდან წარმოსდგა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში არსებობდა ყველა პირობა შამპანური ღვინის დამზადებისა, მეფის რუსეთი სრულიად უყურადღებოდ ტოვებდა მას და იგი უფრო მეტად უცხოეთიდან (საფრანგეთიდან) შემოტანილ მზამზარეულ შამპანურს ეტანებოდა.

საქართველოში შამპანური ღვინის წარმოების პირველი ცდა გასული საუკუნის 40-იან წლებში ჩატარებია ვინმე ლენცს. მას სოფ. რუისპირში (ყახეთი) შამპანურის დასამზადებლად გამოუყენებია ადგილობრივი ყურძნის ჯიშები: რქაწითელი, მწვანე და ანანურა. მაგრამ ამ მხრივ მას წარმატება არ ჰქონია.

მომდევნო პერიოდში, 1876 წ. ქ. ქუთაისში ფრანგ მეღვინე შოტეს აუგია პატარა საარდაფი და დაუწყია იმერული ჯიშის ყურძნიდან (ციცქა, ცოლიკაური, ძველშაევი) შამპანური ღვინის დაყენება. „90-იან წლებში აღნიშნული საარდაფი პრინც ოლდენბურგსკის შეუსყიდია, გაუფართოებია და მზა პროდუქციის რაოდენობა წლიურად 60 000 ბოთლამდე აუყვანია. შამპანურის დასამზადებლად მას იმ დროს რუსეთში მომუშავე სპეციალისტი ტიებო მოუწვევია“<sup>31</sup>. მასვე ქუთაისის მახლობლად შეუძენია საკუთარი ვენახები, სადაც მრავალი ახალი შამპანური ჯიშის ვაზი გაუშენებია. მიღებული ყურძნიდან საუკეთესო შამპანური დაუყენებია და 1900 წელს საქართვე-

<sup>31</sup> 6. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, მეღვინეობა, ნაწ. 11, თბ., 1961, გვ. 247.



ლოს ღვინის გამოფენაზე, მის მიერ დამზადებულ შამპანურს მალა-  
ლი ჯილდო დაუმსახურებია.

შამპანური ღვინის დამზადებისათვის ხელი მოუწოდებდა მისი  
თვე თავად ივ. ბაგრატიონ-მუხრანსკის გასული საუკუნის 80-იან  
წლებში, რომელსაც თავის მამულში წლიურად 20—30 ათასი ბოთ-  
ლი უწარმოებია.

მაგრამ როგორც ითქვა, შამპანური ღვინის დიდი მოთავე საქარ-  
თველოში განთქმული ვაჭარი და კომერსანტი მ. თანაოვი იყო, რო-  
მელმაც მსოფლიო ომის დაწყებამდე მისი დამზადება წლიურად 55  
ათას ბოთლამდე გაზარდა. იგი თავის პროდუქციას ძირითადად პე-  
ტერბურგში, მოსკოვში და რუსეთის სხვა ქალაქებში აგზავნიდა.

სსრ კავშირში შამპანური ღვინის დამზადებას განსაკუთრებული  
უზრადლება მიეცა მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-  
ციის გამარჯვების შემდეგ. საქართველოში კი 1921 წლიდან. მაგრამ  
მისი წარმოება ერთობ ნელი ტემპით მიმდინარეობდა. მას უშვებდა  
მხოლოდ ვარციხის მარანი, მუხრანის საბჭოთა მეურნეობა, ქუთა-  
ისის შამპანური ქარხანა და თბილისის ღვინის № 3 ქარხანა. ამ ქარხ-  
ნებმა 1924 წ. გამოუშვეს 2 000 დკლ, 1930 წ.—2 170 დკლ, 1932  
წელს — 10 313,7 დკლ, 1933 წ.—5 749,4 დკლ, ხოლო 1935 წ.—  
4820 დკლ შამპანური<sup>32</sup>.

გაითვალისწინა რა შამპანური ღვინის წარმოების ფართო შესა-  
ძლებლობა და მისი განვითარების დიდი პერსპექტივები, პარტიამ და  
მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რათა მნიშვნელოვნად გაფარ-  
თოებულყო ეს წარმოება, ხოლო მის დასამზადებლად გაშენებუ-  
ლიყო ახალი—შამპანური ჯიშის ვენახები საქართველოში.

ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ითამაშა სსრკ სახკომსაბჭო-  
სა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. 28 ივლისის  
დადგენილებამ „საბჭოთა კავშირის სადესერტო და სუფრის (მასან-  
დრა) ღვინოების წარმოებისა“ და „საქართველოს რესპუბლიკაში მე-  
ვენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებაში“.

აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებდა უახლეს წლებში  
შამპანური ჯიშების ვენახის გაშენებას 2 600 ჰექტარ ფართობზე.

წლების მიხედვით, მისი გაშენება 1937—40 წწ. ნაეარაუდევო  
იყო შემდეგნაირად<sup>33</sup> (იხ. ცხრ. 20).

<sup>32</sup> ცნობები ამოღებულია „სამტრესტის“ 1930, 1932, 1933 და 1935 წლების  
ანგარიშგებებიდან.

<sup>33</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 1936, 1 აგვისტო.

ჯიშები	მთლიანი გასაშენებელი ფართობი (ჰა)	1937 წ. შემოდგომაზე	1938 წ.	1939 წ.	საქართველოს საქართველოს
პინო-ფრანი . . . . .	1 000	150	250	300	300
შარლონე . . . . .	500	75	100	150	175
ალიგოტე . . . . .	900	75	225	225	375
პინო-ბლანი . . . . .	200	—	75	75	900
ს უ ლ . . . . .	2 600	300	650	750	950

დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „შამპანური ჯიშების (პინო-ალიგოტე) ვენახების გაშენების სტიმულირებისათვის დაწესდეს კოლმეურნეობათა დაკრედიტება ვენახების გასაშენებლად 3 500 მანეთის ოდენობით ერთ ჰექტარზე, ნიადაგის მექანიკური ვზით შემზადების დროს და 4 ათასი მანეთის ოდენობით ჰექტარზე ნიადაგის ხელით შემზადების დროს. მეორე წლის სამუშაოები შამპანური ჯიშების ახლად გაშენებულ ვენახებში დაკრედიტებულ იქნა 600 მანეთის ოდენობით ერთ ჰექტარზე და მესამე წლის სამუშაოები 300 მანეთის ოდენობით ჰექტარზე.

აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებდა შამპანური ჯიშის ყურძენზე დამზადების ფასების მნიშვნელოვან გადიდებას. კერძოდ, თუ საფერავი ჯიშის ყურძენის დამზადების ფასი ტონაზე ითვალისწინებდა 1 200 მან. რქაწითელზე (ურწყავ ვენახებიდან მიღებულ ყურძენზე) 1 000 მან., ხოლო სარწყავ ვენახებიდან მიღებულ რქაწითელზე 900 მან., ნარევისა—800 მან. პინოზე კი დაწესებული იყო 1 800 მან. (ე. ი. ორჯერ მეტი ვიდრე სარწყავ ვენახებში მიღებულ რქაწითელზე). ციცქაზე—1 300 მან.

როგორც ვხედავთ, შამპანურ ჯიშებზე დაწესებული დამზადების ფასები მნიშვნელოვნად აღემატებოდა დანარჩენი ჯიშების ფასებს. ამან კი უდაოდ დადებითი როლი შეასრულა შამპანური ღვინის წარმოების შემდგომი გადიდების საქმეში.

შამპანური ღვინის წარმოებისათვის ხარისხოვანი მასალის მომცემ რაიონებად საქართველოში ითვლება: დასავლეთ საქართველოში ზემო იმერეთი და მისი დასავლეთი ნაწილი—ძირულა-ორჯონიკიძის (ხარაგაული) რაიონები. აღმოსავლეთ საქართველოში კი ქსნის ხეობა, მუხრანის მელვინეობის ცენტრალური პუნქტით.

პარტიისა და მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებების საფუძველზე 1936 წელს საქართველოში დაარსდა შამპანური ღვინის წარმოების კომბინატი, რის საფუძველზეც ავჭალაში აშენდა მწვანე ქარხნები და მარნები მევენახეობა-მელვინეობის რაიონებში.

შამპანურმა ქარხანამ უკვე 1936 წელს აწარმოა 130 ათასი ბოთლი შამპანური. ხოლო მომდევნო 1937 წელს მისი დამზადება გაიზარდა 1 მლნ ბოთლამდე (მთლიანად სსრ კავშირში 1936 წელს დამზადებული იყო 644,7 ათასი ბოთლი, ხოლო 1937 წელს—1 219,9 ათასი ბოთლი შამპანური).

1937 წელს მეორე ნახევარში ავჭალის შამპანკომბინატი იწყებს ქარხნის აშენებას 4 მლნ ბოთლის გამტანუნარიანობით, რომლის პირველი რიგის მშენებლობა დამთავრდა 1939—1940 წლებში, ხოლო მეორე რიგისა კი 1940—1941 წლებში.

ავჭალის შამპანკომბინატს საქართველოს შამპანური ჯიშის თითქმის ყველა მევენახეობის რაიონში ჰქონდა თავისი ქარხანა—მარნები, კერძოდ, ვარციხეში, ვაჭევში და ბორითში (40—40 ათას დკლ-ის ტევადობით). ძირულაში, ხუნევში, ხარაგოულში და სარგვეში (25—25 ათასი დკლ-ის ტევადობით). გორში—20 და კასპში — 15 ათასი დკლ ტევადობით.

უკვე 1938 წლიდან შამპანკომბინატი იწყებს არა მარტო პროდუქციის გამოშვებას, არამედ ღვინომასალის დამუშავებას და ტირაჟქმნილი მასალის დაძველებას.

აღნიშნული ქარხანა თავდაპირველად იწყებს შამპანურის გამოშვებას ბოთლური წესით (ბოთლებში ჩამოსხმული შამპანური ღვინო მასალის 2—3 წლის განმავლობაში სარდაფში დაძველების გზით). მაგრამ იმის გამო, რომ ამ წესით მიღებული პროდუქცია დიდ შრომატევად სამუშაოებთან იყო დაკავშირებული და ძნელდებოდა მისი წარმოების საქმეში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გატარება, ამიტომ ქარხანამ ათთვისა შამპანურის დამზადების მეორე—რეზერვუალური წესიც.

ამ მეთოდით შამპანურის დამუშავების ძირითადი პროცესები ხდება დიდი მოცულობის რეზერვუარებში, სადაც თავისუფლად ხორციელდება წარმოების მთლიანი მექანიზაცია. ასე რომ ავჭალის შამპანური ქარხანა ერთდროულად აწარმოებდა პროდუქციის გამოშვებას, როგორც ბოთლური, ისე რეზერვუალური წესით. მაგრამ

წარმოების ამ მეორე (რეზერვალურმა) მეთოდმა თანდათან უკონკრეტო  
რატესი ადგილი დაიკავა.

„შეიძლება უკვე გადაჭრით ითქვას, რომ რეზერვალურ მეთოდით მიღებული საბჭოთა შამპანური თავისი ხარისხით თითქმის არ განსხვავდება ბოთლური წესით დამზადებული შამპანურისაგან. თბილისის შამპანური ქარხანა, როგორც ტექნიკური დონისა და შამპანურის ტექნოლოგიური გადამუშავების პროგრესული მეთოდებით ისე მწარმოებლურობისა და პროდუქციის ხარისხის მიხედვით ერთ-ერთი პირველთაგანია საბჭოთა კავშირში“<sup>24</sup>.

<sup>24</sup> მ. ასათიანი, უ. ბეროზაშვილი, „შამპანური ღვინის წარმოება საქართველოში“, ვურ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1961, № 7, გვ. 86.

## თავი მეოთხე

### მიღვინეობა მისამი ხუთწლედსა და დიდი სამამულო ომის (1938—1945 წწ.) პერიოდში

#### 1. ღვინის კიბეზილოვის ნაღველის ბაზა მისამი ხუთწლედში

საბჭოთა საქართველოს მეღვინეობის განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა სსრკ სახკომსაბჭოს და საჯ. კ პ (ბ) ც.კ.-ის 1936 წ. 28 ივლისის ცნობილმა დადგენილებამ მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების შესახებ ჩვენს რესპუბლიკაში.

ამ დადგენილების საფუძველზე გაიშალა სერიოზული მუშაობა როგორც ღვინის მრეწველობის ნედლეულის ბაზის განმტკიცების, ისე მეღვინეობაში ტექნოლოგიური პროცესების ნორმალური წარმოების საფუძველზე გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მიღებული ღვინოებიდან დაიწყო ყოველწლიურად დიდი რაოდენობით მარაგის გამოყოფა დასაძველებლად (სარდაფის ნორმალურ პირობებში—განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში) და მისი შენახვისათვის სათანადო პირობების მომზადება. ყოველივე ამან მტკიცე საფუძველი შეუქმნა ღვინის წარმოების რაციონალურ ორგანიზაციას რესპუბლიკაში და მაღალხარისხოვანი ყურძნის ღვინით, შამპანურითა და კონიაკით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფას.

აღნიშნული წარმატების მიღწევა კი პირველყოვლისა გაპირობებული იყო ღვინის მრეწველობის ნედლეულის ბაზის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებით.



ზემოაღნიშნულ დადგენილების საფუძველზე ფართოდ გავრცელებულია მუშაობა რესპუბლიკის მევენახეობის რაიონებში ახალი ვენახების გასაშენებლად. კოლმეურნეობებს—როგორც ითქვამს, მათი მატერიალური დაინტერესების მიზნით მიეცათ დიდძალი გრძელვადიანი კრედიტი საღვინე ვაზის გასაშენებლად. მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე ყურძნის სახელმწიფოებრივი დამზადების ფასები. გაუმჯობესდა ამერიკული ვაზის საღვინე-სანერგე მეურნეობა<sup>1</sup>.

1935 წ. რესპუბლიკაში დამზადებული იყო სულ 8 მლნ ცალი ნამყენი და 1937 წ.—18 მლნ, უკვე 1939 წ. დამზადებულ იქნა 40 მლნ ცალი.

დიდი ამოცანები დაისახა მევენახეობა-მეღვინეობის დარგში სახალხო მეურნეობის განვითარების შესამე (1938—1942 წწ.) ხუთწლიანი გეგმით. ამ გეგმით ნავარაუდევია იყო ვენახის ახალი ფართობის გაშენება 25 050 ჰა ფართობზე ე. ი. 24 ათასი ჰექტარი გაშენებული უნდა ყოფილიყო ტექნიკური და ხარისხიანი ჯიშის ვაზით.

ხუთწლელი ითვალისწინებდა შამპანური ჯიშის ვაზის გაშენებას 2 544 ჰექტარზე, აქედან 1938 წ.—525 ჰა, 1939 ჰა, წ.—320 ჰა, 1940 წ.—640 ჰა, 1941 წ.—652 ჰა, ხოლო 1942 წ.—470 ჰექტარს<sup>2</sup>.

ხუთწლედში ამერიკული ვაზის ნამყენი გაშენებული უნდა ყოფილიყო 26 885 ჰა ფართობზე, მ. შ. 1938 წ.—3 579 ჰა, 1939 წ.—3 718 ჰა, 1940 წ.—5 755 ჰა, 1941 წ.—6 848 ჰა, 1942 წ.—10 985 ჰექტარზე.

გეგმით აღნიშნულ ფართობებზე მიღებული უნდა ყოფილიყო ნამყენი (ათას ცალ.) 1938 წ.—37 560, 1939 წ.—37 075, 1940 წ.—52 755, 1941 წ.—56 808, 1942 წ.—90 390.

თუ 1935—1936 წწ. სანერგეებში პირველხარისხოვანი ვაზის ლერწმის გამოსავლიანობა საშუალოდ 30%-ს უდრიდა, ხუთწლედის ბოლოს იგი გადიდებული უნდა ყოფილიყო 50%-მდე.

მაშასადამე, ხუთწლედის ბოლოს ნავარაუდევია იყო ნამყენი ვაზის მიღება 90,3 მლნ ცალის ოდენობით, რომლის საშუალო გამოსავლიანობა (50%-ის ვარგისობით) 45,15 მლნ ცალი უნდა ყოფილიყო. ნამყენის ეს რაოდენობა საესეებით საკმარისი იქნებოდა იმისა-

<sup>1</sup> აქ და ამის შემდეგ (ე. ი. 1938 წლიდან) ყველგან ფულადი მაჩვენებლები გადაანგარიშებული ვაჭკვს 1961 წ. 7 იანვრის შემდეგ დადგენილი მანეთის ახალი კურსის მიხედვით.

<sup>2</sup> საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს არქივი, ფ. 4, ანაწ. I, საქმე 133, ფურც. 26.

თვის, რომ საბოლოოდ ხელი აგველო უცხოეთიდან შემოტანას და საკუთარი ნერგებით გაგვეშენებინა ახალი ვენახები.

მესამე ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად, სსრკ სახკანსპეკსთან არსებული ეკონომიკური საბჭოს 1938 წ. 28 მაისის დადგენილებით, საქართველოს სსრ მეღვინეობის სპეციალიზაცია უნდა მომხდარიყო შემდეგი მიმართულებით. მეღვინეობის ძირითად რაიონში—კახეთში—ახალ ფართობებზე გაშენებული უნდა ყოფილიყო შემდეგი მრეწველური ჯიშის ვაზი: „რქაწითელი“, „საფერავი“, „მწვანე“, „კახური“, „ხიხვი“ და სხვა, რომლებიც მოგვემდნენ ხარისხოვან სუფრის ღვინოებს, შემაგრებულ სასმელებსა და კონიაკებს. იმერეთში შამპანურის, სუფრისა და შემაგრებული ღვინოების მისაღებად უნდა განვითარებულიყო ჯიშები: „პინო-ფრანი“, „შარდონე“, „ალიგოტე“, „ციცქა“, „კრახუნა“, „ცოლიკაური“, „ოცხანური“ და სხვ. ქართლში და სამხრეთ ოსეთის ავტ. რესპუბლიკაში შამპანურისა და სუფრის ღვინის წარმოებისათვის უნდა გაშენებულიყო ძირითადად „ალიგოტე“, „პინო-ფრანი“, „შარდონე“, „საფერავი“, „ჩინური“, „გორული მწვანე“ და სხვ. ბორჩალოს რაიონში სუფრის ღვინისა და კონიაკის მისაღების მისაღებად საჭირო იყო ადგილობრივი ჯიშის ვაზის ფართოდ დანერგვა, აგრეთვე „რქაწითელი“, „სარი-საჩახი“, „რუნდ-ვეისი, „ფოლ-ბლანში“ და „საფერავი“. რაჭა-ლეჩხუმში სუფრისა და ნახევრად ტკბილი ღვინოების მისაღებად უნდა გაფართოებულიყო „უსახელოური“, „მუნჯერეთული“, „ალექ-სანდროული“, „წულუკიძის თეთრა“. სამეგრელოში სუფრის ღვინოებისათვის—„ცოლიკაური“ და „ოჯალეში“. გურიაში სუფრის ღვინოებისათვის—„ჩხავერი“ და „ოჯალეში“. აფხაზეთის ასსრ-ში სუფრის ღვინოების მისაღებად „ცოლიკაური“, „კაკიჭი“, „ავასარხვა“. აჭარის ასსრ-ში სუფრის ღვინოების დასაყენებლად — „ჩხავერი“, „ცოლიკაური“ და სხვა ჯიშები.

რაიონების მიხედვით მესამე ხუთწლედში ვენახის ახალი ფართობი უნდა გაშენებულიყო: კახეთში—8 700 ჰა, ქართლსა და სამხრეთ ოსეთში—2 935 ჰა, ბორჩალოს, ლუქსემბურგის (ბოლნისი) და ყარაიზის (გარდაბანი) რაიონებში—2 080 ჰა, იმერეთში—6 297 ჰა, რაჭა-ლეჩხუმში—850 ჰა, სამეგრელოში—1 650 ჰა, გურიაში—733 ჰა, აფხაზეთის ასსრ-ში —1 538 ჰა და აჭარის ასსრ-ში—197 ჰექტარი.

მესამე ხუთწლიანი გეგმით კახეთში „საფერავის“ ნარგავების ზრდა უნდა მომხდარიყო 12-დან 36%-მდე (ზრდა სამეგრე), რაც სსრკ მასშტაბით იძლეოდა საუკეთესო წითელ ღვინოებს. ასევე განზრახუ-



ქართული სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ლი იყო განმტკიცებულიყო ნედლეულის ბაზა ნახევრად ტყეების  
ღვინოების მისაღებად რაჭა-ლეჩხუმში—„ალექსანდროულის“ ჯიშის  
ნარგავების გადიდების ხარჯზე.

ხუთწლიანი გეგმით ადგილობრივ სათბურებში მიღებული  
და ყოფილიყო (ჯიშების მიხედვით ათას ცალით) „რაქაწითელი“  
14 400, „საფერავი“—9 400, „მწვანე“—2 700, „გორული მწვანე“—  
1 620, „ცოლიკაური“—14 550, „ოჯალეში“—1 200, „ჩინური“—  
1 080, „ციცქა“—3 780, „ალექსანდროული“—810, „უსახელოური“  
—945, „ჩხავერი“—540, „ოცხანური“—270, „კაბერნე“—270, „ხიხ-  
ვი“—270, და „ბოლ-ბლანში“—540.

სათბურების ფართობის გადიდება მესამე ხუთწლედში ნავარა-  
უდევია ყო 575,7 ჰექტარამდე, (მათ შორის 69,7 ჰა შამპანური ყურძ-  
ნის ჯიშის მისაღებად). ხუთწლედის ბოლოსათვის რესპუბლიკის სათ-  
ბურებში გამოყვანილი უნდა ყოფილიყო სულ 64 545 ათასი ცალი  
ნამყენი, (მათ შორის 6 980 ათასი შამპანური ჯიშის)<sup>3</sup>.

მართალია, ჩვენი რესპუბლიკის მევენახეობა ყოველთვის და  
განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების წლებში მეღვინეობის მი-  
მართულებით ვითარდებოდა, მაგრამ მესამე ხუთწლედში მშრომელ-  
თა ფართო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაისვა საკით-  
ხი აგრეთვე სასუფრე ყურძნის ჯიშების განვითარების აუცილებლო-  
ბის შესახებ.

როგორც ი. ანდრონიკაშვილი 1938 წ. წერდა, საღვინე ყურძნის  
ჯიშების პარალელურად საჭიროა გაფართოვდეს სასუფრე ვენახების  
გაშენება ისეთი მასშტაბით, რომ „მესამე ხუთწლედში მათი ფართო-  
ბი შეადგენდეს ვენახის საერთო ფართობის დაახლოებით 4—5%-ს.  
ამასთან ერთად, საჭიროა გავითვალისწინოთ თუ რა სასუფრე ყურძ-  
ნის ჯიშებით უნდა წარმოებდეს ახალი ვენახების გაშენება. სასუფრე  
ყურძნის განვითარება, რომ მიზანშეწონილად სწარმოებდეს, პირ-  
ველყოფისა, საჭიროა სასუფრე ვაზის გაშენება მიმდინარეობდეს  
მხოლოდ იმ მიკრორაიონებში, რომლებისთვისაც მტკიცედ არის შერ-  
ჩეული სათანადო ორგანოების მიერ შესაფერისი ჯიშები. ამასთან,  
საჭიროა სამრეწველო სასუფრე ყურძნისათვის მევენახეობის განვი-  
თარება სწარმოებდეს წინასწარ გათვალისწინებულ პირობებში, რო-  
გორცია, მაგალითად, სასუფრე ყურძნის დამწიფების ვადა, სასუფ-  
რე ყურძნის შენახვისა და ტრანსპორტის რაციონალური ტექნიკა,

<sup>3</sup> იქვე, ფურც. 80.



მათი პოპულარიზაცია და სათანადო სარგავი მასალის დამზადების პროგრეს საქართველოს კ. პ. XIII ყრილობამ (1940 წ.) აღწერა. ვენახების გაშენება რესპუბლიკაში ძირითადად უნდა ხდებოდეს კოლმეურნეობათა განსაზოგადოებულ მიწებზე.

თუ 1938 წ. ვენახის მთლიანი ფართის 11,4% (4 518 ჰა) მოდიოდა რესპუბლიკის კოლმეურნეობებზე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებზე—5,4% (2 518 ჰა), და ინდივიდუალურ მეურნეობებსა და კოლმეურნე გლეხობაზე—83% (32 963 ჰა), უკვე 1940 წ. მდგომარეობა მნიშვნელოვნად იცვლება. ცნობილია, რომ საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში პირველად სწორედ ამ წელს ჩატარდა ვენახების ფართის სრულიად საკავშირო აღწერა. ამ აღწერის მიხედვით ვენახის მთლიანმა ფართობმა ყველა სექტორში (მაღლარის ჩათვლით) შეადგინა 69,9 ათასი ჰექტარი. (მათ შორის დაბლარი იყო 54,7 ათასი ჰა), აქედან განსაზოგადოებულ სექტორზე მოდიოდა 21 304 ჰა, ანუ დაბლარი ვენახის ფართის 39,7%. მათ შორის კოლმეურნეობებში 19 704,85 ჰა ანუ 36%. სახელმწიფო მეურნეობებში—1 600 ჰა, ანუ 3,7%, ხოლო დანარჩენი 33 ათასი ჰა ანუ 60,3% მოდიოდა პირად მეურნეობებზე<sup>4</sup>.

ყოველივე ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური მევენახეობა, განსაკუთრებით კი კოლმეურნეობრივი მევენახეობა, მეტად მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა წინ და მის განვითარებას დიდი პერსპექტივა ჰქონდა. თავისთავად განსაზოგადოებული სექტორის ზვედრიწონის გადიდება მევენახეობაში დამადასტურებელი იყო იმისა, რომ ყურძნის სახელმწიფო ჩაბარებას თანდათან გეგმური და ორგანიზებული ხასიათი ეძლეოდა და მეღვინეობას ჩვენს რესპუბლიკაში მტკიცე ნედლეულის ბაზა ექმნებოდა.

თუ 1937 წ. სულ რესპუბლიკაში 17 576,7 ტ ყურძენი დამზადდა, 1940 წ. მან 35,3 ათასი ტ მიაღწია, ე. ი. გაიზარდა ორჯერ მეტად. ითვისებისწინებდა რა მეღვინეობის განვითარების დიდ პერსპექტივებს საქართველოში, პარტია და მთავრობა გამუდმებით ზრუნავ-

<sup>4</sup> ი. ანდრონიკაშვილი, „საქართველოში ყურძნის ვაზის ჯიშების კულტურის შესახებ“, ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, 1938, № 5, გვ. 39—40.

<sup>5</sup> ამის შესახებ დაწერილებით იხ. ო. ტატიშვილის ნაშრომი „საქართველოს სსრ მრავალწლიანი ნარგავების ეკონომიკისა და მისი განვითარების საკითხისათვის“. იბ., 1263, გვ. 69—80.



და მისი ტექნიკური ბაზის ყოველმხრივ გაფართოებისა და განვითარებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1940 წ. 25 აპრილის დადგენილებას—ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების ღონისძიებების შესახებ, და 1940 წ. 15 ოქტომბრის დადგენილებას—საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობისა და მევენახეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებების შესახებ. 1940 წ. 25 აპრილის დადგენილება მევენახეობის დარგში ითვალისწინებდა ვენახების ფართობის მნიშვნელოვან გადიდებას რესპუბლიკაში, იმავე დროს მიუთითებდა ძველი ნარგავების რეკონსტრუქციაზე, ყურძნის დამზადების გადიდებისა და მის საფუძველზე მეღვინეობის სწრაფი აღმავლობისათვის.

იმავე წლის 15 ოქტომბრის დადგენილება ეხებოდა უშუალოდ ქართლის რაიონებში მრეწველური მევენახეობის განვითარებას. ხაზგასმული იყო, რომ თუმცა 1930 წ. შედარებით ქართლის რაიონებში ვენახების ფართი 1940 წ. 1 023 ჰექტარიდან 6 042 ჰექტარამდე გაიზარდა, მაგრამ ქართლის რაიონების ხელშემწყობი ბუნებრივი პირობები ჯერ კიდევ არასაკმარისად იყო გამოყენებული მრეწველური მევენახეობის განვითარებისათვის.

დადგენილებაში ხაზგასმული იყო, რომ (1940 წ.) ქართლის რაიონის კოლმეურნეობებში არსებული ვენახი 2 281 ჰექტარიდან აყვანილი ყოფილიყო 10 658 ჰექტარამდე (1945 წ.) ამ მიზნით 1941—1945 წწ. გაშენებული უნდა ყოფილიყო 8372 ჰექტარი ახალი ფართობი, შემდეგი ვანაწილებით: 1941 წ. — 766 ჰა, 1942 წ. — 696 ჰა, 1943 წ. — 1 777 ჰა, 1944 წ. — 1 838 ჰა, ხოლო 1945 წ. — 3 300 ჰექტარი.

აღნიშნული გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად—ნათქვამი იყო დადგენილებაში—1940 წ. დამლევამდე კოლმეურნეობებში უნდა დამთავრებულიყო გამოყოფა ფართობებისა ვენახების გასაშენებლად და 1941 წ. გაზაფხულზე დამატებით გაშენებულიყო ამერიკული ვაზის სადედეები 110 ჰექტარზე. ქარელის რაიონებში ახალ ვენახებში დარგულიყო უმთავრესად ადგილობრივი ჭიშების ვაზი: „ატენური“, „გორული მწვანე“, „მუხრანული“, „ქვიშხური“, „რქაწითელი“, „გლდანური“<sup>6</sup>.

<sup>6</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 1940, 20 სექტემბერი.

პროფ. ს. ჩოლოყაშვილი 1940 წ. წერდა: „საქართველოს მევენახეობის ძირითად ამოცანას შეადგენს მაღალხარისხიანი ღვინისათვის სათანადო პროდუქციის მიწოდება. ამიტომ სავენახეობაზედ როგორც მასივების, ისე ცალკეული ნაკვეთების შემსუბუქება და დაჩავეშნას მეტად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ვენახი უნდა შენდებოდეს არა ისეთ ადგილზე, სადაც მხოლოდ ვაზის ზრდა-განვითარება და მოსავლის მიღების რაოდენობა იქნება უზრუნველყოფილი, არამედ ისეთ ნაკვეთებზე, სადაც ამასთანავე ერთად უმაღლესი ხარისხის პროდუქტს მივიღებთ“<sup>7</sup>.

## 2. მიღვინეობა მესამე ხუთწლეულში

მევენახეობის განვითარების შესაბამისად რესპუბლიკის მეღვინეობაში მკვეთრი გარდატეხა მოხდა მესამე ხუთწლეულში.

ამიერიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ღვინის როგორც რაოდენობრივად წარმოების გადიდებას, ისე მისი ხარისხობრივად გაუმჯობესების საქმეს.

დიდი ოდენობით ყურძნის ღვინის დაქველებით სარდაფებში საფუძველი ეყრებოდა ქართული მაღალხარისხიანი მარკიანი სუფრის ღვინოების დამზადებას ფართო მასშტაბით.

ამავე დროს, ღვინის მრეწველობა წვრილი კუსტარული წარმოებიდან თანდათანობით იქცეოდა მსხვილი სოციალისტური მრეწველობის დარგად. მაგრამ როგორც სამართლიანად შენიშნავდა თავის დროზე პროფ. კ. მოდებაძე, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და ამ მიმართულებით ჯერ კიდევ დიდი მუშაობის ჩატარება იყო საჭირო<sup>8</sup>.

ცნობილია, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობის შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე 1936 წ. ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი, რომელიც ამიერიდან უშუალოდ განაგებდა მეღვინეობის საქმიანობას რესპუბლიკაში და „სამტრესტიკ“ მის დაქვემდებარებაში გადავიდა. ასე რომ, ამის შემდეგ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი უკვე აღარ ერეოდა მეღვინეობის საქმიანობაში.

<sup>7</sup> ს. ჩოლოყაშვილი, საქართველოს მევენახეობის ძირითადი ამოცანები, თურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, 1941, № 1, გვ. 43.

<sup>8</sup> კ. მოდებაძე, საქართველოს სსრ მეღვინეობის განვითარების უახლოესი პერსპექტივები, თურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, 1941, № 7, გვ. 45.

აღნიშნული კომისარიატის ჩამოყალიბება გაპირობებულ იყო იმით, რომ 30-იან წლებში დიდად წამოიწია წინ საქართველოს კვების მრეწველობამ, რომელიც ადრე ჩვენში თითქმის არ არსებობდა. 1937 წ. კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციამ უკვე მანამდე მანეთი შეადგინა, მესამე ხუთწლეულში კი ნავარაუდევო იყო მისი ზრდა 1937 წ. შედარებით 82,4%.

კვების მრეწველობის ერთ-ერთ ძირითად დარგს ჩვენს რესპუბლიკაში სწორედ მეღვინეობა წარმოადგენდა.

მესამე ხუთწლეულის ბოლოსათვის ყურძნის ღვინის დამზადება გათვალისწინებული იყო 1 620 ათას დკლ-მდე ანუ 40,3%-ით მეტი. ამასთან უნდა მომხდარიყო „მეღვინეობის გადამმუშავებელ საწარმოთა ტექნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, რადგან ძველი და გაცვეთილი ინვენტარის, ტარის ნაკლებობა, დამხმარე შენობების, მარნების მოუწყობლობა და სხვ. მეტად ართულებს ნორმალურ მუშაობას ყურძნის დროულად და ხარისხობრივად გადამმუშავებისათვის“<sup>9</sup>.

მესამე ხუთწლიანი გეგმა მეღვინეობაში ითვალისწინებდა: ა. ღვინის სარდაფების მშენებლობას გურჯაანში, წინანდალში, ზესტაფონში და ხირსაში.

ბ. კაპიტალური ტიპის მარნების აგებას ხირსასა და ყვარელში.

გ. მეღვინეობის ნარჩენების გადასამუშავებლად (ღვინის მკვას გამოშვება) 8 უტილდანადგარის მშენებლობას.

დ. ღვინის ორი ქარხნის მთლიან რეკონსტრუქციას და ძმრის ქარხნის მშენებლობას.

მნიშვნელოვანი თანხები იყო გამოყოფილი ხუთწლეულში მეღვინეობის მოწყობილობის (ფილტრები, ტუმბოები, პასტერიზატორები, მრეცხავი და ჩამომსხმელი აპარატები და სხვ.) შესაძენად.

კაპიტალური დაბანდების მთლიანი მოცულობა ხუთწლეულში ნავარაუდევო იყო 2 030 700 მან. ოდენობით.<sup>10</sup> სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. ზემოაღნიშნულ დადგენილებების (1940 წ. 25/IV) საფუძველზე სუფრის ღვინის გამოშვება 661,4 ათასი დკლ-დან (1939 წ.) უნდა გაზრდილიყო 2 მლნ დკლ-მდე, 1944 წ. მ. შ., მარკიანი ღვინო 54,6 ათასი დკლ-დან 300 ათას დკლ-მდე.

კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით, ამავე პერიოდში უნდა აშენებულიყო ტიპური პირველადი გადამმუშავების

<sup>9</sup> კ. ვაბუნიას საქართველოს კვების მრეწველობის მესამე ხუთწლეულში, ეტრნ. „საქართ. სოც. მეურნეობა“, 1939. № 8, გვ. 33.

<sup>10</sup> იქვე.

2 ლენინის საწარმო, რომელიც წლიურად მოგვეცემა 1 325 ათასი ლენინის.

ასევე განზრახული იყო ლენინის 2 ახალი ქარხნის მოწყობა, რომელიც წლიურად მოგვეცემა 500 ათასი ლენინის. გეგმით უნდა მომხდარიყო ლუქსემბურგის<sup>11</sup> ქარხნის რეკონსტრუქცია იმ ანგარიშით, რომ 1943 წ. მიღებულიყო 1 120 ათასი ლენინი, წინააღმდეგ 300 ათასი ლენინისა 1939 წ.

ტაბილი შემავრებული და სადესერტო ლენინის გამოშვება დატოვებული უნდა ყოფილიყო 1940 წ. გეგმის დონეზე, ე. ი. წელიწადში უნდა გამოშვებულიყო 360 ათასი ლენინი. საესეებით უნდა დამთავრებულიყო წინანდლისა და გურჯაანის ლენინის ქარხნების გაფართოება და მათი რეკონსტრუქციები იმ ანგარიშით, რომ მათი წარმოებრივი სიმძლავრე 340 ათასი ლენინიდან—1939 წ. აყვანილი ყოფილიყო 880 ათასი ლენინი 1944 წ.

საქართველოს სსრ ლენინის მრეწველობის შუშის ქურკლით (ტარიით) უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო (1941 წ.) ავჭალის შუშის ქარხნის რეკონსტრუქცია და მისი წარმოებრივი სიმძლავრის აყვანა 5,2 მლნ-დან 5,9 მლნ ბოთლამდე წელიწადში.

უნდა აშენებულიყო კონიაკის სპირტის სახდელი 2 ქარხანა, 320 ათასი ლენინის სავრთო სიმძლავრით, და ერთი კონიაკის ქარხანა თბილისში 500 ათასი ლენინის სიმძლავრით. მთლიანად საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით ლენინის მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 1940—1943 წწ. გათვალისწინებული იყო 5,5 მლნ მან. ოდენობით, აქედან 0,5 მლნ 1940 წ., 1,4 მლნ 1941 წ., 1,8 მლნ—1942 წ. და 1,8 მლნ მანეთი 1943 წ.

მესამე ხუთწლიანი გეგმა დიდ პერსპექტივას უსახავდა სამამულო შამპანური ლენინის წარმოებას. ასე მაგალითად, ბოთლური წესით მიღებული შამპანური ერთი მილიონი ბოთლიდან 1938 წ. უნდა გადადიებულიყო 1,25 მლნ ბოთლამდე 1942 წ., ხოლო რეზერვუარული მეთოდით მიღებული შამპანური 750 ათასი ბოთლიდან 1938 წ. უნდა გაზრდილიყო 3 მლნ ბოთლამდე 1942 წ. სულ ორივე მეთოდით მიღებული შამპანურის წარმოებას უნდა მიეღწია 4 250 ათასი ბოთლისათვის.

მარტო ქართლის რაიონებში 1941—1945 წწ. უნდა აშენებულიყო 20 ტიპიური მარანი შამპანური ლენინებისათვის 800 ათასი

<sup>11</sup> ატლანდელი ბოლნისის.



დკლ ნედლეულის გადამუშავებისათვის. ამ მიზნით კაპიტალური და  
 ბანდება ივარაუდებოდა 740 ათას მან. ოდენობით. აქედან (როგორც  
 მან.): 1941 წ.—225, 1952 წ.—100, 1943 წ.—130, 1944 წ.—100  
 და 1945წ.— 55<sup>12</sup>.

ამგვარად, მეღვინეობას მესამე ხუთწლედში სამი ძირითადი მი-  
 მართულება ესახებოდა: სუფრის ღვინოების, შამპანურის და კონია-  
 კის მასალის გამოშვება.

როგორც პროფ. კ. მოდებაძე წერდა, „საბჭოთა კავშირის ვერც  
 ერთი რაიონი ვერ იძლევა ისეთ მუქად შეღებილს, ექსტრაქტი მდი-  
 დარს და ხავერდოვან წითელ ღვინოს როგორც კახეთი. საბჭოთა კავ-  
 შირის არც ერთ რაიონში არ დგება სუფრის ისეთი სხეულიანი,  
 ენერგიული და ჰარმონიული თეთრი ღვინო, როგორც შიდა კახეთსა  
 და იმერეთში. განსაკუთრებით ნახსა და ხალისიან შამპანურ მასალას  
 იძლევა ზემო იმერეთი და ქართლი. საბჭოთა კავშირში იშვიათად თუ  
 შეუძლია რომელიმე რაიონს მოგვეცეს ისეთი შალახარისხოვანი სა-  
 კონიაკე მასალა, როგორსაც იძლევა ბორჩალო, ალაზნისგალმა მხარე  
 და სამეგრელო“<sup>13</sup>.

მეღვინეობის შემდგომი განვითარების შესახებ ჩვენს რესპუბ-  
 ლიკაში სპეციალური დადგენილება გამოიტანა საქართველოს კ. პ. (ბ)  
 ც. კ. XIII ყრილობამ. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში  
 აღნიშნულია:

„ყრილობა იწონებს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ შემუშავებულ  
 ღონისძიებებს საქართველოში ხარისხობრივი მეღვინეობის შემდგომი  
 განვითარების დარგში, რომლებიც ითვალისწინებენ უახლოეს  
 ხუთწლედში სუფრის ღვინოების გამოშვების ხუთჯერ, მათ შორის  
 მარკიანი ღვინოების გამოშვების ექვსჯერ გადიდებას და კონიაკის  
 წარმოების ათჯერ გადიდებას 1939 წელთან შედარებით. ამასთან  
 ერთად ყრილობა საჭიროდ სთვლის დაჩქარდეს ავჭალის შამპა-  
 ნური ქარხნის მშენებლობის დამთავრება და უზრუნველყოფილ იქ-  
 ნას შამპანური ღვინოების წარმოების სწრაფი ზრდა“<sup>14</sup>.

მეღვინეობის განვითარების შემდგომი პერსპექტივა მესამე ხუთ-  
 წლედში საჭიროებდა: ა) მაქსიმალურად ყოფილიყო გამოყენებული  
 ყველა ის შესაძლებლობანი, რომელიც ღვინის წარმოებისათვის იყო

<sup>12</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1940, 20 ოქტომბერი.

<sup>13</sup> კ. მოდებაძე, ეურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“,  
 1941, № 4, გვ. 45.

<sup>14</sup> ეურნ. „საქ. სოც. მეურნეობა“, 1940, № 4, გვ. 36.



საჭირო, ბ) მაღალხარისხოვანი ნედლეულის რაციონალურ გამოყენებას, გ) ღვინის სახელმწიფო მრეწველობის ფართოდ განვითარებას, რომელიც იმეამად უურძნის მთლიანი მოსავლის ერთი მეხუთედს ძლევს ამუშავებდა, დ) ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ქარხნების მომრავლებას ახალი გაუმჯობესებული მანქანებით და აპარატებით. ხოლო რადგან ახლო მომავალში საქართველოს ღვინის ქარხნები არა მარტო ხარისხით, არამედ ტევადობითაც ვერ დააკმაყოფილებდნენ გაზრდილ მოთხოვნილებას, საჭირო იყო ახალი მძლავრი ქარხნების სწრაფი მშენებლობა და მექანიზაციის მაქსიმალური გამოყენება<sup>15</sup>.

ცნობილია, რომ ამ პერიოდში ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა კოლმეურნეობების მიერ ძველი, კუსტარული მეთოდით ღვინის ადგილობრივ დამზადებას და მის განაწილებას კოლმეურნეებზე შრომის ანაზღაურების ანგარიშში. ამასთან მიღებულ მოსავლის ჯერ კიდევ დიდი ნაწილის კოლმეურნეობებზე ახდენენ რეალიზაციას. კოლმეურნეობრივ ბაზრებზე, ხოლო მისი ერთი ნაწილის განაწილებას შრომადღებების ანგარიშში.

1938 წ. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მიღებული იყო სულ 213 370 ც. უურძენი, 1939 წ. კი—289 693 ც. „სამტრესტის“ ხაზით მესამე ხუთწლედში კონტრაქტაციის წესით საქართველოში უურძენი დამზადდა შემდეგი ოდენობით: 1938 წ. — 169 684 ც, 1939 წ. — 210 224 ც, 1940 წ. — 135 830 ც, 1941 წ. — 184 950 ც<sup>16</sup>

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, მთლიანად ყველა სექტორის მიხედვით 1940 წ. დამზადდა სულ 345 590 ც უურძენი. აქედან კოლმეურნეობებში—117 860 ც (33%), საბჭოთა მეურნეობებში და სახელმწიფო მეურნეობებში—73 180 ც. (20+), ხოლო დანარჩენი 163 550 (47%) — პირად მეურნეობებში.

როგორც ვხედავთ, 1940 წ. უურძნის დამზადებისა და სახელმწიფო შესყიდვის საქმეში პირადი მეურნეობა ჯერ კიდევ გადამწყვეტ როლს თამაშობდა.

მესამე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა უურძნის ღვინისა და შამპანურის წარმოება რესპუბლიკაში.

დამახასიათებელია, რომ 1939 წლამდე (ჩათვლით) ღვინის მეო-

<sup>15</sup> იქვე, გვ. 46.  
<sup>16</sup> „სამტრესტის“ შესაბამისი წლიური ანგარიშგებების მონაცემების მიხედვით.



რადი გადამუშავება ძირითადად წარმოებდა ჩვენივე რესპუბლიკის ფარგლებში, ხოლო 1940 წლიდან, განსაკუთრებით, ომის დამთავრების შემდეგ, ფართო. მასშტაბით დაიწყო რესპუბლიკიდან ლეინომასალების გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა ქალაქებში (მოსკოვი, ლენინგრადი, კისლოვოდსკი, ორჯონიკიძე და ა. შ.) და მისი გადამუშავება. ამის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს № 21 ცხრილში მოტანილი მონაცემები.

ცხრილი 21

ყურძნის ლეინის წარმოების დინამიკა 1938—1941 წწ. რესპუბლიკაში (ათას ტონა) 17

წლები	სულ ლეინი	მ. შ.		ლეინის წარმოება „სამტრესტის“ ხზით			ლეინომასალის გამოშვება „სამტრესტის“ მიერ	შამპანურის წარმოება (ათას ბოლო)
		რესპუბლიკის მიწებით	მის ფარგლებს გარეთ	ს	მ. შ.			
					რესპუბლიკის მიწებით	მის ფარგლებს გარეთ		
1938	1 306	1 306	—	963,0	—	—	1 705,5	1 052
1939	1 442	1 442	—	1 222,2	—	—	2 126,2	1 320
1940	2 223	1 675	548	1 456,8	908	543	2 273,0	1 652
1941	1 203	813	390	1 203,0	813	350	1 300,0	1 082

აქედან ჩანს, რომ 1938—1939 წ. წარმოებულ ლეინოები მთლიანად დამზადებულა საქართველოს მიწებით, ხოლო მომდევნო 1940—1941 წწ. იწყება ლეინის დამზადება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. აქვე ვიგებთ, რომ 1938 წლიდან მოყოლებული ომის დაწყებამდე ლეინის წარმოება თანდათან მნიშვნელოვნად მატებას განიცდის, ხოლო 1941 წ. იგი მკვეთრად ეცემა. ასეთსავე მდგომარეობას აქვს ადგილი ლეინომასალისა და შამპანურის დამზადების საქმეშიაც. კერძოდ, თუ 1940 წ. წარმოებულ იყო სულ 2,2 მლნ ტონა ყურძნის ლეინი, 2,1 მლნ ტონა ლეინის მასალა და 1,6 მლნ ბოთლი შამპანური, ომის დაწყების პირველ წელს იგი შემცირდა შემდეგნაირად: ყურძნის ლეინი — 1,2 მლნ ტონა (83%), ლეინი მასალა — 1,3 მლნ ტონა (61%), შამპანური — 1,0 მლნ ბოთლი (61%).

რაც შეეხება „სამტრესტის“ მიერ მესამე ხუთწლიდში რეალიზებულ ლეინოს, იგი ასეთ სურათს გვაძლევს (იხ. ცხრ. № 22):

17 ცხრილი შედგენილია საქ. სსრ ცს მონაცემებისა და „სამტრესტის“ წლიური ანგარიშგებების მიხედვით.





საქართველოს  
საზღვრო სტატისტიკის  
სახელმწიფო სამსახური

წლები	რაოდენობა (ათას დკლ)	მთლიანი თვითღირებულება	ბრუნვის გადასახადი	რეალიზაციის მთლიანი თანხა	ბიულემი ფასებით გასაცემი თანხა	წმინდა შემოსავალი: + მოგება - ხარჯი	რენტაბელობის დონე %-ით
1938	832,9	3 884,4	2 123,7	5 822,2	3 698,5	-185,9	- 4,7
1939	1 047,0	5 291,7	2 918,5	7 827,3	4 908,8	-381,9	- 7,2
1940	1 131,2	5 528,2	3 800,9	10 193,5	6 382,1	+853,9	+15,4
1941	807,3	4 088,7	4 763,3	9 525,7	4 762,4	+673,7	+16,4

მოტანილი მონაცემები ცხადყოფენ, რომ მესამე ხუთწლეულის პირველ სამ (1938—1940) წელში „სამტრესტის“ მიერ ბითუმად რეალიზებული ღვინის რაოდენობა და აქედან ამონაგები მთლიანი თანხა სულ უფრო იზრდება: კერძოდ, თუ 1938 წ. რეალიზებული იყო სულ 832,9 ათასი დკლ ღვინო და აქედან ამონაგები თანხა შეადგენდა სულ 5,8 მლნ მანეთს, უკვე 1940 წ. რეალიზებული ღვინის რაოდენობა გაიზარდა 1 131,2 ათას დკლ-მდე, ე. ი. 298,3 ათას დკლ-ით, ანუ 35%-ით, ხოლო რეალიზაციის თანხა 5,8 მლნ მანეთიდან 10,1 მლნ მანეთამდე, ანუ 74%-ით.

რაც შეეხება რეალიზებულ ღვინიდან მიღებულ მოგებას (წმინდა შემოსავალი) და რენტაბელობის დონეს, მართალია ამ მხრივ 1938-1939 წწ. ადგილი ჰქონდა ერთგვარ „ზარალს“ და, მაშასადამე, არარენტაბელობას მეღვინეობაში, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ სპეციალურად შევჩერდებით ნაშრომის დასკვნით ნაწილში, როდესაც შევეხებით რენტაბელობისა და მოგების საკითხებს მეღვინეობაში და გაუუკეთებთ მას სათანადო ანალიზს.

### 3. მიღწეობა დიდი სამამულო ომის პერიოდში

1941 წ. 22 ივნისს, როდესაც ფაშისტური გერმანია ვერაგულად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მშენებლობა დროებით შეწყდა და დაიწყო დიდი სამამულო ომი.

<sup>18</sup> ცხრილი შედგენილია „სამტრესტის“ წლიური ანგარიშგებების მიხედვით.

„საბჭოთა ხალხი, ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი, არასოდეს არ დაივიწყებს 1941 წ. 22 ივნისს, როცა ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომა პიტლერულ დამპყრობთა ვერაგულმა თავდასხმამ შეწყვეტა ჩვენი სამშობლოს საშინელი საფრთხე შეექმნა“, „ვერაფითარი სტალინიცა ვერ შეგვიქმნის ნამდვილ წარმოდგენას იმ ზარალის მასშტაბის შესახებ, რაც საბჭოთა ხალხმა განიცადა ომის წლებში“<sup>19</sup>.

პარტიისა და მთავრობის მოწოდების საფუძველზე მთელი სახალხო მეურნეობა გარდაიქმნა ომის ყაიდაზე. ჩვენი ყველა საწარმო, ფაბრიკა-ქარხნები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მუშაობდნენ ომის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ფრონტისათვის საჭირო იყო არა მარტო ტანკები, თვითმფრინავები, ქვემეხები და ტყვია-წამალი, არამედ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სურსათ-სანო-პაგე-

საბჭოთა ქვეყნის წინაშე დასმული ამოცანების შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაში გაიშალა დიდი მუშაობა როგორც ქალაქად, ისე სოფლად, იმ მიმართულებით, რომ მიგვეწოდებინა საბჭოთა არმიისათვის, ხალხისათვის ისეთი პროდუქტი, რომელიც მზადდებოდა ჩვენს რესპუბლიკაში.

„საქართველოს მუშებისა და გლეხების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ ამოცანებს ბრწყინვალედ გაართვეს თავი როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის ხაზით“<sup>20</sup>.

დიდი ამოცანები იდგა ომის პერიოდში რესპუბლიკის მევენახეობისა და მეღვინეობის დარგების წინაშე.

საჭირო იყო პირველყოვლისა ფიჭრი არა იმაზე, რომ გაგვეფართოებინა ვენახების ფართობი, არამედ იმაზე, როგორმე შეგვენარჩუნებინა ამ დარგში არსებული დონე, რათა მაღალხარისხოვანი პროდუქცია მოგვეწოდებინა კვების (ღვინის) მრეწველობისათვის და მოსახლეობისათვის. აგრეთვე დაგვეზადებინა არმიისათვის, დაჭრილი მეომრებისათვის, მთელი ქვეყნისათვის, საჭირო პროდუქტები.

ომის პერიოდში მევენახეობა-მეღვინეობას მოაკლდა კვალიფიციური მუშახელი, აგრეთვე გაძნელდა ვენახისათვის საჭირო შესაწამლავი ნივთიერების (გოგირდი, შაბიამანი და აპარატები) მომარაგება. გართულდა ვაზის მავნებლებთან და ავადმყოფობასთან

<sup>19</sup> ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვება, თბ., 1965, გვ. 6—7, 31.

<sup>20</sup> საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961 წწ., პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1961, გვ. 412.



ბრძოლის წარმოება. თითქმის შეწყდა ვაზის პლანტაციებში ორჯინული სასუქების შეტანა, და მინერალური სასუქების შემცირებამ გამოიწვია მე რესპუბლიკიდან. კატასტროფული მდგომარეობის წარმოქმნა მოჩნდა სადედე-სანერგე მეურნეობაც, რომლის მდგომარეობა ომის პერიოდში ასე გამოიყურებოდა (იხ. ცბრ. 23).

ცხრილი 23

სადედე-სანერგე მეურნეობა 1940—1944 წ. (ათას ცალ.)<sup>21</sup>

წლები	ნამყენის რაოდენობა	მ. შ. სათბურებში მღებული ნამყენი	ნაყოფმოცეში სადედეების ფართობი (ჰა)	ჰექტარზე მღებული ფილოქსერაგამძლე საძირე მასალა	სულ სადედეებში მიღებული საძირე მასალა
1940	43 706	24 300	293,0	24,0	7 067,8
1941	19 444	—	169,0	23,4	3 962,2
1942	19 400	—	—	არ მიღლიათ	—
1943	800	—	165,8	8,3	1 480,0
1944	2 378	—	238,4	12,3	2 949,0

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ომის პერიოდში მნიშვნელოვნად ეცემა სადედე-სანერგე მეურნეობა ჩვენს რესპუბლიკაში, კერძოდ, 1940 წ. მიღებული ნამყენის მთლიანი რაოდენობა 48 706 ათასი ცალიდან 1943 წ. შემცირდა 800 ათას ცალამდე, ხოლო 1944 წ. 2 378 ათასი ცალი შეადგინა.

1941—1944 წწ. მთლიანად შეწყდა ჩვენი ქვეყნის სათბურებში ნამყენის გამოყვანის საქმე. ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირეები 7 067,8 ათასი ცალიდან, —1940 წ. შემცირდა 2 949 ათას ცალამდე 1944 წ.

ასევე დიდად შემცირდა ვენახის მთლიანი ფართობი ომის პერიოდში. საქართველოში ვენახების მთლიანი ფართობი სრულიად საკავშირო აღწერით 1940 წ. შეადგენდა 69,9 ათას ჰექტარს. ომის დამთავრების შემდეგ კი მან 51 ათასი ჰექტარი ძლივს შეადგინა.

ომის პერიოდში ვენახის მოუვლელობის შედეგად განადგურდა არა მარტო ვენახის დიდი პლანტაციები, არამედ გაიზარდა მისი მეჩხერიანობა 18—20%-მდე.

ნედლეულის ბაზის ასეთმა დასუსტებამ თავისი უშუალო გავლენა იქონია რესპუბლიკის მღვინეობის განვითარებაზე (იხ. ცბრ. 24).

<sup>21</sup> ეკონომიკისა და საშრობის ინსტიტუტის ფონდი № 110, ფურც. 31. აგრეთვე ფ. 19, ფურც. 2.

ლენინის წარმოების დინამიკა 1941—1945 წწ.  
 (ათას ტონა)<sup>22</sup>

პროდუქციის დასახელება	1940 წ.	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.	შემცირება %-ით 1945 წ. 1940 წ.-თან შედარებით
ყურძნის ლენინი სულ ..	2 223	1 203	1 498	2 513	1 489	1 369	39
მ. შ. „სამტრესტის“ ხა- ზით . . . . .	1 458	1 203	1 193,8	1 201,8	799,3	584,8	60
ლენინი მასალა . . . . .	1 265,0	1 143,0	1 300,0	—	676,8	914,6	38
შამპანური (ათას ბოთლ.)	1 652	1 082	1 427	1 642	1 863	1 257	24

როგორც ვხედავთ, ყურძნის ლენინის წარმოება რესპუბლიკაში 2 223 ათასი ტონა-დან (1940 წ.) შემცირებულია 1 369 ათას ტონა-მდე (1945 წ.), ანუ 39%-ით, აქედან, „სამტრესტის“ ხაზით—60%-ით. ლენინომასალის წარმოება თუ 1940 წ. შეადგენდა 1 265 ათას ტონა-ს, 1945 წ. იგი შემცირდა 914,6 ათას ტონა-მდე, ანუ 38%-ით, ხოლო შამპანური ლენინის წარმოება 1 652 ათასი ბოთლიდან დაეცა 1 257 ათას ბოთლამდე, ანუ 24%-ით.

ომის პერიოდში დიდად შემცირდა რესპუბლიკიდან ლენინის გატანა მოკავშირე რესპუბლიკებში, პირველ რიგში ისეთ დიდ ქალაქებში, როგორცაა: მოსკოვი და ლენინგრადი.

მთლიანად 1941—1945 წწ. „სამტრესტის“ მიერ რეალიზებული ყურძნის ლენინი და აქედან ამონაგები თანხა შემდეგ სურათს გვაძლევდა. (იხ. ცხრ. 25).

ცხრილი 25

ყურძნის ლენინის რეალიზაცია „სამტრესტის“ მიერ 1941—1945 წწ.  
 და აქედან ამონაგები თანხა (ათას მან.)<sup>23</sup>

	რაოდენობა (ათას ტონა)	მთლიანი დანახარ- ჯები	ბრუნვის გადასახა- დი	რეალი- ზაციის მთლიანი თანხა	ბითუმის ფასებით გასაკეში თანხა	წმინდა შე- მოსავალი + მოგება — ხარალი	რენტა- ბელობის დონე %-ით
1940	1 131,2	5 528,2	3 800,9	10 193,5	6 392,6	+ 864,4	+ 15,4
1941	807,3	4 088,7	4 763,3	9 525,7	4 762,4	+ 673,7	+ 16,4
1942	936,0	3 749,7	14 014,6	18 272,6	4 258,0	+ 508,3	+ 13,5
1943	1 182,1	4 002,4	31 963,4	37 452,7	5 489,3	+ 1486,9	+ 37,1
1944	715,8	3 000,5	32 959,4	36 033,7	3 079,3	+ 78,8	+ 2,6
1945	548,1	3 668,2	24 095,3	27 728,0	3 632,7	- 35,5	- 0,9

22 მონაცემები აღებულია საქართველოს სსრ ცენტრ. სტატ. სამმართველოსა და „სამტრესტის“ წლიური ანგარიშგებების მასალებიდან.

23 „სამტრესტის“ წლიური ანგარიშგებების მონაცემების მიხედვით.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, საქონლურა ღვინის რეალიზაცია ომის პერიოდში შემცირებულია ნახევარზე მეტად, მაშასადამე, თუ 1940 წ. რეალიზებული იყო „სამტრესტის“ მწარმოებელი 1 131,2 ათასი ღვინო, უკვე 1945 წ. მისი ოდენობა დაეცა 1 131,2 ღვინო-მდე. მაგრამ როგორც ამ ოფიციალური ცნობებიდან ირკვევა, მოცემულ წლებში მეტად იზრდება რეალიზაციიდან ამონაგები თანხა. ასე მაგალითად, 1940 წელს თუ რეალიზებული პროდუქციის მთლიანი თანხა 10 მლნ მან. ოდნავ აღემატებოდა, 1942 წელს იგი გაიზარდა 1,8-ჯერ, 1943 წელს—3,7-ჯერ, 1944 წელს—3,6-ჯერ, ხოლო 1945 წელს—2,7-ჯერ. ეს იმ დროს, როდესაც აღნიშნულ წლებში რეალიზებული ღვინის პროდუქცია სულ კლებას განიცდიდა.

საყოველთაოდ ცნობილია ის ვარაუზები, რომ ომის პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდებოდა მაგარი სასმელების და, მაშასადამე, ღვინის რეალიზაციის საცალო ფასები, რომ ამ დროს ღვინოზე, კონიაკსა და არაყზე დაწესებული ფასები გაცილებით „მაღალი იყო მათ ღირებულებასთან შედარებით და მათ შორის განსხვავება რეალიზდებოდა უმთავრესად ბრუნვის გადასახადის ფორმით“<sup>24</sup>. ეს ნაკარნახევი იყო ომის პირობებით და სწორედ ამიტომ, ჩვენი სახელმწიფო დიდად ზრდიდა ბრუნვის გადასახადებს მაგარ სასმელებზე, ასე მაგალითად, თუ 1940 წ. ბრუნვის გადასახადი ყურძნის ღვინოზე შეადგენდა სულ 3,8 მლნ. მან., 1942 წელს—14 მლნ, 1943 წელს—31,9 მლნ, 1944 წელს—32,9 მლნ მან. 1945 წელს—24 მლნ მან. შეადგინა. სწორედ ამით იყო გამოწვეული ის, რომ „სამტრესტის“ ხაზით მიღებული მთლიანი წმინდა შემოსავლის ოდენობა მთელი ომის პერიოდში (გარდა 1943 წ.) სულ მცირდებოდა და 1945 წ. 35,5 მლნ „ზარალიც“ კი უჩვენა. მაგრამ როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, 1945 წ. მთლიანად „სამტრესტის“ ხაზით რეალიზებული ღვინიდან დიდი შემოსავალი მიუღია ჩვენს სახელმწიფოს.

გარდა „სამტრესტისა“ ომის პერიოდში მღვინეობას მისდევდნენ ადგილობრივი—აღმასკომის საწარმოები და კოლმეურნეობები. მართალია, ომამდე ადგილობრივ მრეწველობას საკმაოდ კარგი პირობები ჰქონდა ღვინის წარმოებისათვის და ისინი პირველ რიგში აწარმოებდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებიდან შემოტანილი ღვინის მასალების გადამამუშავებას, მაგრამ იმის გამო, რომ

<sup>24</sup> ლ. ს. ა. დუნაშვილი, ფასწარმოების საკითხები საქართველოს სსრ ეკონომის მრეწველობაში, თბ., 1964; გვ. 127.



1941—45 წწ. შეწყდა ამ რესპუბლიკებიდან ღვინომასალების შემოტანა, მკვეთრად დაეცა მისი წარმოება. მაგალითად, თუ 1940 წ. ადგილობრივი მრეწველობის ხაზით წარმოებული იყო სულ 93,6 ათასი დკლ ღვინო (მ. შ., 204,2 ათასი დკლ მშრალი და 93,6 ათასი დკლ შემავარებული), უკვე 1945 წ. წარმოებული იყო ამ ხაზით სულ 125 ათასი დკლ ღვინო (მ. შ., 121,1 ათასი დკლ მშრალი და 3,9 ათასი დკლ შემავარებული)<sup>25</sup>.

კოლმეურნეობის ხაზით ღვინის წარმოება სამამულო ომის პერიოდში შემდეგ სურათს იძლევა (იხ. ცხრ. 26).

ცხრილი 26

ღვინის წარმოება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1942—1945 წწ.<sup>26</sup>

მაჩვენებლები	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.	1945 წ. %-ით 1942 წ. მიმართებ.
ვენახის მთლიანი ფართობი მით შოთის ნაყოფის მოცუ- მი	25 737	23 872	24 353	23 560	- 9,1
ყურძნის მთლიანი მოსავ- ლი (ც)	14 548	15 750	16 419	17 158	+ 18,0
გაიყიდა ყურძენი სახდამზა- დების ხაზით (ც)	326 016	310 824	134 904	322 127	-
წარმოებული ღვინო ათას დკლ	124 855	134 798	712 021	106 069	- 15
გაიყიდა ღვინო სახელმწ. და კომ. ორგანიზაციების ხაზით	3 835,8	915,0	668,9	1 669,9	- 56,5
გაიყიდა კოლმეურნეობრივ ბაზარზე	61,9	56,37	732,6	159,5	+ 157,0
გაიყიდა შრომადღეების ანგა- რიში	76,5	97,0	176,4	301,4	+ 294,0
	2 119,4	573,1	180,8	901,6	- 57,5

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს კოლმეურნეობებში ვენახის მთლიანი ფართობი 1945 წ. შემცირებულია 1942 წ. შედარებით 2 127 ჰექტარით (9,1%). მიღებული ყურძნის რაოდენობა კი თითქმის უცვლელია. თუმცა 1943 წ. და განსაკუთრებით 1944 წ. იგი მნიშვნელოვნად შემცირდა. სახდამზადების ხაზით გაყი-

<sup>25</sup> საქ. სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს არქივი, ფ. 4, ანაწ. 1, საქ. 713, ფურც. 40.

<sup>26</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ კოლმეურნეობების წლიური ანგარიშგებების მიხედვით.

დული ყურძნის ჩაბარება შემცირებულია 15%-ით, ხოლო წარმოებული ღვინო შემცირებულია 3 835,8 ათასი დკლ-დან 1 669,9 დკლ-მდე. ასევე მკვეთრად შემცირებული კოლმეურნეობების მიერ ტყეების ანთ წვერებზე შრომადღებების ანგარიშში გაცემული ღვინოების დენობა. კერძოდ, თუ 1942 წ. გაცემული იყო 2 119,4 ათასი დკლ ღვინო, 1945 წ. გაიკა 901,5 ათასი დკლ.

სამაგიეროდ ომის პერიოდში მნიშვნელოვნად გაზრდილი ღვინის მიყიდვა კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოზე და კოოპერაციულ ორგანიზაციებზე (157%-ით) და კოლმეურნეობების მიერ კოლმეურნეობრივ ბაზრებზე ღვინით ვაჭრობის ოდენობა (294%-ით).

სამამულო ომის პერიოდში დიდი მუშაობა ჩატარა ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და ფალსიფიცირებული ღვინოების წინააღმდეგ, საქართველოს სსრ კვებმრეწველობის სახალხო კომისარიატის ღვინო-სპირტის მრეწველობის, მცირე და უალკოჰოლო სასმელების ხარისხის სახელმწიფოებრივმა ინსპექციამ, რომელიც დაარსებულ იქნა თბილისში ჯერ კიდევ 1933 წ.<sup>27</sup>

ეს ორგანიზაცია საკუთარ მეურნეობრივ ანგარიშზე იმყოფებოდა, იმ პროცენტული ანაზღაურების ხარჯზე, რომელსაც იხდიდნენ ღვინის, სპირტის, არყისა და მცირე უალკოჰოლო სასმელების დამამზადებლები და ამ პროდუქციის გამსაღებელი ორგანიზაციები (გარდა კოლმეურნეობრივი ვაჭრობის წერტებისა, რომელთაც ისინი მართადა მომსახურებას უწევდნენ, მაგრამ უკანასკნელი არაფერს უხდიდნენ მათ). მის მომსახურეობის ობიექტს უკვე 1941 წ. შეადგენდა: 867 კოლმეურნეობრივი ვაჭრობის წერტი, 42 ადგილობრივი ღვინის ვაჭრობის წერტი, მაგარი სასმელების 15 ქარხანა სპირტის 6 საცდელი ქარხანა, 89 უალკოჰოლო სასმელების ქარხანა და ძმრის 5 ქარხანა<sup>28</sup>.

გარდა ამისა, ეს ინსპექცია კონტროლს უწევდა მეზობელი რესპუბლიკებიდან (აზერბაიჯანის, სომხეთის სსრ და სხვ.) შემოტანილ, აგრეთვე ევაკუირებულ მხარეებიდან (ყირიმი და სხვ.) ჩამოტანილ ღვინოებს.

ამ ინსპექციამ 1941 წ. აკრძალა დიდძალი ფალსიფიცირებული ღვინოები.

<sup>27</sup> საქ. სსრ სახ. მეურნ. საბჭოს არქივი, ფ. 4, საქ. 481, ფურც. 2.

<sup>28</sup> იქვე, ფ. 4, საქმე 458, ფურც. 2.

სულ 1941 წ. განმავლობაში 1 888 შემოსული ნიმუშიდან, ინსპექციამ ლაბორატორიში გააკეთა 3 406 ანალიზი<sup>29</sup>.

1942 წ. ინსპექცია მეთვალყურეობას უწევდა ყველა ზეგადასწრის ნიშნული ობიექტების გარდა, აგრეთვე ლუდის 6 ქარხანას და სხვადასხვა ლა იმ სავაჭრო ქსელს, რომელიც ღვინით ვაჭრობას ეწეოდა. იგი კონტროლს უწევდა არა მარტო ღვინის ქარხნებს, სავაჭრო წერტებს, მაღაზიებსა და კოლმეურნეობრივ ბაზარზე გამოტანილ ღვინოებს, არამედ სასაიდლოებსა და სასაუზმეებსაც, რათა არც ერთ მათგანს არ მიეღო სარეალიზაციო ღვინო, მათი წინასწარი შემოწმების გარეშე.

მაგრამ დარღვევებს მაინც ჰქონდა ადგილი როგორც ღვინის ქარხნების მიერ ისე სხვა საწარმოებებისა და დაწესებულებების მხრივ.

„სამტრესტის“ ქარხნებს მიეცა სპეციალური მითითება, რათა კასრებით გაცემულ ღვინოებზე ზედ დაეწერათ ღვინის მარკა და მესი ხარისხის მაჩვენებელი სიმაგრე, რაც ხშირად ირღვეოდა პრაქტიკაში<sup>30</sup>.

1943 წ. ინსპექციაში ანალიზისათვის შემოსული იყო სულ 3 480 ნიმუში, რის შემოწმების საფუძველზე აიკრძალა და რეალიზაციაში არ იქნა გაშვებული 5 175 დკლ უხარისხო ღვინო.

ინსპექციამ ამ წელს შეადგინა 797 ქმანი<sup>31</sup>.

1944 წ. აღნიშნულმა ინსპექციამ შეამოწმა ღვინის 6 834 ნიმუში ჩაატარა 19 903 ანალიზი, შეადგინა 443 ქმანი<sup>32</sup>.

საერთოდ ომის პერიოდში ქართული ღვინის წარმოება ხასიათდებოდა საშუალო ხარისხიანობით. კერძოდ, მარკიანმა ღვინოებმა ასეთი შეფასება მიიღეს: 1941 წ.—8,1, 1942 წ.—8,5, 1943 წ.—8,3, 1944 წ.—8,4 და 1945 წ.—9.

მაშასადამე, მარკიანი სუფრის ღვინოების ხარისხი ომის პერიოდში თანდათან უმჯობესდებოდა.

საქართველოს მეღვინეობის ძირითად მეურნეობრივ ორგანიზაციას— „სამტრესტს“ სამამულო ომის პერიოდში მოუხდა ომის პირობების შესაბამისად გარდაეკმნა თავისი მუშაობა.

ეხებოდა რა „სამტრესტის“ მიერ 1941 წ. ჩატარებულ მუშა-

<sup>29</sup> საქ. სსრ სახ. მეურნ. საბჭოს არქივი, ფ. 4, საქ. 481, ფურც. 30.

<sup>30</sup> იქვე, ფურც. 29.

<sup>31</sup> იქვე, საქ. 642, ფურც. 2—6.

<sup>32</sup> იქვე, ფურც. 31—32.



ობას 1942 წ. 25 მაისს „სამტრესტის“ მმართველი ანხ. ახალი-  
ვილი აღნიშნავდა: ომის პირობებთან დაკავშირებით „ჩვენ მუშაკი-  
და ჩვენი მუშაობის სტილი გარდაგვექმნა ახალ ყაიდაზე და ჩვენი  
კავშირებინა ის ომის ვითარების მოთხოვნილებებთან, რაც ჩვენ  
ძირითადად შევძელით გადაგვეჭრა<sup>33</sup>. კერძოდ, პარტიისა და მთავ-  
რობის მითითებათა საფუძველზე საჭირო გახდა შემავრებული ღვი-  
ნოების შემცირება 360 ათასი დკლ-დან (1940 წ.) 140 ათას დკლ-მდე  
(1941 წ.).

ამასთანავე, მოსახლეობის ყურძნით მომარაგებისათვის გადი-  
დდა მისი რეალიზაცია. თუ 1940 წ. რეალიზებული იყო მოსახლე-  
ობაზე სულ 4 303 ც ყურძენი, უკვე 1942 წ. მისი რაოდენობა 15 437  
ცენტნერამდე გაიზარდა.

ომის პერიოდში ტრესტმა აითვისა ისეთი ახალი პროდუქცია,  
როგორც იყო ჩურჩხელებისა და ბაჭყალის წარმოება, რაც ნაჯარ-  
ნახევი იყო ომის პირობებითა და საჭიროებით. უკვე პირველ წელ-  
სვე დაამზადეს 8,2 ტ ჩურჩხელა. 1942 წ.—14,7, 1943 წ.—14,5 და  
1944 წ.—12,18 ტონა, ხოლო ბაჭყალის წარმოებული იყო 1942 წ.—  
45,4 ტ, 1943წ.—70,27 ტ, ხოლო 1944 წ.— 160 ტონა.

ომის პერიოდში არა თუ შემცირდა გამოშვებული ღვინის ასო-  
რტიმენტი, არამედ პირიქით, გამოშვებული იყო ახალი შარკის  
ღვინოები: „სალხინო“ № 3, „ყვარელი“ № 50 და „მწვანე“ (1941  
წ.) „მანავის მწვანე“ (1942 წ.) „გურჯაანი“ (1943 წ.) „ხირსა“ № 33,  
(შემავრებული).

1942 წლიდან „სამტრესტი“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტთან ერთად ატა-  
რებს მუშაობას ისტორიულად ძველი ღვინოების ტიპების გამოსავ-  
ლინებლად და მის აღსადგენად.

1942 წ. ჩატარდა ცდები ღვინოებზე: „ტიბაანი“, „ხვანჭყარა“,  
„ატენური“, „ხიდისთური“ „ახმეტა-თეთრი“, „ქინძმარაული“,  
„ჩხავერი“, „რაკული თეთრი“ და სხვა. გარდა ამისა დამზადდება  
„ნიმუშები“ „იყალთო ჭანანური“, „ცხინვალური“, „შავეკაპიტო“,  
„ქვიშხური, ციკა“ და სხვ. 1943 წ. განმეორებით ჩატარეს ცდებ-  
ი „რაკულ თეთრაზე“, „ხვანჭყარაზე“, „ქინძმარაულზე“, „ჩხავერ-  
ზე“, „იყალთო გორგორებზე“, „იყალთო ჭანანურზე“, „ატენურზე“,  
„ხიდისთურზე“. ხოლო ახლად ჩატარეს ცდები: „უსახელაურზე“.

<sup>33</sup> „სამტრესტის“ არქივი, ფ. 1, საქ. 3240, ფურც. 57.



„ცოლიკაურზე“, „ნაგუთნეულზე“, „ლენჩუშის ოჯალეშზე“, „ცოლიკაურ ობჩაზე“, „საფერავ-სანაეარდოზე“, „ყვარელ-ნაბეჭეტელზე“, „კარდანახი-წარაფებზე“, „ახოება-საფერავზე“ და „კრახტნასაფერავზე“<sup>34</sup>. მსგავსი ცდები განმეორდა აგრეთვე 1944 წ.<sup>35</sup>.

მართალია, ქართული ნატურალური ტკბილი ლეინოების დამზადება კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, მაგრამ ამ ტიპის ლეინოების გამოშვება მრეწველური მნიშვნელობით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თითქმის არ წარმოებდა. „მისი ფართო საწარმოო მნიშვნელობით დამზადება მხოლოდ დიდი სამამულო ომის პერიოდში (ხაზი ჩემია—ა. ს.) დაიწყო“<sup>36</sup>, ხოლო შემდგომ მთელი შესაძლებლობით განვითარდა იგი.

ამ საქმეში კი ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის პროფ. კ. მოდებაძეს და სხვა გამოჩენილ მეცნიერებსა და სპეციალისტებს.

ომის პერიოდში „სამტრესტი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, ხარისხოვანი მარკიანი ლეინოების მისაღებად, ლეინის დამკველებას. ამ მიზნით გამოყოფილი იყო 1941 წ. 220 ათასი დკლ (მ. შ., 200 ათასი მშრალი და 20 ათასი დკლ შემაგრებული). 1942 წ. დასაძველებლად გამოყვეს ამავე რაოდენობის ლეინო (მ. შ., 158 ათასი მშრალი და 62 ათასი შემაგრებული). 1945 წ. გამოყოფილი იყო დასაძველებლად 1944 წლის მოსავლიდან 191 874 დკლ, ხოლო 1945 წ. მოსავლიდან— 274 862 დკლ ლეინო.

დაძველებული ლეინოების ფონდიდან 1945 წ. დაიხარჯა სულ 217 838 დკლ ლეინო და 1945 წ. ბოლოსათვის დარჩა გადასაძველებლად სულ 353,712 დკლ<sup>36</sup>.

ქართული მეღვინეობა ომის წლებში აწყდებოდა რიგ სიძინელებს. რომელთა გადალახვა აუცილებლობას წარმოადგენდა. სიძინელე პირველყოვლისა იმაში მდგომარეობდა, რომ ფრონტზე გაიწვიეს კვალიფიციური მეღვინეები და მათი სამუშაოს შესრულება უპირატესად ქალებს დაეკისრათ. მაგრამ ეს საპატიო ამოცანა ქალებმა ღირსეულად შეასრულეს. ისინი ფართოდ ჩაებნენ სტახანოვერ მოძრაობაში.

ასეთ სტახანოველ ქალთა რიცხვს ეკუთვნოდნენ თბილისის

<sup>34</sup> საქართველოს სსრ სახ. მეურნ. საბჭოს არქივი, ფ. 2, საქ. 713, ფურც. 6.

<sup>35</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერება 40 წლისთავეზე, თბ., 1961, გვ. 66.

<sup>36</sup> საქართველოს სსრ სახ. მეურნ. საბჭოს არქივი, ფ. 4, საქ. 713, ფურც. 7.

№ 1 ღვინის ქარხნის მუშები: 1. ნადეჟდა გიორგის ასული ხეცურა-  
ანი, რომელიც ღვინის ჩამოსხმის წლიურ გეგმას ომის პერიოდში  
130%-მდე ასრულებდა; 2. დარია დიმიტრის ასული ხატაშვილი  
ბოთლების მრეცხავი, გეგმას 120%-ით ასრულებდა. 3. ნინო აბრა-  
მის ასული არსენიშვილი—თელავის ღვინის ქარხნის მელვინე მუშა  
ქალი, რომელიც გეგმას 170%-ით ასრულებდა და ა. შ.<sup>37</sup> ასევე ათე-  
ულობითა და ასეულობით ჩამოითვლებოდა ღვინისა და შამპანური  
ღვინის ქარხნებში ისეთი ქალები, რომლებიც ადვილად დაეუფლნენ  
დაკისრებულ სამუშაოებს და გეგმას გადაჭარბებით ასრულებდნენ.  
მაგრამ ღვინის ქარხნები მაინც განიცდიდნენ მუშა ხელის ნაკ-  
ლებობას და იგი თავის პირდაპირ გავლენას ახდენდა წარმოებული  
ღვინის გეგმის შესრულებაზე და მის ხარისხზე.

ომის პერიოდში ერთ-ერთი მტკივნეული საკითხთაგანი იყო  
ტრანსპორტის და პირველ რიგში რკინიგზის ტრანსპორტის ორგა-  
ნიზაცია. ცნობილია, რომ რკინიგზა ამ დროს თითქმის მთლიანად  
ომის საჭიროებას ემსახურებოდა და მას არ ეცალა ღვინის გადა-  
ტან-გადმოტანისათვის.

განსაკუთრებით მწვავედ იდგა ამ პერიოდში ღვინის კასრებისა  
და ბოთლების (ჭურჭლის ტარა) მომარაგების საკითხი, რაც თავის  
მხრივ დიდად აფერხებდა ხარისხოვანი ღვინის წარმოების საქმეს.

თუ ომამდე ჩვენს რესპუბლიკას ბოთლების შემოტანა უხდებ-  
ოდა ცენტრალიზებული წესით მოკავშირე რესპუბლიკების შუ-  
შის ქარხნებიდან, ომის პერიოდში მთლიანად შეწყდა მისი შემო-  
ტანა. ასე მაგალითად, 1938 წ. საქართველოში შემოტანილი იყო  
სულ 5 500 ათასი ბოთლი, 1939 წ. — 5 350 ათასი ბოთლი, 1940 წ.—  
3 020 ათასი, 1941 წ. — 970 ათასი ბოთლი, ხოლო 1942 წ. მთლიან-  
ად შეწყდა მისი შემოტანა<sup>38</sup>.

რაც შეეხება ავჭალის შუშის ქარხანას, რომელიც წელიწადში  
2—3 მლნ შუშის ბოთლს ამზადებდა, იგი 1942 წლიდან შეუდგა  
ბირთვულად სპეცშეკვეთების დამზადებას, რაც სამამულო ომის პი-  
რობებით იყო ნაკარნახევი.

სამამულო ომის მთელ პერიოდში დიდი როლი შეასრულა მო-  
სახლეობაში „სამტრესტის“ მიერ შუშის ტარის შეგროვებამ, მაგ-  
რამ იგი საკმარისი არ იყო, რადგან წელიწადში საჭირო იყო 7—  
10 მლნ ცალამდე სხვადასხვა ზომის შუშის ტარა (ღვინისათვის

<sup>37</sup> საქ. სსრ სახ. მეურნ. საბჭოს არქივი, ფ. 4, საქ. 713, ფურც. 36.

<sup>38</sup> „სამტრესტის“ არქივი, ფ. 1, საქ. 3240, ფურც. 17.



საქართველოს  
საზღვრო დაცვა

0,75, არაყისათვის 0,5, კონიაკისა და ლიქორისათვის—0,5 და 0,25 ტარის ზომისა), ეს გარემოება გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა მეღვინეობის ნორმალური განვითარებისათვის.

სიძნელეებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე ღვინოების კასრებით უზრუნველყოფის საქმეშიც (როგორც ჩასახმელად ისე გადასატანად). მართალია 1941 წ. დამზადებული იყო კასრები: 2 250 ც ტევადობისა (მ. შ., წინადაღში—1950 ც, ვარციხეში—800 ფ, მუკუზანში—550 ც), მაგრამ ეს მეტად უმნიშვნელო იყო, რადგან ამ წელს ნაგარაუდღევი იყო სხვა ქალაქებიდან 1 მლნ დკლ ტევადობის კასრების შემოტანა, რაც ვერ მოხერხდა. მდგომარეობას აბრკოლებდა არა მარტო ის, რომ შეფერხდა ან სულ შეწყდა კასრების დამზადება მოკავშირე რესპუბლიკებში, არამედ ისიც, რომ, როგორც ითქვა, ომის წლებში მეტად ძნელი შეიქნა რკინიგზის ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

ამ სიძნელეების თავიდან ასაცილებლად ფართოდ იქნა გამოყენებული რესპუბლიკის შიგნით არსებული რეზერვები. კერძოდ, „სამტრესტმა“ იჯარით აიღო კოლმეურნეების განკარგულებაში მყოფი ქვევრები.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებით, წინადადება მიეცა საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს „სამტრესტისათვის“ გამოეყო 150 ათასი დკლ ტევადობის კასრები.

იმის გამო, რომ 1944 წ. „სამტრესტი“ განიცდიდა ტარის მხრივ დიდ ნაკლებობას, ღვინის ქარხნებმა დროებით გამოიყენეს არსებული ჩანები, ვიდრე დაიწყებოდა ყურძნის დაწურვის სეზონი და ა. შ.

მართალია, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთლიანი საქმიანობა გარდაიქმნა ომის ყაიდაზე და ემსახურებოდა მის მოთხოვნილებებს, მაგრამ ქართველ მეღვინეებს ერთი წუთითაც არ შეუჩერებიათ ზრუნვა მაღალხარისხოვანი ღვინის გამოშვებისათვის და საერთოდ, მეღვინეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის.

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახკომსაბჭო სისტემატურად იხილავდნენ მევენახეობა-მეღვინეობის საკითხებს და საბავდნენ სათანადო ღონისძიებებს აღნიშნულ დარგში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და მის ჯეროვან სიმძალეზე დასაყენებლად.

მაგალითად, 1944 წ. 11 აგვისტოს, საქართველოს სსრ საბჭოთა საბჭომ და კომპარტიის ც.კ.-მა მოისმინა რა „სამტრესტის“ მუშაობის ანგარიშგება ომის პერიოდში, დასახა შემდეგი ღონისძიებები:

1. „სამტრესტმა“ გააგრძელოს მუშაობა მაღალხარისხის ლენინის ახალი მარკების გამოსაშვებად, მიკრორაიონებში მისი გამოქვავების მიხედვით.

2. გააგრძელოს და გააძლიეროს მეთვალყურეობა და მოვლა იმ ლენინებისადმი, რომლებიც დაძველების პროცესში იმყოფება, არ დაუშვან მათი ვადაზე აღრე გადამუშავება.

3. 1944 წ. მოსავლის გადამუშავების საქმეში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ტექნოლოგიური ღონისძიებების გატარებას მაღალხარისხიანი ლენინისადმი გამოსამუშავებლად და მათი შემდგომი მოვლისათვის. ასევე უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხობრივი ორდინალური ლენინების გამოშვება.

4. გაგრძელდეს სამუშაოები არსებული დანაჯარგების ნორმის შემცირების საქმეში და ლენინის მასალის დანაჯარგების წინააღმდეგ.

5. მარკიანი ლენინის ხარისხის შესანარჩუნებლად მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული მათი გამოშვება მხოლოდ შუშის ტარაში (ბოთლებში) თავისი სათანადო გაფორმებით (წარმოებული მარკით).<sup>39</sup>

აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებდა, აგრეთვე, სანდო-ლეულო ბაზის გაუმჯობესებისა და განმტკიცების საკითხებს, მაგალითად, დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ საქირთა დაისახოს ღონისძიებანი ვენახებში არსებული მეჩხერიანობის ლიკვიდაციის, ფართობების ორგანული სასუქებით უზრუნველყოფისა და არა-ორგანული ნივთიერებით მომარაგების შესახებ. კერძოდ, დაევალა საქართველოს სოფლის მეურნეობის მომარაგების სამმართველოს, რომ 1944 წ. 15 ოქტომბრამდე „სამტრესტისათვის“ გაშოეყო 1 500 ტ სუპერფოსფატი, 500 ტ კალიუმი და 500 ტ აზოტური სასუქი. ღონისძიებები ითვალისწინებდნენ სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას მევენახეობაში, აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად ჩატარებას და ა. შ.

ყოველივე ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ მიუხედავად გამძაფრებული ომისა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა აწარმოებდა ფაშიზმის წინა-

<sup>39</sup> საქართველოს სსრ საბ. მეურნეობის საბჭოს არქივი, ფ. 4, საქმე 620, ფურც. 33-46.



აღმდეგ, პარტია და მთავრობა ერთი წუთითაც არ ივიწყებდა პურს  
ში მუშაობის ნორმალურად ჩატარებას და სახალხო მეურნეობის  
ყველა დარგში წესრიგის დამყარებას.

აღნიშნული ღონისძიებების გატარება აუცილებელი პირობა  
იყო სამამულო ომში გამარჯვებისა და მტრის საბოლოოდ განად-  
გურებისა.

თავი მესამე

მეღვინეობა ომისუბიექტომ ხუთწლეულებში

(1946—1958 წწ.)

1. მეღვინეობა მითხი ხუთწლეულებში

(1946—1950 წწ.)

საბჭოთა ხალხმა მძიმე და ხანგრძლივი ომი გადაიტანა. დიდი სამამულო ომის პერიოდში უზარმაზარ სივრცეებზე ფერფლად და ნანგრევებად იქცა ქალაქები და სოფლები. „ჩვენი ქვეყნის წინაშე რთული ამოცანები დაისახა. უნდა აღმოგვეფხვრა გამანადგურებელი ომის მძიმე შედეგები, გამოგვეკვება, შეგვემოსა და ბინა მიგვეცა მილიონობით ადამიანებისათვის, მშვიდობიან რელსებზე გადაგვეყვანა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, კვლავ აღგვედგინა სამეურნეო ურთიერთობა, გამოგვენახა შემდგომი ეკონომიური და კულტურული მშენებლობის რესურსები და არაფრის გადადება არ შეიძლებოდა სახვალოდ“<sup>1</sup>.

სამამულო ომის პერიოდში მუშახელის, საჭირო ქიმიკატების და აპარატურის ნაკლებობის გამო დროულად და ხარისხიანად არ ტარდებოდა რესპუბლიკის ვენახებსა და სანერგე მეურნეობებში აგროტექნიკით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამის შედეგად ადგილი ჰქონდა ვენახის მთლიანი ფართობის შემცირებას, (როგ რაიონებში კი მის ნაწილობრივ დაღუპვასაც) ყუბძნის მოსავლის შემცირებას და ღვინის წარმოების მკვეთრად დაცემას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა თანდათან მოიშუშა ომის კრილობები და გაიშალა ფართო მუშაობა მთელი სახალხო მეურნეობის მ. შ., მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენისა და განვითარებისათვის.

<sup>1</sup> ლ. ი. ბ რ ე ე ე ე ე, საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვება, გაზ. „კომუნისტი“ 1965 წ. 9 მაისი.

უკვე 1945 წ. 14 სექტემბერს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საკითხი მესხეთის რაიონებში მევენახეობის ფართო განვითარებისათვის და დადგინდა იტანეს შესაფერისი დადგენილებანი. მასში ხაზგასმული იქნა ახალციხის, ასპინძისა და აღიგენის რაიონების ბუნებრივ-ისტორიული პირობების შესწავლის საფუძველზე, აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მელეინეობის საკვლევე ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ცდების შედეგად დადასტურებულია, რომ აღნიშნულ რაიონებში შესაძლებელია მევენახეობა-მელეინეობის ფართოდ განვითარება. ამ მიზნით დაწესებულ იქნა 1946—1950 წლებისათვის ვენახების გაშენების გეგმა 2 300 ჰა რაოდენობით, რაც განაწილდა მოცემული წლებისა და მეურნეობების მიხედვით (იხ. ცხრ. 27).

ცხრილი 27

მევენახეობის განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმა მესხეთის რაიონში (ჰა)

რაიონების დასახელება	1946 წ.			1947 წ.		
	კოლმეურნეობებში	საქარმი-დამო ნაკვეთი	სულ	კოლმეურნეობებში	საქარმი-დამო ნაკვეთი	სულ
ახალციხე . . . . .	10	40	50	10	60	70
აღიგენი . . . . .	10	40	50	20	50	70
ასპინძა . . . . .	10	40	50	10	35	45

1948 წ.				1949 წ.				1950 წ.				სულ			
კოლმეურნეობებში	საქარმი-დამო ნაკვეთი	სულ	კოლმეურნეობებში	საქარმი-დამო ნაკვეთი	სულ	კოლმეურნეობებში	საქარმი-დამო ნაკვეთი	სულ	კოლმეურნეობებში	საქარმი-დამო ნაკვეთი	სულ	კოლმეურნეობებში	საქარმი-დამო ნაკვეთი	სულ	
30	120	150	90	255	345	270	140	410	410	615	1025	30	120	150	
30	50	80	80	100	200	89	120	209	220	380	600	30	70	100	
30	70	100	120	100	230	100	150	250	230	405	675	30	70	100	

ამასთან დამტკიცდა აღნიშნულ რაიონებში ვენახების გაშენება ჯიშების მიხედვითაც, კერძოდ, ყველა რაიონში ძირითადად გაშენებული უნდა ყოფილიყო ვაზის ჯიშები: „რქაწითელი“, „საფერავი“, „ქვიშხური“ „გურული მწვანე“, „შავკაპიტო“ და „შასლა“. 1946 წ. გაშენებული უნდა ყოფილიყო 150 ჰა, 1947 წ. — 185 ჰა, 1948 წ. — 330 ჰა, 1949 წ. — 775 ჰა და 1950 წ. — 860 ჰა, სულ — 2 300 ჰექტარი.



ამავე დადგენილებაში მითითებული იყო, რომ ადგილობრივი პირობების ზუსტად შესწავლის საფუძველზე უნდა მომხდარიყო მეტად მდიდარი ასორტიმენტისაგან იმ ჯიშების გამოვლენა, რომლებშიც მელიც არსებულ ეკოლოგიურ პირობებში უდავოდ გამოვლენილებოდა და ამავე დროს სათანადო ხარისხსა და რაოდენობასაც უზრუნველყოფდა<sup>2</sup>.

მართალია, მესხეთი ჩვენს სინამდვილეში ახალ რაიონადაა ჩათვლილი მევენახეობა-მელვინეობის დარგში, მაგრამ ცნობილია, რომ აქ, წარსულში, ეს დარგი მეტად მაღალ საფეხურზე იდგა. ამიტომ ამ რაიონებში შესაძლებელი იყო ადგილობრივი პირობებისათვის ძვირფასი ჯიშების შერჩევა და შემდგომში მათზე ფართო დაყრდნობა. სწორედ ამ მიმართულებით გაიშალა მევენახეობა მესხეთის რაიონში მეოთხე ხუთწლეულში.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტმა 1945 წ. 12 ნოემბერს განიხილეს საკითხი შამპანური ჯიშის ვენახების შესახებ და მიიღეს შესაბამისი დადგენილება. ამ დადგენილებაში ხაზგასმული იყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა შამპანური ჯიშების ვენახების არაღამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. კერძოდ, კასპის, გორის, საჩხერის, ზესტაფონის და განსაკუთრებით კი ჩხარის რაიონში; რომ აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობები, ომის განმავლობაში შამპანური ჯიშის ვენახებს ამუშავებდნენ არაღამაკმაყოფილებლად, ადგილი ჰქონდა ნაკვეთებში დიდ მეჩხერიანობას, ხოლო ცალკეული ნაკვეთები მთლიანად დაილუპნენ. მაგალითად, კასპის რაიონში 49 ჰექტარიდან „პინოფრანი“ დაილუპა 48 ჰექტარ ფართობზე. მცხეთის რაიონში დაილუპა 21 ჰა. გორის რაიონში — 18 ჰა, ჩხარის რაიონში — 58 ჰა, ზესტაფონის რაიონში — 18 ჰა, ორჯონიკიძეში — 14 ჰა, საჩხერეში — 8 ჰექტარი და ა. შ. აღინიშნა აგრეთვე, რომ შამპანური ჯიშისათვის გათვალისწინებულ ნაკვეთებზე გაშენებული იყო სულ სხვა ჯიშის ვენახი, რომ ზოგ რაიონებში (ჩხარი, ზესტაფონი) შამპანური ჯიშის ვენახი არ იყო შემოღობილი და საძოვრად გადაიქცა, ვაზებს შორის (რიგთა შორის) სთესდნენ სიმინდს, ლობიოს და სხვ. ვაზის პლანტაციები გადატვირთული იყო სხვა ნათესებით. ყოველივე ამის გამო ყურძნის მოსავლიანობა მეტად დაეცა.

<sup>2</sup> საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს არქივი, ფ. 4, საქ. 686, ფურც. 50—51.



ასევე არადაამკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო მუხრანის, ალაიანისა და ვაჭევის საბჭოთა მეურნეობებში, სადაც უზრუნველყოფილი საჭირო მუშახელი, ნაკვეთები დასარეგულირებელი იყო, სისტემატურად მახინჯდებოდა აგროტექნიკით გათვალისწინებული ღონისძიებების ვადები, ხოლო ცალკეული ნაკვეთები სრულიად დაუმუშავებელი იყო.

აქედან გამომდინარე პარტიამ და მთავრობამ დაადგინეს, რომ 1947 წ. ბოლოსათვის მთლიანად აღმოფხვრილიყო მეჩხერიანობა კოლმეურნეობრივ მევენახეობაში და საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო 1946 წ. 1 ივნისისათვის დამთავრებულიყო ვენახების შემოღობვა.

დადგენილ უნდა ყოფილიყო თითოეული კოლმეურნეობისათვის ქარსაცავის გაშენების გეგმა შამპანური ჭიშის ვენახებისათვის იმ ანგარიშით, რომ დამთავრებულიყო ეს სამუშაო 1947 წლის ბოლოსათვის. კატეგორიულად აეკრძალათ კოლმეურნეობებს ვენახებში რიგთაშორის სხვა კულტურების თესვა. ამასთანავე, ვენახების ბრიგადებში სპეციალური რგოლები უნდა შექმნილიყო, რომელზეც წევრები მიმავრებული იქნებოდნენ ოთხი წლით, მოუვლიდნენ მხოლოდ შამპანური ჭიშის ვენახებს.

ასევე, საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ სპეციალურად გახიზილა საკითხი 1945 წ. 21 ნოემბერს ვენახების ბოძებითა და პალოებით მომარაგების შესახებ და გამოიტანა შესაფერისი დადგენილება, რის საფუძველზეც 1945—1946 წწ. ზამთრისათვის ვენახები მომარაგებული უნდა ყოფილიყო 282 ათასი ცალი (2 მეტრი სიგრძის ბოძით), 500 ათასი პალოთი და 3 მლნ ცალი ჭიგოთი.

1945 წ. 10 დეკემბერს საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცკ განიხილა საკითხი — 1946 წლისათვის ამერიკული ვაზის რქის აჭრის შესახებ 7 845 ათასი ცალის რაოდენობით მ. შ., კოლმეურნეობების ხაზით—4 675 ათასი და საბჭოთა მეურნეობის ხაზით—3 710 ათასი ცალი და ა. შ.

აქედან ჩანს, თუ რა გულმოდგინებით ეკიდებოდა პარტია და საბჭოთა მთავრობა ომის დამთავრებისთანავე ჩვენს ქვეყანაში მევენახეობის განვითარებას, რაც პირველი და აუცილებელი საწინდარი იყო მეღვინეობის შემდგომი აღმავლობისათვის რესპუბლიკაში.

კანონი, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგ-

3 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს არქივი, ფ. 4, საქ. 686, ფურც. 59—60.

მის შესახებ, ითვალისწინებდა ვენახის მთლიანი ფართობის აყვანას 70 ათას ჰექტარამდე (მ. შ., ახალი ვენახი უნდა გაეშენებინათ 11 ათას ჰა ფართობზე). ხუთწლედ ვარაუდობდა დღეობის განხორციელებას მთლიანად აღდგენას, მის რემონტს და მეჩხერიანი ფართობების ლიკვიდაციას. აგრეთვე სადღე-სანერგე მეურნეობების მოწყობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ხუთწლიანი გეგმით ყურძნის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 1950 წ. აყვანილი უნდა ყოფილიყო 40 ცენტერამდე.

საკუთრივ „სამტრესტის“ ხაზით ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ვენახის ფართობის გადიდებას 1 458 ჰექტარიდან 2 080 ჰექტარამდე. ყურძნის ჰექტარობრივი მოსავლის გადიდება ასე იყო ნაგარაუდები: 1946 წ. — 35 ც, 1947 წ. — 45 ც, 1948 წ. — 50 ც, 1949 წ. — 55 ც და 1950 წ. — 60 ცენტერი.

ყურძნის დამზადება რესპუბლიკაში 31 500 ტონიდან (1946 წ.) უნდა გადიდებულიყო — 45 992 ტონამდე (1950 წ.), ე. ი. ზრდა ნაგარაუდები იყო 40%-ით.

ყურძნის ღვინის მთლიანი წარმოება საქართველოში სახელმწიფოებრივი სექტორის ხაზით 800 ათასი დკლ-დან (1945 წ.) უნდა გადიდებულიყო 1 550 ათას დკლ-მდე (1950 წ.), ე. ი., თითქმის ორჯერ.

დასაძველებლად გამოყოფილი ღვინის რაოდენობა 430 ათასი დკლ-დან (1945 წ.) გადიდებული უნდა ყოფილიყო (1950 წ. ბოლოსათვის) 700 ათას დკლ-მდე, რაც უზრუნველყოფდა მარკიანი ღვინოების წარმოების გადიდებას მთლიან პროდუქციაში.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმა არ ითვალისწინებდა ტყბილი შემაგრებული ღვინის ხვედრიწონის გადიდებას. პირიქით, თუ ომამდე „სამტრესტის“ მიერ გამოშვებული ტყბილი შემაგრებული ღვინის ხვედრიწონა მთლიან პროდუქციაში (1 159 ათას დკლ-დან — 470 ათასი დკლ) უდრიდა 40%-ს, ხუთწლედის ბოლოს იგი დაყვანილი უნდა ყოფილიყო 17%-მდე. ხუთწლიან გეგმაში აღნიშნული იყო, რომ, რადგან საქართველო მიჩნეულია ხარისხოვანი მშრალი ღვინოების რაიონად, ამიტომ „სწორედ ამ მხარეს მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება. ტყბილი შემაგრებული ღვინო 1950 წ. წარმოებული იქნება სულ 220 ათას დკლ მთლიან („სამტრესტის“ ხაზით — ა. ს.) 1 300 ათას დკლ-დან“<sup>4</sup>.

<sup>4</sup> საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს არქივი, ფ. 9, საქ. 738, ფურც. 12.



მეოთხე ხუთწლიანი გეგმა ვარაუდობდა მარკიანი ღვინის წარმოების გადიდების მიზნით, ღვინის ახალი ქარხნების აშენებას, რომლებშიც ერთდროულად მოეწყობა 600 ათასი ათასი ღვინის შენახვის შესაძლებლობას.

ასევე გათვალისწინებული იყო ყურძნის პირველადი გადამამუშავების ქარხნებთან დიდი მარნების აგება—თბილისში, შილდაში, შრომაში, ველისციხეში (ქვევრიანი მარნები), ობჩაში, მაიაკოვსკში, ბახეში—სულ 365 ათასი ათასი სიმძლავრით. ამავე ხუთწლეულში უნდა დამთავრებულიყო ზეინდარის, ვაქირის, ანავისა და ტიბაანის მარნების მშენებლობა.

მრეწველური მეღვინეობის შემდგომი განვითარების მიზნით მეოთხე ხუთწლეულში უნდა ჩამოყალიბებულიყო მევენახეობის მიმართულებით ორი ახალი საბჭოთა მეურნეობა დილომსა და თელიანში.



იმის გამო, რომ 1946—1950 წწ. აღვილი ჰქონდა ომის პერიოდში დაზარალებული ვენახების მასიურ აღდგენას და მეჩხერიანი ფართობების ლიკვიდაციას, ახლად გაშენებულმა ვენახმა ძლივს დაფარა მანამდე არსებული ვაზის პლანტაცია. ასე რომ 1950 წ. ვენახის მთლიანმა ფართობმა რესპუბლიკაში მხოლოდ 58,2 ათასი ჰექტარი შეადგინა. მ. შ., ნაყოფის მომცემი იყო—47,8 ჰა, ანუ მთლიანი ფართობის 82%.

სექტორების მიხედვით 1950 წ. ვენახის მთლიანი ფართობიდან კოლმეურნეობებზე მოდიოდა 37,5 ათასი ჰა, ანუ 38,6%, მ. შ., ნაყოფის მომცემი იყო 18,5 ათასი ჰექტარი. საბჭოთა მეურნეობებზე მოდიოდა 2,7 ათასი ჰა, ე. ი. მთლიანი ფართობის დაახლოებით 4%. ხოლო დამხმარე მეურნეობის წილად მოდიოდა 33 ათასი ჰექტარი ანუ 57,4% ე. ი. ნაყოფის მომცემი იყო 27,1 ათასი ჰექტარი.

თუ ყურძნის ჰექტობრივი მოსავლიანობა 1949 წ. შეადგენდა 44,3 ც, მომდევნო წელს იგი შემცირდა 33,5 ც-მდე, ხოლო მთლიანი მოსავალი ამავე პერიოდში 220 ათასი ტონიდან დაეცა 158 ათას ტონამდე.

მეოთხე ხუთწლეულში საკმაოდ გაიზარდა ყურძნის სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა.

საქართველოს სსრ ცენტრ. სტატ. სამმართველოს მონაცემებით, თუ 1940 წ. დამზადებული და შესყიდულ იქნა მეურნეობის ყველა



კატეგორიაში 35 ათასი ტონა ყურძენი, 1945 წ. იგი შემცირდა 25 ათას ტონამდე, ხოლო 1950 წ. გაიზარდა 58 ათას ტონამდე. ზრდა მოხდა ორჯერ და მეტად ვიღრე 1945 წ.<sup>5</sup> აქედან კოლმეურნეობებში დამზადდა 28,7. საბჭოთა მეურნეობებში—6,5, ხოლო კოლმეურნე-გლეხურ სექტორში—22,6 ათასი ტონა ყურძენი.

როგორც ვხედავთ, ყურძნის სახელმწიფო დამზადების საქმეში 1950 წ. გადამწყვეტი როლი უკვე კოლმეურნეობებს ენიჭებათ.

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1948 წ. 3 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს მევენახეობის მიმართულების კოლმეურნეობებს, ყურძნის გეგმის ზევით გადაკარბებით ჩაბარებისათვის, მტკიცე ფასებში მიეცათ პური (ხორბალი). კერძოდ, ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა მიიღეს 5366 ტ, გურჯაანის — 2487 ტ, მიაკოესკის — 175 ტ, თელავის — 671 ტ და ა. შ.<sup>6</sup>

ყურძნის დიდი რაოდენობით დამზადებამ უზრუნველყო რესპუბლიკაში ღვინის წარმოების გადიდება ხუთწლეულში (იხ. ცხრ. 28).

ცხრილი 28

ყურძნის ღვინის წარმოება მეოთხე ხუთწლეულში (ათას ღელ)<sup>7</sup>

დასახელება	1946 წ.	1947 წ.	1948 წ.	1949 წ.	1950 წ.	ზრდა % -ით
სულ ღვინო . . . . .	1 612	2 057	2 710	3 099	3 756	126
ბ. შ. რესპუბლიკის შიგნით მისი ზეედრიწონა მთლიან პროდუქტიაში %-ით . . .	81,9	90,0	89,0	89,0	78,0	—
II რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ . . . . .	188	216	289	329	633	343
მისი ზეედრიწონა %-ით . . .	18,1	10,0	11,0	11,0	22,0	—
III „სამტრესტის“ ხაზით წარმოებული ღვინო . . . . .	858,4	995,5	980,2	1 129,5	2 354,1	174
ბ. შ. რესპუბლიკის შიგნით მისი ზეედრიწონა %-ით . . .	669,9	787,2	681,6	800,7	1 520,5	130
ბ. რესპუბლიკის გარეთ . . .	78	79	70	70	65	—
მისი ზეედრიწონა %-ით . . .	188,5	208,3	298,6	328,8	633,6	342
IV ღვინომისაღის წარმოება . . . . .	22,0	21,0	30,0	30,0	36,0	—
V შამანურის წარმოება (ათას ზითლ.) . . . . .	884,0	1 253,3	1 604,3	—	2 388	170
	1 704	2 179	410	2 523	3 507	100

<sup>5</sup> საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, 1961, თბ., 33-79.

<sup>6</sup> საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს არქივი, ფ. 4, საქ. 869, ფურც. 9.

<sup>7</sup> ცხრილი შედგენილია საქ. სსრ ცსს-სა და „სამტრესტის“ წლიური ანგარიშგებების მიხედვით.



წარმოებული ყურძნის ღვინიდან მიღებული ფულადი შემოსავალი/ 1946 წ. შედარებით გაიზარდა 185%-ით.

რაც შეეხება „სამტრესტის“ ხაზით მთლიანად რეალიზირებული ღვინოს და აქედან ამონაგებ თანხას, წმინდა შემოსავლისა და რენტაბელობის დონის გათვალისწინებით, იგი მეოთხე ხუთწლეულში ასე გამოიყურებოდა (იხ. ცხრ. 29).

ცხრილი 29

„სამტრესტის“ მიერ რეალიზებული ღვინო და აქედან ამონაგები თანხა მეოთხე ხუთწლეულში (ათას მან.)<sup>9</sup>.

წლები	რაოდენობა (ათას დკლ.)	მთლიანი თეთრიღვინის ბუკლეზა	ბრუნვის გადასახადი	რეალიზაციის მთლიანი თანხა	ბიუჯეტი ფასებით გასაცემი თანხა	წმინდა შემოსავალი + მოგება - წაგება	რენტაბელობის დონე %-ით	
1946	587,6	4 678,8	26 724,6	32 240,6	5 516,0	+	337,2	+17,9
1947	835,4	5 972,9	31 636,3	38 423,1	6 786,8	+	813,9	+13,6
1948	383,1	6 997,4	15 362,7	24 747,4	9 384,7	+	2 187,6	+34,1
1949	742,0	7 859,4	9 613,4	19 492,0	9 878,6	+	2 019,2	+25,7
1950	1 640,6	19 180,7	8 625,3	32 129,92	23 503,0	+	4 323,2	+22,7
სულ ხუთწლეულში	4 188,7	44 788,9	91 562,3	147 032,3	55 070,0	+10	3 811,1	+23,0

მოტანილი მონაცემები ცხადყოფენ შემდეგს:

1. ხუთწლეულის განმავლობაში „სამტრესტის“ მიერ რეალიზებული იყო სულ 4 188,7 ათასი დკლ ყურძნის ღვინო. ამასთან, თუ ხუთწლეულის დასაწყისში რეალიზებული იყო სულ 587,6 ათასი დკლ ღვინო, ხუთწლეულის ბოლოს იგი გაიზარდა თითქმის სამჯერ და 1 640,6 ათას დკლ-ს მიაღწია.

2. მთლიანი პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს 147 032,3 ათას მანეთს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, რეალიზებული ყურძნის ღვინოს რაოდენობა ხუთწლეულში იზრდება სამჯერ, მაგრამ რეალიზაციიდან ამონაგები თანხა თითქმის არ იცვლება. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ომის დამთავრების შემდეგ, პირველი ორი წლის განმავლობაში ჯერ კიდევ გრძელდებოდა ღვინოზე დადებული ის ფასები, რომელიც შემოდებული იყო ომის პერიოდში, ზოლო ხუთწლეულის ბოლოსათვის კი მისმა რეალიზაციის ფასებმა საგრძნობლად იკლო.

<sup>9</sup> ცხრილი შედგენილია „სამტრესტის“ წლიური ანგარიშგებების მიხედვით.



3. რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება კი, განვარდნილი ბითუმი ფასების მიხედვით, ხუთწლედში გადიდდა 43,2 მლნ მანეთისა და მეტად, ანუ 837,2 ათასი მანეთიდან გაიზარდა 4 322,2 მლნ მანეთამდე.

4. მართალია მთლიანი რეალიზაციის თანხა უცვლელი რჩება, მაგრამ დიდად მცირდება სახელმწიფო ბრუნვის გადასახადის თანხა. ასე მაგალითად, თუ 1946 წ. ყურძნის ღვინოდან ამონაგები ბრუნვის გადასახადის მთლიანი თანხა 26,7 მლნ მან. შეადგენდა, ხოლო რეალიზებული ყურძნის ღვინის რაოდენობა 587,6 ათას დკლ-ს უდრიდა, 1949 წ. რეალიზებული ღვინის რაოდენობა იზრდება 742 ათას დკლ-მდე, ხოლო 1950 წ.—1,6 მლნ დკლ-მდე ე. ი., თითქმის სამჯერ. ამავე პერიოდში ბრუნვის გადასახადი შეადგენს 9,6 და 8,6 მლნ მანეთს, ე. ი. თითქმის სამჯერ ნაკლებს ვიდრე ხუთწლედის დასაწყისში. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ღვინის რეალიზაციიდან მიღებული მოგება ხუთჯერ და მეტად გაიზარდა (4,3 მლნ მან. წინააღმდეგ 0,8 მლნ მანეთისა) ხუთწლედის ბოლოს, ვიდრე ხუთწლედის დასაწყისში.

მეოთხე ხუთწლედში მნიშვნელოვნად უმჯობესდება აგრეთვე გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

საკავშირო და ადგილობრივი სადგეუსტაციო კომისიების შეფასებით, მარკიანი ღვინის ხარისხობრივი შეფასება (10 ბალიანი სისტემის მიხედვით) ასეთი იყო: 1946 წ.—9,0, 1947 წ.—9,0, 1948 წ.—9,2, 1949 წ.—9,2 და 1950 წ.—9,17.

## 2. მიღწეობა მიხუთი ხუთწლედში (1951—1955 წწ.)

### ა. ხუთწლედის ამოცანები მევენახეობა-მეღვინეობაში

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის (1949 წ.) გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-მა 1951 წ. 21 თებერვალს მიიღეს დადგენილება მეხუთე ხუთწლედის ბოლოსათვის ვენახის მთლიანი ფართობის გადიდების შესახებ 70 ათას ჰექტარამდე. დადგენილება ითვალისწინებდა ვენახის ფართობის გადიდებას განსაზოგადოებელი სექტორის და პირველ რიგში კოლმეურნეობების ხარჯზე.

დადგენილებაში ხაზგასმული იყო, რომ რესპუბლიკაში გავრცელებული 138 ვაზის ჯიშის ნაცვლად, დატოვებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ მრეწველური დანიშნულების 16 ჯიშის ვაზი, რომ-



მელიც მოგვეცემა საუკეთესო ურძენს ხარისხოვანი ლენინების მისაღებად: ამ ვაზის გაშენების გეგმა ხუთწლედში ნაჭერად იყო შემდგენიარად (იხ. ცხრ. 30).

საბჭოთა მეურნეობის  
გეგმვა

ცხრილი 30

პრეველური ვაზის ჯიშების გაშენების გეგმა მეხუთე ხუთწლედში (ჰა)<sup>10</sup>

№№ რიგ.	ვაზის ჯიშები	ფართობი	მ. შ.	
			კოლმეურნეობებში	საბჭოთა მეურნეობებში
1	რქაწითელი . . . . .	2 106	1 997	109
2	მწვანე . . . . .	963	816	147
3	კოლიკაური . . . . .	1 496	1 439	7
4	საფერავი . . . . .	1 376	1 271	105
5	კაბერნე . . . . .	773	535	238
6	ალექსანდროელი . . . . .	356	356	—
7	ოქალეში . . . . .	226	226	—
8	უსახელაური . . . . .	394	394	—
9	ციცქა . . . . .	1 147	1 129	18
10	მუხრანელი . . . . .	1 178	1 167	16
11	ჩინური . . . . .	942	885	57
12	პინო . . . . .	346	223	63
13	ხიხვი . . . . .	126	120	6
14	ჩხავერი . . . . .	351	251	100
15	კრაზუნა . . . . .	142	142	—
16	გორული მწვანე . . . . .	1 266	1 266	—
ს უ ლ . . . . .		13 178	12 312	866

როგორც ვხედავთ, ხუთწლედის ბოლოს დასახელებული ჯიშის ვაზი გაშენებული უნდა ყოფილიყო სულ 13 178 ჰექტარ ფართობზე, მ. შ., კოლმეურნეობებში 12 312 ჰა ანუ მთლიანი ფართობის 94%, ხოლო დანარჩენი 866 ჰა ანუ 6% — საბჭოთა მეურნეობებში.

ხუთწლიანი გეგმით, 1953 წ. ბოლოსათვის უნდა დამთავრებულიყო მეჩხერიანი ვენახის რემონტი და მის ადგილას დარგულიყო 8,8 მლნ ძირი ახალი ჯიშის ვაზი. მ. შ., 8,2 მლნ ძირი კოლმეურნეობებში და 600 ათასი ძირი საბჭოთა მეურნეობებში (აქედან 500 ათასი ძირი „სამტრესტის“ საბჭოთა მეურნეობებისა და 100 ათასი ძირი შამპანკომბინატის საბჭოთა მეურნეობების ხაზით).

1951—1955 წწ. უნდა დარგულიყო ვენახის ძველ და მეჩხერი-

<sup>10</sup> საქ. სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს არქივი, ფ. 4, ანაწ. 1, საქ. 1263, ფურც. 2.

ან ფართობების ადგილას სულ 77,8 მლნ ცალი ახალი სარგავი მასალა. მ. შ., 71 565 ათასი ცალი კოლმეურნეობების, ხოლო 6 235 ათასი ცალი საბჭოთა მეურნეობების ხაზით.

დასახული იყო ამოცანა, რომ ხუთწლედში უურძნის ჰექტარობრივი მოსავლიანობა კოლმეურნეობებში აყვანილიყო 55 ცენტნერამდე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში 60 ცენტნერამდე. უურძნის მთლიანი დამზადება ხუთწლედში ითვალისწინებდა შემდეგს (ათას ტ.): 1952 წ.—60, 1952 წ.—65, 1953 წ.—73, 1954 წ.—85, და 1955 წ.—100.

ლენინოქსაის წარმოება ხუთწლედში უნდა გადიდებულიყო 3 549 ათასი დკლ-დან (1949 წელს), 6,6 მლნ. დკლ-მდე (1955 წ.) მ. შ. შამპანურის მასალის დამზადება—800 ათასი დკლ-მდე წინააღმდეგ 530 ათასი დკლ-სა (1949 წ.).

უურძნის ღვინის წარმოება 2 მლნ დკლ-დან (1951 წ.) უნდა გადიდებულიყო 3 მლნ დკლ-მდე (1955 წ.) ამავე პერიოდში ნავარაუდები იყო შამპანური ღვინის წარმოების გადიდება 2 523 ათასი ბოთლიდან 4 250 ათას ბოთლამდე. მეხუთე ხუთწლედში უნდა დამთავრებულიყო სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა 500 ჰექტარ ფართობზე (მ. შ., 200 ჰა ფართობზე საკუთრივ ვენახის გაშენება). ოქროყანის მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის დამთავრება 1 500 ჰა ფართობზე (მ. შ., 200 ჰა ვენახი). ჩოხატაურის საბჭოთა მეურნეობაში 100 ჰა ჩხავერის ჯიშის ვენახის გაშენება.

ასევე ხუთწლედში დამთავრებული უნდა ყოფილიყო საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა ორბევში, დილოში და თელავში (წინანდლის თელიანის ნაკვეთზე ნავარაუდები იყო 200 ჰა ვენახის გაშენება კაბერნეს ვაზის ჯიშისა).

ხუთწლედის ბოლოსათვის „სამტრესტის“ პირველად მეღვინეობის წარმოების სიმძლავრე აყვანილი უნდა ყოფილიყო 5 570 ათას დკლ-მდე, ხოლო „საქშამპანკომბინატის“ 2 160 ათას დკლ-მდე. ამავე პერიოდში ნავარაუდები იყო ძველი მარნების გაფართოება და მათი რეკონსტრუქცია 900 ათას დკლ სიმძლავრით, ხოლო ახალი მარნების აშენება 4 440 ათასი დკლ-ის ტევადობით.

კასრების წარმოების სიმძლავრე „სამტრესტის“ ხაზით 1955 წ. ბოლოსათვის გადიდებული უნდა ყოფილიყო 2 880 ათას დკლ-მდე, ხოლო დაყენებული ღვინოების წარმოებრივი სიმძლავრე—2 530 ათას დკლ-მდე.

ამ მიზნით ხუთწლეულში უნდა გაშლილიყო ღვინის რსალი ქარხნების მშენებლობა დიდი მასშტაბით.



### ბ. ხუთწლიანი გეგმის განხორციელება

საბჭოთა საქართველოს მეღვინეობის ისტორიაში მეხუთე ხუთწლედი შევიდა, როგორც ახალი ეტაპი ვენახების ფართობების და ყურძნის მოსავლის გადიდების, ღვინის წარმოების ამაღლებისა და მასიური მასშტაბით ღვინის ახალი ქარხნების ქსელის გაფართოებისა.

ვენახის მთლიანი ფართობის ზრდა ცალკეული სექტორების მიხედვით მეხუთე ხუთწლეულში ასეთ სურათს გვაძლევდა (იხ. ცხრ. 31).

ცხრილი 31

ვენახის მთლიანი ფართობის ზრდა მეხუთე ხუთწლეულში (ათას ჰა)11

დასახელება	1950 წ.	1951 წ.	1952 წ.	1953 წ.	1954 წ.	1955 წ.	ზრდა %-ით
1. ვენახის მთლიანი ფართობის	58,2	65,2	71,4	62,2	67,8	68,0	17
მ. შ. ნაყოფის მომცემი	47,8	47,9	52,1	47,2	50,1	50,2	5
მისი ზვედრითი წონა %-ით	82,4	73,4	72,7	75,8	73,5	79,0	—
2. ვენახის ფართობი კოლმურხეობებში	22,5	25,3	28,3	23,8	26,6	28,2	25
მისი ზვედრითი წონა %-ით	41,4	38,9	39,6	37,2	39,2	41,4	—
3. ვენახის ფართობი საბჭოთა მურხეობაში	2,7	2,9	2,7	2,7	3,3	3,6	13,3
მისი ზვედრითი წონა %-ით	4,7	4,4	3,7	4,3	4,8	5,3	—
4. ვენახის ფართობი საქარმიდამო ნაკვეთებში	33,0	37,0	40,0	35,4	37,9	36,2	11
მისი ზვედრითი წონა %-ით	54,0	56,7	56,7	58,5	56,0	56,3	—

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ვენახის მთლიანი ფართობი რესპუბლიკაში გაიზარდა ხუთწლეულის განმავლობაში 10 ათასი ჰექტარი ფართობით, ანუ 17%-ით.

მაგრამ დასახული გეგმა იმის შესახებ, რომ მეხუთე ხუთწლეულის ბოლოს საქართველოში მიღწეულიყო 70 ათასი ჰა ვენახის ფართობი, მაინც არ იქნა შესრულებული.

შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა ვენახის გაშენება

11 საქართველოს სსრ ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს მონაცემებით.

კოლმეურნეობებში (სულ 5,7 ათასი ჰა) და საბჭოთა მეურნეობებში (0,6 ათასი ჰა).

ამასთან კოლმეურნეობების ვენახის ხვედრიწონა მთლიანად ვენახის ფართობში უცვლელი დარჩა (41,4%). უმნიშვნელოდ (0,6%) გაიზარდა საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო კოლმეურნეობების საკარმიდამო ნაკვეთებზე არსებული ვენახის ფართობის ხვედრიწონა 54-დან გაიზარდა—56,3 პროცენტამდე ანუ 2,3%-ით. ყურძნის საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი მეხუთე ხუთწლეულში მეტად მნიშვნელოვნად მატულობს, წლების მიხედვით იგი შეადგენდა (ჰექტარზე ცენტნერობით): 1951 წ.—34,9, 1952 წ.—26,2, 1953, წ.—48,4, 1954 წ.—67,3, 1955 წ.—58,9, მაშასადამე 1951 წ. შედარებით ყურძნის მოსავლიანობა ხუთწლეულის ბოლოს გაზრდილა ჰექტარ ფართობზე 24 ცენტნერით, ანუ დაახლოებით 70%-ით, ყურძნის მთლიანი მოსავალი კი წლების მიხედვით მეხუთე ხუთწლეულში ასე იზრდებოდა (ათას ტონობით) 1951 წ.—167, 1952 წ.—137, 1953 წ.—228, 1954 წ.—337, და 1955 წ.—300. მაშასადამე, ყურძნის მთლიანი მოსავალი რესპუბლიკაში გაზრდილა 167 ათასი ტონიდან 300 ათას ტონამდე, ანუ 133 ათასი ტონით, ე. ი. 80%-ით.

რაც შეეხება ყურძნის სახელმწიფო დამზადებას, მეხუთე ხუთწლეულში ამის შესახებ მონაცემები მოცემულია ცხრილ 32-ში.

ყურძნის სახელმწიფოებრივი დამზადება სექტორების მიხედვით მეხუთე ხუთწლეულში (ათას ტ).

დასახელება	1950 წ.	1951 წ.	1952 წ.	1953 წ.	1954 წ.	1955 წ.	ზრდა 1950 შე- დარ. %-ით
სულ რესპუბლიკაში . . .	57,8	65,4	64,4	82,6	110,6	112,5	94
მ. შ. კოლმეურნეობებში	28,7	33,6	29,9	40,9	44,5	55,9	100
მისი ხვედრიწონა % . . .	50,0	51,0	46,4	49,5	40,2	50,0	—
საბჭოთა მეურნეობებში	6,5	8,9	9,8	13,1	17,7	13,0	100
მისი ხვედრიწონა % . . .	11,2	13,6	15,3	15,8	16,0	11,7	—
დამხმარე მეურნეობებში	22,6	22,9	22,5	28,6	48,4	43,6	93
მისი ხვედრიწონა % . . .	38,8	35,6	38,3	34,7	43,8	38,8	—

როგორც ვხედავთ, მეხუთე ხუთწლეულში ყურძნის სახელმწიფო დამზადება რესპუბლიკის მასშტაბით გაზრდილა 94%-ით. მ. შ. კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ორ-ორჯერ, ხოლო დამხმარე მეურნეობაში 93%-ით.

დამახასიათებელია, რომ ყურძნის სახელმწიფო ჩაბარებაში კოლმეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობების ხვედრიწონა

1955 წ. შეადგენდა იგივეს (კოლმეურნეობებში 50%, ხოლო დამნ-  
მარე მეურნეობაში 38%, რაც იყო 1950 წ.).

ყოველ შემთხვევაში ფაქტი იყო ის, რომ სოციალურ-ეკონომიკური  
ტორი, რომელიც მთლიანად დამზადებული ყურძნის თითქმის ორ  
მესამედს აბარებდა სახელმწიფოს უკვე გადამწყვეტ ძალას და მა-  
შასადადამე მეღვინეობის შემდგომი განვითარების საიმედო დასაყრ-  
დენს წარმოადგენდა ჩვენს რესპუბლიკაში.

პარტია და მთავრობა თვალყურს ადევნებდა რა მეღვინეობის  
დარგში მიღწეულ წარმატებებს, იმავე დროს ამკლავებდა არსე-  
ბულ ნაკლოვანებებს და სახავდა ღონისძიებებს მისი დროულად  
აღმოფხვრისა და განვითარების მიზნით.

ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართვე-  
ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის 1953 წლის  
21 დეკემბრის გადაწყვეტილებამ სოფლის მეურნეობის პროდუქ-  
ციის წარმოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ ღვინის  
წარმოების დარგში.

ეს დადგენილება ითვალისწინებდა:

1. ყურძნის ღვინის გამოშვებას 1954 წლისათვის 3 050 ათას  
დკლ-მდე (მ. შ., ბოთლებში ჩამოსხმას 90%-ით, წინააღმდეგ 78%-  
ისა 1950 წ.), აქედან მარკიანი ღვინის გამოშვება 340 ათას დკლ-  
მდე.

2. მარკიანი ღვინის წარმოების შემდგომი გადიდების მიზნით  
500 ათასი დკლ ღვინომასალის გამოყოფას დასაძველებლად.

3. ძველად გამოშვებულ ღვინოების ძირითადი სორტების აღ-  
დგენას სათანადო ნომრებით და მათი გარეგნული გაფორმების გა-  
უმჯობესებას.

4. ნახევრად ტკბილი ღვინოების („ხვანჭკარა“, „ტვიში“, „ცო-  
ლიკაური“, „უსახელაური“ და „ოჯალეშის“) წარმოებისა და მათი  
ხარისხის გაუმჯობესების მიზნით 1945 წ. 1 იანვარიდან ამბროლა-  
ურის და ცაგერის ადგილობრივი მრეწველობის ღვინის ყველა  
ქარხნების, მთელი მათი მოწყობილობის გადასვლას „სამტრესტის“  
განკარგულებაში.

5. იმ მიზნით, რომ წესრიგში მოსულიყო ქუთაისის ღვინის  
ქარხანა და გაფართოებულიყო მისი ტექნიკური ბაზა, ადგილობრი-  
ვი აღმასკომის ღვინის ყველა ქარხნებისა და საწარმოების გადასე-  
ვლას, მთელი მათი შენობა-ნაგებობით „სამტრესტის“ განკარგულე-  
ბაში.

6. იმასთან დაკავშირებით, რომ დიდი ამოცანები იყო წარმოდგენილი ყურძნის მოსავლიანობის გადიდების, ღვინომასალის გაშვებისა და ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, წინადადებები მეურნეობის, ნაფარეულის, კარდანახის, ხირსისა და ყულარის საბჭოთა მეურნეობების გადასვლას მეურნეობრივ ანგარიშთან დაკავშირებაზე.

7. რესპუბლიკის პირველადი მეღვინეობის წარმოებრივი სიმძლავრის აყვანას (ყურძნის გადამამუშავება სეზონში) 91 ათას ტონამდე.

8. „სამტრესტის“ ღვინის ქარხნების წლიური წარმოებრივი სიმძლავრის გადიდებას 3380 ათას დკლ-მდე და სარდაფების გაფართოებას ერთდროული (ტევადობა) შენახვისათვის 1,5 მლნ დკლ-მდე.

დადგენილება ითვალისწინებდა აგრეთვე „სამტრესტში“ შემავალ საბჭოთა მეურნეობებში ნედლეული ბაზის შემდგომ განმტკიცებას. კერძოდ ნაგარაუდები იყო ამ ხაზით 1955 წ. ბოლოსათვის 300 ჰექტარი ახალი ვენახის გაშენება და ძველი მობერებული ვაზის ამოძირკვა 80 ჰა ფართობზე. ჰექტარ ფილოქსერაგამძლე სადედეებში მიღებულიყო არანაკლებ 40 ათასი ცალი ნამყენი.

1954-55 წლებში მოწყობილიყო 800 ჰექტარი ვენახის დამატებითი მორწყვა წყლის ტექნიკური გადაცემით. მ. შ., წინანდალში 350 ჰა და მარნეულში (გიაურარხის საბჭოთა მეურნეობა) 50 ჰა ფართობზე.

ამოშრობილიყო ხირსის საბჭოთა მეურნეობაში 1954 წ. 104 ჰექტარი გაწყლიანებული ვენახი და ა. შ.

პარტიისა და მთავრობის ეს გრანდიოზული დავალებები „სამტრესტის“ მიერ ძირითადად დროულად და ხარისხიანად განხორციელდა.

უკვე 1954 წ. გამოუშვეს 3 063,4 ათასი დკლ ღვინო ე. ი. მისი წარმოება გაიზარდა 42%-ით. აქედან, მარკიანი ღვინო უდრიდა 357,3 ათას დკლ-ს, დასაძველებლად გამოიყო 536 ათასი დკლ ღვინო.

მარტო „სამტრესტის“ საბჭოთა მეურნეობის ხაზით გაშენდა 308 ჰექტარი ვენახის ახალი ფართობი. ამოიძირკვა 79 ჰა ფართობზე. ძველი, მობერებული ვენახი, გაშენდა ფილოქსერაგამძლე ვენახი 40 ჰა ფართობზე. ამავე წელს ამოაშრეს ხირსის საბჭოთა მეურნეობაში გაწყლიანებული ვენახი 100 ჰა ფართობზე.

1950—1955 წწ. ყურძნის ღვინის, ღვინომასალისა და შამპანუ-

რის წარმოების გადიდების შესახებ მონაცემები მოცემულია ცხრილ/

33-ში.

საქართველო  
სსრკ-ის სსრ-ის

ლენის წარმოების დინამიკა მეხუთე ხუთწლედში (ათას ტონა)<sup>12</sup>

პროდუქტის დასახელება	1951 წ.	1951 წ.	1952 წ.	1953 წ.	1954 წ.	1955 წ.	ზრდა % -ით 1950 წ. მიმართ
1. ლენო სულ . . . . .	3 756	3 430	3 468	4 847	6 703	5 423	44
მ. შ. რესპუბლიკის შიგნით	2 923	2 656	2 636	3 776	4 532	3 717	27
მისი ხვედრიწონა % -ით . . .	78	76	76	78	67	70	—
რესპ. ფარგლებს გარეთ . . .	833	814	852	1 044	1 171	1 706	100
მისი ხვედრიწონა % -ით . . .	22	24	24	22	33	30	—
2. წარმოებულია ლენის „სამტრესტის“ მიერ . . . . .	2 354,1	2 478,8	2 705,5	3 300	3 551,8	4 335,9	83
მისი ხვედრიწონა მთლიან პროდუქტში % -ით . . . . .	63	70	77	68	53	80	—
აქედან რესპ. შიგნით . . . . .	1 520,5	1 665,0	1 853,4	2 255,7	2 381,2	2 619,7	17
მისი ხვედრიწონა % -ით . . . .	66	69	70	68	68	61	—
რესპ. ფარგლებს გარეთ . . . .	833,6	813,8	852,1	1 045	1 170,6	1 706,2	100
მისი ხვედრიწონა % -ით . . . .	34	31	30	32	32	39	—
ლენომასალა . . . . .	3 858	3 247	3 186	3 490	—	7 837	100
შამპანური (ათას ტონა) . . . .	3 507	4 735	4 145	3 943	4 503	5 104	45

მოტანილი ცხრილი აშკარად გვიჩვენებს მეხუთე ხუთწლედში უფროდნის ლენის, ლენომასალისა და შამპანურის გადიდების ტემპებს. კერძოდ, წარმოებული ლენომასალა 1951—1955 წლებში გადიდებულია ორჯერ, შამპანური ლენის წარმოება—45%-ით, ხოლო უფროდნის ლენის მთლიანი წარმოება—44%-ით.

ამასთან მოტანილი მონაცემებიდან ვგებულობთ, რომ წარმოებული ლენის მთლიანი რაოდენობის 70% (1955 წ.) მოდიოდა რესპუბლიკის შიგნით წარმოებულ ლენოებზე, ხოლო დანარჩენი 30% მის ფარგლებს გარეთ დამზადებულ ლენოებზე. ცხრილი გვიჩვენებს იმასაც, რომ სახელმწიფოებრივი ხაზით წარმოებული ლენოებიდან 88% (1955 წ.) მოდიოდა „სამტრესტზე“, ხოლო დანარჩენი 12% სხვა ორგანიზაციების მიერ დამზადებულ ლენოებზე.

ცნობილია, რომ ლენომასალა არ წარმოადგენს მელენიეობაში

<sup>12</sup> ცხრილი შედგენილია საქ. სსრ ცსს და „სამტრესტის“ წლიური ანგარიშგებების მიხედვით.

საბოლოო პროდუქტს, მაგრამ როგორც სამართლიანად შენიშნავს ს. სოსელია ლეინომასალის წარმოების მოცულობა „ამ დარგის საბოლოო პროდუქტის ჩამოსხმული ლეინოების ოდენობასთან“ შეესაბამება დარგებით უფრო სწორ წარმოდგენას იძლევა შევენახებომა მეტონოების განვითარებისა და სსრკ რესპუბლიკებს შორის სახალხო მეურნეობის აღნიშნული დარგის გაადვილების შესახებ. სწორედ ლეინომასალის წარმოებისა და არა ლეინის ჩამოსხმის მონაცემების მიხედვით შეიძლება დადგინდეს სსრკ კავშირის ძვენახეობა-მეღენოების ძირითადი რაიონები, რომლებიც საერთოდ მეორადი მეღენოების განვითარებისა და, მაშასადამე, მოსახლეობის ლეინის პროდუქტებით უზრუნველყოფის შემდგომი გადიდების ბაზას წარმოადგენს<sup>13</sup>. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით საკითხს, დავინახავთ, რომ მეხუთე ხუთწლეულში საქართველოში წარმოებული ლეინომასალა 3,8 მლნ დკლ-დან 7,8 მლნ დკლ-მდე გადიდებულა, ე. ი. ორჯერ და მეტად. ასეთი ტემპით ლეინომასალის წარმოება კი მანამდე ჩვენს რესპუბლიკაში არასოდეს არ ყოფილა.

თუ რამდენად რენტაბელური იყო მეღენეობა მეხუთე ხუთწლეულში ამას ვხედავთ ცხრილ 34-ში მოტანილი მონაცემებით.

ცხრილი 34

ყურძნის ლეინის რეალიზაცია სამტრედიის მიერ 1951—1955 წ. და აქედან ამონაგები თანხა (ათას მან.)<sup>14</sup>

წლები	რეალიზაცია (ათას დკლ)	მილიონი თეთრი რენტელები	ბრუნებულ-სახლი	ფასობა პრე-ფორმირებული ცილისათვის	რეალიზაციის მოცულობა	ბითონ ფასებით გასაყიდი თანხა	ალკოჰოლისა და სხვა	რენტელობის მაჩვენებელი
1951	1 455,8	19 950,9	7 692,9	4 555,9	39 959,7	27 710,9	+7 760,0	+36,4
1952	2 045,0	19 094,3	3 604,0	8 328,7	38 627,1	26 694,4	+7 600,1	+40,0
1953	3 177,5	22 865,0	14 357,3	5 467,7	47 731,5	27 866,5	+5 001,5	+22,7
1954	1 975,6	20 253,6	15 706,7	5 826,1	46 058,2	24 525,5	+4 271,9	+21,0
1955	3 445,3	28 308,7	25 602,5	7 559,7	66 855,0	33 692,8	+5 384,1	+19,0
სულ	12 099,2	110 472,5	66 903,4	31 738,1	239 231,5	140 590,1	+30 017,6	+27,2

<sup>13</sup> ს. სოსელია, საქართ. სსრ ლეინის მრეწველობის ეკონომიკის საკითხები, თბ., 1963, გვ. 52.

<sup>14</sup> ცხრილი შედგენილია „სამტრედიის“ წლიური ანგარიშგებების მიხედვით.



როგორც ვხედავთ, რეალიზებული ღვინის რაოდენობა 1955 წ. ორჯერ და მეტადაა გადიდებული 1951 წ. შედარებით. ~~უკვე აღსანიშნავია~~ იდან ამონაგები თანხა კი 39,9 მლნ-დან 1951 წ. გაიზარდა ~~32,3 მლნ-მდე~~ მანეთამდე 1955 წ. ე. ი. 70%-ით.

მთლიანად ხუთწლეულში რეალიზებული ღვინო მეოთხე ხუთწლეულში თუ შეადგენდა 4,1 მლნ დკლ-ს, მეხუთე ხუთწლეულში იგი გაიზარდა 12,0 მლნ დკლ-მდე ანუ 3-ჯერ. რენტაბელობის საშუალო დონე კი მეოთხე ხუთწლეულში თუ უდრიდა 21%-ს, მეხუთე ხუთწლეულში მან 27,1%-ს მიაღწია.

გარდა სახელმწიფოებრივი ღვინის მრეწველობისა, მეხუთე ხუთწლეულში ადგილი ჰქონდა აგრეთვე კოლმეურნეობებში და კოლმეურნეების მიერ საკარმიდამო ნაკვეთებში მოყვანილი ყურძნიდან ღვინის მიღებას. მაგრამ იმის გამო, რომ არ არსებობს ოფიციალური მონაცემები თუ მოცემულ პერიოდში რამდენი ღვინო დააყენეს კოლმეურნე გლეხებმა, ამიტომ მოკლედ განვიხილავთ კოლმეურნეობების მიერ ღვინის წარმოების და განაწილების საკითხებს იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც ნაჩვენებია კოლმეურნეობების რესპუბლიკური წლიური ანგარიშგებების ჩუმლებში. ამ მონაცემებით 1950 წ. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში წარმოებული იყო ღვინო 91,0 ათასი დკლ-ის რაოდენობით. 1951 წ. მან 80,3 ათასი დკლ შეადგინა, 1955 წ. კი—93,2 ათასი დკლ, აქედან, 1951 წ. მიეყიდა სახელმწიფოსა და დამამზადებელ ორგანიზაციებს 20,3 ათასი დკლ, 1955 წ. კი—15,4 ათასი დკლ, კოლმეურნეობრივ ბაზარზე 1951 წ. გაიყიდა 14,5 ათასი, ხოლო 1955 წ.—47,5 ათასი დკლ. ამავე პერიოდში განაწილდა ღვინო კოლმეურნეებზე შრომის ანაზღაურების ანგარიშში—32,3 და 29,8 ათასი დკლ.

მართალია, ეს მონაცემები არ წარმოადგენენ დიდ სიდიდეებს, მაგრამ დამახასიათებელია ის, რომ მეხუთე ხუთწლეულში ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა კოლმეურნეობებში ყურძნის ღვინოდ გადამუშავების პრაქტიკას და მიღებული პროდუქციის ჩაბარებას სახელმწიფოსადმი, ან კოლმეურნეობრივ ბაზარზე სარეალიზაციოდ ან და ბოლოს კოლმეურნეებზე შრომის ანაზღაურების ანგარიშში გასანაწილებლად. კოლმეურნეობრივი მეღვინეობის ასეთი ხასიათი კი მომდევნო პერიოდში უკვე სხვაგვარად წარმოგვიდგება, რადგან პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლმეურნეობები იწყებენ წარმოებული ყურძნის მაქსიმალური ოდენობის ჩაბარებას სახელმწიფოსათვის და



თითქმის ადგილი აღარ აქვს ლეინის გადამუშავებას ადგილზე. რასაკვირველია, ითქმის მრეწველური მეღვინეობის ძირითადი იონებზე, ხოლო აქა-იქ, ზოგიერთ რაიონსა და კოლმეურნეობაში ში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ყურძნის ამა თუ იმ რაოდენობით ღვინოდ დაყენებას.

„სამტრესტის“ მიერ გამოშვებული ღვინოების ხარისხი მეტად მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება მეხუთე ხუთწლედში. წლების მიხედვით მარკიანი ღვინის ხარისხი, სადგუსტაციო კომისიების მიერ შემდგენიარად იყო შეფასებული (ბალებით): 1951 წ.—9,2, 1952 წ.—9,06, 1953 წ.—9,21, 1954 წ.—9,3 და 1955 წ.—9,2. ორდინალური ღვინოები ამავე წლებში ასეთ შეფასებას იმსახურებდნენ: 8, 6; 8, 74; 8, 73; 8, 6 და 8, 7. ხოლო შემაგრებული ღვინოები 8, 9; 9, 3; 8, 73; 8, 6 და 8, 8.

აქვე მოკლედ უნდა შევეხოთ „სამტრესტის“ მიერ მეღვინეობის დარგში კადრების მომზადების საკითხს. საერთოდ საქართველოს სსრ მიწსახკომი თავის მუშაობაში დიდ ადგილს უთმობდა მევენახეობა-მეღვინეობაში მომუშავე მუშაკების მომზადებისა და გადამზადების საქმეს.

1924 წლიდან მოყოლებული საქართველოს მიწსახკომი კადრების მომზადებას ახდენდა ორი მიმართულებით: ა) ცოდნის პოპულარიზაციით სკოლისგარეშე ზომებით და ბ) სპეციალისტებისა და კვალიფიციური კადრების მომზადებით კურსებისა და სკოლების საშუალებით<sup>15</sup>.

პირველ ხუთწლედში მიწსახკომის ხაზით საქართველოში, ყოველწლიურად იხსნებოდა 2—3 სპეციალური კურსი მევენახე-მეღვინეების გადამზადებლად, სადაც მსმენელები ეუფლებოდნენ როგორც ვენახის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების საქმეს, ასევე ღვინის დაყენების (ტექნოლოგიის) საკითხებს<sup>16</sup>.

ამ მიმართულებით დიდი სამუშაო ჩატარდა მეორე და მესამე ხუთწლედში. მაგრამ მთელი სიღრმით მხოლოდ ომისშემდგომ პერიოდში გაიშალა, განსაკუთრებით კი მეხუთე ხუთწლედში.

1952 წ. „სამტრესტმა“ მოამზადა 52 ვაზის მყნობელი და 123 ვაზის გამსხვლელი<sup>17</sup>. 1954 წ. ტრესტმა მოამზადა 64 ვაზის მყნო-

15 ცსა (თბ) ფ. რ. 288, ანაწ. 1, საქ. 1084, ფურც. 2.  
 16 საქ. სსრ სახელმწ. საგეგმო კომისიის არქივი, საქ. 29, ფურც. 45.  
 17 საქ. სსრ სახალხო მეურნ. საბჭოს არქივი, ფ. 4, ანაწ. 1, საქ. 1794, ფურც. 8—9, 56—57.

ბელი, 224 ვაზის გამსხვლელო, 64 ვაზის შემწამლავე, 75 აუმილდა ამ დარგში კვალიფიკაცია და ა. შ.

ამ წელს მეღვინე პრაქტიკოსებისათვის რესპუბლიკურ მოკლევადიანი კურსები, სადაც სწავლობდნენ: „უახლოეს მიღწევებს მეღვინეობაში“, „მეღვინეობაში აღრიცხვის პირველად საკითხებს“, „ღვინის წარმოების ტექნიკურ კონტროლს“ და სხვ. 1955 წ. ტრესტმა მოამზადა წარმოებიდან მოუწყვეტლად 24 კაცი, 1956 წ. — 30, 1957 წ. 20, ხოლო მთლიანად „სამტრესტის“, ხაზით 1955 წ. მომზადებული იყო 306 კაცი, 1956 წ. — 291, 1957 წ. — 190.

აქედან, უშუალოდ მეღვინეობის დარგში მომუშავეები იყვნენ: 1953 წ.—68, 1956 წ.—55, 1957 წ.—40. „შამპანკომბინატის ხაზით 1955 წ. მოამზადა 126 კაცი, 1956 წ.—160, 1957 წ.—198, (მ. შ. 18—წარმოებიდან მოუწყვეტლად)<sup>18</sup>.

თუ ამ რიცხვებს მივუმატებთ საქართველოს სსრ შრომისწითელდროშოვან სოფლის მეურნეობის ინსტიტუტისა და სხვა სპეციალური ტექნიკუმებისა და სასწავლებლების (აგრეთვე კურსების) მიერ მომზადებულ და გამოშვებულ ღვინის სპეციალისტებს და მევენახე აგრონომებს, რომელთა რაოდენობა მთელ არმიას შეადგენდა, გასაგები იქნება თუ რა რიგ დიდ ყურადღებას უთმობდა ჩვენი პარტია ომისშემდგომ პერიოდში ამ დარგში მომუშავე კადრების მომზადების საქმეს.

მეღვინეობის დარგში მომუშავე ამ კადრებმა კი თავისი დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ღვინის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ამალგების საქმეში.

### გ. მეღვინეობა 1956 — 1958 წლებში.

ის მძლავრი ტემპი, რომელიც აღებულ იქნა მეღვინეობის განვითარების საქმეში მეხუთე ხუთწლეულში, არა თუ შენეულა მომდევნო პერიოდში, არამედ პირიქით, მთელი სიღრმით გაიშალა ჩვენს რესპუბლიკაში. ამის ნათელი დადასტურება იყო ის, რომ როგორც წარმოებულ ღვინის რაოდენობის მხრივ, ისე მეღვინეობიდან ამონაგები ფულადი თანხის და წმინდა შემოსავლის მიღების მიხედვით, ხუთწლეულის მომდევნო სამი (1956 — 1958) წლის

<sup>18</sup> საქ. სსრ სახალხო მეურნ. საბჭოს არქივი, ფ. 4, ანაწ. 1.



საქართველოს  
სტატისტიკის  
სამსახური

განმავლობაში უფრო დიდი იყო, ვიდრე ომის შემდგომ და მეხუთე ხუთწლეულის შესაბამის წლებში.

ამ გარემოებას თავის მხრივ ხელი შეუწყო ჯერ ენერჯეტიკის წლებში მიღებულმა შედეგებმა მევენახეობა-მეღვინეობის დარგში, მეორეს მხრივ, იმ განსაკუთრებულმა ღონისძიებებმა, რომელიც გატარდა მოცემულ პერიოდში ღვინის მრეწველობის შემდგომი განვითარების საქმეში და ბოლოს იმანაც, რომ ამ წლებში ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში მეტად ხელსაყრელ კლიმატურ პირობებს მევენახეობის განვითარებისათვის. ყოველივე ამან კი თავის მხრივ უზრუნველყო-ყურძნის სახელმწიფო დამზადება გადიდებული მას-შტაბით და შესაბამისად ღვინის წარმოების გადიდებაც.

თუ 1955 წ. ვენახის მთლიანი ფართობი რესპუბლიკაში შეადგენდა 68 ათას ჰექტარს, მომდევნო წლებში იგი ასე იზრდებოდა: 1956 წ. — 69,4 ჰა, 1957 წ. — 71,9 ჰა, 1958 წ. — 74,9 ჰა.

აქედან ნაყოფის მომცემი იყო: 1956 წ. — 50,7 ჰა, 1957 წ. — 50,6 ჰა, 1958 წ. — 51,6 ჰექტარი.

სექტორების მიხედვით ვენახის მთლიანი ფართობი 1958 წ. ნაწილდებოდა ასე: კოლმეურნეობაში 31,5 ათასი ჰა, ანუ მთლიანი ფართობის 42%. საბჭოთა მეურნეობაში 6,1 ათასი ჰა, ანუ 8,3%, ხოლო დამხმარე მეურნეობებში 37 ათასი ჰა, ანუ მთლიანი ფართობის 50%.

თუ მეხუთე ხუთწლეულის პირველ სამ წელში ყურძნის საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი რესპუბლიკაში შეადგენდა 37,4 ც მოცემული საში (1956—1958) წლის განმავლობაში ყურძნის საშუალო ჰექტარობრივმა მოსავალმა შეადგინა 51,6 ცენტნერი.

ყურძნის მთლიანი მოსავალი 1951—1955 წწ. თუ უდრიდა 532, ათასი ტონას, 1956—1958 წწ. მან 789 ათასი ტონა შეადგინა, ე. ი. ზრდა მოხდა 48%-ით.

ამავე პერიოდში ყურძნის სახელმწიფოებრივი დამზადება 212,4 ათასი ტონიდან გაიზარდა 363,7 ათას ტონამდე, ანუ ზრდა მოხდა 70%-ით.

აღსანიშნავია, რომ თუ 1951 — 1955 წწ. კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ დამზადებული ყურძენი სულ 136,2 ათასი ტონა, 1956—1958 წწ. განსაზოგადოებული სექტორის ხაზით დამზადებული იყო 202,8 ათასი ტონა ე. ი. ზრდა მოხდა დაახლოებით 50%-ით, ხოლო დანარჩენი მოდიოდა დამხმარე მეურნეობაზე.

ამგვარად, 1950 წელთან შედარებით ყურძნის სახეობის ებრივი დამზადება რესპუბლიკაში 1958 წ. გადიდა 2,5-ჯერ, თუ 1956 წ. „სამტრესტის“ მიერ დამზადებული ღვინვით რაოდენობა შეადგენდა 3 930 ათას დკლ-ს, 1958 წ. მან 9 400 ათასი დკლ შეადგინა ე. ი. სამი წლის მანძილზე გაიზარდა 2,4-ჯერ რაც შეეხება ყურძნის ღვინის წარმოებას მოცემული სამი წლის განმავლობაში იგი არ იზრდებოდა (იხ. ცხრ. 35).

ცხრილი 35

ყურძნის ღვინის წარმოების დინამიკა რესპუბლიკაში 1956—1958 წწ. (ათას დკლ)

წლები	რაოდენობა დკლ	მ. შ.		აქედან მარტო „სამტრესტის“ ხაზით			
		რესპუბლიკის შიგნით	მის ფარ- გლებს გა- რეთ	სულ	მისი ხვედ- რიწონა მთლიან პროდუქტ.	მ. შ.	
						რესპუბლიკის შიგნით	მის ფარ- გლებს გა- რეთ
1956	5 462	3 623	1 839	4 483	82	2 843,5	1 639,5
1957	5 605	4 015	1 590	4 101,8	73	2 571,8	1 590,0
1958	6 340	4 364	1 970	4 743,2	74	2 767,1	1 976,1

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ყურძნის ღვინის მთლიანმა წარმოებამ რესპუბლიკაში 1958 წელს 6 340 ათას დკლ-ს მიაღწია. საბჭოთა ხელისუფლების მთელ პერიოდში ასეთი დონისათვის (მანამდე) არასოდეს არ მიუღწევია საქართველოს. აქედან მზა პროდუქციამ რესპუბლიკის შიგნით ამ წელს შეადგინა 4 364 ათას დკლ ანუ მთლიანად წარმოებული ღვინის 69%.

ამავე პერიოდში რესპუბლიკის შიგნით წარმოებული ღვინიდან ამონაგები ფულადი თანხა 110 805,2 ათასი მანეთიდან (1956 წ.) გაიზარდა 186 326,4 ათას მან. (1958 წ.), ე. ი. ორი წლის განმავლობაში გაიზარდა თითქმის 1,8-ჯერ. მნიშვნელოვნად გადიდა აგრეთვე აღნიშნულ პერიოდში შამპანურის წარმოება.

თუ 1950 წ. ჩვენს რესპუბლიკაში გამოშვებული იყო სულ 3 507 ათასი ბოთლი შამპანური, ხოლო 1955 წ.—5 104 ათასი, უკვე 1958 წ. მისმა გამოშვებამ 6 მლნ ბოთლს გადააჭარბა. ვახსაყუთრებით გაიზარდა ამ პერიოდში რეალიზებული შამპანურის რაოდენობა, აქედან ამონაგები თანხა და წმინდა შემოსავალი (იხ. ცხრ. 36).

წლები	რაოდენობა (ათს ლიტ.)	მილიანი თეთი- ლირებულეზა	ბრუნვის გადასა- ხადი	დასაღობა რეა- ლიზაციისათვის	რეალიზაციის მთლიანი თანხა	ბითუმი დასუბით გასაცემი თანხა	წმინდა შემოსე- ვალი + მოგება — ზარალი	რენტაბელობის დონე % -ით
1957	5 265	9 043,3	1 904,3	2 251,3	13 798,9	9 642,3	+599,0	+6,5
1958	5 720	9 298,1	3 548,7	2 643,3	17 314,7	11 122,7	+1824,6	+19,6

რეალიზებული შამპანური ღვინის რაოდენობამ 1957 წ. 5,2 მლნ ბოთლს მიაღწია, ხოლო მეორე წელს 5,7 მლნ ბოთლს. რეალიზაციიდან ამონაგები თანხა კი ამ პერიოდში 13,7 მლნ მანეთიდან გაიზარდა 17,3 მლნ მანეთამდე, ხოლო წმინდა შემოსავალი 599 ათასი მანეთიდან 1,8 მლნ მანეთამდე, ანუ სამჯერ და მეტად.

ასევე დიდი მაჩვენებლებით ხასიათდება ყურძნის ღვინის რეალიზაცია 1956—1958 წწ. და აქედან მიღებულ წმინდა შემოსავლის ოდენობაც (იხ. ცხრ. 37).

## ცხრილი 37

რეალიზებული ღვინის რაოდენობა და აქედან ამონაგები თანხა „სამტრესტის“ საზით 1956—1958 წწ. (ათას მან.)

წლები	რაოდენობა (ათს ლიტ.)	მილიანი თეთი- ლირებულეზა	ბრუნვის გადასა- ხადი	დასაღობა რეა- ლიზაციისათვის	რეალიზაციის მთლიანი თანხა	ბითუმი დასუბით გასაცემი თანხა	წმინდა შემოსავალი + მოგება—ზარალი	რენტაბელობის დონე % -ით
1956	3 768,0	30 601,9	28 002,8	8 316,6	73 114,8	36 795,4	+6 193,5	+20
1957	4 308,5	41 826,7	27 138,3	8 961,2	82 327,4	46 227,9	+4 401,2	+12
1958	4 481,0	46 976,2	33 783,6	10 670,9	99 561,8	55 107,3	+8 131,1	+17
სულ	12 557,5	119 404,8	88 924,7	27 948,7	255 004,0	138 130,6	+18 725,8	+16

<sup>19</sup> შედგენილია „სამტრესტის“ წლიური ანგარიშგებების მიხედვით. აგრეთვე ვისარგებლეთ ო. ავალშვილის ნაშრომით პროდუქციის თვითღირ. ბაზა და სტრუქტურა შამპ. ღვინის ქარხნის მაგალითზე, ეკონომიკის ინსტ. ფ. 277, 1957 წ.

მოტანილი მონაცემები ცხადყოფენ, რომ პირველი სამი წლის განმავლობაში მეტად მაღალი ტემპებით მატულობს რეაქტიული ლიზებული ყურძნის ღვინის რაოდენობა, ისე აქედან მთლიანი თანხა, მის შესაბამისად კი წმინდა შემოსავლის ოდენობაც. ასე რომ, მარტო მოცემული სამი წლის განმავლობაში „სამტრესტის“ მიერ რეალიზებულია 12,5 მლნ დკლ ღვინო. აქედან ამონაგები მთლიანი თანხა შეადგენს 255,0 მლნ მან., ხოლო წმინდა შემოსავალი 18,7 მლნ მან. ბრუნვის სახელმწიფო გადასახადი კი (რაც იგივე წმინდა შემოსავლის გარკვეული ფორმაა) 88,9 მლნ მან. შეადგენს, რენტაბელობის სამი წლის საშუალო დონე კი 16% უდრის.

ამ პერიოდში მეტად მაღალი იყო გამოშვებული ღვინოებისა და პირველ რიგში მარკიანი ღვინოების ხარისხობრივი შეფასება. ასე მაგალითად, მარკიანმა ღვინოებმა აღნიშნულ წლებში ათი ბალიდან საშუალოდ მიიღო 9,2 შეფასება, ორდინალურმა ღვინომ 8,4, ხოლო შემავრებულმა ღვინოებმა 9,2; შამპანურმა ღვინოებმა კი—ბოთლებრივი წესით ჩამოსხმულმა—9,0, ხოლო რეზერვერულური წესით ჩამოსხმულმა—9,6.

## თავი მეთექვსმეტი

### მეღვინეობის განვითარება უკიდურესად

#### 1. უკიდურესის ამოცანები მღვინეობა-მეღვინეობაში

საქართველოს მეღვინეობამ, თავისი განვითარების მაღალ საფეხურს უკანასკნელ შვიდწლეულში (1959 — 1965 წწ.) მიაღწია.

სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე სოფლის მეურნეობრივი წარმოების ყველა დარგის განვითარების გრანდიოზული პროგრამის შესაბამისად, ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა მევენახეობა-მეღვინეობის აღმავლობისათვის.

ვენახის ახალი ფართობის გაშენება შვიდწლეულის გეგმით ნავარაუდევია იყო 53 ათას ჰა ფართობზე, ე. ი. ვენახის მთლიანი ფართობი რესპუბლიკაში აყვანილი უნდა ყოფილიყო 120 ათას ჰექტარამდე.

ყურძნის მოსავლის გადიდება შვიდწლეულში უნდა გაზრდილიყო 2,2-ჯერ, ხოლო ყურძნის სახელმწიფო დამზადება 2-ჯერ. მაგ., თუ 1958 წ. რესპუბლიკაში დამზადებული იყო სულ 152,7 ათას ტონა ყურძენი, 1965 წ. იგი უნდა გაზრდილიყო 330 ათას ტონამდე. ეს კი საშუალებას მისცემდა ჩვენს რესპუბლიკას, რათა გაედიდებინა ღვინომასალის გამოშვება 2,3-ჯერ.

ხუთწლიანი გეგმით ყურძნის ღვინის მთლიანი წარმოება რესპუბლიკაში აყვანილი უნდა ყოფილიყო 13 მლნ დკლ-მდე, ხოლო შამპანურის გამოშვება 7 მლნ ბოთლამდე.

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე ქართული ღვინოების ასორტიმენტისა და ხარისხის წლითი-წლობით გაუმჯობესებას. თავის მხრივ, ეს მოითხოვდა მეღვინეობის ტექნიკური ბაზის შექმნას და მის განმტკიცებას, წარმოების უახლესი მანქანა-დანადგარებით აღჭურვას და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებას.

1965 წლისათვის საქართველოს სსრ პირველადი ღვინის ქარხ-



ნების წარმოებრივი სიძლიერე აყვანილი უნდა ყოფილიყო ათას ტონამდე.

შვიდწლედში ღვინის წარმოების გადიდებას პერსპექტივებს ეხებოდა ამხ. ვ. მკავანაძე და აღნიშნავდა, რომ ჰვენს ქვეყანას მოეპოება მდიდარი შესაძლებლობანი ღვინის წარმოების გადიდების საქმეში, მაგრამ ეს შესაძლებლობები სამწუხაროდ მეტად მცირედ გამოიყენება. მაგალითად, როდესაც ლაპარაკია ღვინის ხარისხზე, ჰვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს ყოველთვის ორი ძირითადი ფაქტორი: ნედლეულის ხარისხი და მისი გადამუშავების ტექნოლოგიური დონე.

„დიდ ზიანს აყენებს ღვინის ხარისხს რთველის ცუდი ორგანიზაცია, მისი უდროოდ დაწყება და უკონდიციო ყურძნის დაშლადება. უნდა გვახსოვდეს, რომ ყურძნის შაქრიანობის პროცენტის მიხედვით რთველის ზუსტი ვადების დაწყებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხარისხოვანი ღვინოების წარმოების საქმეში. წესად უნდა იქნას მიღებული, რომ რთველის მოახლოებისას ყველა რაიონში და დამამზადებელი ქარხნების ზონებში შეიქმნეს შევენახეობა-მელენეობის სპეციალისტთა ავტორიტეტული კომისიები, რომლებმაც ზუსტად უნდა დაადგინონ რთველის დაწყების დრო ცალკეული მიკრორაიონების, კოლმეურნეობებისა, ნაკვეთებისა და ყურძნის ამა თუ იმ ჯიშების მიხედვით შეადგინონ ყურძნის კრეფის ყოველდღიური გრაფიკი გადამამზადებელი ქარხნის სიმძლავრის მხედველობაში მიღებით, კონტროლი გაუწიონ ამ გრაფიკის დაცვას<sup>1</sup>.

მართალია, ღვინის ძველი ქარხნების ნაცვლად საქართველოში აშენდა მრავალი ახალი ქარხანა, დიდად გაფართოვდა და გადაეკეთდა ძველი ქარხნებიც, მაგრამ არსებული ღვინის ქარხნების სიმძლავრე და მათი ტექნიკური აღჭურვილობა ჯერ კიდევ ჩამორჩება ნედლეულის დამზადების დონეს. მაგალითად, 1958 წ. რესპუბლიკის ღვინის ყველა ქარხნების წარმოების ნორმალური სიმძლავრე 76 ათას ტონას უდრიდა, ეს იმ დროს, როდესაც საჭიროება მოითხოვდა თითქმის ორჯერ მეტი (145 ათასი ტონა) ყურძნის გადამამზადებას.

ცხადია, ეს გარემოება, თავის მხრივ, მიღებული ღვინის ხარისხზედაც უარყოფით გავლენას მოახდენდა.

<sup>1</sup> ვ. მკავანაძე, საქართველოს სსრ შევენახეობისა და მელენეობის შემდგომი განვითარებისათვის, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1939, № 5, გვ. 13.

ამიტომ შვიდწლედის ერთ-ერთი ამოცანა მდგომარეობდა არსებული ღვინის ქარხნების ტექნიკური აღჭურვილობისა და მშენებლობის სიმძლავრის გადიდებაში.

საქართველოს  
საბჭოთაო სოციალისტური  
რესპუბლიკის

შვიდწლედში დიდი ამოცანები ისახებოდა აგრეთვე ღვინის შენახვის სათავსების მოცულობის გადიდების საქმეში. მარტო 1958 წ. ღვინის ციხეებში დაჩენილი იყო რესპუბლიკის მასშტაბით 5 მლნ-ზე მეტი ღვინო. ამან კი თავის მხრივ გამოიწვია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და დანაკარგების გადიდება.

უფრო მეტი სიძნელებები იყო ღვინის დასაძველებელი სათავსოების მხრივაც. მაგ., დასაძველებელი ღვინის მთლიანი ტევადობა 1959 წ. რესპუბლიკაში უდრიდა სულ 1,4 მლნ ღვინოს, ეს კი მნიშვნელოვნად ნაკლები იყო მის საჭიროებასთან შედარებით და თავისთავად ზღუდავდა მარკიანი ღვინის წარმოების გადიდების შესაძლებლობას.

ამხ. ვ. მკვირვაძე მკვეთრად აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ შვიდწლედში დაჩენილი იყო ღვინის ქარხნების საწყობებისა და სხვა შენობების მშენებლობა. ამასთან მეღვინეობის ტექნიკური ბაზის განმტკიცება უნდა მომხდარიყო „ახალი ობიექტების ამუშავების, არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების გზით“<sup>2</sup>.

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ღვინის ჩამომსხმელი ქარხნების მთლიან წლიური სიმძლავრის 3,5 მლნ ღვინოდან 5 მლნ ღვინომდე გადიდებას.

გეგმით ნაპარაუდები იყო ხარისხოვანი მარკიანი ღვინის ზრდა და მისი ხვედრიწონის აყვანა მთლიან პროდუქციაში 20—25%-მდე.

შვიდწლიანი გეგმით მნიშვნელოვნად იზრდებოდა ბუნებრივად მოტკბო ღვინოების გამოშვება, რომელზედაც მოთხოვნილება თანდათან დიდდებოდა როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

შვიდწლიანი გეგმა განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა შამპანური ღვინისა და მალაზხარისხოვანი ღვინომასალის გამოშვების გადიდებას.

<sup>2</sup> ვ. მკვირვაძე, საქართველოს სსრ მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი განვითარებისათვის, თურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1939, № 5, გვ. 13—14



საქართველოს მევენახეებმა და მეღვინეებმა ფაქტობრივად მუშაობა ჩაატარეს შვიდწლიანი მანძილზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის წინ წამოწევისა და აღმავლობის საქმეში.

პარტია და მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენდა პირველყოელისა მეღვინეობის ნედლეული ბაზის განმტკიცებისათვის და მან თავისი დადებითი შედეგები გამოიღო. 1959—1965 წწ. გაშენდა 28 ათასი ჰექტარი ვენახის ახალი პლანტაცია.

თუ როგორ იზრდებოდა ცალკეული სექტორების მიხედვით ვენახის მთლიანი ფართობი შვიდწლედში ამას ნათლად ეხედავთ ცხრ. 38-ში.

ცხრილი 38

მევენახეობის განვითარება შვიდწლედში (ათას ჰა)

წლები	ვენახის ფართობი		მთლიანი ფართობის მიხედვით სექტორების მიხედვით			ყურძნის ჰექტარობრივი შემოსავალი (ა)	მთლიანი მოსავალი (ათას ტ)
	სულ	მ. შ. ნაყოფის მომცემი	კოლმეურნეობა	საბჭოთა მეურნეობა	დამხმარე მეურნეობა		
1959	79,2	54,6	35,0	6,9	37,3	49,0	269,0
1960	85,6	59,0	36,6	8,2	40,8	42,9	247,0
1961	84,8	60,4	31,5	13,5	40,8	48,8	295,0
1962	92,4	67,0	34,4	15,6	42,3	59,5	401,0
1963	98,0	69,6	37,1	18,3	42,6	23,3	162,0
1964	102,2	71,4	38,6	21,3	42,3	27,1	194,9
1965	107,1	74,0	40,5	24,1	42,4	44,3	328,5

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ვენახის მთლიანი ფართობი 1959-1965 წწ. გაზრდილა 27,9 ათასი ჰექტარით ანუ 35,2%-ით.

სექტორების მიხედვით ზრდის ტემპი ყველაზე უფრო შესამჩნევია საბჭოთა მეურნეობაში—17,2 ათასი ჰა ანუ 22%-ით. კოლმეურნეობებში და დამხმარე მეურნეობებში ზრდა თითქმის თანასწორია და იგი უდრის 5,6—5,7 ათას ჰექტარს.

3 ცხრილი შედგენილია საქ. სსრ ცენტრ. სტატ. სამმართველოს მონაცემების მიხედვით.



მთლიანად სოციალისტურ სექტორში ზრდა მოხდა 27,6% -ით, რაც 5,4-ჯერ აღემატება დამხმარე მეურნეობაში ვენახების ბის ტემპს შეიდწლედში. მაგრამ ამასთან ერთად მოხდა შენელოვანი მოვლენაც რესპუბლიკის მევენახეობაში. ეს ის იყო, რომ თუ შეიდწლედის დასაწყისში არსებული ვეხახის მთლიანი ფართობის დაახლოებით 50% მოდიოდა განსახოგადოებულ სექტორზე, ხოლო მისი მეორე ნახევარი კი კოლმეურნეების დამხმარე მეურნეობაზე, უკვე 1965 წ. ბოლოსათვის მთლიანი ვენახის ფართობის 60% ანუ 64,7 ათასი ჰექტარი, მოდიოდა კოლმეურნეობებზე და საბჭოთა მეურნეობებზე, ხოლო დანარჩენი 40% ანუ 42,4 ათასი ჰექტარი დამხმარე მეურნეობაზე. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ სოციალისტური მევენახეობა მტკიცე ნაბიჯით მიიწევს წინ და იგი წარმოადგენს საიმედო დასაყრდენს საქართველოს საბჭოთა მეღვინეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

რაც შეეხება მოსავლიანობას და ყურძნის მთლიან მოსავალს, ცხრილი 38-დან ჩანს, რომ ამ მხრივ სარეკორდო ციფრს მიაღწია რესპუბლიკამ 1962 წ. როდესაც მევენახეობის საკმაოდ კარგი მოსავლიანი წელი იყო. ამ წელს ჰექტარ ვენახის ფართობზე საშუალოდ მიიღეს 59,5 ც ყურძენი, ხოლო მთლიანმა მოსავალმა საქართველოში 401 ათას ტონას მიაღწია. მომდევნო ორი წლის განმავლობაში კი იმის გამო, რომ არახელსაყრელი კლიმატური პირობები იყო, მკვეთრად დაეცა რესპუბლიკაში ყურძნის, როგორც ჰექტარობრივი, ისე მთლიანი მოსავალი.

სამავიეროდ მეტად იღბლიანი აღმოჩნდა ამ მხრივ 1965 წელი. ამ წელს ყურძნის ჰექტარობრივმა მოსავალმა 44,3 ც შეადგინა, ხოლო მთლიანმა მოსავალმა 328,5 ათასი ტონა.

მოსავლიანობის გადიდებისა და შემცირების კვალობაზე იზრდებოდა და მცირდებოდა აგრეთვე ყურძნის სახელმწიფო დამზადებაც (ცხრ. 39).

აქედან ჩანს, რომ ყურძნის სახელმწიფო დამზადებამ რესპუბლიკაში ყველაზე მაღალ დონეს 1965 წელს მიაღწია. ამ წელს რესპუბლიკაში დამზადებული იყო სულ 244,8 ათასი ტონა ყურძენი.

ყურძნის დამზადების შესაბამისად კი თავის მხრივ იზრდება ღვინომასალისა და ყურძნის ღვინის წარმოებაც. წლების მიხედვით ღვინომასალის გამოშვება შეიდწლედში ასეთ სურათს გვაძლევს (ათას დკლ): 1959წ. — 8 783,8, 1960 წ. — 5 676,0, 1961 წ. —

ურჩნის სახელმწიფოებრივი დამხატბა შეიღწლეღწი (ათას ტ)<sup>4</sup>

წლები	სულ რეს- პუბლიკა- ში	მ.		შ.		დამხარე მეურნეობ.	
		კოლმეურნეობებში		საბჭოთა მეურნ.			
		რაოდენ.	%	რაოდენ.	%	რაოდენ.	№
1959	132,8	63,5	47,7	13,7	10,0	55,6	42,3
1960	93,0	49,9	53,6	12,7	13,6	30,3	32,8
1961	146,3	56,0	38,4	24,3	16,4	66,0	45,2
1962	205,0	83,6	40,8	33,3	16,2	88,0	43,0
1963	68,0	31,0	45,6	10,4	14,5	26,8	39,9
1964	90,4	35,5	39,4	18,6	20,6	36,3	40,0
1965	244,8	89,6	32,0	51,6	26,4	103,6	41,6

8 3053, 1962 წ. — 12 000,9, 1963 წ. — 5 047,3, 1964 წ. — 5 612,4, ხოლო 1965 წ. — 16 480.

მაშასადამე, ღვინომასალის გამოშვებამ რესპუბლიკაში თავის კულმინაციურ წერტილს ჯერ 1962 წ., ხოლო შემდეგ 1965 წ. მიაღწია. მათ შუა არსებულ პერიოდში (1963-64 წწ.) კი იგი მნიშვნელოვნად ეცემა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ უკანასკნელი 2—3 წ. განმავლობაში დიდი რაოდენობით შემოვიდა ღვინომასალა ჩვენს ქვეყანაში მოძმე რესპუბლიკებიდან (უკრაინის სსრ და მოლდავეთის სსრ).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ რესპუბლიკებში წარმოებული ღვინომასალები და დაყენებული ღვინოები მეტად დაბალი შაქრიანობითა და ბუნებრივი სიმკვრივით ხასიათდებიან. მაგ., ღვინომასალის შაქრიანობა მოლდავეთში 1959—1963 წწ. საშუალოდ შეად-

<sup>4</sup> ცხრილი შედგენილია საქ. სსრ ცენტ. სტატ. სამმართველოს მონაცემების მიხედვით.

გენდა 12,62 — 16,97%-ს. უკრაინაში კი 15,83 — 17,7%-ს. მაშინ, როდესაც ამ პერიოდში იგი საქართველოში 16,3 — 19,2%-ს უდრიდა. „მოლდავეთსა და უკრაინაში გვერდშემატიანი ბული ყურძნის ჰიბრიდული ჯიშებისაგან იაფი და ბევრი, მაგრამ მდარე ხარისხის ლეინოები მიიღება. იგი არა მარტო დაბალგრადუსიანი გამოდის, არამედ, რაც მთავარია, მოკლებულია კარგო ლეინისათვის დამახასიათებელ მიმზიდველ გემოვნებით თვისებებს, ამ მხრივ ჩამორჩება ქართული და ევროპული ტექნიკური ჯიშებისაგან დაყენებულ ლეინოებს და ძირითადად შემაგრებული სახით გამოიყენება“<sup>5</sup>.

საერთოდ, საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში ყურძნის ლეინისა და შამპანურის წარმოებამ თავის მაღალ საფეხურს სწორედ შვიდწლეულში მიაღწია. „სამტრესტის“ წლიური ანგარიშგებების მონაცემებით, 1959 — 1965 წწ. ყურძნის ლეინისა და შამპანურის წარმოება შემდეგნაირად ხასიათდება (იხ. ცხრ. 40).

როგორც ვხედავთ, შვიდწლეულის მანძილზე „სამტრესტი“ ყურძნის ლეინისა და შამპანურის წარმოების გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს. ამასთან თუ 1959 წ. გამოშვებული იყო სულ 5 871 ათასი დკლ ყურძნის ლეინო, 1965 წ. მისი წარმოება 8 393,5 ათას დკლ-მდე გაიზარდა, ე. ი. გამოშვებული იყო 2 522,5 ათასი დკლ-ით ანუ 43%-ით მეტი, მაგრამ როგორც ცხრილ 39-დან დავინახეთ, ლეინომასალის წარმოება ამ პერიოდში გაიზარდა თითქმის ორჯერ.

ცხრილ 40-დან ჩანს, რომ შვიდწლეულის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე შამპანურის გამოშვებაც. თუ მაგ., 1959 წ. გამოშვებული იყო რესპუბლიკაში სულ 6,2 მლნ ბოთლი, 1965 წ. მისი წარმოება გაიზარდა 7,7 მლნ ბოთლამდე ანუ 1,5 მლნ ბოთლით.

აქვე სპეციალურად უნდა შევჩერდეთ რესპუბლიკის მასშტაბით სახელმწიფოებრივი სექტორის ხაზით (როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ) გამოშვებული ყურძნის ლეინის რაოდენობას შვიდწლეულში (იხ. ცხრ. 41).

<sup>5</sup> ლ. ჩიქავა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო საკავშირო დანაწილება, თბ., 1965 გვ. 254.

დარღვევის დონისა და შემსწავლელ ქარხნების განხილვა „სამტრედიის“ ხეხილ-მეურნეობის კონსტრუქციის მიხედვით

წელი	დარღვევის დონის ხვერი			შემსწავლელი ქარხნების განხილვა						შემსწავლელი კონსტრუქციის მიხედვით			
	დონი	შეპირებული	%	საქართველო			საქართველო			%	დონი	შეპირებული	%
				დონი	შეპირებული	%	დონი	შეპირებული	%				
1959	5 509	5 871,0	106,5	3 369,0	3 480,7	106,4	2 130,0	2 190,0	102,8	5 800	6 268,9	108,4	
1960	6 100	7 271,0	119,2	3 870,0	4 044,9	104,5	3 030,0	3 227,1	106,5	6 300	6 600,5	104,8	
1961	6 600	8 553,6	129,6	3 947,5	3 266,3	82,8	2 659,5	2 207,3	83,0	6 600	4 844,0	73,4	
1962	7 300	7 363,9	100,9	3 969,0	3 967,6	100,0	3 331,0	3 376,3	101,3	6 800	6 874,7	101,1	
1963	9 100	9 107,2	100,1	5 439,0	5 161,3	94,9	3 661,0	3 945,9	107,5	7 000	7 163,8	102,3	
1964	9 100	9 156,7	100,6	5 219	4 746,7	90,9	3 861,0	4 410,0	114,2	7 300	7 409,3	101,5	
1965	8 900	8 393,5	94,3	4 264	4 062,7	95,3	4 296,0	4 330,1	100,8	7 700	7 725,0	100,3	

\* ცხელი მუშაობის ხვერი, სპ. ცხელი, სპ. მუშაობის და „სამტრედიის“ მუშაობის მუშაობის მიხედვით.



წელი	რაოდენობა	მ. შ.				საკეთრივ სამტრედიის ხეივანეში							
		რესპუბლ. შიგნით	მისი ხვედრ. წილი %-ით	რესპუბ. შიგნით	მისი ხვედრ. წილი %-ით	სულ	მისი ხვედრ. წილი მთლიან წარმოებაში %-ით	მ.		შ.		რესპუბლ. შიგნით	მისი ხვედრ. წილი %-ით
								რესპუბლ. შიგნით	მისი ხვედრ. წილი %-ით	რესპუბლ. შიგნით	მისი ხვედრ. წილი %-ით		
1959	6 996	4 444	63	2 522	37	5 871,0	84	3 318,5	64,5	2 552,5	43,5		
1960	7 611	4 049	53	3 462	47	7 271,2	97	3 808,5	53,8	3 462,7	46,2		
1961	5 826	3 712	64	2 114	36	5 553,5	95	3 439,4	61,8	2 114,1	38,2		
1962	7 569	4 215	56	3 354	44	7 363,9	98	4 009,4	54,5	3 354,5	45,5		
1963	9 151	4 558	50	4 593	60	9 107,2	99	4 514,3	49,6	4 592,9	45,5		
1964	9 243	4 174	45	5 069	55	9 156,7	99	4 093,5	43,6	5 063,2	56,4		
1965	8 562	—	—	—	—	8 393,5	98	—	—	—	—		

აქედან ირკვევა, რომ:

1. ღვინის მთლიანი წარმოება 1965 წ. (8562 ათასი ღვლ) 1959 წ. (6996 ათასი ღვლ) შედარებით გაიზარდა 1566 ათას ღვლ-ით. ხოლო თუ ამას დავუმატებთ შამხანურის წარმოებასაც, 1965 წ. წარმოებული ღვინის მთლიანი რაოდენობა 16,2 მლნ ღვლ იქნება (აქ რასაკვირველია, შედის ღვინომასალა, რომელიც შევიძინეთ მოლდავეთსა და უკრაინაში, ხოლო არ შედის მოსახლეობის პირად მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია). ღვინის ასეთი რაოდენობა კი საქართველოს მეღვინეობაში არასოდეს არ ყოფილა მიღწეული.

2. თუ 1959 წ. მთლიანი ღვინის 63% მოდიოდა რესპუბლიკის შიგნით გამოშვებაზე (4,4 მლნ ღვლ), 1964 წ. მისი ხვედრიწონა ეცემა 45%-მდე (4,1 მლნ ღვლ). მის საწინააღმდეგოდ კი იზრდება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ „სამტრედიის“ ღვინის ქარხნებში დამზადებული ღვინის ხვედრიწონა და მან 37%-ის ნაცვლად 55% შეადგინა.

3. თუ ღვინის მთლიან რაოდენობაში „სამტრედიის“ მიერ წარმოებული ღვინის ხვედრიწონა 1959 წ. 84%-ს შეადგენდა, 1965 წწ. მან მხოლოდ 98,8% შეადგინა.

შეიღწეულში დიდად გაიზარდა „სამტრედიის“ მიერ რეალიზებული ღვინის ოდენობა და აქედან მიღებული, როგორც მთლიანი

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საქ. სსრ ცს და „სამტრედიის“ წლიური ანგარიშგებების ნიხედვით.



ფულადი შემოსავალი, ისე წმინდა შემოსავალი. ამის შესახებ გარე  
წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 42.

ეროვნული  
ბიუჯეტი

რეალიზებული ღვინის რაოდენობა და აქედან ამონაგები თანხა „სამტრესტის“  
ხაზით შეიღწეულში (ათას მან.)<sup>ა</sup>

წლები	რაოდენობა (ათას ღვლ.)	მთლიანი ფინანსური ბალანსი	ბრუნვის გა- დასახადი	ფასდათმობა რეალიზაცი- ისათვის	რეალიზაცი- ის მთლიანი თანხა	ბოლო ფა- სტის გასა- ცემი თანხა	წმინდა შემო- სავალი მო- გება-ზარ- ალი	რენტაბელუ- რობა % -ით
1959	5 865,0	58 720,2	29 394,5	10 409,5	109 638,6	69 834,6	+11 114,4	+18,4
1960	6 453,2	65 940,5	41 345,0	11 338,6	125 523,4	72 844,8	+6 504,3	+10,5
1961	4 133,0	42 321,0	29 641,0	7 738,0	85 400,0	48 021,0	+5 700,0	+13,3
1962	5 883,0	58 130,0	40 063,0	10 520,0	117 359,0	66 811,0	+8 681,0	+14,9
1963	7 654,0	76 175,0	50 412,0	13 473,0	148 705,0	84 820,0	+8 645,0	+11,2
1964	8 897,0	80 751,0	54 607,0	14 615,0	158 668,0	89 446,0	+8 693,0	+10,7
1965	9 269,0	77 417,0	50 322,0	14 154,0	153 649,0	89 213,0	+11 796,9	+15,2

ეს მონაცემები ცხადყოფს თუ რამდენად რენტაბელურ დარგს  
წარმოადგენდა მეღვინეობა ჩვენს რესპუბლიკაში შეიღწეულის გან-  
მავლობაში.

მოცემულ პერიოდში რეალიზებული მშრალი და შემავრე-  
ბული ღვინო 5,8 მლნ ღვლ-დან იზრდება 9,2 მლნ ღვლ-მდე, ე. ი.  
3,4 მლნ ღვლ-ით ანუ 60% და მეტით. იზრდება რეალიზაციიდან  
მიღებული თანხა (1959 წ. — 109,6 მლნ მან., 1965 წ. — 153,6 მლნ  
მან.) 44,0 მლნ მანეთით, ე. ი. 40%-ით. ბრუნვის გადასახადი—(29,3  
მლნ მანეთიდან 50,3 მლნ-მდე) ანუ 21,1 მლნ მანეთით, რაც  
წმინდა შემოსავლის სახით გადავიდა სახელმწიფოს განკარგულე-  
ბაში.

რაც შეეხება შამპანური ღვინის რეალიზაციას და აქედან ამონა-  
გებ თანხას შეიღწეულში იგი ასე ხასიათდება (იხ. ცხრ. 43).

როგორც ვხედავთ, შეიღწეულში სულ უფრო გაზრდილია რეა-  
ლიზებული შამპანურის რაოდენობა და აქედან ამონაგები თანხა.  
თუ 1959 წ. რეალიზებული იყო 5 მლნ ბოთლი შამპანური, 1965 წ.  
მისი რაოდენობა გაიზარდა 7,3 მლნ ბოთლამდე, ანუ 45%-ზე მეტად.  
ხოლო რეალიზაციის თანხა 14,5 მლ-დან გაიზარდა 19,3 მლნ მანე-  
თამდე ანუ 33%-ით. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა შეიღწეუ-  
ლის მანძილზე მოგების თანხა და რენტაბელობის დონე.

<sup>ა</sup> ცხრილი შედგენილია „სამტრესტის“ წლიური ანგარიშგებების მიხედვით.



შპპანურის რეალიზაცია და ამონაგები თანხა შედგენილში (აგრეთვე კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობების მიერ მათ საკარმიდაამო ნაკვეთებზე მიღებული ყურძნის გადამუშავების შედეგად.)

წლები	რაოდენობა (ათას ბოთლ)	მოლინი თეთლირგბულა	ბრუნვის გადასახადი	ოპდამობა რეალიზაციისათვის	რეალიზაციის მიზანით	ბოლო ფაქტობრივი მუხით მიღებული თანხა	წმინდა შემოსავალი (გადასახადების შემდეგ)	რეალიზაციის მიზანით მიღებული თანხის % -ით
1959	5 031,5	8 451,0	2 539,8	2 066,0	14 599,9	9 994,1	+1 543,1	+18,0
1960	5 959,0	9 665,5	3 923,4	1 804,6	16 508,5	10 720,0	+1 055,0	+10,9
1961	6 253,0	9 247,0	3 776,0	1 930,0	16 756,0	11 050,0	+1 803	+19,5
1962	5 856,9	9 017,0	5 598,0	1 778,0	17 700,0	10 324,0	+1 307,0	+14,5
1963	6 081,0	9 306,0	3 817,0	1 837,0	16 073,0	10 419,0	+1 113,0	+12,0
1964	6 948,0	9 841,0	4 269,0	2 114,0	18 699,0	12 316,0	+2 475,0	+25,3
1965	7 331,0	10 254,0	4 265,0	4 110,0	19 314	10 305,0	+2 475,0	+ 0,5

ღვინის წარმოებას ადგილი ჰქონდა შედგენილში აგრეთვე კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობების მიერ მათ საკარმიდაამო ნაკვეთებზე მიღებული ყურძნის გადამუშავების შედეგად.

მართალია, უკანასკნელი წლების განმავლობაში რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა თითქმის მთლიანად შეწყვიტეს ადგილებზე ღვინის დაყენება და ისინი ორგანიზებული წესით ერთიანად აბარებენ ყურძენს სახელმწიფოს, მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში (უმთავრესად არამრეწველური დანიშნულების რაიონებში) მაინც განაგრძობენ ყურძნის გადამუშავებას ღვინოდ. ასე მაგ., წლების განმავლობაში საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში დაყენებული იყო ღვინო (დკლ): 1959 წ.—355 600, 1960 წ.—213 600, 1961 წ.—160 760, 1962 წ.—202 800, 1963 წ.—42 600, 1964 წ.—83 700,9 აქედან მეტი წილი ღვინო გაცემული იყო კოლმეურნეობებზე შრომის ანაზღაურების ანგარიშში, ასე. მაგ., 1959 წ. ამ წესით გაიცა 246 630 დკლ. 1961 წ.—80 400 დკლ და 1964 წ.—38 600 დკლ. დანარჩენი მიღებული ღვინო კი კოლმეურნეობებმა მიყიდეს ან სახელმწიფოს ან კოლმეურნეობრივ ბაზრებზე გაყიდეს და ა. შ. მაგ., სახელმწიფოს და კოოპერაციულ ორგანიზაციებს მიყიდა (დკლ): 1959 წ.—10 170. 1960 წ.—14 300, 1961 წ.—14 750, 1962 წ.—10 850, 1963 წ.—3 560, ხოლო 1964 წ. არც ერთი ლიტრი. ამავე პერიოდში კოლმეურნეობებმა გაყიდეს ღვინოდ (დკლ): 1959 წ.—25 350, 1961

9 მონაცემები აღებულია საქართველოს სსრ კოლმეურნეობების წლიური ანგარიშგებების ქუმლიდან.

წ.—7 600, 1963 წ.—2 510, ხოლო 1964 წ.—40 700. კოლმეურ-  
ნობებში წარმოებული ღვინოდახ კოლმეურნეებზე შრომადღებლის  
ანგარიშში გაიცა სულ (დკლ): 1959 წ.—246 630, 1960 წ.—247 870,  
1961 წ.—80 400, 1962 წ.—8 440, 1963 წ.—4 230, ხოლო 1964 წ.—  
38 600.

ყოველივე ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ ცალკეულ კოლმეურნე-  
ობებში ჯერ კიდევ ხდება ყურძნის ღვინოდ დაყენება, მისი რეალი-  
ზაცია ამა თუ იმ ფორმით და კოლმეურნეებზე გაცემა მშრომადღე-  
ების ანგარიშზე.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რესპუბლიკის მევენახეობა-  
მეღვინეობის ძირითად რაიონებში (კახეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი)  
აღვილებზე ნაკლებად თუ გადაამუშავებდნენ კოლმეურნეობები  
ყურძენს ღვინოდ, რადგან ისინი ღებულობენ ძირითადად მრეწვე-  
ლური, მაღალხარისხოვანი ჯიშის ყურძენს და თითქმის 100%-მდე  
აბარებენ მას სახელმწიფოს.

ამიერიდან ჩვენი რესპუბლიკის არა მარტო კოლმეურნეობები,  
არამედ კოლმეურნეებიც უფრო გაადიდებენ ყურძნის სახელმწიფო-  
ებრივი ჩაბარების ხვედრიწონას, იმდენად, რამდენადაც საქართვე-  
ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წ. 14 ივნისის დადგენილების სა-  
ფუძველზე მნიშვნელოვნად გადიდდა (20 — 25%-ით საშუალოდ  
ყურძნის სხვადასხვა ჯიშების მიხედვით) ყურძნის დამზადების ფა-  
სები და ამრიგად მეტი სტიმულირება ეძლევათ ამ მიმართულებით,  
როგორც მევენახეობის მიმართულების კოლმეურნეობებს, ისე  
კოლმეურნეებს, რომლებსაც მოჰყავთ თავიანთ დამხმარე მეურნე-  
ობებში ყურძენი. ეს კი შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ღვინის ქარ-  
ხნებს უფრო მეტი ღვინო აწარმოონ და ამდენად, გეგმური დავალები  
გადაჭარბებით შეასრულონ.

ვევებით რა კოლმეურნეობრივ სექტორში ყურძნის ღვინოდ გა-  
დამუშავების საკითხს და მის რეალიზაციას, აქვე საჭიროა მოკლედ  
განვიხილოთ კოლმეურნეების მიერ თავიანთ დამხმარე მეურნეობა-  
ში მიღებული ყურძნიდან მიღებული ღვინის რეალიზაციის საკითხი  
კოლმეურნეობრივ ბაზრებზე.

როგორც ცნობილია, კოლმეურნეები თავიანთ დამხმარე მეურ-  
ნეობიდან მიღებულ ყურძნის დიდ ნაწილს ღვინოდ გადაამუშავებენ,  
რომლის მნიშვნელოვან რაოდენობას თავის ოჯახში მოიხმარენ სა-  
კუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ხოლო დანარჩენ  
ნაწილს ყიდნიან კოლმეურნეობრივ ბაზრებზე.



მართალია, რესპუბლიკის კოლმეურნეობრივ ბაზრებზე გატანილი ღვინის რაოდენობა თანდათან მცირდება, მაგრამ მისი ნობა ჯერ კიდევ დიდია.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით რესპუბლიკის (თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის მაგალითებზე) კოლმეურნეობების ბაზრებზე გატანილი ღვინის რაოდენობა უდრიდა შემდეგს (ათას ლიტრებში): 1940 წ.—1 772, 1945 წ.—3 200, 1950 წ.—5 560, 1955 წ.—8 334, 1960 წ.—597,8, 1961 წ.—373,0, 1962 წ.—347,8, 1963 წ.—227,2, 1964 წ.—288,1.

როგორც ვხედავთ, კოლმეურნეობრივ ბაზრებზე გატანილი და რეალიზებული ღვინის რაოდენობა უკანასკნელ წლებში მკვეთრად ეცემა.

ჩვენი აზრით, მომავალში კოლმეურნეობის მიერ ღვინის გატანა და მისი რეალიზაცია კოლმეურნეობრივ ბაზრებზე თანდათან უფრო უნდა შემცირდეს და ეს საეკონომიკური მოვლენა იქნება, რადგან ისინი მიღებული ყურძნის დიდ რაოდენობას თანდათან სახელმწიფოს ჩააბარებენ, ხოლო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცემა ორგანიზებული წესით შეიძინოს სახელმწიფო მაღაზიებში იაფფასიანი ხარისხოვანი ღვინოები და თავიდან აიცილოს ასე თუ ისე პრიმიტიული წესით და ზოგ შემთხვევაში ფალსიფიცირებული წესით დამზადებული ღვინოების შესყიდვა და მოხმარება.

2. ზაფხულა მაღალხარისხოვანი აართული ღვინოებისათვის

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობების მრავალფეროვნება და ადგილობრივი ვაზის ჯიშების ნაირსახეობა სრულ შესაძლებლობას იძლევა, რომ შეიქმნას სხვადასხვა ტიპის მაღალხარისხოვანი ქართული ღვინოები.

როგორც პროფ. გ. ბერიძე აღნიშნავს: „ყურძნის ჯიშში, მისი სიმწიფის ხარისხი, ნიადაგი, კლიმატი, აგროტექნიკური ღონისძიებანი, მეტეოროლოგიური პირობები განაპირობებენ პროდუქციის ხარისხს. ღვინოზე ზრუნვა, მისი შედგენილობის ცოდნა, საწყის მასალაზე დროული მოქმედება, მისი სათანადო შენახვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მას უზრუნველყოფთ და ფაქიზად მოვეპყრობით“<sup>10</sup>.

<sup>10</sup> გ. ბერიძე, საქართველოს სსრ მეღვინეობა აღმავლობის გზაზე, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1962, № 9, გვ. 9.

მაღალხარისხოვანი ღვინოების მიღების საქმეში გრადამუშავე მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხარისხოვანი ნედლეულის მიღებას, ყურძნის ჭიშების მიხედვით და დაზიანებული ყურძნის მნიშვნელოვნად დაყვანას.

მაშასადამე, უკვე ყურძნის კრეფიდან იწყება მომავალი ღვინის ხარისხის ჩასახვა. შემდეგ კი უნდა ჩატარდეს სათანადო ტექნოლოგიური ხასიათის გადამუშავების პროცესები.

ჩვენს რესპუბლიკას მოუპოვება ყველა პირობა იმისათვის, რომ ქართული ყურძნის ღვინოებმა, შამპანურმა და კონიაკებმა, გამოშვებული პროდუქციის მიხედვით ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი დაიკავონ როგორც სსრკ-ში ისე მთელ მსოფლიოში. როგორც სამართლიანად შენიშნავს ლ. ჩიქავა „საქართველოს სსრ მაღალხარისხოვანი ღვინოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაიონია. აქ ნაკლებად შეიმჩვეა იოლი გზით სვლის საფუძველზე ღვინის პროდუქციის მოცულობის გადიდებით გატაცება, თუ მას თან არ ახლავს ძალადი ხარისხის შენარჩუნება და სრულყოფა“<sup>11</sup>.

სსრკ და ადგილობრივი სადგგუსტაციო კომისიების შეფასებით, შეიღწეულის მანძილზე, ჩვენმა ღვინოებმა შემდეგი შეფასება დაიმსახურეს (იხ. ცხრ. 44).

ცხრილი 44

ღვინის ხარისხობრივი შეფასება შეიღწეულში

წლები	სუფრის მშრალი-მარცანი	სუფრის მშრალი-ორდინალური	შემგარებული მარცანი	ნატურალური ნახევრად ტბილი	შამპანური	
					ბოთლებრივი	რეზერვეალური
1959	9,20	8,50	9,10	9,02	9,06	8,84
1960	9,20	8,53	9,13	8,83	9,03	8,89
1961	9,20	8,50	9,26	8,97	9,09	8,75
1962	9,01	8,58	9,12	8,90	9,20	8,88
1963	9,26	8,70	8,70	9,04	8,80	8,70
1964	9,23	8,6	9,20	9,0	8,70	8,72

აქ მოტანილი მონაცემები, რომელიც შედგენილია „სამტრესტის“ შესაფერი წლების ანგარიშგებებიდან, ადასტურებენ, რომ ქართული ღვინოები, ისევე როგორც წინათ, განვლილ შეიღწეულშიაც, მეტად მაღალ შეფასებას იმსახურებდნენ.

<sup>11</sup> ლ. ჩიქავა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის როლი და ადგილი შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში, გვ. 255.



სწორედ ამიტომ იყო, რომ მევენახეობა-მელვინეობის საერთაშორისო ბიუროს გადაწყვეტილებით, ჯერ 1962 წ. ჩვენს დედაქალაქს თბილისში ჩატარდა მევენახეობა-მელვინეობის საერთაშორისო კონგრესი. ხოლო 1965 წ. 1—10 სექტემბერს ყურძნის ღვინის, შამპანურისა და კონიაკების საერთაშორისო კონგრესი.

ჯერ კიდევ 1955 წ. ქ. ლუბლიანაში (იუგოსლავია) გამართულ მელვინეობის საერთაშორისო გამოფენაზე ქართულმა ღვინოებმა „წინანდალი“ № 1, „თელიანი“ № 2, „ჩხავერი“ № 11, „ტიში“ № 19, „ხვანჭკარა“ № 20, „ჭინჭმარაული“ № 22, დაიმსახურეს ვერცხლის მედლები დიპლომით. ხოლო „გურჯაანი“ № 3 და „მუკუზანი“ № 4 დაჯილდოვდნენ ბრინჯაოს მედლებით.

1957 წ. ამავე ქალაქში გამართულ მელვინეობის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი დიპლომით დაიმსახურეს ღვინოებმა: „ხიხვი“ და „სალხინო“. ხოლო ვერცხლის მედლები დიპლომით ღვინოებმა: „წინანდალი“ № 1, „თელიანი“ № 2, „მწვანე“, „ტიბაანი“ № 12, „ახაშენი“, „ჭინჭმარაული“ № 22, „მწვანე“. მომდევნო 1958 წ. შემდგარ მელვინეობის საერთაშორისო გამოფენაზე ქ. ბუდაპეშტში ოქროს მედალი დიპლომით მიიღეს ქართულმა ღვინოებმა: „ახაშენი“, „მუკუზანი“ № 4, „კარდანახი“ № 14; ვერცხლის მედალი დიპლომით დაიმსახურეს ღვინოებმა: „წინანდალი“ № 1, „გურჯაანი“ № 3, „ჩხავერი“ № 11, „ახმეტა“, „მწვანე“ და „საამო“ № 30. ამავე წელს ქ. ლუბლიანაში მოწყობილ საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი დიპლომით მოიპოვეს ქართულმა ღვინოებმა: „ახაშენი“, „კარდანახი“ № 4, „საამო“ № 30, ხოლო ვერცხლის მედალი დიპლომით მოიპოვეს ღვინოებმა: „წინანდალი“ № 1, „გურჯაანი“ № 3, „მუკუზანი“ № 4 და „ახმეტა“. დიდი წარმატება ჰქონდა წილად 1958 წ. 11 აგვისტოს ქ. მოსკოვში სოფლის მეურნეობის საკავშირო გამოფენაზე მოწყობილ ღვინოების გამოფენაზე ქართულ ღვინოებს, შამპანურსა და კონიაკებს. აქ ოქროს დიდი მედლით (დიპლომით) დაჯილდოვდნენ ღვინოები: „კარდანახი“ № 14, „საამო“ № 30, „სალხინო“, „ხიხვი“ და კონიაკი „თბილისი“. ოქროს პატარა მედალი მოიპოვეს ღვინოებმა: „მუკუზანი“ № 9, „ნაფარეული“ № 26, „მწვანე“, „ხერესი“, „საფერავი“ (ყახური). ვერცხლის დიდი მედლით დაჯილდოვდნენ ღვინოები: „წინანდალი“ № 1, „თელიანი“ № 2, „გურჯაანი“ № 3, ტიბაანი“ № 12, „უსახელაური“ № 21, „ჭინჭმარაული“ № 22. „ახაშენი“, „საფერავი ვაზისუბანი“, „ჩხავერი“, და კონიაკი „ენისელი“. ვერცხლის პატარა მედალი მიი-



ლეს ღვინოებმა: „ახმეტა“, „ჩხავერი“ № 11, „ხვანჭკარა“ № 20, კონიაკი „ძველისძველი“ და „ვარციხე“. დააჯილდოვეს აგრეთვე ჩხავერად ტყბილი და ჩხავერად მშრალი შამპანური. ასევე ვერცხლის პატარა მედლებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მელვინეობის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი ღვინოები „რქაწითელი“, „ენისელი“ და „რქაწითელი“ კახური. სულ უკანასკნელ 1958-1964 წწ. ქართულმა ღვინოებმა მელვინეობის საერთაშორისო გამოფენაზე და კონკურსებზე მიიღეს 81 მედალი დიპლომით. მ. შ., 30 ოქროს, 47 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა მელვინეობის ისტორიაში ყურძნის ღვინოების, შამპანურისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსის ჩატარებას 1965 წ. სექტემბრის თვის დასაწყისში, ქ. თბილისში. კონკურსის ეიურის თავმჯდომარემ პროფ. გ. ა. გერასიმოვმა, კონკურსის გახსნის დღეს აღნიშნა, რომ „ღვინოების საერთაშორისო კონკურსის მოწყობა თბილისში, რომელსაც მელვინეობის უძველესი ტრადიციები აქვს, აღსანიშნავია არა მარტო იმით, რომ ეს კონკურსი პირველად ეწყობა ჩვენს ქვეყანაში, არამედ იმითაც, რომ ამ დათვალიერებამ მელვინეთა და დეგუსტატორთა დიდი ფორუმი შეკრიბა მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ისინი ცხადყოფენ თავიანთ ოსტატობასა და უნარს, გვიჩვენებენ მრავალი წლის შემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფს.

ახლანდელი კონკურსის მიზანია ღვინოების ობიექტური შეფასება და საუკეთესო ღვინოების გამოვლინება, იმ მიზეზის დადგენა, თუ რატომ ჯობნის ამ ღვინოების ხარისხი სხვა ღვინოებისას“<sup>12</sup>.

აღნიშნულ კონკურსზე მონაწილეობდნენ მსოფლიოს 26 ქვეყნის მელვინეობის სხვადასხვა ფირმები და ორგანიზაციები, რომლებსაც სადეგუსტაციოდ წარმოადგინეს 938 ღვინის ნიმუში. მაგრამ ეიურიმ კონკურსზე დაუშვა სულ 864 ნიმუში. აქედან საერო და დავარგებული ღვინოების ნიმუში იყო 624, შამპანური—87, კონიაკი—81, ხერესი—31, ვერმუტი—30 და შუშხუნა—11.

წარმოდგენილი ღვინოებიდან, კონიაკებიდან და შამპანურიდან ოქროს მედალი მოიპოვეს 329 (39%), ვერცხლის 466 მედალი (55%), და ბრინჯაოს მედალი 43 (6%). სსრ კავშირის მასშტაბით მოპოებულ იქნა სულ 157 ოქროს მედალი ანუ მთლიანად მოპოებული

<sup>12</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1965, 2 სექტემბერი.



ოქროს მედლების დაახლოებით ნახევარი, ვერცხლის მედალი—136, ანუ მთლიანი ვერცხლის მედლების 30 % და ბრინჯაოს 6—(14%).

საქართველოს სსრ მიერ წარმოდგენილმა 65 ღვინის ნიმუშმა კონკურსზე მიიღო 100%-ით მოწონება და დაჯილდოება. კერძოდ, ოქროს მედლებით დაჯილდოვდა 34 ღვინო (წარდგენილი ღვინოების 52,3%), ვერცხლის მედლებით 29 (44,7%) და ბრინჯაოს მედლებით 2 (3%). მაშასადამე უკანასკნელი 7—8 წლის განმავლობაში ქართულმა ღვინოებმა მეღვინეობის საერთაშორისო კონკურსზე, დეგუსტაციებზე და გამოფენებზე მიიღეს 146 მედალი, მ. შ., 64 ოქროს (44%), 76 ვერცხლის (52%) და ბრინჯაოს 6 (%).

ყოველივე ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ ქართული ყურძნის ღვინოებს, შამპანურსა და კონიაკებს, თავისი ხარისხის მიხედვით მეტად საპატიო ადგილი უკავია მსოფლიო მეღვინეობის საქმეში.

მაგრამ ჩვენს რესპუბლიკას მოეპოება ყველა შესაძლებლობა იმისა, რომ უფრო უკეთეს შედეგებს მიაღწიოს.

ამ მიზნით შეეჩერდებით ზოგიერთ იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც ახასიათებს ამ მხრივ ჩვენებური ღვინოების გამოშვებას.

„სამტრესტის“ 1961 წლის ანგარიშგებაში პირდაპირაა აღნიშნული, რომ თუმცა წარმოებული ღვინოები სადეგუსტაციო კომისიის მიერ შეფასებული იყო დამაკმაყოფილებლად, „მაგრამ ხარისხის დაცვისა და გაუმჯობესების საქმეში ტრესტი კვლავ კიდევ დიდ დაბრკოლებებს განიცდის. სახელდობრ, იმის გამო, რომ საწარმოები არ არიან უზრუნველყოფილი ღვინის საფილტრავი დანადგარებით, ღვინის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევა, გამოწვეული ზეგეგმური დავალებებით და ამის გამო წლიური რესურსების წინასწარი ხარჯვის შედეგად ახალი ღვინომასალების ნაადრევად გამოყენება. ხარისხზე მოქმედებს აგრეთვე საცობების დაბალი ხარისხი“<sup>13</sup>.

ამავე ანგარიშგებაში მითითებულია, რომ ღვინის ხარისხის დაცვა-გაუმჯობესების საკითხში „გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს გლეხური დამზადების ღვინომასალების დამზადება-შესყიდვა, რაც დასტურდება იმით, რომ 1961 წ. მოსავლიდან ღვინის ორი მესამედი თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით გამოუსადეგარია სუფრის ორდინალური ღვინის გამოსაშვებად“, რომ ღვინის ხარის-

<sup>13</sup> „სამტრესტის“ 1961 წ. ანგარიშგება, საქ. № 8034, ფურც. 18.



ხზე მოქმედებს აგრეთვე საცობების დაბალი დონე. ასე მაგ., 1961 წ. დიდი რაოდენობით იქნა დაწუნებული შამპანური (საქონლო-პროდუქცია) იმის გამო, რომ ადგილი ჰქონდა სითხის ლევის გარეგნულად გაფორმების დარღვევას (რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო საეტიკეტო ქაღალდების დაბალი ხარისხიანობით, აგრეთვე ლამაზი, მხატვრული ეტიკეტების უქონლობით) და ა. შ.

„სამტრესტის“ 1962 წ. ანგარიშგებაში ნათქვამია: „გამოშვებული ღვინის ხარისხის ამაღლებისათვის ბოლოს და ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული, რომ შეწყდეს პრაქტიკა ნაჩქარევად ახალი ღვინოების არასრული ტექნოლოგიური დამუშავების გარეშე გამოშვება“<sup>14</sup>.

1963 წ. „სამტრესტის“ მიერ ექსპორტში გაგზავნილი იყო 589 ათასი დკლ ღვინო. აქედან იმის გამო, რომ ღვინო შედარებით დაბალი ხარისხისა აღმოჩნდა, რეკლამაცია მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან 15 ათას დკლ ღვინოზე და აღძრულ იქნა შუამდგომლობა „პროდინტორგის“ საშუალებით აღნიშნული რაოდენობის ღვინოების მიღების შესახებ ფასდაკლებით“<sup>15</sup>.

„სამტრესტის“ 1964 წ. ანგარიშგებაში კი პირდაპირაა მითითებული, რომ ქართული ღვინის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენდა საფილტრე მასალის (აზბესტის) ცუდი ხარისხი. „შემოწმებით დადგენილია, რომ აზბესტის კარტონი, რომელიც ძირითადად იხმარება, დიდად აღიღებს ღვინოში რკინის შემცველობის შემადგენლობას“, რომ ტექნოლოგიური დამუშავების მხრივ დაბალი ღვინოების გამოშვებას ჰქონდა ადგილი პირველადი მეღვინეობის ხირსის, კარდანახის, ბოლნისის, არგვეთისა და ზესტაფონის ქარხნებში.

გარდა ამისა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულმა „სამტრესტის“ ქარხნებმა ამ წელს გამოუშვეს დიდი რაოდენობის დაბალი ხარისხის ღვინოები. ასე მაგ., კისლოვოდსკის ღვინის ქარხანას აეკრძალა ზოგიერთი მარკიანი ღვინის რეალიზაცია მისი დაბალი ხარისხის გამო. ორჯონიკიძის ღვინის ქარხანაში გამოშვებულ იქნა მჭროლავი მკავიანობის მქონე სუფრის ღვინოები. ყარაგანდის ღვინის ქარხანამ პრეტენზია მიიღო ღვინოში არსებულ გარეშე მინარევებზე.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის სამმართველოს მიერ ღვი-

14 „სამტრესტის“ 1962 წ. ანგარიშგება, ფურც. 12-13.

15 „სამტრესტის“ 1963 წ. ანგარიშგება, ფურც. 30.

ნოების ხარისხის შემოწმების შედეგები უკანასკნელი 6 წლის მანძილზე  
 მავლობაში ასეთია (იხ. ცხრ. 45).



საქართველოს  
 სახელმწიფო სტატისტიკის  
 სამსახური

ლენინის ხარისხის შემოწმების შედეგები

წლები	შემოწმებული ლენინის რაოდენობა (დკლ)	აქედან დაწუნებულ იქნა	დაწუნებული ლენინის ხვედრი წონა %-ით
1960	26 405	113 962	18,2
1961	1 303 017	211 333	16,2
1962	1 426 017	207 320	16,8
1963	2 064 396	247 883	12,0
1964	2 222 900	306 015	13,8
1965	2 451 498	252 277	10,2

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ დაწუნებული ლენინის ხვედრიწონა თანდათან მცირდება, მაგრამ მისი ოდენობა ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია. ლენინების დაწუნების უმთავრესი მიზეზია გამოშვებული პროდუქციის გაუმჭვირვალობა, ფერის არატიპიურობა, გარეგანი არასათანადო გაფორმება და სხვ. მაგ., 1963 წ. აღნიშნული ინსპექციის მიერ შემოწმებულ იქნა რესპუბლიკის ლენინის 35 ქარხანა, სადაც დაწუნებულ იქნა 247 883 დკლ ლენინი. აქედან სიმღვრივის გამო დაწუნებული იყო 148 511 დკლ, გარეშეგემოვნებისათვის 9 562 დკლ, არატიპიური ფერისათვის—22 676 დკლ, ხოლო გარეგნულად უხეირო გაფორმებისათვის—30 138 დკლ. 1964 წ. ინსპექციამ შეამოწმა სულ 25 ლენინის ქარხანა, სადაც დაწუნებულ იქნა—306 015 დკლ ლენინი. მ. შ., (დკლ): სიმღვრივის გამო—160 694. ფერისა და გემოს არატიპიურობისათვის—30 543, გარეშეგემოვნებისათვის—88 435, რძისმგაევა დუღილიანობისათვის—8 893, გოგირდის ანაჰიდრიდის ზედმეტი შემცველობისათვის—6 177, რკინის ზედმეტი შემცველობისათვის—9 882 და გარეგნულად უხარისხო გაფორმებისათვის—288 და ა. შ.

შამპანური ლენინის წარმოებაში ხშირია შემთხვევა, როდესაც წარმოება არ იცავს ლენინის ჩამოსხმის საკონტროლო ვადებს. როგორც პრაქტიკა ადასტურებს ბოთლებრივი წესით შამპანურის ჩამოსხმის კონტროლის ვადა გათვალისწინებულია 30 დღე. რეზერვუალური წესით ჩამოსხმისას კი—10 დღე. ამ ვადის დარღვევა (აღ-

რე ჩამოსხმა) უარყოფით გავლენას ახდენს გამოშვებულ პროდუქციის ხარისხზე. მაგალითად, ტექნოლოგიური პროცესის უხეშ დარღვევას ჰქონდა ადგილი 1962—1963 წლებში. კერძოდ, ტექნიკური არსებული ღვინომასალა ვადაზე ადრე რეალიზაციაში იქნა გამოშვებული 5 020 ათასი ბოთლი. მ. შ., საკონტროლო ვადის დარღვევით (ნაცვლად 10 დღისა, გამოშვებული იქნა შამპანური 4—10 დღეში). ამ ორ წელში გამოშვებულ იქნა 3 200 ათასი შამპანური რეზერვუალური წესით (ნაცვლად 30 დღისა 8—13 დღეში, ხოლო ბოთლებრივი წესით — 1870 ათასი ბოთლი შამპანური. ეს კი ცხადია უარყოფით გავლენას ახდენდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე.

ყოველივე ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ მაღალხარისხოვანი ღვინოებისა და შამპანურის გამოშვების საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს ნაკლოვანებები, რომლის დროული გამოსწორება „სამტრესტის“ გადაუდებელი ამოცანაა.

არანაკლები ბრძოლის წარმოებაა საჭირო იმ კოლმეურნეებისა და კერძო პირების წინააღმდეგ, რომლებიც სხვადასხვანაირი გზით მიმართავენ თავიანთი დამხმარე მეურნეობიდან მიღებულ ყურძნის გადამუშავებას და ყალბი ღვინოების დამზადებას. სამართლიანად შენიშნავს პროფ. გ. ბერიძე, რომ „ამ ბოლო დროს შემჩნეულია ღვინის ფალსიფიკაციის შემთხვევები. უღირსმა ადამიანებმა ხელი მოჰკიდეს ხელოვნური ღვინის დამზადების საქმეს და ჩირქს სცებენ ქართული ღვინოების ღირსებას“<sup>16</sup>.

ჩვენი ვალია სისტემატურად ვადვენოთ თვალ-ყური ამ მახინჯ მოვლენას და ავლაგმოთ იგი პრაქტიკიდან.

<sup>16</sup> გ. ბერიძე, განთქმული ქართული ღვინის ღირსებისათვის, თბ., 1959, 23-3.

## თავი მეოთხე

### ღვინის ახალი ქარხნები, ტექნიკური სიახლენი და მეცნიერების მიღწევები მეღვინეობაში

#### 1. ღვინის ახალი ქარხნების მშენებლობა

ღვინის მსხვილი ქარხნების მშენებლობა საქართველოში იწყება გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. მათ აგებდნენ როგორც კერძო კაპიტალისტები, ისე მეფის საუფლისწულო უწყებანი.

თბილისში, 1880 წელს აშენდა პირველი მსხვილი ღვინის ქარხანა (ღვინის ქარხანა № 2). მომდევნო 1881 წ. საფუძველი ჩაეყარა წინანდლის ღვინის ქარხნის მშენებლობას<sup>1</sup>. 1886 წ. აშენდა მუკუზნის, ხოლო 85 წ.—ნაფარეულის ღვინის ქარხანა. თბილისის № 1 ღვინის ქარხანა აშენდა 1896—1897 წწ.<sup>2</sup> დ. ჯ. სარაჯიშვილმა 1885 წ. თბილისში მოაწყო არცის სახდელი ქარხანა—1887 წ.—ლიქიორის და 1888 წ.—კონიაკის ქარხანა, კაპიტალისტმა მ. ონანოვმა 1906 წ. ააშენა ს. აფხანურში (მაიაკოვსკის რ-ნი) კონიაკის სპირტის სახდელი ქარხანა. მანვე ააშენა კონიაკის ქარხანა ვარციხეში 1908 წ. ხოლო ზესტაფონში დაიწყო მისი ფილიალის მშენებლობა 1909 წ. და დაამთავრა იგი 1915 წ.; 1918 წ. შენდება ღვინის ქარხანა მანავში (საგარეჯოს რ-ნი), 1919 წ. კი—უულარში (მარნეულის რ-ნი).

ყველა ეს ქარხნები 1929 წ. მთლიანად გადავიდა „სამტრესტის“ გამგებლობაში<sup>3</sup>.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ

<sup>1</sup> მართალია, მას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XIX საუკ. 20-იან წლებში პოეტმა და სახელმწიფო მოღვაწემ ალ. ჭავჭავაძემ, მაგრამ იგი მაშინ არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო კაპიტალისტური ტიპის საწარმო.

<sup>2</sup> ე. წ. „უღელის“ ღვინის ქარხანა, რომელიც საუფლისწულო უწყებამ ააშენა.

<sup>3</sup> ეკონომიკისა და საშროტლის ინსტიტუტის სამსახურებრივი ფონდი № 110 ფურც. 22.

წელს აშენდა კარდანახის (გურჯაანის რ-ნი) ღვინის ქარხანა, 1922 წ. /  
—გიაურ-არხში (მარნეულის რ-ნი), 1930 წ.—ყვარელში, 1931 წ. /  
ხირსაში (სიღნაღის რ-ნი). ამავე წელს საფუძველი ჩაეყარა მუნიციპალიტეტის  
ანის № 1 ღვინის ქარხნის მშენებლობას, რომელიც გრძელდებო-  
და მთელი 20 წ. განმავლობაში და საბოლოოდ ექსპლოატაციაში  
შევიდა (დამთავრებული სახით) 1951 წ.; 1930 წ. იწყება ანაგის (სი-  
ღნაღის რ-ნი) ღვინის მარნის მშენებლობა, რომლის აგება 1945 წ.  
დამთავრდა 1930 წ. აშენდა ვანის ღვინის ქარხნის მთავარი კორ-  
პუსი, ხოლო საბოლოოდ მისი მშენებლობა 1952 წ. დამთავრდა.  
სვირის (ხესტაფონის რ-ნი) ღვინის მარნის მშენებლობა დაიწყო  
1936 წ. მაიაკოვსკის ღვინის ქარხნის მშენებლობა დაიწყო ჯერ კი-  
დეც 1925 წ. და გრძელდებოდა 1935 წლამდე, მაგრამ მისი საბო-  
ლოო ტექნიკური რეკონსტრუქცია 1945 წ. დასრულდა. ბახვის  
(მახარაძის რ-ნი) ღვინის ქარხანა 1934 წამოწყებული იყო. 1938 წ.  
—ტიბაანში (სიღნაღის რ-ნი) და 1941 წ.—ვაჭირში (სიღნაღის რ-ნი)  
აშენდა ღვინის ახალი ქარხნები. 1936—1940 წწ. მიმდინარეობდა  
თბილისის (აგჭალა) შამპანური ქარხნის მშენებლობა და მისი სა-  
ბოლოო დამთავრება. ყოფ. ონანოვის ქარხანა, რომლის წარმოება  
შეწყდა 1916 წ. განახლდა 1951 წ.

ასეთი იყო მოკლედ ღვინის ქარხნების მშენებლობის ხასიათი  
ჩვენს რესპუბლიკაში ომამდე. ფართო მასშტაბით ღვინის მარან-  
ქარხნების მშენებლობა საქართველოში იწყება დიდი სამამულო  
ომის დამთავრების შემდეგ. ასე მაგ., მეოთხე ხუთწლეულში დამთავრ-  
და გურჯაანის ღვინის ქარხანა № 1 და წინანდლის ღვინის ქარხნის  
მეორე რიგის მშენებლობა. აშენდა ღვინის ახალი ქარხნები: სიღ-  
ნაღში, ტიბაანში, ვაჭირში, ანაგაში, იყალთოში, შრომაში, ველის-  
ციხეში, ბახეში, ვანი-ზეინდარში და დაიწყო მათი თანდათანობით  
ექსპლოატაციაში შესვლა.

მაგრამ ამ მხრივ უფრო დიდი მუშაობა იქნა გაჩაღებული მეხუ-  
თე (1950-1955) ხუთწლეულში. საერთოდ, ეს ხუთწლეული საბჭოთა  
კავშირის მასშტაბით იყო მეღვინეობის მძლავრი განვითარების პე-  
რიოდი არა მარტო გამოშვებული ღვინოების რაოდენობის მიხედ-  
ვით, არამედ მისი ხარაისობრივი გაუმჯობესების თვალსაზრისითაც<sup>4</sup>.

მეხუთე ხუთწლეულში საქართველოში აშენდა შემდეგი სიმძლავ-  
რეების ღვინის ახალი ქარხნები.

<sup>4</sup> М. А. Герасимов. Вина, М., 1964 стр. 18.



1. გურჯაანის პირველადი მეღვინეობის № 2 ქარხანა—600 ათასი  
სი დკლ წარმოებრივი სიმძლავრით.

2. თელიანის (წინანდალი) ღვინის სარდაფი (1952—1954 წწ.) 300 ათასი დკლ-ის ტევადობით.

3. მოხდა თბილისის ღვინის № ქარხნის მთლიანი რეკონსტრუქცია 1 მლნ დკლ-ის სიმძლავრით. აქვე აშენდა ღვინის სარდაფი—900 ათასი დკლ-ის ტევადობისა (მ. შ. 500 ათასი დკლ ძველი ღვინოების დასაყენებლად).

4. სოხუმის ღვინის ქარხანა (1953—1954 წწ.) 300 ათასი დკლ-ის სიმძლავრით.

5. ქუთაისის ღვინის ქარხანა—200 ათასი დკლ სიმძლავრით, თავისი სარდაფითურთ—200 ათასი დკლ-ის ტევადობით (მ. შ. 100 ათასი დკლ ძველი ღვინოების დასაყენებლად).

6. ხირსის ღვინის სარდაფი (1952—1954 წწ.) 50 ათასი დკლ-ის ტევადობით და ა. შ.<sup>5</sup>

მეხუთე ხუთწლეულში მოხდა აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი ღვინის ქარხნების ძირეული რეკონსტრუქცია (ათასი დკლ-ის ტევადობის აღნიშვნით).

წინანდლის ღვინის სარდაფი (გაიზარდა ტევადობა 120-მდე). ბათუმის — 30,3, მოსკოვის — 200, კუბიშევის — 50, როსტოვის—75,6, ლენინგრადის—120,7, კისლოვოდსკის—25,8, ძაუჯიკაუს (ორჯონიკიძის) — 20 9, მარნეულის ყურძნის წვეწის ქარხანა (1952 წ.)—100 და ა. შ.

1954 წ. უკვე ექსპლოატაციაში იყო შესული ღვინის 4 მარანი, რომელთა წარმოებრივი სიმძლავრე სეზონში 5 250 ტ აღწევდა (მ. შ. ქისტაურის ღვინის პირველად ქარხანაში—1 500 ტ, ყვარელში—350 ტ.)

საბჭოთა საქართველოში აშენდა აგრეთვე ისეთი მძლავრი ღვინის ქარხნები, როგორიცაა არგვეთის (ხესტაფონის რ-ნი), მცხეთის, ბაღდაურის (საგარეჯოს რ-ნი), საგარეჯოს, გუდაუთის, საჩხერის, ხიდისთავის, ატენის, გეგეჭკორის, ცხაკაიას და სხვ. 1962 წ. დაიწყო მძლავრი ღვინის ქარხნის მშენებლობა ოკაში (ყაპის რ-ნი), რომლის დამთავრება გათვალისწინებულია უახლოეს ხანში. ეს იქნება ერთ-ერთი დიდი და თანადროული ტექნიკის ახალი სიტყვის საფუძველზე აშენებული ღვინის ქარხანა ჩვენს რესპუბლიკაში, რომელიც წელიწადში გადაამუშავებს 15 ათას ტონა ყურძენს. ამჟამად აქ წარ-

<sup>5</sup> აღნიშნული ღვინის ქარხნები ექვემდებარებიან „სამტრესტს“.



მოებს ჯერ პროდუქციის პირველადი გადამუშავება, ხოლო მომავალში მასთან ერთად მოხდება მეორადი გადამუშავებაც. უველა ეს ღვინის ჭარხნები და მარნები წარმოადგენს თვალსაჩინო წამოწყებებს მეღვინეობის წარმოების დარგში.

მარკიანი ღვინის დაძველების საქმეში დიდმნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე ამიერკავკასიისა და მთლიანად სსრკ მასშტაბითაც, კუარლის მიწისქვეშა ღვინის სარდაფის აგება, სადაც ერთდროულად იწარმოებს 2 მლნ დკლ ღვინის დავარგება.

ეს ღვინის მარანი, რომელიც გამოკვეთილია კავკასიონის მთის კალთებში, მეღვინეობის ერთ-ერთი საუკეთესო საწარმო იქნება მთელ მსოფლიოში.

2. ტექნიკური სიახლეები და მეთოდური დანიშნავი მეღვინეობაში

საბჭოთა ხელისუფლებამდე საქართველოს გლეხური მეურნეობა მოკლებული იყო ღვინის წარმოების საქმეში რაიმე გაუმჯობესებული საშუალებების გამოყენებას.

ქართველი გლეხი თითქმის იმავე ძველი, არქაული წესით აყენებდა ღვინოს<sup>6</sup>, როგორც ათასი წლის წინათ. აქ, რასაკვირველია, მხედველობის გარეშე ვტოვებთ იმ საკითხს, თუ ამგვარი წესით მიღებული ღვინო რამდენად მაღალი ან დაბალი ხარისხისა იყო, რადგან ეს საკითხის მეორე მხარეა.

მართალია, ჩვენს ქვეყანაში რჩება საუკუნეობით გამომუშავებული ღვინის დაყენების ადგილობრივი წესი, მაგრამ ამით არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ქართულ მეღვინეობის ტექნიკას და ტექნოლოგიას არაერთგვაროვანი ღირებულება არ ჰქონდა. „პირიქით, ხანგრძლივი ისტორიული პრაქტიკის შედეგად ქართველმა ხალხმა შეიმუშავა ოჯახური წარმოების პირობებისათვის საესეებით შესაფერი და წვრილმწარმოებლისათვის ხელმისაწვდომი სამეღვინეო ინვენტარი და ღვინის დაყენების წესები“<sup>7</sup>.

<sup>6</sup> ურბენს წერავდა ფეხით, ხის ან ქვიტკირით ნაგებ სწნახელში, მიღებულ ტკბილს ასხამდა ქვევრში ან ჭურში, ხოლო ღვინოს აყენებდა ჭაჭაზე ან უჭაჭოდ. შესაფერი წნეხების საშუალებით არაყს ხდიდა.

<sup>7</sup> კ. ჩარკვიანი, მეღვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში, გვ. 75.



გასაგებია, რომ ასეთი ვითარებისას არც მოთხოვნილებას ჰქონდა ადგილი ღვინის ახალ გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებს და არც მისი დამზადება ხდებოდა ჩვენს რესპუბლიკაში. რაც შეეხება მეღვინეობაში დაწინაურებულ ცალკეულ მსხვილ კაპიტალისტური ტიპის წამოწყებებს, აქ, რასაკვირველია, მდგომარეობა სულ სხვა იყო.

ისეთი მსხვილი მეღვინეობის წამოწყებები, როგორც იყო წინანდალის, მუკუზანის, ნაფარელის, ვარციხისა და ზესტაფონის-ღვინის მარან-ქარხნების მეპატრონეები (ჯერ კერძო მეპატრონეები, შემდეგ საუფლისწულო უწყება) ქარხნებს აგებდნენ იმ ღრობიანების ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებს ფართოდ იყენებდნენ.

მაგრამ საბჭოთამდელ საქართველოს მეღვინეობა ძირითადად ოჯახური წარმოების ფორმას ატარებდა. როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. პ. გუგუშვილი, იგი შინამრეწველობის დონემდეც ძლიერ აქნა ამაღლებული და ისიც მხოლოდ სავაჭრო მეღვინეობის რაიონებში. მეღვინეობის ტექნიკა ორივე შემთხვევაში მაინც ტრადიციული რჩებოდა. ასევე არ იცვლებოდა ღვინის დაყვების საუკუნეობრივ გამომუშავებული ტექნოლოგიაც. ყველა ამის მიზეზი იყო რევოლუციამდელი საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობა და წვრილი წარმოების შეზღუდული საშეურნეო შესაძლებლობანი. მისი უუნარობა ღრმა ტექნიკური გარდაქმნებისადმი\*.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამამულო მეღვინეობის საქმეში ახალი ტექნიკის გამოყენებას და საერთოდ, მექანიზაციის თანდათანობით გატარებას.

საბჭოთა კავშირში, უკვე, 1922 წლიდან იწყება საზღვარგარეთიდან ღვინის გაუმჯობესებულ მოწყობილობათა თანდათანობითი შემოტანა.

1925-26 წწ. თბილისის ღვინის № 1 და № 2 ქარხანაში იდგმება დგუშოანი ტუმბოები, ფილტრები, ორთქლის ქვაბები, სარეცხი მანქანები, ბოთლების საცობი მანქანები. 1922 წლიდან 1932 წლამდე საფრანგეთიდან შემოიტანეს უწყვეტი მოქმედების პრესები, ფულოპომპები, ეგრეპუარები; გერმანიიდან—ზეიტცელის ქარხანაში დამზადებული ფილტრები, სარეცხი, საცობი და სხვა მოწყობილობანი.





საბჭოთა პერიოდში, 1930 წლამდე, მეღვინეობის მანქანა-იარაღების მცირე რაოდენობას ამზადებდნენ რუსეთის შემდეგ წარმოების უმეტესად საბჭოთაში: ოდესაში მასობრივი ტრესტის „ოდტრემასის“ № 2 ქარხანაში, სიმფეროპოლში № 2 ქარხანა. მეღვინეობისათვის საჭირო მოწყობილობათა გამოშვებას 1931 წლამდე განაგრძობდა ყირიმის მანქანათმშენებლობის № 4 ქარხანა.

როგორც ცნობილია, რუსეთში პირველი მანქანა, რომელმაც გზა გაუხსნა ღვინის ჩამოსხმის საქმეში მექანიზაციის დანერგვას იყო ინჟ. კონსტრუქტორი ეუკოვი, რომლის გაკეთებულ აგრეგატზე იდგა: ბოთლების სარეცხი მანქანა, ნახევრად ავტომატური თავსაცობი მანქანა, წუნმდებელი ავტომატი და სხვა, მაგრამ შენიშნავს პროფ. მ. ა. გერასიმოვი ეს აგრეგატი გამოიყენებოდა ცალკეული ოპერაციების შესასრულებლად, ხოლო მთლიანი ავტომატიზაცია განვითარებული არ ყოფილა.

ღვინის ავტომატურად ჩამოსხმელი მანქანების კონსტრუქცია და მისი დამზადება საბჭოთა კავშირში პირველად დაიწყო თბილისის ს. ორჯონიკიძის სახ. მანქანათმშენებელ ქარხანაში 1932 წლიდან და მია მიერ გამოშვებული მანქანები დიდი წარმატებით მუშაობდნენ ჩვენი ქვეყნის ღვინის მთელ რიგ ქარხნებში.

შემდგომ წლებში ეს ქარხანა თანდათან ადიდებს ღვინის მანქანა-იარაღების გამოშვებას და სულ უფრო და უფრო ამცირებს სხვა სახის მოწყობილობათა წარმოებას. 1937 წლიდან კი აღნიშნული ქარხანა მთლიანად გადავიდა მეღვინეობის საჭიროებისათვის მანქანებისა და მოწყობილობის წარმოებაზე.

ოფიციალური მონაცემებით 1932—1937 წწ. ამ ქარხანაში გამოშვებული იყო მეღვინეობის შემდგომი ტიპის მანქანები: (ცალობით) ყურძნის საჭყლეტი („მარმონიე“ — საფრანგეთი) — 295, უწყვეტი ქმედები („მობილი“ — გერმანია) — 73, ხრახნსაწნეხები („მობილი“ საფრანგეთი) — 915, ყურძნის საჭყლეტი მანქანები („დურხი“ — გერმანია) — 278, ტრეიერი ყურძნის წიბწისათვის („ბერბიერი“ იტალია) — 55, ეგროპომპა („მობილი — გერმანია) — 60, პიდრაგლიკური წნეხი („მოიფერტი“ — გერმანია) — 37, ღვინის საქაჩი დგუშისანი ტუმბო („ფაფერ“ — გერმანია) — 400, ღვინის გადამსხმელი მანქანა („კიშ“ — გერმანია) — 12 და სხვ.

მესამე ხუთწლედში ქარხანამ აითვისა ეუკოვის სისტემის ღვინის გადამსხმელი და ჩამოსხმელი ავტომატი, სამკალათიანი პიდრაგლიკური წნეხი „ტრიპლექსი“, ყურძნის წველის მწრეტელი მან-



ქანა, ბოთლების საცობი მანქანა და სხვ. 1939 წლამდე ათვისებული 19-მდე სახის მანქანა. ათვისებულ მანქანების რიცხვს ეკუთვნის ორიგინალური კონსტრუქციის მანქანები, როგორცაა ელექტროტემის ჩამომსხმელი ავტომატი, სენიაშვილის სისტემის აპარატი და სხვ.<sup>9</sup>

1940 წ. წინანდლის და მუკუზანის ღვინის ქარხნებში მოეწყო ხრახნილიანი წნეხების მთლიანი მექანიზაციის გატარების ცდები. ხირსის საბჭოთა მეურნეობაში დაიდგა მაცივრები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა (1938—1942 წწ.) ითვალისწინებდა მეღვინეობაში მექანიზაციის დანერგვას ფართო მასშტაბით. კერძოდ, ხუთწლედში ქარხანას უნდა აეთვისებია 20-ზე მეტი ახალი მოწყობილობა და გამოეშვა 35-მდე ახალი ტიპის მანქანა-იარაღები, რომლებიც დააჩქარებდნენ მეღვინეობაში ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციას.

მაგრამ გერმანიის ვერაგულად თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე შეაფერხა აღნიშნულ ღონისძიებათა დროულად გატარება და მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ ვახდა შესაძლებელი გაშლილიყო მუშაობა ამ მიმართულებით.

უკვე 1946 წ. საქართველოს სსრ სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ მოსკოვში სახელმწიფო საგამოცდო კომისიას წარუდგინა რთული დანადგარის კონსტრუქცია „უწყვეტი ნაკადის ჩამომსხმელი ხაზი მეორადმეღვინეობაში“, რომლის ავტორი იყო ინჟ. კონსტრუქტორი ი. ჭადეიშვილი. ეს დანადგარი თავის მხრივ 6 ავტომატურ მანქანისაგან შედგებოდა (ბოთლების სამრეცხაო, ვაკუუმის ჩამომსხმელი, ღვინის გამსინჯველი, საცობის დამცობი, ეტიკეტების გამფორმებელი, ხუფების და ლუქების მანქანები).

სახელმწიფო კომისიის მიღების შემდეგ, აღნიშნული კონსტრუქციის გაკეთება დაევა ბათუმის მანქანათმშენებლობის ქარხანას, მაგრამ იმის გამო, რომ მეტად მაღალი კლასის დანადგარი იყო, აღნიშნულმა ქარხანამ ვერ აითვისა იგი. მისი ხაზის ორი ნაწილი (ბოთლების ავტომატური სამრეცხაო და ჩამომსხმელი ვაკუუმ-აპარატი) დამზადებულ იქნა სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს სახელოსნოში, რომელიც თანდათან შედიოდა ექსპლოატაციაში თბილისის ღვინის (№ 1—№ 3) ქარხნებში.

<sup>9</sup> გ. ბაქრაძე, მეღვინეობის მანქანათმშენებლობა საქართველოში, ფერა. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, 1940, № 9—10, გვ. 49, 51, 56.



დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მეღვინეობის აღდგენის კასრების დამზადების საქმეში მექანიზატორულ მანქანების გატარებას. ამ საქმის თაოსანი იყო ი. ჭადეიშვილი. მან შეიმუშავა დაზგების ახალი კონსტრუქცია, რაც საგრძნობლად აუმჯობესებდა ღვინის კასრების დამზადების დღემდე არსებულ ტექნიკურ პროცესებს.

ამ ახალი კონსტრუქციის პრაქტიკული განხორციელებისათვის ვკითხულობთ გურჯაანის რაიონულ გაზეთ „მევენახეში“ (1948 წ. 6 ივნისი) ინჟ. ჭადეიშვილმა „აირჩია გურჯაანის ღვინის ქარხანა, სადაც 1947 წ. ნოემბერში თავისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყო საბონდერო საამქროს შენობის მშენებლობა და ახალი ტიპის დაზგების დადგმა. მშენებლობა წარმატებით დამთავრებულია და ქარხნის ფართო ეზოში საბონდერო საამქროსათვის ამენებულ შენობაში მზადდება ღვინის კასრები ახალი მექანიზაციის წესით. თუ გურჯაანის ღვინის ქარხნის ძველი საბონდერო სახელოსნოს შეეძლო 30 მუშახელით საშუალოდ დღეში დაემზადებინა 250 დეკალიტრის ტევადობის კასრი, ახლა მექანიზირებულ საამქროს შეუძლია იმავე რაოდენობის მუშახელით დღეში დაამზადოს 1 500 დეკალიტრის ტევადობის საუკეთესო ხარისხის კასრი“. აღნიშნული დაზგის უპირატესობა კიდევ იმაში მდგომარეობს,— განაგრძობდა გაზეთი, რომ „მას შეუძლია დაამზადოს ყველა სახისა და სიდიდის კასრი, მის მუშაობის პროცესში თვით ტექნოლოგიური ნაკადი დაზგიდან დაზგაზე შეუწყვეტლივ მიმდინარეობს, რაც უაღრესად ზრდის შრომის მწარმოებლურობას. ამ ქარხნის საბონდერო საამქროს შეუძლია უზრუნველყოს მთელი კახეთი ღვინის კასრებით“<sup>10</sup>.

ინჟ. კონსტრუქტორთა ბრიგადამ (ი. ჭადეიშვილი, პ. სანაძე, ლ. პეგოვი) 1952 წ. შექმნა ბოთლების სამრეცხაო ავტომატური მანქანა, რომელიც დაიდგა თბილისის რამდენიმე ღვინისა და ლიქიორის ქარხანაში. ამის შესახებ თბილისის გაზეთი „გამარჯვება“ 1953 წ. 6 მაისს წერდა, რომ უკვე შექმნილია როტაციულ-უწყვეტი მოქმედების ბოთლების სარეცხი ავტომატური მანქანა, რომელიც განხორციელებულია ღვინის № 1 ქარხანაში. „ამ ორიოდ თვის წინათ ბოთლების სარეცხ საამქროში რამდენიმე ათეული მუშა პრიმიტიული წესით (ხელით) რეცხავდა ბოთლებს, რაც მეღვინეობაში ყველაზე შრომატევად სამუშაოდ ითვლება. დაბალი იყო შრომისნაყოფიერება, დიდი იყო ბოთლების მტკრევით გამოწვეული ზარალი,

<sup>10</sup> ვ.ზ. „მევენახე“, 1948, 16 ივნისი.



ძნელი იყო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა. ახლა სამსახურში რომი არაჩვეულებრივი სისუფთავეა. ადამიანები სადღაც ყველაფერს ღონა. მანქანა ყოველდღიურად მძიმე მამუშაოებისაგან განთავსებული ფლებს 50 კვალიფიციურ მუშას და 8 საათის განმავლობაში რეცხავს 20 ათას ცალ ლიტრ ბოთლს. საჭირო შემთხვევაში შეიძლება მანქანის დაყენება იმგვარად, რომ გარეცხოს 0,8 და 0,5 ლიტრიანი ბოთლებიც. მაშინ მანქანის წარმადობა შესაბამისად გაიზრდება 25—30 ათას ბოთლამდე<sup>11</sup>.

საქართველოს კომპარტიის ც. კ.-მა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1953 წ. 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაავალა საქართველოს სსრ კვების მრეწველობას და „სამტრესტს“, ფართოდ დაენერგათ ღვინის მრეწველობაში მექანიზაცია და ავტომატიზაცია. კერძოდ, პირველად მეღვინეობაში დროულად უნდა გადაწყვეტილიყო ძირითადი პროცესების მექანიზაცია, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ყურძნის და მისი ნარჩენების (ჭაჭა) ტრანსპორტირებისათვის, უზრუნველყოთ პირველადი მეღვინეობა მაცივრებითა და თბოგამტარებით. პროდუქციის დანაკარგების თავიდან აცილებისა და სანიტარული პირობების გაუმჯობესების მიზნით ღვინის ქარხნებში შემოღებულიყო სტაციონარული (მუშის ან უყანგო საშუალებათა გაყვანილობა), მილსადენები და ა. შ.<sup>12</sup>

ამ დადგენილებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულ მეღვინეობაში მექანიზაციის შემდგომი დანერგვისა და განვითარების საქმეში.

მთავარი პრობლემა, რომელიც მთელი ათეული წლების განმავლობაში გადაუწყვეტლად რჩებოდა, იყო პირველად მეღვინეობაში ყურძნის გადამუშავება უწყვეტი ხაზით.

ამ მიმართულებით დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული რესპუბლიკის კონსტრუქტორ-გამომგონებლების: ქალეიშვილი, ქურდაძე, ზერევიძე, ვარსიმაშვილი, ლუისის და სხვ. მიერ, რომლებმაც შექმნეს როტორულ-კარუსელური ხაზის რამდენიმე ვარიანტი ყურძნის გადამამუშავებლად. მაგრამ აქედან რამდენიმე ვარიანტი უარყოფილ იქნა „სამტრესტის“ ტექნიკური საბჭოს მიერ.<sup>13</sup> როგორც პრაქტიკულად გამოუსადეგარი, არარაციონალური დამონ-

<sup>11</sup> გაზ. „გამარჯება“, თბ. 1953, 6 მაისი.

<sup>12</sup> საქ. სსრ სახ. მეურნეობის საბჭოს აქტივი, ფ. 4, ანაწ. 1, საქ. 1647, ფურც. 45.

<sup>13</sup> საქ. სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს აქტივი, ფ. 6, ანაწ. 1, საქ. 36, ფურც. 52-35.

ტაყებულ იქნა მხოლოდ ინჟ. კონტრ. ი. ქაღვიშვილის რთულ დანადგარი (კარუსელური ხაზი), რომელიც თავის მექანიზმით დასხვა მანქანისაგან შედგება (მიმღები ბუნკერი, საწინააღმდეგარე პილრაველური წნეხი, კალათის გამცლელი ავტომატი, ელევატორი) ეს დანადგარი მთლიანად ავტომატურია და დამზადებულ იქნა თბ. ორჯონიძის სახ. მექანიკურ ქარხანაში.

ასეთი კარუსელური ხაზი ჯერჯერობით დადგმულია და მნიშვნელოვანი წარმატებებითაც გამოიყენება წინანდლის ღვინის მარანში, რომლის მწარმოებლურობა (ყურძნის გადამუშავება ერთ საათში) 30 ტ უდრის. მუკუზნის ღვინის ქარხანაში—20 ტ მწარმოებლურობა და ზესტაფონის ღვინის ქარხანაში 15 ტ მწარმოებლურობა.

ი. ქაღვიშვილის კარუსელურმა ხაზმა, რომელიც საათში 30 ტ ყურძენს ამუშავებს, მარტო 1964 წ. „სამტრესტს“ 22 168 მან. ეკონომია მისცა. თუ წინათ ეს ხაზი საწარმოში საჭიროებდა 300 მ<sup>3</sup> ფართობს, იგი ამჟამად საჭიროებს მხოლოდ 120 მ<sup>3</sup>. მოსამსახურე პერსონალი კი 22-დან 4-მდე შემცირდა.

ასე რომ აღნიშნული ხაზი დიდად ზრდის შრომისწარმოებლურობას, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და ამალღებს წარმოების რენტაბელობას.

დიდი წარმატება მოიპოვა აგრეთვე გურჯაანის ღვინის ქარხანაში მექანიკოს შოთა ლუის მიერ შექმნილმა დამონტაჟებულმა ექვსკალათიანმა კარუსელურმა წნეხმა.

ეს დანადგარი უკვე 1960 წლიდანაა განხორციელებული აღნიშნულ ქარხანაში და იგი წინა სამკალათიან („ტრიბლექსი“) წნეხთან შედარებით დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა. მისი უპირატესობა პირველყოვლისა იმაშია, რომ რიგი პროცესები აქ ხდება ცენტრალიზებული მართვით და დიდად ამცირებს დანაკარგებს, პროდუქციის თვითღირებულებას, იწვევს მუშახელის განთავისუფლებას და შრომის მწარმოებლურობის ამალღებას. მარტო 1961 -- 1962 წლებში შ. ლუის მიერ დამონტაჟებულმა მანქანამ ქარხანას მისცა 236 ათას მანეთზე მეტი ეკონომია.

როგორც გურჯაანის ე. პ. რაიკომის მდივანი ამხ. გ. აზურაშვილი აღნიშნავს „გურჯაანის ღვინის ქარხნის ზეინკალმა შოთა ლუიმ რამდენიმე წლის წინათ შეიმუშავა განუწყვეტელი მოქმედების კარუსელური წნეხის პროექტი, რომელიც ადგილზე, თავისი ხელით განახორციელა. ქარხანაში დგას სამი ასეთი წნეხი, რომლებიც ყოველდღიურად 400-500 ტონა ყურძენს ამუშავებს. ლუის



მანქანები უნაკლოდ მუშაობენ, ყველას მოსწონს. მაგრამ რატომ-  
 ლაც დღემდე არავინ იზრუნა მათი ქარინული წესით დამუშავებაში  
 და ღვინის სხვა ქარხნებში დამონტაჟებისათვის<sup>14</sup>.

ამჟამად, „სამტრესტი“, საქართველოს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მეღვინეობის განყოფილებასთან ერთად აწარმოებს მუშაობას ღვინისძიებების გამოსამუშავებლად განუწყვეტელი მოქმედების წნეხის (პორიზონტალურ კალათიან ტიპის წნეხის) შესაქმნელად, რომლის მწარმოებლურობა საათში იქნება 10 ტონა. ერთი ასეთი წნეხის ნიმუში უკვე დამზადდა ბათუმის მანქანათმშენებლობის ქარხანაში და განზრახულია გამოიყადოს კაჭრეთის ღვინის ქარხანაში. ხოლო შემდეგ მასიურად გავრცელდეს რესპუბლიკის პირველადი მეღვინეობის ქარხნებში.

მარტო უკანასკნელ 1961—1964 წწ. „სამტრესტის“ ხაზით ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში გატარებული იყო 22 დასახელების გეგმური ღონისძიება. აქედან 8 მექანიზაციისა, 5 ავტომატიზაციისა და 9 ტექნოლოგიურ გადამუშავების დარგში. სულ რესპუბლიკის 47 საწარმოში 102 ღონისძიება დაინერგა.

შრომის მექანიზაციის დონე მეღვინეობის ძირითად საწარმოებში მიღწეულია: ყურძნის გადამუშავებაში 80%, ჭაჭის გადამუშავებაში 15%-მდე, ღვინის, შამპანურის, კონიაკისა და ლიქიორ-რაცხის ჩამოსხმაში—85%, ღვინომასალის გადამუშავებაში—45%, პროდუქციის ტრანსპორტირებაში—35%.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ მოწინავე ღვინის პირველად და განსაკუთრებით მეორად ქარხნებს, მთლიანად რესპუბლიკის მეღვინეობის მექანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი და ამ მხრივ დიდ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. კერძოდ, პირველადი მეღვინეობის ქარხნების საერთო ტექნიკური დონე ჯერ კიდევ დაბალია (განსაკუთრებით ყურძნის ტრანსპორტირებაში, მის გადამუშავებაში, ტუბილის მიღებაში, ღვინომასალების დასპირტებაში, ჭაჭის გადამუშავებაში და სხვ).

მაგრამ ამ მხრივ დიდი მუშაობა სრულდება როგორც „სამტრესტის“, ისე საქართველოს სსრ სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროებში.

1963—1964 წწ. უკვე დაიწყო რესპუბლიკის ღვინის რამდენი-

<sup>14</sup> გ. აზაურაშვილი, ვურჯაანლთა სიტყვა და საქმე, ვაზ. „კომუნისტი“, 1965, 19 ოქტომბერი, № 247.

მე ქარხანაში ყურძნის ტრანსპორტირება ტირის გარეშე, ბოლომდე  
თის სსრ, ყირიმიასა და კრასნოდონის მხარის გამოცდილებების მიხედვით.  
მაგ., ზესტაფონის ღვინის ქარხნამმართველოს სტრუქტურის შექმნის  
ქანიკურ ქარხანაში უკვე აითვისეს ავტოძარები სატელეფრო და  
ნადგარებით. მისი შინაარსი მოკლედ შემდეგში მდგომარეობს: სა-  
ტვირთო მანქანას უკანა ნაწილთან ემაგრება სპეციალური ავტოძა-  
რები, რომელიც ავტომატურად ტვირთავს და ცლის (ტირის გარე-  
შე) 2—3 ტონა ყურძენს.

1964 წ. ბოლოსათვის ასეთი ავტოძარები, რომელზედაც და-  
მაგრებულია ტელეფრები, რესპუბლიკაში დამზადებული იყო 80-  
მდე და იგი ექსპლოატაციაშია შესული წინანდალის, ველისციხის,  
ნაფარეულის, ყვარლის, გურჯაანის, აკურის და ზესტაფონის ღვი-  
ნის პირველად ქარხნებში.

ეს ავტოძარები გვაძლევენ საშუალოდ ეკონომიას (ტონა ყურძ-  
ნის ტრანსპორტირების საქმეში) 1,5 მანეთს რაც მნიშვნელოვნად  
ზოგავს მუშახელს.

თუ წინათ ღვინის ჩამომსხმელ საამქროებში გამოიყენებოდა  
ნაკლებმწარმოებლური ხელის მანქანები, ბოთლების რეცხვა ხდე-  
ბოდა ძირითადად ხელით. ასევე საცობების დაცობა, ეტიკეტების გა-  
ფორმება და სხვა სრულდებოდა ხელშრომით, უკანასკნელ წლებში  
ამ მიმართულებით დიდი გარდატეხა მოხდა და თითქმის ყველა პრო-  
ცესები მანქანების საშუალებით სრულდებოდა.

ღვინის ჩამომსხმელი ავტომატური მანქანა ჯერ კიდევ 1954 წ.  
დამონტაჟდა თბილისის ღვინის № 1 ქარხანაში, რომლის კონსტრუ-  
ქცია ეკუთვნოდა ი. ჭადეიშვილს. ამ მანქანის შესახებ გაზ. „ზა-  
რია ვოსტოკაში“ 1955 წ. მ. გოცირიძე წერდა: „ღვინის ქარხანა  
№ 1-ში არსებობს მრავალი ტექნიკური სიახლე. ესაა პირველყოფ-  
ლისა „ჩამომსხმელი ვაკუუმ-აპარატი, რომლის კონსტრუქცია ეკუთ-  
ვნის ი. ჭადეიშვილს. მას შეუძლია ჩამოასხას ღვინო სხვადასხვა ზო-  
მის 0,5, 0,75, 0,8 ბოთლებში, ასევე მთლიან ლიტრიან ბოთლებში.  
ასეთი ავტომატი ჩვენს ღვინის მრეწველობაში აქამდე არ ყოფი-  
ლა“<sup>15</sup>.

1965 წლისათვის ტრესტის ხაზით ჩვენი რესპუბლიკის ღვინის  
ქარხნებში არსებობდა სულ 18 ჩამომსხმელი ხაზი და 10 საამქრო.  
ამჟამად ღვინის ჩამომსხმელი ქარხნების საშუალო მწარმოებ-

15. გ. გოცირიძე, ქართული ღვინოები, გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1955, 27  
დეკემბერი.

ლერობა რესპუბლიკაში უდრის 3 ათას ბოთლს ერთ საათში.

ლენინის მრავალ ქარხანაში წარმოებს ბოთლების, ყუფილების, საწყობებში სხვადასხვა ტვირთის ტრანსპორტირების, მექანიზაციისა და ავტომატიზაცია.

ლენინომასალების ტრანსპორტირების 75% რესპუბლიკაში წარმოებს ავტოცისტერნების და რკინიგზის ცისტერნების საშუალებით, ხოლო ლენინომასალის შიგასაქარხნო ტრანსპორტირება მრავალ ლენინის ქარხნებში ხდება შუშის მილგაყვანილობით. ტრესტის ხაზით დღეისათვის ლენინის ქარხნებში შუშის მილგაყვანილობა შეადგენს 95,8 ათას საპაკონო მეტრს.

მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის არც ერთ ლენინის ქარხანაში ჯერ არაა განხორციელებული ლენინის ავტომატური გადატუმბვა ცენტრალიზებულ სადგუმო სადგურებიდან ისე, როგორც ეს განხორციელებულია საზღვარგარეთის მრავალ ლენინის მარნებში და სარდაფებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ქართულ მეღვინეობაში ჯერ კიდევ პატარა ტევადობის კასრები და ბუტებია შემოღებული, რომლის საფუძველზე ლენინის გადასხმა დისტანციური მართვის მეთოდით შეუძლებელი ხდება.

„სამტრესტი“ ლენინის ქარხნებში ფართოდ იყენებს ლენინის სიცივისა და სითბოს ტექნოლოგიურ დამუშავებისათვის მილიან და ფორფიტოვან თბომცველებს. ტრესტის ხაზით ამჟამად დადგმულია 87 ერთეული მაცივრების კომპრესორები, რომლის საერთო მწარმოებლერობა 8 072 ათას კილო კალორია საათს უდრის. აქედან, მარტო 1961—1964 წწ. დაიდგა 32 ერთეული ახალი კომპრესორები 3 407 ათასი კილოკალორია საათის რაოდენობით.

წლების მიხედვით უკანასკნელ 4 წლის განმავლობაში „სამტრესტის“ ხაზით რესპუბლიკის მეღვინეობაში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვა განხორციელებულია შემდეგნაირად (იხ. ცხრ. 46).

ცხრილი 46

მოწინავე ტექნიკის დანერგვა „სამტრესტის“ ლენინის საწარმოებში 1961—1965 წწ.<sup>16</sup>

	1961 წ.	1962 წ.	1963 წ.	1964 წ.	სულ 4 წლის განმ.
სულ	5	10	4	5	24
მ. შ. მექანიზაციის დარგში	2	4	1	2	9
ავტომატიზაციის დარგში	2	1	1	1	5
მოწინავე ტექნიკის დარგში	1	5	2	2	10

<sup>16</sup> მონაცემები აღებული ვაჟკეს „სამტრესტის“ მეღვინეობის ტექნიკური განყოფილებიდან.







საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დიდი მუშაობა ქართული ლეინოების მალაქარისხოვანი ტიპების შესარჩევად და შესაქმნელად.

მართალია, ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე ადგილობრივი ვაზის ჯიშთა ფონდიდან შექმნა ისეთი მალაქარისხოვანი ტიპის ლეინოები როგორცაა: „წინანდალი“, „საფერავი“, „ხვანჭკარა“, „კოლიყაური“, „ოჯალეში“, „ატენური“, „ჩხავერი“ და სხვ. მაგრამ ლეინის ტექნოლოგიურად დამუშავება მეცნიერების საფუძველზე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დაიწყო.

ცნობილია, რომ ლეინის ხარისხი დამოკიდებულია ყურძნის ჯიშზე, ნიადაგზე, კლიმატურ და მეტეოროლოგიურ პირობებზე, ჩატარებულ აგროტექნიკურ ღონისძიებებზე, აგრეთვე ყურძნის დაკრეფის სწორ ორგანიზაციაზე. მის სიმწიფეზე და სხვა, მაგრამ მისი მალაქარისხოვნება უშუალოდ დაკავშირებულია ლეინის წარმოქმნადგომიერებაზე, მის დეარგება-დაქველებაზე, რადგან სწორედ ამ პროცესში უვითარდება ლეინის მისი ყველა თვისებები: სინაზე, ბუკტი, გემოვნება, გამძლეობა და პარმონიული მთლიანობა.

მალაქარისხოვანი ლეინის მისაღებად—წერს პროფ. გ. ბერიძე — ხანგრძლივი დროა საჭირო. ყურძენი უნდა დამწიფდეს ვაზზე, ლეინო — სარდაფში. ლეინის ხარისხის საფუძველი ვენახშია, აგროტექნოლოგიურ ღონისძიებათა შესაბამისად—ყურძნის ჯიშისა და ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებთან ურთიერთკავშირში.

ქართული მალაქარისხოვანი ლეინოების წარმოების აღმავლობა რესპუბლიკაში დაკავშირებული იყო და არის მეცნიერულ-კვლევით მუშაობასთან, რომელსაც ატარებდნენ და ატარებენ ჩვენი ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები მეღვინეობის დარგში. ამჟამად კი ამ მიმართულებით მუშაობის ძირითად კერას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობა-მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი წარმოადგენს.

ისტორიულად ცნობილ ლეინოების აღდგენისა და ახალი ქართული მარკიანი ლეინოების ჩამოყალიბების მეცნიერულ-პრაქტიკული საფუძველები დაკავშირებულია მეცნიერების: პროფ. ვ. პეტრია-

<sup>19</sup> გამოყენებულია ძირითადად პროფ. გ. ბერიძის ნაშრომი, მეცნიერების მიღწევები საქართველოს ლეინის მრეწველობაში, თბ., 1962, კრებული. საქართველოში სოფლის მეურნეობის მეცნიერება 40 წლისათვის, თბ., 1961.

შვილის, ს. ჩოლოყაშვილის, გ. გოგოლ-იანოესკის, კ. მღღებანი, ვ. ღვალაძის, ა. ლაშხის, აკად. ს. ღურმიშვილის, პროფ. კ. ბერიძის, დოც. ნ. გელაშვილის, აგრეთვე სპეციალისტების: ზ. ნიჭიბაძის, ა. ეგოროვის, მ. მასანოს, ვ. ტიებოს, ი. თარხნიშვილის, გ. ვახავე-ხიშვილის, პ. ავერკინის, გ. მგალობლიშვილის, ტ. სააკაშვილის და მრავალ სხვათა სახელებთან.

უკვე 1921 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნე-ბისმეტყველო ფაკულტეტზე ყალიბდება აგრონომიული განყოფილე-ბა. სადაც იკითხება რამდენიმე დისციპლინა მეღვინეობის დარგში.

მაგრამ რესპუბლიკის მეღვინეობაში სერიოზული მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის დაწყება და მისი გაფართოება უშუალოდ და-კავშირებული იყო 1931 წ. ქ. თბილისში საკავშირო მეღვინეობის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის ჩამოყალიბებასთან. მართალია, ეს ინსტიტუტი ერთი წლის შემდეგ გადაიტანეს ქ. თელავში, მაგრამ 1934 წ. იგი გადაკეთდა ამიერკავკასიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტად, ხოლო 1937 წ. საქართველოს მევენახეობა-მეღვინეო-ბის ინსტიტუტად. იმასთან დაკავშირებით, რომ 1941 წ. ჩვენს რეს-პუბლიკაში დაარსდა მეცნიერებათა აკადემია, აღნიშნული ინსტიტუ-ტი გადავიდა უკვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამ-გებლობაში და ამჟამად იგი მებაღეობა-მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის სახით განაგრძობს დიდ თეორიულ-პრაქტიკულ მუშა-ობას მეღვინეობის დარგში.

მეღვინეობის დარგის მეცნიერულ კვლევითი საქმიანობის გან-ვითარებაში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ ქართველ მეცნიერს კ. შოდუბაძეს, რომელმაც ამ დარგში მრავალი მეცნიერუ-ლი შრომა დაგვიტოვა და რომელთაც დღესაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

როგორც პროფ. გ. ბერიძე აღნიშნავს მან პირველმა ადგილობ-რივი წმინდა ჯიშები გამოიყვანა ციციის, კრახუნასა და ოცხანური საფერეს ლექიდან და ფართოდ დანერგა წარმოებაში. შეისწავლა შორაპნის მაზრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ნაწილის ღვი-ნოები, რის საფუძველზედაც დასახა ღონისძიებანი ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ნაშრომი „ადგი-ლობრივი ჯიშის ღვინის გამოყოფა და მათი გამოყენების შესახებ საქართველოში“.

მასვე ეკუთვნის შესანიშნავი ნაშრომი „მეღვინეობის საწყი-სები საქართველოში“, რითაც ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩვენს



ქვეყანაში მეღვინეობის განვითარების საწყისები შორეულ წარსულში. გასნაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის პროფ. კ. მოღებაძეს. მისი ნაშრომები წარმოების განვითარების საქმეში ჩვენს რეალურ ლიკაში. ამ საკითხს მიუძღვნა მან მთელი რიგი მეცნიერული ნაშრომები: „შამპანური წარმოების ახალი ნედლეულის ბაზა საქართველოში“, „პინოს ვაერცელების მიზანშეწონილება იმერეთსა და ქართლის რაიონებში“ და სხვ. პროფ. კ. მოღებაძისა და პროფ. გ. ბერიძის ერთობლივ კალამს ეკუთვნის ნაშრომი „კლერტის გავლენა ღვინის ხარისხზე“, სადაც წარმოებრივი ცდების საფუძველზე დადასტურებულია, რომ კლერტი ღვინოს გამოწურვისას უარყოფით გავლენას ახდენს ღვინის ხარისხზე და, რომ ღვინოს დაწნეხვა კლერტიანად საგრძნობლად ზრდის ღვინის ხარისხობრივ მაჩვენებლებს და აჩქარებს გამოწნეხვის პროცესს. მათ ერთობლივ კალამს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი „სპილენძის როლი, მისი ოდენობა და წარმოქმნის წყარო ღვინოში“, სადაც გამოკვლეულია, რომ შეუწყამლავი ვაზიდან მიღებულ ყურძნის წვენში სპილენძის ოდენობა მეთვლი მილიგრამს არ აღემატება და დადუღების შემდეგ კი ღვინოში ამ ოდენობის უმნიშვნელო კვალი რჩება. სათანადო ცდების ჩატარების შედეგად ამავე ნაშრომში დადასტურებულია, რომ ღვინოში რკინის დაგროვებას ძირითადად იწვევს ის მანქანა-იარაღები, რომლებიც გამოიყენებიან ყურძნის გადამუშავების დროს ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებით.

ჩვენი სახელოვანი მეცნიერების მიერ ამჟამად გამოკვლეულია რესპუბლიკის მეღვინეობის თითქმის ყველა რაიონი მისი ენოლოგიის მხრივ. სათანადო ექსპერიმენტული მასალების საფუძველზე ჩატარებულია დარაიონება წარმოებრივი მიმართულებისა და პროდუქციის რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით.

აკად. ს. ღურმიშიძისა და პროფ. გ. ბერიძის მიერ შესწავლილია ქართული მრეწველური ვაზის ჯიშების ბიოლოგიური და მეურნეობრივ-ტექნოლოგიური მხარე, შემუშავებულია კახური ტიპის თეთრი სუფრის ღვინის დამზადების ახალი, ფერმენტირებული ქაქის გამოყენების ტექნოლოგიური ხერხი (პროფ. გ. ბერიძე).

კახური ტიპის ღვინოების თავისებურებანი შესწავლილი აქვს დოც. დ. გიაშვილს. მან გამოიკვლია მიზეზები, რომლებიც იწვევენ ძველად ცნობილი კახური ღვინოების ტიპიურობიდან გადახრას და კრიტიკულად განიხილა ამ ღვინოების დამზადების ძველი და თანამედროვე წესები. მის კალამს ეკუთვნის მეღვინეობის დარგში ისეთი



აქტუალური საკითხების გამოკვლევა, როგორცაა: „შაქრიანობის საერთო რაოდენობის განსაზღვრა ყურძენში“ (1954 წ.) „უმარტე მთის“ მოკიდებულება ყურძნის, ტკბილის და ჭაჭის შაქრიანობის შესახებ (1957 წ.) და სხვ. ქართული ღვინოების თავისებურების შესწავლისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ მუშაობენ საქართველოს მებაღეობა-მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები პროფ. გ. ბერიძის ხელმძღვანელობით. ამ კოლექტივში შედიან ტეჭნ. მეცნ. კანდიდატები: ა. სირბილაძე, დ. ნაცვლიშვილი, ა. სესიაშვილი, ნ. მაჭავარიანი, თ. კანანაძე, ვ. ბურჯანაძე, მეცნ. მუშაკები გ. გუჭეჯიანი, თ. კანდელაკი, მ. კურდღელაშვილი და სხვ.

თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართულ ვენაზე გამოქვეყნებული იყო ორიოდ ნაშრომი მეღვინეობის შესახებ, მართო უკანასკნელი 10—15 წლის განმავლობაში ამ მხრივ გამოქვეყნდა ათეულობით ნაშრომები, სახელმძღვანელოები და ბროშურები. მათ შორის აღსანიშნავია კაპიტალური ნაშრომები აკად. ს. დურმიშიძის „მთრიმლავი და საღებავი ნივთიერებანი ყურძენსა და ღვინოში“, პროფ. ვ. ღვალაძის „კორელაცია ალკოჰოლური დუღილის პროდუქტთა შორის“. პროფ. გ. ბერიძის „ქართული ღვინოების ტექნოლოგია და ჭიმური შემადგენლობა“ დოც. ნ. გელაშვილის „მეღვინეობა“ წიგნი I — II (სახელმძღვანელო) და ა. შ. გარდა მეცნიერ მუშაკებისა აგრეთვე დიდი დამსახურება მიუძღვით ღვინის ახალი ტიპების შექმნის და მათი ხარისხის გაუმჯობესების საქმეში „სამტრესტის“ სისტემაში მომუშავე მრავალ სპეციალისტ პრაქტიკოსებს, მათ შორის ა. ბერუჩაშვილს, გ. თუშმალიშვილს, პ. ხეცურიანს, გ. გაბისიანს და სხვ.

მართო უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში (1961—1964 წწ.) „სამტრესტმა მეღვინეობის დარგში გაწეულ მეცნიერულ-კვლევით სამუშაოზე დახარჯა 913,5 ათასი მან.

ამ პერიოდში დამუშავდა 48 მეცნიერულ-კვლევითი თემა. აქედან დადებითად იქნა შეფასებული და ღვინის საწარმოებში დაინერგა 14 თემა; განხორციელების პროცესშია 21, ხოლო დანარჩენი მათი ნაკლებფექტიანობის გამო უარყოფილ იქნა.

ამავე პერიოდში საქართველოს სსრ სპეციალურ საკონტრუქტორო ბიუროს მიერ დამუშავდა 80 თემა, რაზედაც დაიხარჯა 694,3 ათასი მან. აღნიშნული თემებიდან უკვე დამთავრდა და დადებითად შეფასდა 43 თემა. უარყოფილ იქნა 16 თემა მათი ტექნიკურ-ეკო-

ნომიური თვალსაზრისით მიუღებლობის გამო, ხოლო დანარჩენი თემები გადაწყვეტის პროცესშია<sup>20</sup>.

ყოველივე ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ მეღვინეობის რესპუბლიკის მასშტაბით დიდი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა ტარდება, მაგრამ მონაცემები მეტყველებენ იმასზეც, რომ როგორც „სამტრესტის“ ისე სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს შიერაჟერ კიდევ დიდი თანხა იხარჯება გაუმართლებელ მეცნიერულ-კვლევითი ხასიათის ღონისძიებების გატარებაზე.

<sup>20</sup> აღნიშნული მონაცემები აღებული ვაქვს „სამტრესტის“ მეღვინეობის მექანიზაციის განყოფილებიდან.

თავი 30430

საპარტვილოს აღზილი სსრკ და ამიერკავკასიის  
მეღვინეობაში და მისი ბანკითარების პერსპექტივები

1. საპარტვილოს აღზილი სსრკ და ამიერკავკასიის მეღვინეობაში

ცნობილია, რომ ვენახის ფართობის მხრივ რევოლუციამდელ საქართველოს პირველი ადგილი ეკავა რუსეთში. მასზე მოდიოდა რუსეთის იმპერიის ვაზის ფართობის თითქმის ერთი მეოთხედი.

ამ მხრივ მას კვლავ უპირატესობა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც, თვით 1940 წლამდე. მაგრამ დიდი სამამულაომის დამთავრების შემდეგ, მდგომარეობა იცვლება და იმის გამო, რომ ზოგიერთ მოძმე რესპუბლიკაში, ერთობ სწრაფი ტემპით იწყება ვენახის პლანტაციის გაშენება, საქართველოს ხვედრიწონა თანდათან მცირდება და იგი ამ მხრივ მესამე—მეოთხე ადგილს იკავებს. ამის საუკეთესო დამადასტურებელია შემდეგი (იხ. ცხრ. 47).

აქედან ჩანს, რომ ვენახის ფართობის მხრივ ჩვენს რესპუბლიკას უკვე 1950 წ. მესამე (მოლდავეთის და უკრაინის სსრ შემდეგ) ადგილი ეკავა, ხოლო 1958 წლიდან მოყოლებული დღემდე მეოთხე ადგილი (რსფსრ, უკრაინისა და მოლდავეთის სსრ, შემდეგ). როგორც სამართლიანად შენიშნავს ლ. ჩიქავა, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ დასახელებულ რესპუბლიკებს უფრო მეტი ტერიტორიალური შესაძლებლობა გააჩნდათ ვენახების გასაშენებლად ვიდრე ჩვენს რესპუბლიკას. ამასთან „რაც მთავარია, ამ რესპუბლიკაში ვენახი ძირითადად საკუთარ ძირზე (დაუმყენელი) შენდება, რის გამო დასარგავი მასალა ბევრი და ძალიან იაფი აქვთ და ვაზის გაშენება უფრო ადვილია. საქართველოში კი, ღვინის მრეწველობის მაღალხარისხოვანი ნედლეულის წარმოებისათვის ფრიად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების არსებობის მიუხედავად, ვაზის ნარგავების სწრაფ ზრდას აბრკოლებს ძირითადად ორი მნიშვნელოვანი გარემოება: ჭერ ერთი, მევენახეო-



რესპუბლიკები	1950 წ.	1958 წ.	1960 წ.	1962 წ.	1963 წელი		
					მურნეობის კვეთის კატეგორიაში	მ.	
						კულმურნეობა	საბჭოთა მურნეობა და სხვა სახელმწიფო მურნეობა
სსრკ . . . . .	342	778	1 046	1 042	1 052	540	377
რსფსრ . . . . .	38	120	176	174	173	53	112
უკრაინ. სსრ . . . . .	76	268	397	354	347	186	130
უზბეკ. სსრ . . . . .	27	34	45	48	48	20	21
ყაზახეთის სსრ . . . . .	4	7	11	13	14	2	11
საქართველოს სსრ . . . . .	58	75	85	92	98	37	18
აზერბაიჯანის სსრ . . . . .	23	37	56	60	66	34	28
მოლდავეთის სსრ . . . . .	83	190	220	238	241	177	29
ყირგიზეთის სსრ . . . . .	2	3	4	4	5	1	4
ტაჯიკეთის სსრ . . . . .	7	12	13	15	15	8	6
სომხეთის სსრ . . . . .	19	25	31	35	36	17	16
თურქმენეთის სსრ . . . . .	5	7	8	9	9	5	2

ბის მთავარი რაიონების მურნეობის კომპლექსური განვითარებისა და ტერიტორიული შეზღუდულობის გამო სავენახე ფართობების შედარებით სიმცირე, და, მეორე, მაღალხარისხოვანი დასარგავი მასალის დიდი დეფიციტი და სადღედე ვაზის სანერგე მურნეობის არა-დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა<sup>2</sup>. რაც შეეხება საქართველოს ზედა რიონას ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის, ამ მხრივ მას ყოველთვის პირველი ადგილი ეკავა და იგი მომავალშიც მნიშვნელოვან ადგილს ინარჩუნებს.

სახალხო მურნეობის განვითარების 1966—1970 წწ. გეგმით, ვენახის მთლიანი ფართობი ჩვენს რესპუბლიკაში აყვანილ უნდა იყოს 122,6 ათას ჰექტარამდე. აზერბაიჯანში კი გეგმა ითვალისწინებს 142,6 ათას, ხოლო სომხეთში—51,3 ათას ჰექტარს.

<sup>1</sup> Народное хозяйство СССР в 1963 г., статистический ежегодник, М., 1965, стр. 296.

<sup>2</sup> ლ. ჩიქავა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში, გვ. 88-89.





თუ ყურძნის მთლიანი მოსავლის მიხედვით 1950 წელს ჩვენს რესპუბლიკას კავშირის მასშტაბით მეორე ადგილი ეკავა (საქართველო) ლოს სსრ-ში ყურძნის მთლიანი მოსავალი უდრიდა 158 ათას ტონას, მოლდავეთის სსრ-ში 200,7 ათას ტ, უკრაინის სსრ-ში 66,2 ათას და ა. შ.) უკვე 1963 წ. ბოლოს საქათველომ ამ მხრივაც მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. ამ წელს სსრ კავშირში მიღებული ყურძნის მთლიანი მოსავალი უდრიდა 2 572 ათას ტონას, აქედან უკრაინის სსრ-ზე მოდიოდა 948 ათასი ტ და მოლდავეთის სსრ-ზე—722 ათასი ტ, რსფსრ-ზე—430 ათასი ტ, საქართველოს სსრ-ზე—66, აზერბაიჯანის სსრ-ზე 11 ათასი ტ (მოუსავლიანი წელი) და ა. შ.

როგორც ჩვენ ქვევით დაეინახავთ, ამ მხრივ ახალ ხუთწლედ-შიაც (1966—1970) ჩვენს რესპუბლიკას ისევ მეოთხე ადგილი ეკავება. თითქმის ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ყურძნის ღვინის წარმოების მხრივაც (იხ. ცხრ. 48).

ცხრილი 48

ყურძნის ღვინის წარმოება მოკავშირე რესპუბლიკის მიხედვით (ათას ღელ)<sup>3</sup>

რესპუბლიკის დასახელება	1940 წ.	1950 წ.	1955 წ.	1960 წ.	1962 წ.	1963 წ.
სსრკ . . . . .	19 695	23 845	47 376	77 681	100 846	118 554
მათ შორის:						
რსფსრ . . . . .	7 819	6 668	15 465	25 696	35 286	42 203
უკრაინის სსრ . . . . .	5 053	3 247	8 638	20 132	26 911	34 672
ბელორუსიის სსრ . . . . .	9	5	379	1 365	2 344	3 133
უზბეკეთის სსრ . . . . .	1 928	1 371	2 106	3 085	3 460	3 600
ყაზახეთის სსრ . . . . .	80	173	997	2 177	3 939	5 146
საქართველოს სსრ . . . . .	1 675	2 923	3 717	4 049	4 215	4 558
აზერბაიჯ. სსრ . . . . .	900	1 103	1 501	1 719	2 088	2 063
ლიტვის სსრ . . . . .	—	49	134	411	751	910
მოლდავეთის სსრ . . . . .	1 267	6 532	10 824	13 478	15 552	14 653
ლატვიის სსრ . . . . .	—	97	401	456	454	473
ეორგიზეთის სსრ . . . . .	78	1 53	227	599	1 080	1 156
ტაჯიკეთის სსრ . . . . .	273	4 52	632	1 102	3 361	1 469
სომხეთის სსრ . . . . .	239	7 72	1 653	1 893	2 362	2 266
თურქმენეთ. სსრ . . . . .	368	2 55	493	671	704	757
ესტონეთის სსრ . . . . .	—	50	139	258	369	441

<sup>3</sup> მოტანილი მონაცემები ეხება მხოლოდ სახელმწიფო მრეწველურ წარმოებას, მასში არ შედის კოლმეურნეობებში და მოსახლეობის პირად მევენახეობაში წარმოებული პროდუქცია, ამასთან ცნობები შეეხება მზა პროდუქციის გამოშვებას ადგილის მიხედვით.



როგორც ვხედავთ, რსფსრ და უკრაინის სსრ შემდეგ, 1940 წ. ყურძნის ღვინის წარმოების მხრივ, საქართველოს სსრ მესამე ადგილზე იმყოფებოდა. 1950 წ. შემდეგ დღემდე მას მეოთხე ადგილზე იმყოფება. მაგრამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა ყოველთვის პირველ ადგილზე იყო და მომავალშიაც მას ეს ადგილი უპრეტენზიოდ ეკავება.

თუ 1970 წლისათვის ღვინომასალის წარმოება საქართველოს სსრ-ში უნდა ავიდეს 25 მლნ დკლ-დე, სომხეთის სსრ-ში მან 18 მლნ დკლ-ს და აზერბაიჯანის სსრ-ში 13 მლნ დკლ-ს უნდა მიაღწიოს.

რაც შეეხება ხარისხოვანი მარკიანი ღვინის გამოშვებას, ამ მხრივ უკრაინის სსრ-ს შემდეგ, კავშირის მასშტაბით, საქართველოს სსრ მეორე ადგილი ეკავება, ხოლო ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის კი პირველი ადგილი. ასე მაგ., 1970 წლისათვის გვეგმით ნავარაუდევია სსრ კავშირში 10 მლნ დკლ მარკიანი ღვინო, აქედან (მლნ დკლ): უკრაინის სსრ-ზე მოდის 3,0, საქართველოს სსრ-ზე—1,4, რსფსრ-ზე—1,23, უზბეკეთის სსრ-ზე—1,01, მოლდავეთის სსრ-ზე—1,0, სომხეთის სსრ-ზე—0,68 და აზერბაიჯანის სსრ-ზე—0,65.

პირველად მეღვინეობაში სიმძლავრეების მიხედვით სსრ კავშირის მასშტაბით, ამჟამად, პირველი ადგილი უკავია მოლდავეთის სსრ-ს, მეორე—უკრაინის სსრ-ს, მესამე—რსფსრ-ს, ხოლო მეოთხე—საქართველოს სსრ-ს.

ამ მხრივაც სურათი უცვლელი რჩება ახალ ხუთწლედში, ასე მაგ., 1970 წ. ყურძნის ერთდროულად გადამუშავება წელიწადში (სეზონი) ნავარაუდევია (ათას ტ) მოლდავეთის სსრ-ში—1 249,2, უკრაინის სსრ-ში — 1 185,2, რსფსრ — 1 159,8, საქართველოს სსრ-ში—388,5, სომხეთის სსრ-ში—164,6 და აზერბაიჯანის სსრ-ში—205,0.

მაშასადამე, ახალ ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკას პირველად მეღვინეობაში, ყურძნის გადამუშავების მხრივაც, ამიერკავკასიაში პირველი, ხოლო სსრკ მასშტაბით მეოთხე ადგილი ეკავება.

დამახასიათებელია, რომ ყურძნიდან ღვინის გამოსავლიანობისა (ტონიდან დკლ-ში) და მისი შაქრიანობის მხრივ (%) სომხეთის სსრ გაცილებით მაღლა დგას ვიდრე საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ. თუმცა კავშირის მასშტაბით შაქრიანობის მხრივ პირველი ადგილი თურქმენეთის სსრ-ს ეკუთვნის (იხ. ცხრ. 49).



ლენინის გამოსავლიანობა და ტბილის საშუალო შაქრიანობა სსრკ-ის ტერიტორიაში  
 ებს შორის (1959—1962 წწ.)

სტატისტიკური ცენტრი

	1959 წ.		1960 წ.		1961 წ.		1962 წ.	
	გამოსავლიანობა	შაქრიანობა	გამოსავლიანობა	შაქრიანობა	გამოსავლიანობა	შაქრიანობა	გამოსავლიანობა	შაქრიანობა
რსფსრ . . . . .	67,7	13,2	67,6	15,7	67,95	16,18	67,68	15,7
უკრაინის სსრ . . . . .	67,23	17,06	69,41	15,83	67,51	17,35	66,8	17,7
უზბეკეთის სსრ . . . . .	69,82	16,3	77,2	16,6	30,5	16,7	69,4	17,69
ყაზახეთის სსრ . . . . .	68,68	19,06	60,03	17,68	69,04	18,1	66,82	17,5
საქართველოს სსრ . . . . .	67,09	18,3	67,36	18,34	67,55	18,8	67,16	18,78
აზერბაიჯანის სსრ . . . . .	67,65	16,4	67,71	16,7	67,33	18,2	68,0	14,68
მოლდავეთის სსრ . . . . .	63,87	15,97	66,08	15,8	65,69	16,8	65,37	15,92
ყირგიზეთის სსრ . . . . .	69,2	15,2	69,31	15,71	69,1	16,4	68,4	16,6
ტაჯიკეთის სსრ . . . . .	67,8	17,4	68,27	17,11	68,57	17,8	68,56	18,4
სომხეთის სსრ . . . . .	68,9	19,7	70,2	19,6	69,48	20,6	69,5	19,6
თურქმენეთის სსრ . . . . .	64,6	22,1	65,79	23,2	65,8	22,8	67,4	23,54

ამ მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ ლენინის საშუალო გამოსავლიანობა მოცემულ წლებში თითქმის ერთდარვივება რესპუბლიკაში. მართალია, ადგილი აქვს ცალკეულ წლებში გადახრას ამა თუ იმ მიმართულებით, მაგრამ მეტად უმნიშვნელოდ. ვარდა ამისა, მონაცემებიდან ირკვევა, რომ ყურძნის ყველაზე მეტი გამოსავლიანობა ახასიათებს უზბეკეთის სსრ-ს (ტონა ყურძნიდან 69,4-70,5 დკლ ლენინი), მას მოსდევს ყირგიზეთის სსრ (68,4 ტ—69,31 დკლ), შემდეგ სომხეთის სსრ (68,9 ტ—70,2 დკლ) და ა. შ.

ამიერკავკასიის მასშტაბით კი ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება სომხეთის სსრ.

დაყენებული ტბილის შაქრიანობის საშუალო დონის მხრივ, ყველაზე მაღლა დგას თურქმენეთის სსრ. მოცემულ პერიოდში ტბილის შაქრიანობა თურქმენეთის სსრ-ში 22,1-დან—23,54 პროცენტამდე აღწევს. მეორე ადგილზეა სომხეთის სსრ (19,5-დან 20,6%-მდე), რომელსაც ამ მხრივ ამიერკავკასიაშიაც პირველი ადგილი უკავია. მესამე ადგილზე კი გამოდის ჩვენი რესპუბლიკა, რომლის საშუალო შაქრიანობა 18,3-დან 18,8 პროცენტამდე აღწევს. შაქრიანობის მხრივ ყველაზე ბოლო ადგილი რსფსრ-ს და მოლდავეთის სსრ-ს უკავია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ სსრკ ცენტრ. სტატ. სამმართველოს მონაცემებით მოსახლეობის ერთ სულზე ლენინის მთლი-



ანი წარმოების მხრივ საქართველოს — სსრ კავშირში მეორე, ხოლო ამიერკავკასიაში პირველი ადგილი უკავია. ასე მაგ., 1962 წელს მოცემებით, მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული იყო ღებნიანი მონადევის სსრ-ში—105,2, საქართველოს სსრ-ში—30,4, აზერბაიჯანის სსრ-ში—15,8, ტაჯიკეთის სსრ-ში—16,9, თურქმენეთის სსრ-ში—6,2, უკრაინის სსრ-ში—6,2, სომხეთის სსრ-ში—44., ხოლო მთლიანად კავშირში—5,6.

ყურძნის ღვინის და შამპანურის ექსპორტის მხრივ ჩვენს რესპუბლიკას პირველი ადგილი უკავია ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის, ხოლო კავშირის მასშტაბით მეორე ადგილი (იხ. ცხრ. 50).

ცხრილი 50

ყურძნის ღვინისა და შამპანურის ექსპორტი 1960—1962 წწ. (პროცენტობით გამოთვლით)\*

რესპუბლიკების დასახელება	ექსპორტი		რეალიზაცია რესპუბლიკის გარეთ		რეალიზაცია სხვა რესპუბლიკებში	
	ყურძნის ღვინო	შამპანური	ყურძნის ღვინო	შამპანური	ყურძნის ღვინო	შამპანური
რსფსრ . . . . .	0,34	48,09	1,0	11,6	0,06	1,07
უკრაინის სსრ . . . . .	2,77	22,06	3,39	47,04	3,34	5,29
მოლდაველ. სსრ . . . . .	40,64	—	44,82	—	46,19	—
საქართველოს სსრ . . . . .	28,00	24,11	14,42	32,28	13,98	22,94
სომხეთის სსრ . . . . .	19,34	—	12,38	—	11,98	—
აზერბაიჯანის სსრ . . . . .	8,70	—	15,29	—	15,53	—

მონაცემები ცხადყოფენ, რომ: 1. ყურძნის ღვინის ექსპორტი ყველაზე დიდი ხვედრიწონა კავშირის მასშტაბით მოდის მოლდავეთის სსრ-ზე—40,64%. მეორე ადგილზე—28%-ით გამოდის საქართველოს სსრ.

ასევე შამპანურის ექსპორტის მხრივ, რსფსრ-ს შემდეგ — (48,09%), ჩვენს რესპუბლიკას მეორე ადგილი უკავია—(24,11%), ხოლო მესამე ადგილს უკრაინის სსრ იკავებს—22,06,%.

2. რესპუბლიკის გარეთ რეალიზებული ყურძნის ღვინის 44,82% მოდის მოლდავეთის სსრ-ზე, მეორე ადგილზე 15,29%-ით გამოდის აზერბაიჯანის სსრ, ხოლო მესამე ადგილს—14,42%-ით იკავებს ჩვენი რესპუბლიკა. მეოთხე ადგილზეა სომხეთის სსრ.

\* ლ. ჩიქავა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში, გვ. 198.

შამპანური ღვინის რეალიზაციის მხრივ პირველ ადგილზე გამო-  
დის უკრაინის სსრ (47,04%), მეორე ადგილი კი (32,28%) უკრაინის  
პუბლიკას უკავია.

3. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის გატანილი ყურძნის ღვინო-  
ების მხრივ პირველი ადგილი მოლდავეთის სსრ-ს ეკუთვნის  
(46,19%), მეორე ადგილზეა აზერბაიჯანის სსრ—(15,5%), ხოლო მე-  
სამე ადგილი საქართველოს სსრ-ს უკავია (13,98%). შამპანურის გა-  
ტანის მხრივ კი პირველი ადგილი ჩვენს რესპუბლიკას უკავია  
(22,94%).

თუ ავიღებთ ახლა მთლიანად ამიერკავკასიის რესპუბლიკებს,  
დავინახავთ, რომ საერთო-საკავშირო ტერიტორიულ დანაწილებაში  
ღვინის პროდუქციის გატანის საქმეში (1960—1962 წწ.), მასზე მო-  
დის წარმოების რაიონებიდან მოხმარების რაიონებში ყურძნის ღვი-  
ნის გატანის მთლიანი რაოდენობის 42,1%, შამპანურის — 32,3% და  
კონიაკის—62,3%. „ამასთან ექსპორტისა და საქონელგაცვლის ოპერა-  
ციების სახით სსრკ კავშირის ტერიტორიიდან საზღვარგარეთ ყურძ-  
ნის ღვინის გატანის საერთო მოცულობის 56%. შამპანურის  
24,1%, და კონიაკის 75,7 % ამიერკავკასიაზე მოდის“<sup>5</sup>.

## 2. მოგვიხსნა და რენტაბელობის საკითხები ღვინის ვაჭრობაში

ცნობილია, რომ რენტაბელობა სოციალისტურ წამოწყებათა  
მეურნეობრივი მართვის ეკონომიკური ეფექტურობის საბოლოო მა-  
ჩვენებელია. წამოწყებათა მუშაობის ეფექტურობა დროის განსაზ-  
ღვრულ მონაკვეთში შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მათი მეურნეობ-  
რივი მოღვაწეობის შედეგებით,—რაც აშკარად რენტაბელობაში  
მკლავნდება.

რენტაბელობა მაჩვენებელია იმისა, თუ რა ზომით ხდება ამა თუ  
იმ წარმოების მიერ გამოშვებულ პროდუქტებზე გაწეული მთლიანი  
დანახარჯების (მთლიანი თვითღირებულება) აღდგენა და რამდენი  
რჩება კიდევ პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ფუ-  
ლადი შემოსავლიდან ნამატი—მოგების სახით (წმინდა შემოსავალი)  
წარმოების გაფართოებული აღწარმოებისა და მშრომელთა კეთილ-  
დღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მაშასადამე, რენტაბელობა სოციალისტური დაგროვების მნიშე-  
ნელოვანი წყაროცაა. იმავე დროს იგი დიდი სტიმულის მიმცემია სა-

<sup>5</sup> ლ. ჩიქავა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის ადგილი და როლი  
ზოომის საერთო საკავშირო დანაწილებაში გვ. 198.

წარმოებისათვის, რათა მათ უფრო ეფექტურად წარმართონ მეურნეობა, დაზოგონ შრომა, დრო და სახსრები პროდუქციის ერთეულზე წარმოებაზე, შეამცირონ მისი თვითღირებულება, თავიდან ზედმეტი ხარჯები, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი და ამდენად უფრო მაღალშემოსავლიანი, მომგებიანი და მაშასადამე რენტაბელური გახადონ წარმოება.

ჩვენს ქვეყანაში ყველა წამოწყება უნდა იყოს რენტაბელური ანუ მომგებიანი—ეს სოციალისტური წარმოების განვითარების აუცილებელი პირობაა.



ჩვენი ქვეყნის მრეწველობის სხვა დარგებთან ერთად, ერთ-ერთ რენტაბელურ დარგს წარმოადგენს აგრეთვე ღვინის მრეწველობა.

„სამტრესტი“ 1965 წლისათვის აერთიანებდა მეურნეობრივ ანგარიშზე მყოფ 70 წამოწყებას. რომელთაგან 110 პირველადი და 22 მეორადი მეღვინეობის ერთეული იყო. მასში შედიოდა 17 მეღვინეობის ქარხნამშართველო, 45 ღვინის ქარხანა, თითო კონიაკის, შამპანურის, ლიქიორის, სპირტსახდელი, ძმრის ქარხანა და ა. შ.

პირველადი მეღვინეობის ქარხნების წარმოებრივი სიმძლავრე უდრიდა 157,8 ათას ტონას. მეორად მეღვინეობაში—9,773 ათას დკლ-ს, ხოლო შამპანური ღვინისა—7,5 მლნ ბოთლს.

როგორც განხილული მასალების ანალიზიდან დავინახეთ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, განსაკუთრებით „სამტრესტის“ ჩამოყალიბების (1929 წ.) შემდეგ, მეღვინეობა ჩვენს რესპუბლიკაში ყოველთვის მაღალი მომგებიანობით ხასიათდებოდა. მაგ., წარმოებული ყურძნის ღვინის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება (წმინდა შემოსავალი) 1940 წ. უდრიდა 853,9 ათას მან., ხოლო რენტაბელობის დონე (გაანგარიშვების მაშინდელი მეთოდით ანუ მოგების, ე. ი. წმინდა შემოსავლის შეფარდებით პროდუქციის მთლიან თვითღირებულებასთან და გამრავლებული ასზე ანუ გამოხატული პროცენტებით)—15,4%-ს. ომის პერიოდში (1941-1945 წწ.) ყურძნის ღვინიდან მიღებული მთლიანი მოგება ტრესტის ხაზით უდრიდა სულ 3 576,6 ათას მან., ხოლო რენტაბელობის დონე საშუალოდ ხუთწლედში შეადგენდა 14,9%-ს. ომის შემდგომ (მეოთხე) ხუთწლედში (1946—1950 წ.). მოგების თანხა უდრიდა 10,3 მლნ მან., ხოლო რენტაბელობის დონე საშუალოდ 23%-ს. მეხუთე ხუთწლედში (1951—1955 წწ.) მოგების თანხა შეადგენდა 30 მლნ მან.,

ხოლო რენტაბელობის დონე—27,2%. მეექვსე ხუთწლედში (მიწვე-  
ლი სამი (1956—1958 წ.) მოგება უდრიდა 18,7 მლნ მანე რენტაბელობის  
დონე—16%, ხოლო შვიდწლედში (1959—1965 წ.) მოგება უდრიდა 18,7 მლნ მანე  
თანხამ 61,0 მლნ მან. მიაღწია, რენტაბელობის საშუალო დონემ კი—  
13,4%.

ასევე მაღალმომგებიანობით და რენტაბელობით ხასიათდება რეს-  
პუბლიკაში შამპანური ღვინის წარმოება.

როგორც 43-ე ცხრილი გვიჩვენებს, მარტო უკანასკნელი 6  
წლის განმავლობაში შამპანურის რეალიზაციიდან მიღებულმა წმინდა  
შემოსავალმა (მოგება) რესპუბლიკაში 9 მლნ. მან. გადააჭარბა, ხოლო  
რენტაბელობის საშუალო დონემ 16%-ს.

ამგვარად, არაა ექვმისათანი ის, რომ ღვინის მრეწველობა იყო,  
არის და მომავალშიაც იქნება მეტად მაღალრენტაბელური დარგა  
ჩვენს რესპუბლიკაში.

მაგრამ იყო წლები, როდესაც ყურძნის ღვინის წარმოება და მი-  
სი რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა მთლიანად არ ფარავდა  
პროდუქციაზე გაწეულ დანახარჯებს და როგორც უკვე გეხსენებთ თა-  
ვი გაკვირით მოვიხსენიეთ, ადგილი ჰქონდა ამ მხრივ არა მოგებას,  
არამედ ერთგვარ „ზარალსაც“ კი.

ამ საკითხზე რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, და თავიდან  
ავიცილოთ ერთგვარი გაუგებრობა ამ მიმართულებით. საჭიროა გარ-  
კვეული შენიშვნების გაკეთება.

არსებული პრაქტიკის მიხედვით ღვინის მრეწველობაში შექმ-  
ნილ მთლიან წმინდა შემოსავლის (მოგების) გაანგარიშებას „სამ-  
ტრესტი“ სრულიად სამართლიანად ახდენდა არა მოცემულ წელს  
გამოშვებული პროდუქციის მიხედვით, არამედ მხოლოდ რეალიზე-  
ბული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით. ეს გასაგებბიცაა, რადგან  
ამას მოითხოვს თვით ღვინის მრეწველობის თავისებურება. კერძოდ,  
ის, რომ მიმდინარე წელს დაყენებული ღვინო შეიძლება, რეალიზე-  
ბულ იქნეს რამდენიმე (3—5) წლის შემდეგ, ანდა მოხდეს ამ წელს  
მიღებული ღვინის ერთი ნაწილის რეალიზაცია, ხოლო მეორე ნაწი-  
ლის რეალიზაცია კი მისი დაეარგება-დაძველების შემდეგ, რასაც  
ესაჭიროება სულ ცოტა 2—3 წელი მაინც.

მაშასადამე იმისათვის, რომ გაგებულებოთ თუ რამდენად მომგე-  
ბიანი და რენტაბელური იყო ღვინის წარმოება—ამა თუ იმ ღვინის  
ქარხანაში, ანდა მთლიანად რესპუბლიკის მასშტაბით, საჭირო იყო  
აგველო მხოლოდ რეალიზებული პროდუქციის მთლიანი რაოდენობა



და გაგვეთვალისწინებინა მასზე გაწეული მთლიანი დანახარჯები და წყებულები ყურძნის წარმოებიდან ან მის შესყიდვიდან, ვიდრე ქვემოთაღნიშნულ ღირებულებად გამზადებულ პროდუქციამდე, ტრანსპორტის ხარჯების მოთხოვნა ჩათვლით. ამ შემთხვევაში რეალიზებული პროდუქციის მთლიან თანხას აკლდებოდა პირველ ყოვლისა პროდუქციაზე გაწეული მთლიანი დანახარჯები. ვარდა ამისა რეალიზებულ თანხას აკლდებოდა ბრუნვის გადასახადის ჯამი, რომელიც წმინდა შემოსავლის სახით გადადიოდა სახელმწიფოს განკარგულებაში. რეალიზაციის მთლიან თანხას აკლდებოდა აგრეთვე ის თანხა (ფასდათმობა) რომელიც პროდუქციის რეალიზაციისათვის ბითუმად ეძლეოდა გამსაღებელ ორგანიზაციებს<sup>6</sup>.

რეალიზებული პროდუქციის მთლიან თანხას გამოკლებული ბრუნვის გადასახადი და პროდუქციის რეალიზაციისათვის ფასდათმობა, უდრიდა ბითუმი ფასებით გასაცემ თანხას.

ხოლო გამოაკლებდნენ რა პროდუქციის ბითუმი ფასებით გასაცემ თანხას მის წარმოებაზე გაწეულ მთლიან დანახარჯებს (მთლიანი თვითღირებულება) მიიღებდნენ იმ წმინდა შემოსავალს, ანუ მოგებას, რომელიც რჩებოდა საკუთრივ „სამტრესტს“ და მასში შეშავალ ღვინის ქარხნებს მოცემულ წელს რეალიზებული პროდუქციის შედეგად. მაშასადამე, სწორედ ამ ვხით, ე. ი. ბითუმი ფასებით გასაცემი თანხის მიხედვით ხდებოდა მთლიანი წმინდა შემოსავლის (მოგების) განსაზღვრა „სამტრესტის“ მიერ და არა რეალიზებული პროდუქციის ამონაგები მთლიანი თანხის მიხედვით<sup>7</sup>. ამას კი რასაკვირველია თავის დადებით მხარეებთან ერთად, უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა, იგი არ გვაძლევდა სრულყოფილ წარმოდგენას რენტაბელობის შესახებ მეღვინეობაში, რადგან ზოგიერთ წლებში (და განსაკუთრებით ომიანობის პერიოდში, როდესაც მნიშვნელოვნად იზრდებოდა მაგარ სასმელებზე სახელმწიფოს ბრუნვის გადასახადები) ეს მეტად მომგებიანი დარგი, არარენტაბელურ დარგად წარმოგვიდგებოდა. მაგ., 1938 წ. რეალიზებული იყო სულ 832.9 ათასი დკლ ყურძნის ღვინო, საიდანაც ამონაგები თანხა უდრიდა 5 882,2 ათას მან., ხოლო პროდუქციაზე გაწეული მთლიანი დანახარჯები შეა-

<sup>6</sup> ფასდათმობის სისტემა „სამტრესტის“ ხაზით შემოღებული იყო ჩვენს რესპუბლიკაში 1951 წლიდან.

<sup>7</sup> აღნიშნული წმინდა შემოსავლის ანუ მოგების ჩვენარღება კი მთლიან თვითღირებულებასთან და გამოხატული პროცენტებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოხატავდა რენტაბელობის დონეს ანუ ნორმას.



დგენდა 3 884,4 ათას მან., ე. ი. რეალიზაციის თანხა მთლიან დასახარ-  
ჯებს აქ აღემატება 1 937,8 ათასი მანეთით. სინამდვილეში კი ტრესტის  
ტიის მიერ გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ (იხ. ცხრ. 22) „ზარალი“  
უნახავს 185.7 ათასი მან. და რენტაბელობის დონე კი  
უდრიდა არა პლიუს, არამედ მინუს 4,7%-ს.

ეს გარემოება გამოწვეული იყო იმით, რომ ბრუნვის გადასახადო  
იმ დროს იმდენად დიდი იყო, რომ ბითუმად გასაცემმა ფასებმა ვერ  
დაფარეს წარმოების დანახარჯები და პირიქით „ზარალით“ აღნიშ-  
ნეს წარმოების შედეგები.

ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი 1939 წ. როდესაც რეა-  
ლიზებული ღვინოდან ამონაგები თანხა შეადგენდა 7 827,3 ათას მან.,  
ხოლო წარმოების დანახარჯები შეადგენდა 5 291,7 ათას მან. საბო-  
ლოოდ კი ტრესტმა გვიჩვენა არა მოგება, არამედ „ზარალი“ 381,9  
ათასი მან. ხოლო რენტაბელობის დონე აღინიშნა მინუს 7,2%-ით.  
განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ეს ომის პერიოდში (იხ. ცხრ. 25) რო-  
დესაც უზომოდ გაიზარდა ბრუნვის გადასახადები ღვინოებზე და მო-  
გების თანხა მნიშვნელოვნად ეცემოდა. მაგ., 1945 წ. რეალიზებულ  
548,1 ათას დკლ ღვინოდან მიღებული ფულადი შემოსავალი უდრი-  
და 27 782 ათას მან. პროდუქტიაზე გაწეული დანახარჯები კი 3 668,2  
ათას მან. და იმის გამო, რომ ბრუნვის გადასახადი გაიზარდა უზო-  
მოდ და მან 24 095,3 ათასი მან. შეადგინა, მოგების თანხამ, ნაცვლად  
მატებისა გვიჩვენა კლება 35.5 ათას მან. ოდენობით, ხოლო რენტა-  
ბელობის დონე უდრიდა—0.9%-ს, რაც რასაკვირველია სწორი სურა-  
თის მომცემი არ იყო.

ლონისძიებები, რომელიც დასახა სკკ ცენტრალური კომიტეტის  
1965 წ. სექტემბრის პლენუმმა მრეწველობის მართვის გაუმჯობესე-  
ბის დაგეგმვის სისტემის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების  
ეკონომიკური სტიმულირების საქმეში, წარმოადგენს დიდ შემოქმე-  
დებით ბრძოლის პროგრამას ჩვენი სოციალისტური საზოგადოების  
ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

პლენუმმა მკვეთრად დააყენა რიგი ახალი ეკონომიკური ღონის-  
ძიებების გატარების აუცილებლობის საკითხები მრეწველობაში,  
რომელთა უახლოეს ხანაში განხორციელება ჩვენს საწარმოებს შეუ-  
ქმნის წინაპირობებს მათი უფრო ეფექტურად წარმართვის საქმეში.  
თუ დღემდე მომქმედი საწარმოო გეგმა გადატვირთული იყო მრავა-  
ლი მაჩვენებლებით, ახლა მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირე-  
დება. ამიერიდან საწარმოებს მიეცემათ ისეთი მთავარი საგეგმო მაჩ-



ვენებლები, როგორცაა: პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა, გამოშვებული პროდუქციის ძირითადი ნომენკლატურა (ასობრივი ინდექსები, მენტი), ხელფასის ფონდი, ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაზღვევებთან მოცულობა, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების ამოქმედება, ახალი ტექნიკის დანერგვის მნიშვნელოვანი დავალებანი, მოგების ოდენობა და რენტაბელობა, ბიუჯეტში გადასახადების რაოდენობა და ასიგნობანი ბიუჯეტიდან, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მაჩვენებლები.

აქედან ჩანს, რომ ახალ საწარმოო გეგმაში არ მტკიცდება ისეთი მაჩვენებლები, როგორც არის მომუშავე პერსონალის რაოდენობა, შრომისმწარმოებლურობა, პროდუქციის თვითღირებულება და სხვ., ძველი წესით კი, მნიშვნელოვნად იზღუდებოდა წარმოებების მეურნეობრივი ინიციატივა და ხშირად ფერხდებოდა მისი ნორმალური მუშაობა.

ახლა უკვე სახელმწიფოებრივი გეგმის ზემოხსენებულ მთავარ მაჩვენებლების საფუძველზე, საწარმოები და, მაშასადამე, ამ შემთხვევაში ლენინის ქარხნებიც თვითონ დაამუშავებენ წარმოებრივ გეგმებს.

იმის გამო, რომ წარმოების მუშაკებმა უფრო უკეთ იციან თავიანთი საწარმოს შესაძლებლობანი და უკეთ იცნობენ წარმოების თავისებურებებს, დაგეგმვის ასეთი სისტემა მათ საშუალებას მისცემს, რათა უფრო სრულად გაითვალისწინონ და გამოიყენონ შინაგანი რეზერვები წარმოების გასაფართოებლად, ძირითადი და საბრუნავი ფონდების სწორად და რაციონალურად გამოსაყენებლად, შრომის მწარმოებლურობის ასამაღლებლად, პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ მიმართულებით დიდი ამოცანებია დასახული რესპუბლიკის ლენინის წარმოების ხელმძღვანელი მუშაკების წინაშე.

თუ დღემდე რომელიმე საწარმოს ცუდი და უყაირათო მუშაობის შედეგად დაშვებული საბრუნავი საშუალებების დანაკლისის დაფარვა ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და ამგვარად ირღვეოდა მეურნეობრივი ანგარიშიანობის პრინციპები, ახლა საწარმოს საკურობების შემთხვევაში ამ მიზნისათვის მიეცემა ბანკის კრედიტი, რომელიც მან საბოლოოდ მოგების ხარჯზე უნდა დაფაროს. ეს, რასაკვირველია, თავის მხრივ გაზრდის მათ პასუხისმგებლობას და განამტკიცებს მეურნეობრივ ანგარიშიანობას.

რაც მთავარია, წარმოებებს მიეცემათ მეტი სტიმულირება მო-



გების მიღებისა და მისი ადგილობრივი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის.

რამდენადაც მეტი მოგება შეექმნება ღვინის ქარხნებს, იმდენად მეტი გასაქანი მიეცემა მათ ხელმძღვანელებს რომ უფრო გააფართოონ წარმოება, ააშენონ საცხოვრებელი სახლები, გააუმჯობესონ მუშაკთა კულტ-საყოფაცხოვრებო პირობები. თუ მოგების დიდი თანხა დაგროვდება ადგილებზე, ეს საშუალებას მისცემს მათ გასცენ დიდი პრემიები, წლის ბოლოს ერთდროულად დააჯილდოონ მოწინავე მუშა-მოსამსახურეები. ამასთან გათვალისწინებული იქნება მუშაოშის განუწყვეტელი სტაჟი.

სკკპ ც. კ-ის სექტემბრის პლენუმზე ამხ. ნ. კოსიგინი აღნიშნავდა, რომ მოგების გეგმის წარმატებით შესრულებას ხელს უშლიდა რიგი ფაქტორები, კერძოდ, წარმოების ხელმძღვანელობისას ადმინისტრაციული მეთოდები, მეურნეობრივი ანგარიშიანობის ხშირი ფორმალური ხასიათი, ზემდგომი ორგანოების მხრივ ზედმეტი მეურვეობა, საწარმოთა მუშაკების ინიციატივის შეზღუდვა, რადგან მუშაკები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული მოგების გადიდებით, ამასთან მრეწველურ საწარმოთა ნახევარს არა ჰქონდა მოგებისაგან შექმნილი ფონდი, ხოლო იქ, სადაც საწარმოს ჰქონდა ასეთი ფონდი, მისი ოდენობა ძალიან მცირე იყო, ასევე უმნიშვნელო იყო ამ ფონდიდან გამოყოფილი წამანალისებელი თანხა.

ვლ. პარაკობთ რა იმაზე რომ ამიერიდან საწარმოთა საქმიანობა უნდა შევაფასოთ რეალიზებული პროდუქციის, მიღებული მოგების (წარმოების რენტაბელობის) და უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის მიწოდების დავალებათა შესრულების მიხედვით, ეს რასაკვირველია სრულიად არ ლაპარაკობს იმაზე, ორმ მცირდება თვითღირებულების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის მნიშვნელობა.

საწარმოთა დავალების დადგენა მოგების მიხედვით, აღნიშნავს ამხ. ა. ნ. კოსიგინი „კი არ ასუსტებს, არამედ პირიქით აძლიერებს თვითღირებულების შემცირების პრობლემის მნიშვნელობას. თვითღირებულების შემცირება სამეურნეო ხელმძღვანელთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. თვითღირებულების მაჩვენებელს უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება საწარმოო, ტექნიკურ, სამრეწველო და ფინანსურ გეგმაში.

სახელმწიფო დაინტერესებულია იმით, რომ მუდმივად ადიდებდეს დაგროვებას არა მარტო პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების შემცირების გზით, არამედ პროდუქციის რაოდენობის,



ასორტიმენტის გაფართოებისა და განახლების, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების გზით. მოგება თვითღირებულებისაგან განსხვავებული უფრო სრულად ასახავს საწარმოს საქმიანობის მთელ მხარეებს. ამათან უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო მოგების ოდენობა და მატება, არამედ უნდა გავითვალისწინოთ რენტაბელობის დონეც, ე. ი. უნდა ვიცოდეთ რამდენი მანეთი მოგებაა მიღებული საწარმოო ფონდების თვითეულ მანეთზე<sup>8</sup>.

გაანგარიშების ეს ახალი მეთოდი უდავოდ ძირეულ გარდატეხას მოახდენს წარმოების რენტაბელობის—როგორც მისი ხარისხობრივი მაჩვენებლის განსაზღვრის საქმეში.

საწარმოებში ამიერიდან რენტაბელობის დონე და, მაშასადამე, ღვინის მრეწველობაში რენტაბელობის დონე ანუ ნორმა გაანგარიშებული იქნება არა მოგების (წმინდა შემოსავლის) შეფარდებით პროდუქციის სრულ თვითღირებულებასთან, არამედ მხოლოდ წარმოებრივ ფონდებთან, ე. ი. ძირითად და საბრუნავ ფონდების ჯამთან.

ეს კი საშუალებას მისცემს „სამტრესტის“ სისტემაში შემაჯალღვინის ქარხნებს უკეთ გამოიყენონ წარმოებრივი ფონდები და შეამცირონ თანდათან არამწარმოებლური ხარჯები<sup>9</sup>.

მარქსისტული პოლიტეკონომია გვასწავლის, რომ მატერიალური დოვლათი, ღირებულება იქმნება უშუალოდ წარმოების პროცესში. მაშასადამე, ვიდრე მოგების განაწილებაზე ვილაპარაკებდეთ, საჭიროა ჯერ ფიქრი მისი წარმოშობისა და წარმოქმნის შესახებ. მოგება ანუ წმინდა შემოსავალი კი წარმოიქმნება თვით წარმოების პროცესში, ხოლო ამ მოგების ოდენობა მეღვინეობა მაშინ, როდესაც მოხდება მისი რეალიზაცია.

მაშასადამე, სანამ საწარმოს ხელმძღვანელები იფიქრებენ პროდუქციის—ამ შემთხვევაში—ღვინის რეალიზაციაზე. ჯერ იგი უნდა აწარმოონ, დაამზადონ. ამიტომ ამოსავალი წერტილი ისეც და ისეც წარმოებაა. თუ არ იქნება გამოშვებული პროდუქცია (ღვინო), რასაკვირველია, არც ღირებულების შექმნასთან გვექნება საქმე და, მაშასადამე, არც რაიმე მატერიალური ფასეულობის რეალიზაციასთან.

<sup>8</sup> ა. ნ. ეოსიგინი, გაუმჯობესოთ მრეწველობის მართვა, სრულყოთ დაგეგმვა და გაეაღვიროთ სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირება, 1965, თბ., გვ. 22.

<sup>9</sup> იხ. ამის შესახებ ფ. მენტეშაშვილის სტატია ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1966, № 4, გვ. 56—62.



ამიტომ, წარმოების მუშაკების მთვარი ამოცანაა პროდუქცია ვადაზე ადრე და გეგმის გადაჭარბებით მხოლოდ ხარისხოვანი პროდუქცია.

ამ მიმართულებით კი რესპუბლიკის ღვინის მრეწველობაში ყველაფერი როდია რიგზე. მაგ., 1964 წ. რესპუბლიკის პირველადი ღვინის ქარხნებიდან ბევრმა ვერ შეასრულა წლიური საწარმოო დავალებანი. კერძოდ, სამგორის ღვინის ქარხანამ წლიური გეგმა შეასრულა—71,2%-ით, სავარჯვოს ქარხანამ—78,8%-ით, ბოლნისის ქარხანამ — 42,2%-ით, ყულარისამ — 55,7%, წალენჯიხის ქარხანამ—50,6%, გორის ქარხნსამმართველომ — 62,1% და ა. შ.

სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებაში რესპუბლიკის ღვინის 7-მა ქარხანამ 1963 წ. გადახარჯა 136 ათასი მან. 1964 წ. კი 5-მა ქარხანამ—247 ათასი მან.

1963 წ. საქართველოს ღვინის ქარხნების მიერ ადგილი ჰქონდა არამწარმოებლური ხარჯების გაწევას 79 ათასი მან. რაოდენობით.

1963 წ. საქართველოს ღვინის ქარხნების მიერ ადგილი ჰქონდა არამწარმოებლური ხარჯების გაწევას 79 ათასი მან. რაოდენობით.

1964 წ. ღვინის ოც ქარხანაში გადაიხარჯა სამრეწველო პერსონალის ფონდი 335 567 მან. ოდენობით. შრომის მწარმოებლურობის გეგმა 1963 წ. ვერ შეასრულა 42-მა საწარმომ. 1964 წ. კი 12-მა საწარმომ (მ. შ., ბოლნისის ღვინის ქარხანამ 41,3%-ით, წალენჯიხისამ—50,6%-ით, ყვარლისამ—28%-ით და ა. შ.).

1963 წ. რესპუბლიკის ღვინის ცხრა ქარხანამ ვერ შეასრულა მოგების გეგმა 281 ათასი მან. ოდენობით, ხოლო 1964 წ. თოთხმეტმა საწარმომ 977 ათასი მან. ოდენობით, პირიქით ამ წელს 6-მა საწარმომ ნახა ზარალი 322 ათასი მან. (გეგმა კი ითვალისწინებდა 163 ათასი მან. მოგებას).

ყველა ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ რესპუბლიკის ღვინის მრავალ ქარხნებში ჯერ კიდევ დიდ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი, რომ ისინი ჯეროვნად არ იყენებენ შინაგან რეზერვებს, ნაკლები ყურადღება ექცევა გეგმების დროულად შესრულებას, ადგილი აქვს უყაირათობას, სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას, და ა. შ. რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მოგების თანხის შემცირებაზე და რენტაბელობის დონის დაცემაზე.

მომავალში უნდა გადაისინჯოს აგრეთვე რესპუბლიკის შიგნით გამოშვებული ღვინის ასორტიმენტი, მისი ხარისხი და ტრესტმა გა-



მოუშვას მხოლოდ ისეთი მაღალხარისხოვანი პროდუქცია, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა.

საჭიროა შრომისა და წარმოების მაღალი ორგანიზაცია ღვინის მრეწველობაში, წარმოების ხელმძღვანელებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ არსებული შინაგანი რეზერვები, შეამცირონ არამწარმოებლური ხარჯები, აღკვეთონ ზედმეტობა და დანაკარგები, უკეთ გამოიყენონ ღვინის ნარჩენები, არ დაუშვან უხარისხობა და იბრძოლონ გამოშვებული პროდუქციისა და ასორტიმენტის მაღალი ხარისხისათვის. რაც მთავარია, მაქსიმალურად განახორციელონ ახალი ტექნიკის დანერგვა და ტექნიკური პროგრესი.

ყოველივე ეს აამაღლებს შრომის მწარმოებლურობას, შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და გააძლიერებს წარმოების რენტაბელობას რესპუბლიკის ღვინის მრეწველობაში.

3. მიღვიძროვის განვითარების კარსაქტივები საქართველოში

მეღვინეობის განვითარების პერსპექტივები ყველგან და ჩვენშიაც ყოველთვის იყო დაკავშირებული მისი ნედლეული ბაზის შემდგომ განმტკიცებასთან.

ამ თვალსაზრისით, კვლავ აქტუალურად დგას საკითხი საქართველოში ვენახების ფართობისა და მოსავლიანობის გაძლიერების შესახებ ახალ (1966 — 1970 წწ.) ხუთწლედში.

საქართველოს სსრ საგეგმო კომისიის მონაცემებით ვენახის მთლიანი ფართობისა და ყურძნის მოსავლის გაძლიერება 1966—1970 წწ. უნდა მოხდეს შემდეგნაირად (იხ. ცხრ. 51).

1. ხუთწლედის განმავლობაში რესპუბლიკის მასშტაბით უნდა გაშენდეს ვენახის ახალი ფართობი 15,5 ათას ჰექტარ ფართობზე ე. ი. ზრდა უნდა მოხდეს 14,5%-ით.

2. მთლიანად ვენახის ფართობმა რესპუბლიკაში 1970 წ. უნდა მიაღწიოს 122,6 ათას ჰექტარს (მ. შ. ნაყოფის მომცემი ფართობი იქნება 100,9 ათასი ჰა, ნაცვლად 74 ათასი ჰექტარისა 1965 წ.) ე. ი. ზრდა უნდა მოხდეს 36%-ით.

3. ყურძნის ჰექტარობრივი მოსავალი 44,3 ცენტნერიდან (1965 წ.) იზრდება 48,2 ც-მდე (1970 წ.), ანუ ზრდა ხდება 9%-ით,

4. ყურძნის მთლიანი მოსავალი რესპუბლიკაში 328,5 ათასი



ტომი 51

საქართველოს

მეცნიერებათა

მეცნიერებათა განვითარების პერსპექტიული გეგმა 1966—1970 წლებში საქართველოში

დასახელება	1965	1966	1967	1968	1969	1970	ზრდა ხელშეწყობის	
							რაოდენობა	%-ით
<b>I რესპუბლიკის მასშტაბით</b>								
1. ახალი ევნახების გაშენება (ათას ჰა)	5	3	2,8	2,9	3,3	3,5	15,5	—
2. სულ ევნახის ფართობი (ათას ჰა).	107,1	110,1	112,9	115,8	119,1	122,6	15,5	14,5
3. შ. შ. ნაყოფის მომცემი	74,0	77,9	80,7	85,6	93,9	100,9	26,7	36
4. უფრძის ჰექტარობრივი მოსავალი	44,3	45,4	46,7	46,1	47,1	48,2	3,9	9
5. უფრძის მთლიანი მოსავალი (ათას ტ)	328,5	351,2	368,4	395,0	441,5	486,6	158,1	51
<b>II კოლმეურნეობების ხაზით</b>								
1. ახალი ევნახების გაშენება (ათას ჰა)	3	2,2	2,2	2,7	2,7	2,8	12,3	—
2. სულ ევნახის ფართობი (ათას ჰა)	40,6	42,8	45,0	47,4	50,1	52,9	12,3	30,5
3. შ. შ. ნაყოფის მომცემი	22,3	23,4	26,2	29,0	33,2	37,2	14,9	67
4. უფრძის ჰექტარობრივი მოსავალი (ც)	39,0	39,5	40,5	42,6	44,3	47,2	8,2	21,0
5. უფრძის მთლიანი მოსავალი (ათას ტ)	87,0	94,4	106,0	122,0	147,9	175,7	88,7	100
<b>III საბჭოთა და სახელმწ. მეურნ. ხაზით</b>								
1. ახალი ევნახის გაშენ. (ჰა)	2,0	0,8	0,6	0,5	0,6	0,7	—	—
2. სულ ევნახის ფართობი	24,1	24,17	25,5	26,0	26,6	27,3	3,2	13
3. შ. შ. ნაყოფის მომცემი	10,9	11,2	12,2	14,3	18,4	21,4	10,5	100
4. უფრძის ჰექტ. მოსავალი (ც)	38,9	40,4	41,7	43,0	44,6	46,4	7,5	20
5. მთლიანი მოსავალი (ათას ტ)	42,5	45,3	50,9	61,5	82,0	99,4	56,9	133

ტონიდან, 1965 წ. გაიზრდება 486,6 ათას ტონამდე (გაიზრდება 158,1 ათასი ტონით ე. ი. 51%-ით).

აღნიშნული ცხრილიდან ვიკვებთ აგრეთვე, რომ ნახის გაშენება და, მაშასადამე, მთლიანი ვენახის ფართობის გადიდება ნავარაუდევია მხოლოდ განსაზოგადოებული სექტორის ხარჯზე. კერძოდ, კოლმეურნეობების ხაზით უნდა გაშენდეს 12,3 ათასი ჰექტარი, ხოლო საბჭოთა მეურნეობების ხაზით 3,2 ათასი ჰექტარი.

მოტანილი ცხრილიდან შეგვიძლია გავაკეთოთ აგრეთვე შემდეგი დასკვნა.

როგორც ვხედავთ, 1970 წლის ბოლოსათვის ვენახის მთლიანმა ფართობმა რესპუბლიკაში უნდა მიაღწიოს 122,6 ათას ჰექტარს. აქედან კოლმეურნეობებზე მოდის 52,9 ათასი ჰექტარი ანუ ვენახის მთლიანი ფართობის 43 პროცენტზე მეტი. ხოლო საბჭოთა მეურნეობებზე მოდის 27,3 ათასი ჰექტარი ანუ ვენახის მთლიანი ფართობის 22,5%. სულ განსაზოგადოებულ სექტორზე ვენახის ფართობი ხუთწლედის ბოლოსათვის შეადგენს 80,2 ათას ჰექტარს ანუ მთლიანი ფართობის 65,5%-ს, ხოლო დამხმარე მეურნეობების ვენახები კი შეადგენენ 42,4 ათას ჰექტარს ანუ ვენახის მთლიანი ფართობის 34,5%-ს. ეს იმ დროს, როდესაც ხუთწლედის დასაწყისში დამხმარე მეურნეობებზე მოდიოდა ვენახის მთლიანი ფართობის 40%, ხოლო განსაზოგადოებულ სექტორზე დანარჩენი 60%. მაშასადამე, განსაზოგადოებული ვენახის ფართობის ხედრიწონა მთლიან ფართობზე იზრდება 5,5%-ით, ხოლო დამხმარე მეურნეობაში მისი ხედრიწონა ეცემა ამავე ოდენობით.

ეს ფაქტი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და იგი გამომდინარეობს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სწორი პოლიტიკიდან.

მნიშვნელოვნად იზრდება აგრეთვე ყურძნის სახელმწიფოებრივი დამზადება ხუთწლედში. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მონაცემებით ყურძნის დამზადება (შესყიდვა) ხუთწლედში ნავარაუდევია გაიზარდოს შემდეგნაირად (იხ. ცხრ. 52).

ამგვარად, ყურძნის სახელმწიფოებრივი დამზადება (შესყიდვა) 180 ათასი ტონიდან 1966 წ. იზრდება 340 ათას ტონამდე ანუ 88%-ით. მ. შ., კოლმეურნეობებში ზრდა ხდება 125,6%-ით, სახელმწიფოებრივ მეურნეობებში 127%-ით, ხოლო მოსახლეობის (დამხმარე მეურნეობა) მიერ დამზადებული ყურძნის რაოდენობის ზრდა ნავარაუდევია 23%-ით.





საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემი ცენტრი  
 ყურძნის სახელმწიფოებრივი დამზადების (წესყიდვა) გეგმა 1966-1970 წლებში

მაჩვენებლები	1966 წ.	1967 წ.	1968 წ.	1969 წ.	1970 წ.	ზრდა %-ით
სულ რესპუბლიკაში	180	210	240	290	340	88
მ. შ. კოლმურწეობ.	74	84	105	135	167	125,6
საბ. მეურნეობაში	41	46	55	75	93	127,3
მოსახლეობაში	65	80	80	80	80	23,0

მაშასადამე, ხუთწლედის ბოლოს დამზადებული 340 ათას ტონა ყურძნიდან, 260 ათასი ტონა ანუ დაახლოებით 77% შოდის სოციალისტურ სექტორზე, ხოლო დანარჩენი 23% პირად მეურნეობებზე. ამას კი მეტად ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკაში მეღვინეობის გეგმურ საწყისებით განვითარებისათვის, რადგან ყურძნის ძირითადი დამამზადებელი ამჯერად სოციალისტური სექტორი ხდება. სულ ცოტა ხნის წინათ კი, კერძოდ ყურძნის ყველაზე უფრო მოსავლიან 1962 წელს, რესპუბლიკაში დამზადებული 205 ათასი ტონა ყურძნიდან სოციალისტურ სექტორზე მოდიოდა 115,9 ათასი ტონა ანუ მთლიანად დამზადებული ყურძნის 57%, ხოლო დამხმარე მეურნეობაზე კი 88 ათასი ტონა ანუ მთლიანი დამზადების 43%.

აღსანიშნავია, რომ ყურძნის შესყიდვა ახალ ხუთწლედში ძირითადად გათვალისწინებულია კახეთსა და იმერეთში. ასე მაგ., რაიონების მიხედვით 1970 წ. ყურძნის ჩაბარება (ტ) უნდა მოხდეს: გურჯაანი — 52 000, თელავი — 38 050, ზესტაფონი — 21 500, ყვარელი — 20 000, სიღნაღი — 18 631, ახმეტა — 14 500, თერჯოლა — 13 000, მაიაკოვსკი — 11 900 ვანი — 8,450, საჩხერე — 7 250, ორჯონიკიძე — 6 400, ამბროლაური — 4 800, ცაგერი — 4 700 და ა. შ.

სახელმწიფოს მიერ დამზადებული ყურძნის 94%-მდე უნდა გადამუშავდეს მრეწველური დანიშნულებისამებრ, ე. ი. ლეინომასალის მისაღებად.

ხუთწლედში სერიოზული ყურადღება მიექცევა ახალი ვენახების გასაშენებლად სათანადო ფართობების შერჩევას და მასზედ ეფექტური ჯიშების ვენახების მასიურ გავრცელებას.

მართალია, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ კლიმატური პირობები დიდად უწყობს ხელს მევენახეობის გაშენებას, რადგან ვაზის გა-



ვრცელება ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია თითქმის ყველა კუბურ  
 ზეშე, გარდა მთიანი და მლაშე ჭაობიანი ადგილებისა, მაგრამ ერთ-  
 თი ცხადია, რომ როგორც მწირი ნიადაგი არ უნდა იყოს, ისევე  
 ჩვენ უზრუნველყოფთ სათანადო მოვლა-პატრონობას და დრო-  
 ულად გავატარებთ საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებებს, ვაზი  
 ყოველთვის მოგვეცეს უმაღლესი ხარისხის ნაყოფს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელ 1962 — 1965 წწ.  
 მართალია საკმაოდ დიდ ფართობებზე გაშენდა ვენახი, მაგრამ ცუ-  
 დი მოვლის შედეგად ზოგიერთ კოლმეურნეობებში და საბჭოთა  
 მეურნეობებში დაიღუპა ამ ვენახების მნიშვნელოვანი ნაწილი. ასე  
 მაგ., მოუსავლიანობის შედეგად საგარეჯოს რაიონში დაიღუპა-  
 378 ჰა ვენახი, გურჯაანის რაიონში—335 ჰა, ყვარლის რაიონში —  
 588 ჰა, თელავის რაიონში—599 ჰა, სიღნაღში—413 ჰა აფხაზეთის  
 ასსრ-ში — 85 ჰექტარი და ა. შ.<sup>10</sup>

მართალია, უკანასკნელ 7—8 წლის განმავლობაში რესპუბლი-  
 კის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში დიდი მუშა-  
 ობა გასწიეს მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ, მაგრამ ვენახის მეჩ-  
 ხერიანობა საქართველოში მაინც ჯერ კიდევ დიდია, იგი რესპუ-  
 ბლიკის მასშტაბით 20%-ს ოდნავ აღემატება, ხოლო ცალკეულ  
 კოლმეურნეობებში კი 30%-საც.

ეს საკითხი გადადებს არ მოითხოვს და თუ კი ოდესმე დღის  
 წესრიგში დასმულა იგი, ამჟამად ყველაზე აქტუალურადაა წამო-  
 ყენებული ჩვენს სინამდვილეში და საჭიროებს ქვედითი ღონისძი-  
 ებების გატარებას<sup>11</sup>.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვენახის მეჩხერიანობის  
 დაუყოვნებლივი ლიკვიდაციის საკითხი არაა წამოყენებული მარ-  
 ტო ჩვენს რესპუბლიკაში. ამის შესახებ თითქმის ყველა რესპუბ-  
 ლიკებში გაამახვილეს ყურადღება და დღეს კავშირის მასშტაბი-  
 თაც დაყენებული დღის წესრიგში.

მაგალითად, ეურნაღმა, „Виноделие и виноградарство СССР“  
 1965 წ. № 1-ის მოწინავე სტატიაში — „Вопросы развития и раз-  
 мещения винодельческой промышленности“ პრინციპულ სი-  
 მალღებზე აიყვანა ეს საკითხი. აქ ნათქვამია, რომ სსრკ მასშტაბით

<sup>10</sup> მ. დ ვ ი ნ ჯ ი ლ ი ა, მეტი ყურადღება მრავალწლიანი ნარგავების მოვლას,  
 გაზ. „კომუნისტი“ — 1965, წ. № 10 აგვისტო.

<sup>11</sup> ამ საკითხის ირგვლივ საინტერესო აზრი გამოთქვა დოც. ნ. მალუძემ.  
 ეურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1964, № 7, გვ. 53-57.

1964 წ. ბოლოსათვის ვენახის მეჩხერიანობა 25%-დგ აღწევს. გამო-  
დის, რომ ნაყოფის მომცემი ვენახის ერთი მეოთხედი სსრკ-ის მეჩხერიანი  
მეჩხერიანი ყოფილა.

„ვენახების მეჩხერიანობის ლიკვიდაცია, — კვითხულობთ ამ  
სტატიაში, წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნე-  
ლობის ამოცანას (ხაზგასმა ჩემია— ს.), რისთვისაც მი-  
ზანშეწონილია იმ მეურნეობებში, სადაც ადგილი აქვს დიდ მეჩხე-  
რიანობას დროებით შეიკვეცოს ახალი ნერგების გაშენება“<sup>12</sup>.

საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკური სამმართვე-  
ლოს მონაცემებით, 1966 წ. 1 იანვრისათვის ვენახის მთლიანი ფარ-  
თობი რესპუბლიკაში—ყველა სექტორის მიხედვით შეადგენდა  
107,1 ათას ჰექტარს, აქედან, ნაყოფის მომცემი 70,0 ათასი ჰა, მაშა-  
სადამე, ამ ფართობის ერთი მეხუთედი, ანუ 14 ათასი ჰექტარი  
ყოფილა გამეჩხერიანებული ვენახები. აქედან მისი დიდი ნაწილი  
მოდის კოლმეურნეობებზე და საბჭოთა მეურნეობებზე.

თუ მოვახდენთ სათანადო გაანგარიშებას იმ მიმართულებით,  
რომ მეჩხერიანობის გამო ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა  
მეურნეობები კარგავენ დიდძალ ყურძნის მოსავალს, ხოლო რეს-  
პუბლიკის ღვინის ქარხნები დიდძალ ღვინოს, გასაგები იქნება ამ  
ზარალის განუზომელი მასშტაბი. ამას უნდა დაემატოს მეორე  
შხარეც, რომელიც თან სდევს ვენახის მეჩხერიანობას და, რასაც  
აგრეთვე დიდი ზარალი მოაქვს ჩვენთვის. ეს არის ის, რომ კოლ-  
მეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდძალ სახსრებს, დროს  
და შრომას უმიზნოდ კარგავენ წლების განმავლობაში, ვენახის  
მეჩხერიან ფართობებზე მუშაობაში. მაგ., როდესაც ვენახში ტარ-  
დება ხვნა, კულტივაცია, სარეველების მოცილება, გოგირდის შე-  
ფრქვევა, შაბიამნის შესხურება, ყურძნის კრეფა, ტრანსპორ-  
ტირება და სხვა, მევენახე გლეხს ერთდროულად უხდე-  
ბა მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც აღნიშნული სამუშაოების  
ჩატარება მეჩხერიან ფართობებზე. ეს იწვევს აგრეთვე კოლმეურ-  
ნეობებში შრომის ბალანსის დარღვევას, ცოცხალი მუშაძალის არა-  
რაციონალურ გამოყენებას, განსაკუთრებით ე. წ. პიკის დროს  
როდესაც მუშაძალის ნაკლებობას აქვს ადგილი.

ამიტომ უნდა ვიზრუნოთ ვენახის მეჩხერიანობის მთლიანი  
ლიკვიდაციისათვის, ხოლო მის პარალელურად ახალი პლანტაციე-  
ბის გაშენებისათვის. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ძველ, მობე-

<sup>12</sup> ჟურნ. „Виноделие и виноградарство СССР“, 1965 № 1, стр. 1.



რებულ ვენახების ფართობებში მეჩხერიანობის ლიკვიდაცია უმაღლესი და მოხდეს არა ძველი ნარგავების გვერდით ახალი პლანტაციების გაშენებით, არამედ მათი მთლიანი ამოძირკვით და მათი ახალი ნარგავების გაშენებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება იმას, რომ რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ დაგვიტორდება ამ ფართობებზე ძველი ვენახების ამოძირკვა და ახლის გაშენება<sup>13</sup>.

ეს საკითხი სერიოზულ შესწავლას მოითხოვს და ვფიქრობთ მალე დადებითად გადაწყდება უახლოეს მომავალში.

მეორე დიდი ღონისძიება, რომელიც წამოყენებულია მევენახეობის წინაშე, და რომელიც დიდად ამუხრუჭებს რესპუბლიკაში ყურძნის მოსავლიანობის გადიდებას ეს არის ვაზის მთლიანი გადაყვანა შპალერულ სისტემაზე.

სსრკ მასშტაბით 1965 წ. 1 იანვრისათვის ვენახის მხოლოდ 30%-ია გადაყვანილი შპალერზე.

„ანგარიში გვიჩვენებს, რომ ამის გამო ქვეყანა კარგავს 20%-მდე მოსავალს ანუ წელიწადში 100 მლნ მანეთს. ეს იმ დროს, როდესაც შპალერის დასაყენებლად საჭირო დანახარჯები არ აღემატება 18 მლნ მანეთს“<sup>14</sup>.

თუ ანალოგიურ გაანგარიშებას მოვახდენთ ჩვენი რესპუბლიკის ვენახების მიმართ გამოვა შემდეგი: 1966 წ. 1 ივლისისათვის საქართველოში არსებული ვენახის 107,1 ათასი ჰა ფართობიდან, შპალერზე გადაყვანილია მხოლოდ 28 ათასი ჰა ფართობი, ანუ ნაყოფის მომცემი ვენახის (70 ათასი ჰა) ფართობის 40%. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვენახის შპალერზე გადაყვანლობის გამო ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად კარგავს დაახლოებით 8—10 მლნ მანეთს.

მაშასადამე, ამ მიმართულებითაც საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება, რადგან, როგორც მეჩხერიანობა, ისე ვენახის შპალერზე გადაყვანლობა დიდ ზარალს აძლევს ჩვენს რესპუბლიკას, იგი ამცირებს მოსავლიანობას, აქვეითებს შრომის მწარმოებლურობის დონეს, ადიდება პროდუქციის თვითღირებულებას და დაბლა სცემს რენტაბელობის დონეს.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება იმიტომაცაა აუცილებელი და საჭირო, რომ იგი უზრუნველყოფს მე-

<sup>13</sup> აქ ლაპარაკია არა საშუალო ხნის ვაზზე, არამედ 30—40 წწ. ასაკის ნარგავებზე, რომლებიც ნაწილობრივ დაავადებულნი არიან.

<sup>14</sup> კერძ. „Виноделие и виноградарство СССР“, 1965. № 1, стр. 2.

ლენინობის დარგში დასმული ამოცანების დროულად განხორციელებას ე. ი. იგი დააჩქარებს ახალ ხუთწლედში (1966—1970 წწ.) ურძნის ლენინის, ლენინომასალის, შამპანურის, კონიაკის პროდუქციის გეგმების ვადაზე შესრულებას.

თანახმად საქართველოს სსრ სახელმწიფო საეკეგმო კომისიის გეგმისა, ჩვენს რესპუბლიკაში ლენინის წარმოება ხუთწლედში უნდა გადიდდეს შემდეგი ოდენობით. ლენინომასალის წარმოება წლების მიხედვით გაიზრდება (მლნ დკლ) შემდეგნაირად: 1966 — 14,5, 1967 წ. — 17,4, 1968 წ. — 18,7, 1969 წ. — 21,7 და 1970 წ. — 25,0 .

ასე რომ, 1970 წ. ბოლოსათვის ლენინომასალის წარმოება ჩვენს რესპუბლიკაში მიაღწევს ისეთ დონეს, როგორც არასოდეს ყოფილა ჩვენს ქვეყანაში და რომელიც 4,5-ჯერ უფრო მეტი იქნება ვიდრე ეს იყო 1964 წ. როდესაც ლენინომასალის წარმოებამ საქართველოში შეადგინა მხოლოდ 5,6 მლნ დკლ.

ლენინომასალის წარმოების ასეთი მასშტაბი შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ქვეყანას, რომ მთლიანად დააკმაყოფილოს ურძნის ლენინის, შამპანურისა და კონიაკის წარმოების მოთხოვნილება მასზე. ამავე დროს მოახდინოს მისი ნაწილობრივი გატანაც მოკავშირე რესპუბლიკებში. იგი უზრუნველყოფს აგრეთვე იმასაც, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ ხელი აიღოს მოლდავეთის სსრ, უკრაინის სსრ-დან და სხვა ადგილებიდან შედარებით დაბალი ხარისხის ლენინობის შემოტანაზე საქართველოში.

ურძნის გადამუშავების სიმძლავრე (სეზონში) წელიწადში ხუთწლედის ბოლოს აყვანილი უნდა იქნეს 388,5 ათას ტონამდე, ე. ი. ზრდა მოხდება ორჯერ და მეტად.

ხუთწლიანი გეგმით ურძნის ლენინისა და შამპანურის წარმოების გადიდება 1966—1970 წწ. ნავარაუდევია შემდეგნაირად (იხ. ცხრ. 53).

ცხრილი 53

ურძნის ლენინისა და შამპანურის წარმოების გადიდება 1966—1970 წ.

დასახელება	ზომის ერთეული	1966 წ.	1967 წ.	1968 წ.	1969 წ.	1970 წ.	ზრდა %-ით
ურძნის ლენინი ნატურით	მლნ დკლ	11,0	12,8	13,0	13,5	14,0	27
შამპანური	მლნ ბოთლ.	8,0	8,5	9,0	9,5	10,0	25

მოტანილი მონაცემები ცხადყოფენ, რომ ახალ ხუთწლეულში წარმოებული ღვინის მთლიანი რაოდენობა ნატურალური ხარისხის ხატულებით „სამტრესტის“ ხაზით უნდა გაიზარდოს 14,8 მლნ დკლ-დან 14 მლნ დკლ-მდე ანუ 3,0 მლნ დკლ-ით ე. ი. 27%-ით.

რაც შეეხება შამპანური ღვინის წარმოებას, მისი ზრდა 1966—1970 წწ. ნაეარაუდევია მხოლოდ 25%-ით, კერძოდ, 1966 წ. რესპუბლიკაში თუ გეგმით გამოშვებული უნდა ყოფილიყო სულ 8 მლნ ბოთლი, 1970 წ. გამოშვებული იქნება სულ 10 მლნ. ბოთლი შამპანური.

ამავე ტრესტის ხაზით ერთდროულად დასაძველებელი ღვინის სარდაფის სიმძლავრე 1965 წ. თუ შეადგენდა 4,5 მლნ დკლ-ს, 1970 წ. იგი მიაღწევს 5 954 ათას დკლ-ს.

დასახულია ამოცანა, რომ 1966 — 1970 წწ. რესპუბლიკაში აშენდეს ღვინის პირველადი გადამუშავების თერთმეტი ახალი ქარხანა, 134 ათასი ტონა წარმოებრივი სიმძლავრით. მ. შ., თითო ქარხანა ბოლნისში (15 ათასი ტონა სიმძლავრით) და შულავერში (20 ათასი ტონა სიმძლავრით), აგრეთვე მანავში, გომში, კაჭრეთში და მცხეთაში (15 ათასი ტონა სიმძლავრით); გურჯაანში, წითელწყაროში და წნორში (10 ათასი ტონა სიმძლავრით); მეჯვრისხევეში 5 ათასი და მაიაკოვსკში 4 ათასი ტონა სიმძლავრით.

უკვე 1967 წ. აშენდება მანავისა და მაიაკოვსკის ღვინის ახალი ქარხნები. ხოლო მწყობრში ჩადგება სვირისა და სამგორის ღვინის ახალი ქარხნები. მნიშვნელოვნად გადიდება ახმეტის, მუკუჯანისა და ოკამის ღვინის ქარხნების წარმოებრივი სიმძლავრეები<sup>15</sup>.

როგორც დავინახეთ განვითარების დიდი პერსპექტივებია დასახული მეღვინეობის დარგში სახალხო მეურნეობის განვითარების ახალ ხუთწლეულში.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966—1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს საღვინე მასალების გადიდებას 1,5-ჯერ.

ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს პირველყოფლისა მეღვინეობის სანედლეულო ბაზის ყოველმხრივ განმტკიცებას და განვითარებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობაზე

<sup>15</sup> გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1966 წ., 24 თებერვალი.



ამხ. ვ. პ. მკვათეძე მიუთითებდა, რომ „ბოლო წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განახორციელეს მთელი რიგი ბანკური რეფორმები, რომლებიც საზოგადოებრივი მეცენაზობისა და მეზღვაობის შემდგომი განვითარებისათვის. მარტო განვილილ შვიდწლეულში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააშენეს 81 ათას ჰექტარზე მეტი ბაღები და ვენახები. მაგრამ რესპუბლიკას ამ დარგების შემდგომი განვითარების კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობანი აქვს.

ახალ ხუთწლეულში დასახულია 123 ათას ჰექტარამდე გაიზარდოს ვენახების ფართობი, ხეხილის ბაღებისა კი—151 ათას ჰექტარამდე. ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ სარგავი მასალის გამოყვანა და უზრუნველყოთ ნარგავების ჭეროვანი მოვლა“<sup>16</sup>.

<sup>16</sup> ვ. პ. მკვათეძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში პარტიის XXIII ყრილობას, თბ., 1966, გვ. 18.

ს ა რ ა ბ ა

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი	
მეღვინეობა საბჭოთამდელ საქართველოში . . . . .	5
თ ა ვ ი მ ე ო რ ე	
მეღვინეობა საბჭოთა საქართველოში (1921—1927 წწ.) . . . . .	38
თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე	
მეღვინეობა პირველ და მეორე ხუთწლეულში . . . . .	75
თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე	
მეღვინეობა მესამე ხუთწლეულსა და დიდი სამამულო ომის პერიოდში . . . . .	108
თ ა ვ ი მ ე ზ ხ თ ე	
მეღვინეობა ომისშემდგომ ხუთწლეულებში (1946 — 1958 წწ.) . . . . .	134
თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე	
მეღვინეობის განვითარება შვიდწლეულში . . . . .	159
თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე	
ლენინის ახალი ქარხნები, ტექნიკური სიახლენი და მეცნიერების მიღწე- ვები მეღვინეობაში . . . . .	179
თ ა ვ ი მ ე რ ვ ე	
საქართველოს ადგილი სსრკ და ამიერკავკასიის მეღვინეობაში და მისი განვითარების პერსპექტივები . . . . .	198



Арчил Давидович Степанишвили

РАЗВИТИЕ ВИНОДЕЛИЯ В СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ  
(1921—1965 гг.)

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ბ. ხასია  
გამომცემლობის რედაქტორი ც. თოდუა  
მხატვარი ვ. ნადირაძე  
ტექნიკური რედაქტორი ნ. ებრაელიძე  
კორექტორი ლ. კოტრიკაძე

გადაცა წარმოებას 5.5.1967; ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.8.1967;  
ჭაღვალდის ზომა 60×90<sup>1/16</sup>; ნაბეჭდი თაბახი 14,0; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 11,33; უე 01364; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 638  
ფასი 1 მან. 1 კობ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

---

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15  
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

შემდგომი შეცვლების ბაზოტობა

გვ.	სტრიქონი	არის	უნდა იყოს
50	1-ქვედან ზემოთ	46637, 61376	4,603,2, 6,137,6
57	12-ზევიდან ქვევით	მოესპო	მოესპო.
169	9-ზევიდან ქვევით	+2475,0	+51
169	სქოლიოში	საქართველოს სსრ კოლმე- რნოვნების წლიური ანგარიშ- გებების	სამტრესტოს წლიური ანგა- რიშგებების
177	8-ქვევიდან ზემოთ	ანჰიდრიდის	ანჰიდრიდის
208	5-ქვევიდან ზე.	ხანაში	ხანში
211	15-ზევიდან ქვევით	ძირითად და საბრუნავ ფონ- დების წამთან	ძირითად ფონდების და სა- ბრუნავ საშუალებების წამთან

ა. სტეფანიშვილი \*

